DOI: 10.36172/EKONOMISTI
p ISSN 1987-6890
e ISSN 2346-8432

ეკონომისტი
EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific –Analytical Journal

4

2024

ტომი – VOLUME

XX

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

ეკონომისტი
EKONOMISTI

ჟურნალის ამ ნომერში აგრეთვე დაბეჭდილია საქართველოს
ეკონომისტთა VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის სტატიები

2024

4

ტომი-VOLUME
XX

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics
International Reviewed Scientific-Analytical Journal

EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2016 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published scince January 2009 once in two months,
Scince 2016 - Quarterly
-

რედაქციის მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14;
ტელ.: 293 34 44; 599 970103.

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street,
tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
რამაზ აბესაძე **(მთავარი რედაქტორი),** იური ანანიაშვილი, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი (აკადემიკოსი), ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, მირიან ტუხაშვილი, თეიმურაზ შენგელია, მურმან ცარციძე, ნოდარ ჭითანავა (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი (აკადემიკოსი).

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები

ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სპეციალური მრჩეველი), ფრენკ არაუჰო (პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი), ლარისა ბელინსკაია (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), სიმონე გუერჩინი (პროფესორი, ფლორენციის უნივერსიტეტი), ბარნი ერედია (პროფესორი, კალიფორნია, აშშ), ვოლფგანგ ვენგი (პროფესორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (პროფესორი, კლერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (პროფესორი. ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), სტივენ კოენი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი), ვლადიმერ მენშიკოვი (პროფესორი, დაუგავილის უნივერსიტეტი, ლატვია), სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (პროფესორი, ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პროფესორი, პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი), ადამ ნიუმენ ტიორნერი (პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

მთავარი რედაქტორის თანაშემწე – ეკონომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**

SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Doctors of economics, Professors:

Ramaz Abesadze (**Editor-in-chief),** Yuri Ananiashvili, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava (academician of the Academy of Agricultural Science), Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti (academician), Revaz Kakulia, Eter Kharaishvili, Paata Koghuashvili (academician of the Academy of Agricultural Science), Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Vladimer Papava (academician), Solomon Pavliashvili (academician), Ushangi Samadashvili, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze, Murman Tsartsidze, Mirian Tukhashvili.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Jeffrey D. Sachs (Professor at Columbia University, UN Special Adviser), Frank P . Araujo (Professor, University California at Berkeley, University California at Davis), Larisa Belinskaia (Professor, Vilnius University), Steven Cohen (Professor, Columbia University,), Barney Eredia (Professor, President at Educational Consortium Institute at Aptos), Ruslan Grinberg (Corresponding member of RAS), Simone Guercini (Professor, University of Florence), Eldar Ismailov (Professor, Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (Professor, Vilnius University), Vladimir Menshikov (Professor, Daugavpils University, Latvia), Slavomir Partycki (Professor, The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Professor, Kharkiv Technical University), Darrol J. Stanley (Professor, University of Pepperdine), Oleksiy Stupnitskyy (Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv), Adam Newman Turner (Professor of Management at Leicester University), Wolfgang Weng (Professor, Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Professor, Claremont Graduate University).

Assistant Editor-in-chief – Doctors of economics **Mamuka Khuskivadze**

Executive Secretary – Doctors of economics **Tea lazarashvili**

НАУЧНО-РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Доктора экономических наук, Профессора:

Рамаз Абесадзе (**главный редактор**), Юрий Ананиашвили, Гиви Бедианашвили, Теймураз Беридзе, Георгий Берулава, Вахтанг Бурдули, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия, Михаил Джибути (академик), Реваз Какулия, Темур Канделаки, Мурман Кварацхелия, Паата Когуашвили (академик Академии сельскохозяйственных наук), Элгуджа Меквабишвили, Владимир Папава (академик), Соломон Павлиашвили (академик), Ушанги Самадашвили, Теймураз Шенгелия, Автандил Силагадзе (академик), Автандил Сулаберидзе, Мириан Тухашвили, Мурман Царцидзе, Этер Хараишвили, Нодар Читанава (академик Академии сельскохозяйственных наук).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ НАУЧНО-РЕДАКЦИОННОГО СОВЕТА

Джеффри Д. Сакс (профессор, Колумбийский университет, Специальный советник ООН), Франк П. Арауджо (профессор, Калифорнийский университет в Беркли, Калифорнийский университет в Дэвисе), Лариса Белинская (профессор, Вильнюсский университет), Стивен Коэн (профессор, Колумбийский университет, Нью-Йорк, США), Барни Эредиа (профессор, Калифорния, США), Руслан Гринберг (Член-корреспондент РАН), Симоне Гуерчини (профессор, Университета Флоренции), Эльдар Исмаилов (профессор, Бакинский институт социального управления и политологии), Гиндра Каснаускене (профессор, Вильнюсский университет), Владимир Меньшиков (Профессор, Даугавпилсский университет, Латвия), Славомир Партицкий (профессор, Люблинский католический университет Иоанна Павла II), Галина Савина (профессор, Харьковский технический университет), Даррол Дж. Стэнли (профессор, Университет Пеппердайна), Алексей Юступницкий (профессор, Киевский национальний университ имени Тараса Шевченко), Адам Ньюман Тернер (профессор, Лестерский университет), Вольфганг Венг (профессор, Технический университет Берлина), Томас Д. Виллетт (профессор, Университет Клермонта).

Памощник главного редактора - доктор економики **Мамука Хускивадзе**

Ответственный секретарь - доктор экономики **Теа Лазарашвили**

ს ა რ ჩ ე ვ ი - C O N T E N T S

გლობალიზაცია – GLOBALIZACION

ვლადიმერ პაპავა – მსოფლიო სავალუტო წესრიგი: სავალუტო გლობალიზაციიდან სავალუტო გეოპოლიტიკამდე **9**

Vladimer Papava – The World Currency Order: from Currency Globalization to Currency Geopolitics (Expanded Summary) **16**

საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა – ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES

Anna Chechel, Natalya Rudyk – Sustainable Local Development in Ukraine: Community Participation in Post-War Recovery **17**

Анна Чечель, Наталья Рудык – Устойчивое местное развитие в Украине: участие общественности в послевоенном восстановлении (Резюме) **24**

ანა ჩეჩელი, ნატალია რუდიკი – მდგრადი ადგილობრივი განვითარება უკრაინაში: საზოგადოების მონაწილეობა ომის შემდგომ აღდგენაში (რეზიუმე) **25**

ეკონომიკური უსაფრთხოება – ECONOMIC SECURITY

მურმან კვარაცხელია – ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხისათვის **27**

Murman Kvaratskhelia – On the Problem of Economic Security and Economic Policy (Expanded Summary) **32**

მიხეილ თოქმაზიშვილი, შოთა ლომინაშვილი – საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გეოპოლიტიკა **34**

Mikheil Tokmazishvili, Shota Lominashvili – Geopolitics of Georgia's Economic Security (Expanded Summary) **45**

ეკონომიკური თეორია – ECONOMIC THEORY

შოთა ვეშაპიძე – უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში **47**

Shota Veshapidze – Some Economic Aspects of Security in the Context of Economic Theories (Expanded Summary) **57**

ნატალია დავლაშერიძე – ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების გამოცდილების გამოყენება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში **59**

Natalia Davlasheridze – Using the Experience of Economic Security of the European Union Countries in the Economic Policy of Georgia (Expanded Summary) **67**

ლურჯი ეკონომიკა – BLUE ECONOMY

თეა ლაზარაშვილი – „ლურჯი ეკონომიკა" და მდგრადი განვითარების გამოწვევები **69**

Tea Lazarashvili - "Blue Economy" and Challenges of Sustainable Development (Expanded Summary) **77**

მიკროეკონომიკა – MICROECONOMICS

ეთერ ხარაიშვილი, ნინო ლობჟანიძე – მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის შეფასება საქართველოში: პილარის ანალიზი **78**

Eter Kharaishvili, Nino Lobzhanidze – Transformation of World Order and Evaluation of State Enterprise Reform in Georgia: A Pillar Analysis **91**

ეკონომეტრიკა - ECONOMETRICS

ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე – კლიმატის ცვლილების შედეგების ზეგავ-ლენის შეფასება ეკოინოვაციების კონტექსტში: საქართველოს მაგალითი **93**

Lia Totladze, Mamuka Khuskivadze – The Assessment of the Impact of Climate Change in the Context of Eco-innovation: the Example of Georgia (Expanded Summary) **100**

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

მალხაზ ჩიქობავა – შეინარჩუნებს თუ არა აშშ დოლარი მსოფლიო ვალუტის სტატუსს? **103**

Malkhaz Chikobava – Will the us dollar retain its status as a world currency? (Expanded Summary) **112**

ციცინო თეთრაული – ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული და მდგრადი განვითარების პირობებში მიწასთან დაკავშირებული პრობლემები **116**

Tsitsino Tetrauli – End of Unipolar World and Sustainable Development in Terms of Land Related Problems (Expanded Summary) **123**

ტურიზმი – TOURISM

მედეა მელაშვილი, ქეთევან ქველაძე, ნუნუ ქისტაური – საქართველოში ენოტურიზმის განვითარების თეორიული ასპექტები და გზები **124**

Medea Melashvili, Ketevan Kveladze, Nunu Kistauri – Theoretical Aspects and Ways of Wine Tourism Development in Georgia (Expanded Summary) **130**

ენერგეტიკა - POWER SYSTEM

შოთა ვეშაპიძე, ლევან კერესელიძე, ნინო ცირდავა – ენერგეტიკის დეკარბონიზაცია და საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევები **132**

Shota Veshapidze, Levan Kereselidze, Nino Tsirdava – Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia **144**

შრომის ბაზრის ეკონომიკა – LABOR MARKET ECONOMICS

ნანა შონია, ლია კილაძე – გლობალიზაციას, მიგრაციას, მრავალფეროვან სამუშაო ძალასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირები **145**

Nana Shonia, Lia Kiladze – The Interconnections between Globalization, Migration, Workforce Diversity, and Sustainable Development (Expanded Summary) **151**

სოციალური ეკონომიკა - SOCIAL ECONOMY

გიორგი ღავთაძე, აზა იფშირაძე – სოციალური სახელმწიფო, მორალური ეკონომიკა და ადამიანის უფლებები: თანამედროვე რეალობა და პერსპექტივები **152**
George Gavtadze, Aza Iphshiradze – Social State, Moral Economy and Human Rights: Contemporary Realities and Prospects (Expanded Summary) **162**

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულავა, გულნარა აბაშიძე – პირველადი ჯანდაცვის ექიმებთან პაციენტის ნდობაზე მოქმედი ფაქტორები **164**
Tengiz Verulava, Gulnara Abashidze – Factors affecting the patient's trust in the family doctor (Expanded Summary) **175**

განათლების ეკონომიკა – EDUCATION ECONOMY

ივლია ონიანი, ნონა ახვლედიანი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) შესწავლის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის **177**
Ivlia Oniani, Nona Akhvlediani – The role and importance of studying the National Accounts System (NAS) for students of economic profile (Expanded Summary) **182**

ფინანსები – FINANCE

ნიკოლოზ ჩიხლაძე – საინვესტიციო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები საქართველოს მუნიციპალიტეტებში **183**
Nikoloz Chikhladze – Contemporary Challenges of Investment Policy in Georgian Municipalities (Expanded Summary) **192**

დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

მერაბ ხოხობაია – მდგრადი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ორგანიზაციული და კონცეპტუალური ასპექტები **193**
Merab Khokhobaia – Organizational and Conceptual Aspects of Sustainable Tourism Destination Development (Expanded Summary) **198**

ლევან ხვედელიძე – საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები საქართველოში **200**
Levan Khvedelidze – Modern aspects of tax policy in Georgia (Expanded Summary) **207**

მედეა შაფათავა – რეტროეკონომიკის ფენომენის სოციალური ასპექტები. სიღარიბის ეკონომიკა, გამომწვევი მიზეზები და თანამედროვე პრობლემები **209**
Medea Shapatava – Social Aspects of the Phenomenon of Retroeconomics. Causes and Contemporary Problems of the Economics of Poverty (Expanded Summary) **217**

ხსოვნა **219**
Memory **219**

გლობალიზაცია – GLOBALIZACION

ვლადიმერ პაპავა
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი

მსოფლიო სავალუტო წესრიგი: სავალუტო გლობალიზაციიდან სავალუტო გეოპოლიტიკამდე*

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.PAPAVA

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო სავალუტო წესრიგის ტრანსფორმაციასთან, რომელშიც აშშ დოლარი, როგორც გლობალური სარეზერვო ვალუტა, მსოფლიო ვაჭრობაში ლიდერ პოზიციაზე იყო წარმოდგენილი. სავალუტო გლობალიზაცია და სავალუტო გეოპოლიტიკა არა იმდენად გამორიცხავს, რამდენადაც ავსებს ერთმანეთს. სავადასვა ისტორიულ პერიოდებში, როგორც წესი, უპირატესი როლი ერთ-ერთ მათგანს - ან სავალუტო გლობალიზაციას, ან სავალუტო გეოპოლიტიკას აქვს. ახალი მსოფლიო სავალუტო წესრიგი სავალუტო გლობალიზაციისა და სავალუტო გეოპოლიტიკის იმგვარი კომბინაცია იქნება, რომელშიც სავალუტო გეოპოლიტიკას უპირატესი როლი შეიძლება ჰქონდეს.*

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო სავალუტო წესრიგი, სავალუტო გლობალიზაცია, სავალუტო გეოპოლიტიკა, ჰიპერგლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია.*

მას შემდეგ, რაც 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომი დაიწყო და დასავლეთმა რუსეთს დასჯის მიზნით ეკონომიკური სანქციები დააწესა (BBC, 2024), მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი რადიკალურად შეიცვალა. არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკის არქიტექტურა (Papava, 2022a), არამედ გლობალური სავალუტო სისტემაც იცვლება.

ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის დაწყებამდე, ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგმა, რომელსაც აშშ ედგა სათავეში, ხელი შეუწყო ჰიპერგლობალიზაციის პროცესს (Rodrik, 2011, 2022). თავის მხრივ, ჰიპერგლობალიზაციამ დიდწილად შეუწყო ხელი ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებას, რაც უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს გლობალიზაციისა და მსოფლიო წესრიგის ურთიერთკავშირიდან (მაგალითად, Amadi, 2020; Ardalan, 2012).

ერთპოლუსიანმა მსოფლიო წესრიგმა და ჰიპერგლობალიზაციამ დიდწილად განსაზღვრა *მსოფლიო სავალუტო წესრიგი*, როდესაც მსოფლიო ვაჭრობაში ლიდერობა გლობალურ სარეზერვო ვალუტას - აშშ დოლარს ეკუთვნოდა. კერძოდ, 2000 წლისთვის ყველა სავალუტო რეზერვის 70%-ზე მეტი აშშ დოლარზე მოდიოდა, და მისი დომინირება საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს უფრო და უფრო მეტი დოლარის სესხებაზე უბიძგებდა (Fofack, 2024b). აქედან

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს ავტორის მიერ ინგლისურად გამოქვეყნებული ანალიტიკური წერილის (Papava, 2024) დაზუსტებულ, სამეცნიერო ვერსიას.

გამომდინარე, აშშ დოლარი, როგორც მსოფლიოს მთავარი სარეზერვო ვალუტა, აშშ-ის ინტერესების გასაძლიერებლად გამოიყენებოდა (Fofack, 2024a).

ჰიპერგლობალიზაციამ, თავის მხრივ, მსოფლიო ეკონომიკაში აშშ დოლარის პოზიცია გააძლიერა. სხვა სიტყვებით, აშშ დოლარის აშკარა დომინირება როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე მსოფლიო სავალუტო რეზერვებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც *სავალუტო გლობალიზაცია.*

დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა აშშ დოლარის გლობალურ დომინირებაზე იქონია ზეგავლენა. უკრაინაში ომის დაწყებამდე, რუსეთის სავალუტო რეზერვების ერთი მეხუთედი დოლარში იყო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსებული იყო გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში, რომლებიც დასავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად მოსკოვის გლობალური ფინანსური სისტემისგან იზოლირებას ახორციელებენ (Wheatley, Smith, 2022). აშშ დოლარის, როგორც დომინანტური გლობალური ვალუტის პოზიციის შესუსტების კონტექსტში, განსაკუთრებულ როლს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ მფლობელობაში არსებული რუსეთის თითქმის 300 მილიარდი დოლარის გაყინული აქტივების დასავლეთის მიერ კონფისკაცია და მათი უკრაინის დასაცავად და აღდგენისთვის გამოყენების ფართოდ განხილვა წარმოადგენს (Booker, Conner, Wessel, 2024).

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აშშ დოლარის დომინირება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაშიც მერყეობდა (Arslanalp, Eichengreen, Simpson-Bell, 2024b). კერძოდ, თუ 1970 წელს ამ ვალუტის წილი მსოფლიო რეზერვებში 80% იყო, 1980 წლისთვის ეს მაჩვენებელი 58%-მდე, ხოლო 1990 წლისთვის კი 47%-მდე დაეცა, თუმცა 2000 წლისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლავ გაიზარდა 70%-მდე; ამის შემდეგ, აშშ დოლარის წილმა მსოფლიო სავალუტო რეზერვებში კვლავ დაიწყო კლება და 2020 წლისთვის 59%-ს მიაღწია (Graham, Tran, 2024). მსოფლიო სავალუტო რეზერვებში აშშ დოლარის წილის შემცირებას თან ახლდა არა ისეთი ვალუტების წილების ზრდა, როგორიცაა ევრო, იენი და ფუნტი სტერლინგი, არამედ დარეზერვებისთვის არატრადიციული ისეთი ვალუტების წილების ზრდა, როგორიცაა ავსტრალიური დოლარი, კანადური დოლარი, ჩინური იუანი, სამხრეთ კორეული ვონი, სინგაპურის დოლარი და სკანდინავიური ვალუტები (Arslanalp, Eichengreen, Simpson-Bell, 2024a).

უკრაინაში რუსეთის ომის დაწყებისთანავე, გლობალიზაციის პროცესი კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე გადავიდა (Papava, 2022b), როდესაც მსოფლიოს ქვეყნები დაიყო სამ ჯგუფად: დასავლეთის სანქციების მხარდამჭერ, რუსეთის მხარდამჭერ და ნეიტრალურ ქვეყნებად (Papava, 2022a). შედეგად, ერთპოლუსიანმა მსოფლიო წესრიგმა მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგად დაიწყო ტრანსფორმირება (Sachs, 2024). როდესაც გეოპოლიტიკური ფაქტორი ხელს უშლის სავალუტო გლობალიზაციის პროცესს (Koosakul, Zhang, Zia, 2024), ამას არ შეეძლო მსოფლიო სავალუტო წესრიგზე, რომელიც ჰიპერგლობალიზაციის პროცესში განვითარდა, არ ჰქონოდა შესაბამისი გავლენა.

სავალუტო გეოპოლიტიკა, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობაში ვალუტების განსაზღვრაში, ასევე სავალუტო რეზერვების ფორმირებაში გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა იზრდება, არ არის ახალი. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გეოპოლიტიკურმა მოტივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ვალუტის არჩევისას მისი სავალუტო რეზერვებისთვის გამოყენების მიზნით

(Eichengreen, Mehl, Chitu, 2017). აღსანიშნავია, რომ გეოპოლიტიკურ ფაქტორს სავალუტო გლობალიზაციის პროცესშიც აქვს ადგილი (Cohen, 2003), თუმცა მას უპირატესი მნიშვნელობა არ გააჩნია. აქედან კი გამომდინარეობს, რომ *სავალუტო გლობალიზაცია და სავალუტო გეოპოლიტიკა კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს.* იმავდროულად, *გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში, როგორც წესი, ერთერთი მათგანი - ან სავალუტო გლობალიზაცია ან სავალუტო გეოპოლიტიკა ხდება დომინირებადი.*

აღსანიშნავია, რომ დოლარის, როგორც გლობალური სარეზერვო ვალუტის სტატუსი მცირდება არა მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორების, არამედ აშშ-ის ფისკალური პოლიტიკის გამოც, რის შედეგადაც ჩინეთის, ჰონგ კონგის, ტაილანდის და არაბთა გაერთიანებულ საამიროების ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს აშშ დოლარი სულ უფრო ნაკლებად სჭირდებათ (Bleicher, Lipsky, 2024).

ხაზგასმელია ის, რომ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში აშშ დოლარის სხვა ვალუტებით ჩანაცვლება, რაც გეოპოლიტიკითაა განპირობებული ამცირებს დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის როლს, თუმცა ეს უკანასკნელი ნულამდე პრინციპში მაინც ვერ იქნება დაყვანილი (Weiss, 2022).

ბევრი კომპონენტის მიხედვით თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაციის მნიშვნელოვანი გაურკვევლობის პირობებში (Hasnain, 2024), ასევე რუსეთზე დასავლეთის მიერ სანქციების შედეგად გამოწვეული რისკების გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის გამო, პრიორიტეტული გახდა არა მარტო ოქროს, როგორც ალტერნატიული რეზერვის, მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა, ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში სხვადასხვა ვალუტის უპირატესი გამოყენება (den Besten, Di Casola, Habib, 2023).

ფაქტობრივად, ევრო, მისი გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე, არის მეორე სარეზერვო ვალუტა, თუმცა მას არ შეუძლია გლობალურ ეკონომიკაში აშშ დოლარი მთლიანად ჩაანაცვლოს (Hutagalung, 2024). მიუხედავად იმისა, რომ ევრო 2023 წლის მდგომარეობით გლობალური სავალუტო რეზერვების 21%-ს შეადგენდა, ამ ვალუტას, ევროკავშირში არსებული სტრუქტურული და პოლიტიკური პრობლემების გამო, რაც მის ქვეყნებს შორის არაკოორდინირებულ ფისკალურ პოლიტიკას განაპირობებს, როგორც უნივერსალურ სარეზერვო აქტივს სათანადო საიმედოობა არ გააჩნია (Yoshimori, 2024).

2023 წელს არა მხოლოდ დასავლეთის მიერ სანქცირებულმა რუსეთმა, არამედ ჩინეთმაც გამოაცხადა მრავალპოლუსიანი გლობალური სავალუტო სისტემის საჭიროება, თუმცა აშშ დოლარის დომინირების დასასრული და ნებისმიერი სხვა ალტერნატიული ვალუტით მისი, როგორც გლობალური სარეზერვო ვალუტის, ჩანაცვლება მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში რეალისტურად ვერ ჩაითვლება (Born, Krys, 2023).

BRICS+ (რომელიც ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის გარდა, ასევე მოიცავს ირანს, ეგვიპტეს, ეთიოპიასა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს) ცდილობს აშშ დოლარის, როგორც გლობალური სარეზერვო ვალუტის, დომინირების წინააღმდეგ განსაკუთრებული როლი შეასრულოს (Liu, Papa, 2022), რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ნავთობით და გაზით ვაჭრობა ეროვნულ ვალუტებში განხორციელდეს, რის შედეგადაც მათი ფასები აშშ დოლარში უკვე აღარ დადგინდება (Ciliers, 2023). მთლიანობაში ამ ქვეყნებმა მოა-

ხერხეს ის, რომ ერთმანეთთან ვაჭრობის 65% თავიანთ ეროვნულ ვალუტებში განახორციელონ (Dsouza, 2024).

როგორც ცნობილია, ნავთობის დოლარში ფასწარმოქმნის, ანუ ნავთობ-დოლარის სისტემა 1970-იანი წლების შუაში გაჩნდა. შედეგად, ამ სისტემამ გააძლიერა აშშ დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის პოზიცია. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო რუსეთის წინააღმდეგ დასავლური ეკონომიკური სანქციების შემოღებამ განაპირობა ის, რომ ბევრი ქვეყანა ნავთობდოლარის ნაცვლად სხვა ვალუტების გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას (Fofack, 2024b), ხოლო საუდის არაბეთსა და ჩინეთს შორის ენერგეტიკული კავშირების გაღრმავების შედეგად (Yu, Xing, Shen, 2022) ნავთობდოლარის ნავთობიუანით ჩანაცვლება მოხდა, როდესაც ნავთობით ვაჭრობის გრძელვადიანი კონტრაქტები უკვე იუანშია ნომინირებული (Jegarajah, 2024).

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ უკრაინაში რუსეთის ომის დაწყებამდე გაცილებით ადრე, გამოთქვა სურვილი, რომ აშშ დოლარის ალტერნატივა ჰქონოდა, რომელიც მას შემდეგ, რაც რუსეთი დასავლეთის მიერ იქნა სანქცირებული (როდესაც მისი ბევრი ბანკი SWIFT-დან იქნა გათიშული, ხოლო მისი 300 მილიარდი დოლარის ღირებულების საერთაშორისო აქტივები კი გაიყინა) კიდევ უფრო გაიზარდა (Ghani, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ტრანსსასაზღვრო გადახდებში სულ უფრო ხშირად იყენებს იუანს, მისი ფინანსური სისტემა მაინც რჩება დამოკიდებული არა მხოლოდ აშშ დოლარზე, არამედ აშშ-ს ფინანსურ სისტემაზეც, რაც დიდი ალბათობით უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება (Greene, 2024).

გლობალურ ვაჭრობაში ჩინეთის მზარდმა როლმა იუანის, როგორც გლობალური ვალუტის სტატუსის ამაღლებას შეუწყო ხელი, თუმცა არსებობს ობიექტური მიზეზები (კერძოდ, კაპიტალის მოძრაობაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი, ფინანსურ ბაზრებზე გამჭვირვალობის ნაკლებობა, ასევე ერთპარტიული პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრალიზაცია), რისთვისაც ბევრი ქვეყანა არ არის მზად იუანი სარეზერვო ვალუტად გამოიყენოს (Yoshimori, 2024).

როგორც ცნობილია, BRICS-ის ქვეყნები აპირებენ შექმნან ახალი სარეზერვო ვალუტა, რომელიც არა მარტო ამ ქვეყნების ვალუტების კალათით იქნება გამყარებული, არამედ პოტენციურად ოქროთიც იქნება უზრუნველყოფილი, რაც დედოლარიზაციის პროცესის გაფართოებას გამოიწვევს. ამ ახალი ვალუტის წარმატება დიდწილად აშშ დოლარის მიმართ მის სტაბილურობაზე იქნება დამოკიდებული (Pistili, 2024). მრავალი ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემის გადაუჭრელობის გამო, BRICS ახალი სარეზერვო ვალუტის შემოღების საკითხის საბოლოო გადაწყვეტისგან ჯერ კიდევ შორსაა (Eichengreen, 2024).

დედოლარიზაციისკენ მისწრაფებას როგორც აშშ-სთვის, ისე გლობალური ეკონომიკისთვის სერიოზული შედეგები ექნება. კერძოდ, აშშ-ის ეკონომიკაზე შესაძლოა ინფლაციური ზეწოლა გაიზარდოს, ხოლო აშშ-ის პოზიცია კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში კი - შესუსტდეს; იმავდროულად არაერთი განვითარებადი ქვეყნა არა მარტო დოლარში ნომინირებული ვალის მოცულობას შეამცირებს, არამედ საკუთარი თავის მეტი ფინანსური ავტონომიით უზრუნველყოფასაც შეძლებს (Hutagalung, 2024).

იმისდა მიუხედავად, რომ, სავარაუდოდ, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, აშშ დოლარი გააგრძელებს გლობალურ დომინირებას და შეინარჩუნებს

მსოფლიოს მთავარი სარეზერვო ვალუტის როლს (Shalal, 2024), სავალუტო გეოპოლიტიკის ფაქტორის თანდათანობითი გაძლიერების უგულებელყოფა პრინციპულად დაუშვებელია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კრიპტოვალუტებსა და გეოპოლიტიკას შორის ურთიერთკავშირის (მაგალითად, OneSafe Content Team, 2024), ასევე ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების გეოპოლიტიკური ასპექტების შესწავლა დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს (მაგალითად, Demertzis, Lipsky, 2023).

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მსოფლიო სავალუტო წესრიგი სავალუტო გლობალიზაციისა და სავალუტო გეოპოლიტიკის კომბინაციის სახით ყალიბდება, რომელშიც ამ უკანასკნელს უპირატესი როლი ენიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა

Amadi L. (2020). "Globalization and the Changing Liberal International Order: A Review of the Literature." *Research in Globalization*, Vol. 2, December, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2590051X20300046>.

Ardalan K. (2012). "Globalization and World Order: Four Paradigmatic Views." *Journal of Globalization Studies*, Vol. 3, No. 1, <https://www.sociostudies.org/journal/files/jogs/2012_1/039-054.pdf>.

Arslanalp S., Eichengreen B., Simpson-Bell C. (2024a). "Dollar Dominance in the International Reserve System: An Update." *IMF Blog*, June 11, <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2024/06/11/dollar-dominance-in-the-international-reserve-system-an-update>.

Arslanalp S., Eichengreen B., Simpson-Bell C. (2024b). "The Stealth Erosion of Dollar Dominance: Active Diversifiers and the Rise of Nontraditional Reserve Currencies." *IMF Working Papers*, WP/22/58, March 24, <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2022/03/24/The-Stealth-Erosion-of-Dollar-Dominance-Active-Diversifiers-and-the-Rise-of-Nontraditional-515150>.

BBC (2024). "What Are the Sanctions on Russia and Have They Affected Its Economy?" *BBC*, February 23. <https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>.

Bleicher J., Lipsky J. (2024). "The Geopolitical Imperative to Upgrade the Dollar." *Project Syndicate*, June 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/swift-alternatives-could-undermine-american-national-security-interests-by-jordan-bleicher-and-josh-lipsky-2024-06>.

Boocker S., Conner A., Wessel D. (2024). "Why Do the US and Its Allies Want to Seize Russian Reserves to Aid Ukraine?" *The Brookings Institution*, October 25, <https://www.brookings.edu/articles/why-do-the-u-s-and-its-allies-want-to-seize-russian-reserves-to-aid-ukraine/>.

Born D., Krys C. (2023). "What If – the US Dollar Loses Its Status as the World's Reserve Currency?" *Roland Berger*, July 28, <https://www.rolandberger.com/en/Insights/Publications/What-if-the-US-dollar-loses-its-status-as-the-world-s-reserve-currency.html>.

Cilliers J. (2023). "BRICS+ and the Future of the US Dollar." *ISS Today*, August 25, <https://issafrica.org/iss-today/brics-and-the-future-of-the-us-dollar>.

Cohen B. J. (2003). *The Geopolitics of Currencies and the Future of the International System*. Santa Barbara, Department of Political Science, University of California at Santa Barbara, <https://escholarship.org/content/qt5pc0p3rc/qt5pc0p3rc_noSplash_0e7860dabbb306c69267f17c25bf08af.pdf?t=krnd8e>.

Demertzis M., Lipsky J. (2023). "The Geopolitics of Central Bank Digital Currencies." *Intereconomics, Review of European Economic Policy*, Vol. 58, No. 4, pp. 173–177, <https://www.intereconomics.eu/contents/year/2023/number/4/article/the-geopolitics-of-central-bank-digital-currencies.html>.

den Besten T., Di Casola P., Habib M. M. (2023). "Geopolitical Fragmentation Risks and International Currencies." *European Central Bank*, June, <https://www.ecb.europa.eu/press/other-publications/ire/article/html/ecb.ireart202306_01~11d437be4d.en.html>.

Dsouza V. (2024). "BRICS Settle 65% Trade in Local Currencies & Not the US Dollar." *Watcher Guru*, October 15, <https://watcher.guru/news/brics-settle-65-trade-in-local-currencies-not-the-us-dollar?fbclid=IwY2xjawF8QqxleHRuA2FlbQIxMQABHZtlgey_z5_u-eWJaacuE81OOwhDwp5bDtBmRASColRjGQpCNbEd_WW_xw_aem_N9niShP3BCFcNn1NTw8EbQ>.

Eichengreen B. (2024). "The BRICS Currency Charade." *Project Syndicate*, November 14, <https://www.project-syndicate.org/commentary/brics-kazan-summit-futile-common-currency-effort-by-barry-eichengreen-2024-11?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=d520987fb5-sunday_newsletter_11_17_2024&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-d520987fb5-93567601&mc_cid=d520987fb5&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Eichengreen B., Mehl A. J., Chitu L. (2017). "Mars or Mercury? The Geopolitics of International Currency Choice." *NBER Working Papers*, No. 24145, December, <https://www.nber.org/system/files/working_papers/w24145/w24145.pdf>.

Fofack H. (2024a). "The Dollar Is Everyone's Problem." *Project Syndicate*, August 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-dollar-is-a-problem-for-rich-and-poor-countries-by-hippolyte-fofack-2024-08>.

Fofack H. (2024b). "The Eclipse of the Petrodollar." *Project Syndicate*, June 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/fate-of-the-petrodollar-future-of-currency-diversification-by-hippolyte-fofack-2024-06>.

Ghani S. (2023). "Geo-Economics of Currency Wars and the Renminbi." *Italian Institute for International Political Studies (ISPI)*, July 17, <https://www.ispionline.it/en/publication/geo-economics-of-currency-wars-and-the-renminbi-135824>.

Graham N., Tran H. (2024). "Dedollarization Is Not Just Geopolitics, Economic Fundamentals Matter." *Atlantic Council*, January 22, <https://www.atlanticcouncil.org/blogs/econographics/sinographs/dedollarization-is-not-just-geopolitics-economic-fundamentals-matter/>.

Greene R. (2024). *China's Dollar Dilemma*. Washigton DC., Carnegie Endowment for International Peace, October, <https://carnegie-production-assets.s3.amazonaws.com/static/files/Greene_China%20Dollar_final.pdf>.

Hasnain S. A. (2024). "Strategic Patience: A Currency for Today's Geopolitics." *The New Indian Express*, September 9, <https://www.newindianexpress.com/opinions/2024/Sep/09/strategic-patience-a-currency-for-todays-geopolitics>.

Hutagalung S. (2024). "De-Dollarization: Are We Witnessing the End of US Dollar Supremacy?" *Eurasia Review*, October 3, <https://www.eurasiareview.com/03102024-de-dollarization-are-we-witnessing-the-end-of-us-dollar-supremacy-oped/>.

Jegarajah S. (2024). "China Has Grand Ambitions to Dethrone the Dollar. It May Make a Powerful Move this Year." *CNBC*, October 24, <https://www.cnbc.com/2017/10/24/petro-yuan-china-wants-to-dethrone-dollar-rmb-denominated-oil-contracts.html>.

Koosakul J., Zhang L., Zia M. (2024). "Geopolitical Proximity and the Use of Global Currencies." *IMF Working Papers*, September 6, <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2024/09/06/Geopolitical-Alignment-and-the-Use-of-Global-Currencies-554242>.

Liu Z. Z., Papa M. (2022). *Can BRICS De-Dollarize the Global Financial System?* Cambridge, Cambridge University Press, <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/0AEF98D2F232072409E9556620AE09B0/9781009014625AR.pdf/can_brics_dedollarize_the_global_financial_system.pdf>.

OneSafe Content Team (2024). "Crypto and Geopolitics: A Complicated Relationship." *OneSafe*, October 1, <https://www.onesafe.io/blog/geopolitical-tensions-impact-crypto-markets>.

Papava V. (2022a). "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, <https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>.

Papava V. (2022b). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.

Papava V. (2024). "World Monetary Order: From Currency Globalization to Currency Geopolitics." *Eurasia Review*, November 21, <https://www.eurasiareview.com/21112024-the-world-monetary-order-from-currency-globalization-to-currency-geopolitics-oped/>.

Pistilli M. (2024). "How Would a New BRICS Currency Affect the US Dollar?" *Nasdaq*, November 6, <https://www.nasdaq.com/articles/how-would-new-brics-currency-affect-us-dollar-updated-2024>.

Rodrik D. (2011). *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy*. New York, W. W. Norton & Co.

Rodrik D. (2022). "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05?barrier=accesspaylog>.

Sachs J. (2024). "The Perils and Promise of the Emerging Multipolar World." *Common Dreams*, June 6, <https://www.commondreams.org/opinion/emerging-multipolar-world>.

Shalal A. (2024). "US Dollar's Dominance Secure, BRICS See No Progress On De-Dollarization." *Reuters*, June 25, <https://www.reuters.com/markets/currencies/us-dollars-dominance-secure-brics-see-no-progress-de-dollarization-report-2024-06-25/>.

Wheatley J., C. Smith. (2022). "Russia Sanctions Threaten to Erode Dominance of US Dollar, Says IMF." *Financial Times*, March 31, <https://www.ft.com/content/3e0760d4-8127-41db-9546-e62b6f8f5773>.

Weiss C. (2022). "Geopolitics and the U.S. Dollar's Future as a Reserve Currency." *Board of Governors of the Federal Reserve System, International Finance Discussion Papers*, No. 1359, October, <https://www.federalreserve.gov/econres/ifdp/files/ifdp1359.pdf>.

Yoshimori M. (2024). "Can The Euro Or Renminbi Really Challenge The US Dollar?" *Fair Observer*, October 8, <https://www.fairobserver.com/economics/can-the-euro-or-renminbi-really-challenge-the-us-dollar/#>.

Yu J., Xing X., Shen W. (2022). "Strengthened China-Saudi Ties Raise Prospects for Use of Yuan in Oil Settlement." *Global Times*, December 8, <https://www.globaltimes.cn/page/202212/1281416.shtml>.

Vladimer Papava
Principal Research Fellow, Paata Gugusvili Institute of Economics, Academician

THE WORLD CURRENCY ORDER: FROM CURRENCY GLOBALIZATION TO CURRENCY GEOPOLITICS

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.PAPAVA

Expanded Summary

The paper examines issues related to the transformation of the world currency order, with the US dollar commanding leadership in world trade as the primary reserve currency.

Before the COVID-19 pandemic, the US-led unipolar world order was fueling the process of hyper-globalization. Hyper-globalization, in turn, strengthened the position of the US dollar in the global economy. In this context, the clear dominance of the US dollar in both international trade and global foreign-exchange reserves can be characterized as currency globalization.

The economic sanctions imposed by the West on Russia have affected the global dominance of the US dollar.

With the start of Russia's war in Ukraine, the process of globalization entered the stage of confrontational globalization. As a result, the unipolar world order began to transform into a multipolar world order. This could not help but influence the world currency order that developed under hyper-globalization, when the geopolitical factor stood in the way of currency globalization.

Currency geopolitics, where geopolitical factors increasingly determine both the currencies in international trade and the formation of foreign exchange reserves, is not a new phenomenon. After the First World War, geopolitical motives played an important role in selecting international currencies for foreign exchange reserves. While the geopolitical factor remains in the era of currency globalization, it does not dominate the system. From this, it follows that currency globalization and currency geopolitics do not exclude each other at all, but rather complement each other. At the same time, in certain historical periods, as a rule, one of them prevails: either currency globalization or currency geopolitics.

In the context of the significant uncertainty surrounding many aspects of the modern geopolitical landscape, and the geopolitical fragmentation of risks resulting from the Western sanctions on Russia, there has been a noteworthy accumulation of gold as an alternative reserve asset, and increase in the use of various currencies in international trade.

The euro is not reliable as a universal reserve asset. Structural and political problems in the EU, particularly the lack of a coordinated fiscal policy among its member states, undermine its stability and appeal as an alternative to the US dollar.

China's growing role in global trade has contributed to the yuan's rise as a global currency, although there are objective reasons (notably strict government controls on capital flows, lack of transparency in financial markets, and centralization of one-party political power) that make many countries reluctant to use it as a reserve currency.

The BRICS countries intend to create a new reserve currency backed by a basket of their own national currencies, with the potential for gold-backing in addition. That said, due to the unresolved nature of many institutional, organizational and technical issues, BRICS is still far from resolving the issue of introducing a new reserve currency.

The US dollar is likely to continue its global dominance and retain its role as the world's main reserve currency in the short and medium term, it is fundamentally unacceptable to overlook the gradual strengthening of the currency geopolitics factor.

The new world monetary order is being formed as a combination of monetary globalization and monetary geopolitics, in which the latter plays a predominant role.

Keywords: world currency order, currency globalization, currency geopolitics, hyper-globalization, confrontational globalization

Anna Chechel
Dr. Sc. (Economics), Professor,
Mariupol State University (Kyiv), Department of Public Administration, Ukraine;
Natalya Rudyk
Chief State Inspector of the Main Personnel Department,
Odesa Regional State Tax Service, Ukraine

SUSTAINABLE LOCAL DEVELOPMENT IN UKRAINE: COMMUNITY PARTICIPATION IN POST-WAR RECOVERY

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHECHEL.RUDIK

Introduction. *Negative global trends currently affect every individual and the community in which they live. These problems need to be solved together within local communities. The globalisation of the world economy creates new patterns and changes the levels of responsibility for development at the local level. Due to the increase in population and individual consumption growth, the demand for the planet's resources has greatly increased. Society's modern way of life does not correspond to the principles of sustainable development, leading to the deterioration of human activity's social, economic, and ecological spheres. The concept of sustainable development, which ensures harmony between economic, social, and ecological aspects of development without disturbing the balance of interests of future generations, should be of central importance in the development programs of modern communities. Developing effective economic mechanisms to stimulate positive changes in the functioning of communities and promote the formation of a sustainable lifestyle is currently an urgent task.*

In recent years, Ukraine has faced significant challenges due to the ongoing armed conflict in its eastern regions. This conflict has led to widespread destruction of infrastructure, economic instability, and social disorganisation in many territorial communities. The pressing need for post-war recovery in these areas highlights the importance of sustainable local development involving the community in decision-making and implementation processes.

Sustainable development is more than just rebuilding infrastructure; it involves creating long-term socio-economic stability and fostering resilient communities. The active participation of local residents in shaping and implementing recovery initiatives is crucial for ensuring that development efforts meet the population's needs and are sustainable in the long run. This approach helps restore social and economic balance, strengthens community ties, and reduces internal conflicts.

The research problem lies in the need to develop and implement effective models of sustainable local development with community participation in Ukraine, particularly in the context of post-war recovery. As a result of the armed conflict in eastern Ukraine, many territorial communities are facing the destruction of infrastructure, economic difficulties, and social disorganisation. Successful recovery and development of these regions require an integrated approach that considers local populations' involvement in planning and implementing initiatives to restore socio-economic stability and improve quality of life.

Keywords: *sustainable development, local development, community, self-organisation, social technologies, model, social policy*

Literature review and analysis of the latest studies and publications. The issue of sustainable local development with community participation attracts the attention of researchers and practitioners worldwide. In recent decades, special attention has been paid to integrating socio-economic and environmental aspects to achieve sustainability at the local level (Brinkerhoff & Azfar, 2012). The development of territorial communities involves using ap-

proaches involving local residents in planning and decision-making processes, creating conditions for the population's active participation in forming socially significant programs and policies (Völker et al., 2010).

The Ukrainian local development experience emphasises the importance of community involvement in sustainable development processes through self-government and decentralisation. Research shows that strengthening interaction between local authorities and the population helps to stabilise the socio-economic situation and reduce conflicts at the local level (Gerasimenko, 2017). An important role is played by public organisations and initiative groups that, through self-organisation, introduce innovative approaches to solving local problems (Gritsak, 2018). In addition, the Ukrainian context includes features of the legislative framework that support such forms of self-organisation as public organisations and self-organisation bodies of the population (Orlovskaya, 2020). This contributes to more active population participation in local development processes and resource management.

Modern approaches to sustainable local development increasingly include elements of digitalisation and the use of social technologies. This, in turn, stimulates citizen engagement through public participation platforms, as noted by Fernback (2013), who studies social media's impact on forming a sense of belonging to a community. Technologies contribute to more active interaction within communities and help speed up decision-making and their implementation on the ground.

At the same time, social capital and trust between participants remain key factors for successful sustainable development. Ukrainian and Georgian studies show that sustainable growth is impossible without a high level of trust within the community and between the community and local authorities (Bondarenko, 2021). Therefore, the development of civil institutions and support for local initiatives are becoming priority tasks for ensuring sustainable local development.

Also, it is important to note that there are several approaches to understanding the term "community development" in the literature. According to the research of the authors of the book "Local Development Through Community Participation", this term can be viewed in two aspects: 1) as a strategy for solving local social problems; 2) as a principle of explaining the history of societies [1]. This aspect can be considered too limited, focused mainly on social issues, ignoring other local problems, and the second reflects a general philosophical nature and is quite abstract. The main goal is to create a favourable environment for achieving long-term sustainable socio-economic and social development locally by supporting local self-government initiatives and projects implemented by local communities and contributing to humanity's overall progress [2]. As a result of the complexity and multifaceted nature of this problem, some issues are not sufficiently developed in modern conditions

This research aims to study and analyse approaches to sustainable local development with community participation in Ukraine, focusing on post-war recovery. It seeks to identify effective social technologies and models of interaction between local authorities and civic initiatives that promote active community self-organisation, infrastructure restoration, and economic growth in post-conflict areas.

The main results of the study. Given the extensive damage caused by the conflict and the ongoing challenges of globalisation and economic restructuring, Ukraine needs an integrated approach to sustainable development that prioritises local engagement. The key to successful recovery lies in the community's ability to self-organize, collaborate with local authorities, and actively shape their future [3]. This research explores effective models of sustainable local development with community participation, focusing on the Ukrainian context, particularly in the post-war recovery phase. The experience of daily life of Ukrainian communities shows that the key factor for sustainable development is the active participation of citizens in the formation and implementation of local social policy. Uniting the community around solv-

ing the problem is the key to avoiding internal conflicts and contributes to their effective resolution.

A strategic approach to the planning of sustainable territorial development has advantages for all key participants in the process (government, enterprises, territorial communities), such as:

- increases the scientific and practical justification of socioeconomic and organisational measures, the effectiveness of management decisions;
- significantly expands the range of participants in the planning process, which includes their interests and needs;
- makes the planning process more accessible for all business entities, creating opportunities to achieve common goals through the pooling of resources of institutions of different ownership, which helps reduce the time it takes to achieve the program's goal;
- enables local authorities and self-government bodies to direct the community's efforts to solve current problems, actively influencing the stabilisation of the situation in the socio-economic and socio-political spheres;
- helps to use the potential of territories to accelerate economic changes and development of local communities.

The disadvantages of the strategic approach to planning sustainable territorial development are systematised in Fig. 1.



Fig 1 Limitations of the strategic approach to planning sustainable territorial development

These shortcomings must be carefully considered when developing strategic plans to ensure sustainable territorial development.

A rather pragmatic approach to community development is used in research [3], which describes it through the following social aspects:

1) education and enlightenment at the community level;
2) community formation (in particular, joint actions);
3) management of community resources, in particular, to solve the problems of poverty and low productivity of agriculture.

These authors consider the self-organisation of the community as a means of introducing innovations into the society.

The advantages of such an approach are that communities can adapt quickly to new conditions and challenges since decisions are made at the local level without lengthy bureaucratic procedures. Local initiatives are often a source of innovation, as communities deeply understand their needs and can quickly test and implement new ideas. Working together to implement innovations strengthens community members' bonds, increasing social cohesion and trust. Communities are better aware of their resources and needs, which allows for more efficient allocation of resources and implementation of projects with minimal costs. Innovations originating from the community usually receive broad support among local residents, increasing their legitimacy and the chances of successful implementation. Since the community controls the decision-making process and implementation of projects, it contributes to the transparency of all processes.

The disadvantage of this approach is the limitation of financial resources and the general instability of financing, which limits the scope and speed of introducing innovations. The lack of qualified specialists can also limit the community's ability to implement complex projects successfully. Thus, community self-organisation as a means of introducing innovations is a powerful tool for local communities that allows them to actively influence their own development. At the same time, this approach has its limitations and needs support and coordination to overcome resource, organisational, and social challenges.

Such a view coincides with the opinion of those who emphasise the importance of appealing to the local community when solving social problems [4]. This applies both to the self-organisation and mobilisation of the community, as well as to the practice of the activities of local authorities and other factors of community development, which emphasises the permanent, sustainable nature of relevant social technologies for the development of the area. For example, it is proposed to highlight the following stages in the community development process: 1) community mobilisation; 2) formation of effective institutional management mechanisms at the local level (creating public structures and increasing their potential); 3) joint planning and prioritisation; 4) consolidation of collective decision-making mechanisms at the local and regional levels; 5) resource mobilisation and project implementation; 6) ensuring sustainability of results, i.e. transformation of innovations into usual social practice [1].

In this process, institutionalised practices of citizen participation in solving community problems play a significant role. Other Ukrainian scientists [5] proposed a different course of action for community development:

1) creation of an organisation (which allows attracting the necessary resources to solve local problems and cooperate with other institutions);
2) selection of competent leaders;
3) collection of financial funds for the organisation's activities;
4) identification of the main local problems that residents want to solve to improve their lives;
5) assessment of opportunities in solving these problems, finding out their value and developing an action plan;
6) attraction of resources for the implementation of defined priorities;
7) preservation of the achieved result; 8) representation of interests in various authorities.

In both of the aforementioned algorithms, the basic element is creating a special organisation in the community, a formalised structure to represent the population's interests. According to the current legislation of Ukraine, the following mechanisms are provided for making decisions in matters of local development: local referenda, general assemblies of citizens, local initiatives, and public hearings. The rules of Ukraine also specify that formal organisations in the community can act as public or charitable organisations, bodies of self-organisation of the population (with a complex procedure for creation), associations of co-owners of apartment buildings (OCSB), and cooperatives. However, none of these forms of self-organisation can be

considered ideal for effective community involvement in local development, as they do not provide a full-fledged toolkit for active community participation in local development.

The study [6] describes the process of community development, offering an alternative algorithm of actions: 1) assessment of the situation for changes; 2) study of interactions in the community; 3) drawing up a community passport; 4) planning; 5) collective actions; 6) strategic planning; 7) implementation of the strategic plan; 8) assessment of results.

In this algorithm, the main attention is paid to social planning from the bottom up, without appointing specific subjects in the community according to the "bottom-up" principle, the advantages of which can be summarised without specifying the subjects in the community: a deeper understanding of local needs; increasing the level of involvement and responsibility; flexibility and adaptability; efficiency and rationality in the use of resources; increasing the legitimacy of decisions; stimulation of social innovations; sustainability and self-sufficiency; social justice and inclusiveness; increasing social stability.

These advantages emphasise the importance of a "bottom-up" approach to social planning, which allows communities to actively participate in their development, effectively use available resources, and consider real needs and opportunities.

Community development can occur with the population's participation, initiated from below and above. Inclusion of the community in collective actions and joint decision-making can be carried out through a directive or non-directive method [7]. Directive methods mean that decisions are made by leaders, while non-directive methods are appropriate when residents identify problems, make decisions, and implement them themselves. In the latter case, the community is activated, giving it more power and contributing to the distribution of resources and benefits in society.

We suggest that in Ukraine, we support an approach to developing territorial communities where community members are considered partners of local self-government bodies and not just recipients of services. The main initiator and subject of development should be the community itself, not power structures or officials. Creating community development centres and training specialists - consultants to improve the partnership between the population and self-governing bodies to inform residents about their rights and opportunities for solving local issues is necessary.

In foreign practice, such forms of community organisations as development funds, charitable organisations, and social entrepreneurship [6], as well as implementing investment projects, are also widely used.

According to the statements of the American researcher D. Rothman, during the development of the local community, four strategies of interaction with its members can be defined: 1) meetings in private homes, evening gatherings of interested persons; 2) creation of organisational ties (for example, creation of clubs); 3) coalition model focused on mobilisation and information campaigns; 4) the model of social networks (based on religious traditions) [8].

This approach focuses on informal community structures and explains the connection between community development and civil society based on the understanding that informal institutions, connections and networks play a key role in building social capital, strengthening social cohesion and promoting sustainable community development. The approach shows that community development is not limited to formal institutions but also includes a wide range of social connections and networks that can drive change and progress. This approach promotes more inclusive, flexible and sustainable development that reflects the real needs and potential of the community.

The development of the local community, in particular its self-organisation, responds to global challenges and is a resource for citizens' transformational efforts. This development allows representatives of vulnerable groups to take an active part in solving their problems and express their own views [12].

Fernback J. emphasises the importance of social media in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts [9].

Social media play a key role in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts, providing a space for communication, sharing information and organising joint actions. They are a powerful tool in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts towards sustainable local development. Social media provide a space for communication, information exchange, organising joint actions and supporting civic activism. This contributes to the strengthening of social capital, the development of inclusiveness and sustainability of the community, making it more cohesive and ready for the challenges of the modern world.

Brinkerhoff D. and O. Azfar emphasise the importance of 1) access to information and communication culture in the community; 2) participation in forums and debates related to common problems, local budget and policy issues; 3) stimulation of local authorities to make decisions in the interests of the community; 4) availability of resources for community members to express their interests [10].

If we consider the development of the territorial community in the context of civil society, it becomes obvious that the need for social incentives and the institutionalisation of mechanisms to protect group interests create the conditions for their implementation [13].

In this sense, civil society is a key factor contributing to the effective management of the territory and increasing citizens' participation in public life, strengthening social cohesion, and implementing joint initiatives.

Sustainable local development in the context of civil society is a key factor in creating effective, inclusive and sustainable local governance. Civil society ensures the active participation of citizens in decision-making processes, forms social capital, supports initiatives from below, increases transparency and accountability of authorities, promotes social cohesion and inclusiveness, and also supports sustainable development and self-sufficiency of the community. This creates the conditions for building a community where each member can influence the future of his community.

According to Völker B. et al., four key conditions for community development and strengthening are 1) organisational opportunities for meetings; 2) people's motivations for investing in mutual relations (which depends on economic and social status, education and lifestyle); 3) achievement of individual goals; 4) interaction [11].

Strategies and approaches to community development should consider both technical (infrastructure, resources, communication) and social (motivation and interaction between community members and authorities) aspects [14].

These concepts confirm the importance of social capital as the basis of successful community development and emphasise the low level of social trust in Ukrainian society.

Conclusions. The article explores various approaches to territorial community development, especially in the context of post-conflict recovery and sustainable development. This development can occur through self-organisation or a directive approach, either from the bottom up or vice versa. Regarding formalisation, community development can include the creation of representative bodies, community development funds, cooperatives, public and charitable organisations, and social enterprises. On the other hand, informal structures such as initiative groups or protest movements can also contribute to community development.

Normalising relations at the level of local politics is important for the successful development of the community in Ukraine. This includes revising the powers of self-governing bodies, delegating rights to community organisations, and ensuring public control, including administrative decentralisation. In addition, it is important to increase the accessibility of government representatives to community members, which will help increase the level of social trust and promote collective action for implementing local initiatives.

Involving residents in decision-making and project implementation is crucial for the success of recovery efforts. This approach ensures quick adaptation to new conditions, fosters innovation, enhances social cohesion, and increases the legitimacy of decisions. Despite the benefits, community self-organisation approaches face financial constraints, a lack of qualified specialists, and general funding instability. Overcoming these challenges requires additional support and coordination. Social capital, including informal connections and social networks, is a vital resource for community development. Effective models include formal organisations and informal networks, supporting social cohesion and community engagement. Successful community development requires clearly defined stages such as mobilisation, creation of effective institutional mechanisms, joint planning, and project implementation. Integrating social technologies and stimulating participation at all levels is necessary for sustainable development. Social media play a significant role in building a sense of community, organising joint actions, and supporting civic activism. Access to information and participation in discussions contribute to increased transparency and accountability of local authorities.

In conclusion, for effective territorial community development in Ukraine, there is a need to collaboratively work on creating conditions for active citizen participation in recovery and development processes. This includes supporting self-organisation, developing social capital, utilising social media, and ensuring access to information. Integrating these approaches will help build resilient and self-sufficient communities that are prepared to meet the challenges of the modern world.

References

1. Local development with the participation of the community: monograph: Vol. 1: Theoretical foundations of sustainable community-oriented local development, Sumy: University book, 2013, 352 p.
2. V. Paniotto, D. Khutkii, A. Hrushetskyi, V. Kisil (2011). Local development with community participation. Results of sociological research. Evaluation of the impact of the approach to local development with the participation of communities implemented in Ukraine in UNDP projects financed by the European Union and other donors. K.: KMIS, 108 p.
3. Emmanuel M. Luna, Knud Falk. (2003). Guidelines for implementing the integrated community disaster planning model. Diliman: College of Social Work & Community Development, 76 p.
4. Edwards G. (1980). Implementing Public Policy. Washington DC: Congressional Quarterly Press, 148 p.
5. European Commission (2023). Rebuilding Ukrainian cities: The new Phoenix initiative will mobilise expertise and at least EUR 7 million. press release, 2 February 2023, https://environment.ec.europa.eu/news/ rebuilding-ukraine-2023-02-02_en.
6. Stănică V. (2014). Community development: case studies. Viorel Stănică. Cluj-Napoca: Accent, 200 p.
7. York A. S. (1990). Directive & Non-directive Approaches in Community Social Work. Journal of Social Work and Policy in Israel, № 3, 39–52.
8. J. Rothman, J. Erlich, J. Tropman (2008). Strategies of community intervention. Peosta: Eddie bowers publishing company, 562 p.
9. Fernback J. (2005). Information technology, networks and community voices, Communication & Society, № 8 (4), 482–502.
10. D. Brinkerhoff, O. Azfar. (2006). Decentralisation and Community Empowerment. Does Community Empowerment Deepen Democracy and Improve Service Delivery? Washington: RT International, 41 p.
11. Manor J. (2004). Democratisation with Inclusion: Political Reforms and People's Empowerment at the Grassroots. Journal of Human Development, № 5 (1), 5–29.

12. B. Völker, H. Flap, S. Lindenberg (2007). When Are Neighborhoods Communities? Community in Dutch Neighborhoods. European Sociological Review, Vol. 23 (1), 99–114.
13. Nanz, P. and Leggewie, C. (2019), No Representation without Consultation: A Citizen's Guide to Participatory Democracy, Toronto: Between the Lines.
14. Orlova, N., & Chechel, A. (2019). The Determinants of Ukraine's Sustainable Development. *MIND Journal*, (8), 1-15.
15. Gerasimenko, O. V. (2017). "The Role of Population Self-Organization in Sustainable Local Development: Ukrainian Context." Socio-Economic Research, 29(1), 45-67.
16. Gritsak, Yu. M. (2018). "Mechanisms of interaction between local authorities and civil initiatives in Ukraine." Ukrainian Journal of Local Government, 16(3), 89-105.
17. Orlovskaya, A. P. (2020). "Legal aspects of self-organisation of the population in Ukraine." Bulletin of Law and Democracy, 25(2), 135-153.

Анна Чечель
Доктор экономических наук, профессор,
Мариупольский государственный университет (Киев), кафедра государственного управления, Украина;
Наталья Рудык
Главный государственный инспектор Главного управления кадров,
Одесская областная государственная налоговая служба, Украина

УСТОЙЧИВОЕ МЕСТНОЕ РАЗВИТИЕ В УКРАИНЕ: УЧАСТИЕ ОБЩЕСТВЕННОСТИ В ПОСЛЕВОЕННОМ ВОССТАНОВЛЕНИИ

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHECHEL.RUDIK

Резюме

Статья рассматривает критические проблемы и возможности, связанные с содействием устойчивому развитию в украинских территориальных общинах в период послевоенного восстановления. Авторы утверждают, что интеграция экономических, социальных и экологических измерений имеет важное значение для достижения баланса между удовлетворением текущих потребностей и защитой интересов будущих поколений. Этот комплексный подход рассматривается как основополагающий для решения проблемы широкомасштабного разрушения инфраструктуры, экономической нестабильности и социальной дезорганизации, вызванных продолжающимся конфликтом в восточных регионах Украины.

В исследовании подчеркивается важность активного вовлечения местного населения в процессы принятия и реализации решений для обеспечения соответствия усилий по восстановлению фактическим потребностям сообществ и содействия долгосрочной устойчивости. Авторы изучают эффективные модели сотрудничества между органами местного самоуправления и гражданскими инициативами, уделяя особое внимание роли самоорганизации сообщества в решении местных проблем. Современные социальные технологии, включая цифровые инструменты и платформы, выделяются как мощные инструменты вовлечения граждан, способствующие прозрачности, социальной сплоченности и инновациям. В частности, социальные сети определяются как важнейший инструмент укрепления чувства общности и организации коллективных действий.

В статье также представлен углубленный анализ стратегического подхода к планированию территориального развития, выявлены его основные преимущества, такие как расширение участия заинтересованных сторон, оптимизированное распределение ресурсов и укрепление доверия между сообществами и органами власти. Однако авторы

не уклоняются от обсуждения проблем, включая неопределенность будущих условий, сложность координации и ограниченные финансовые и человеческие ресурсы. Эти барьеры рассматриваются как препятствия, которые необходимо устранить для полной реализации потенциала инициатив устойчивого развития.

Авторы выступают за системный подход, который поддерживает самоуправление, мобилизует местные ресурсы и обеспечивает включение уязвимых групп в процессы развития. Конкретные рекомендации включают создание центров развития сообществ, обучение специалистов для преодоления разрывов между гражданами и властями и содействие партисипативному управлению. В статье подчеркивается значение социального капитала, неформальных сетей и низовых инноваций в обеспечении устойчивого местного развития.

В заключение, исследование подчеркивает необходимость совместных усилий по созданию устойчивых и самодостаточных сообществ. Украинские сообщества могут эффективно преодолевать сложности послевоенного восстановления и устойчивого развития путем интеграции социальных технологий, поощрения активного участия граждан и решения системных проблем. Такой подход не только готовит сообщества к решению современных проблем, но и закладывает основу для долгосрочного социально-экономического прогресса и стабильности.

Ключевые слова: устойчивое развитие, местное сообщество, послевоенное восстановление, социальная сплоченность, самоорганизация, гражданская активность, социальный капитал, партисипативное управление, Украина.

.

ანა ჩეჩელი

მეცნიერებათა დოქტორი (ეკონომიკა), პროფესორი,
მარიუპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (კიევი), საჯარო
ადმინისტრირების დეპარტამენტი, უკრაინა;

ნატალია რუდიკი

პერსონალის მთავარი დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი,
ოდესის რეგიონალური სახელმწიფო საგადასახადო სამსახური, უკრაინა

მდგრადი ადგილობრივი განვითარება უკრაინაში: საზოგადოების მონაწილეობა ომის შემდგომ აღდგენაში

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHECHEL.RUDIK

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კრიტიკული პრობლემები და შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას უკრაინის ტერიტორიულ თემებში ომის შემდგომ აღდგენის პერიოდში. ავტორები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გაზომვების ინტეგრაციას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მომდევნო თაობების ინტერესების დაცვას შორის ბალანსის მისაღწევად. ეს კომპლექსური მიდგომა განიხილება როგორც ფუნდამენტი ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური არასტაბილურობისა და სოციალური დეზორგანიზაციის ფართომასშტაბური განადგურების პრობლემის გადასაწყვეტად, რომლებიც გამოწვეულია გაგრძელებული კონფლიქტებით უკრაინის ჩრდილოეთ რეგიონებში.

კვლევაში ხაზგასმულია ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის პროცესებში იმ ძალისხმევის უზრუნველსაყოფად, რომელიც საჭიროა თანასაზოგადოების ფაქტი-

ური მოთხოვნილების აღსადგენად და გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობისათვის. ავტორები შეისწავლიან ადგილობრივი თვითმმართველ ორგანოებსა და მოქალაქეების ინიციატივებს შორის თანამშრომლობის ეფექტურ მოდელებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რა თანასაზოგადოების თვითორგანიზაციის როლს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში. თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიები, ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების ჩათვლით, გამოირჩევა, როგორც მოქალაქეების ჩართულობის მძლავრი ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამჭვირვალობას, სოციალურ ერთიანობას და ინოვაციებს. კერძოდ, სოციალური ქსელები განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს საზოგადოებრიობის შეგრძნებას და კოლექტიური ქმედებების ორგანიზებას.

სტატიაში აგრეთვე წარმოდგენილია ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის სტრატეგიული მიდგომის გაღრმავებული ანალიზი. გამოვლენილია მისი ძირითადი უპირატესობები, ისეთები როგორიცაა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გაფართოვება, რესურსების ოპტიმალური განაწილება და ნდობის გამყარება თანასაზოგადოებებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის. ავტორები აგრეთვე იხილავენ პრობლემებს, რომლებიც მოიცავენ მომავალი პირობების გაურკვევლობას, კოორდინაციის სირთულეს და შეზღუდულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. ეს ბარიერები განიხილება როგორც წინააღმდეგობები, რომლებიც აუცილებელია აღმოიფხვრას მდგრადი განვითარების ინიციატივების პოტენციალის სრული რეალიზაციისთვის.

ავტორები ემხრობიან სისტემურ მიდგომას, რომელიც მხარს უჭერს თვითმართვას, მობილიზებას უკეთებს ადგილობრივ რესურსებს და უზრუნველყოფს სუსტი ჯგუფების ჩართვას განვითარების პროცესებში. კონკრეტული რეკომენდაციები გულისხმობს თანასაზოგადოებების განვითარების ცენტრების შექმნას, სპეციალისტების სწავლებას მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის განხეთქილების დასაძლევად და მონაწილეობითი მმართველობის ხელშეწყობა. სტატიაში ხაზგასმულია სოციალური კაპიტალის, არაფორმალური ქსელების და ძირითადი ინოვაციების მნიშვნელობა მდგრადი ადგილობრივი განვითარების უზრუნველყოფაში.

საბოლოოდ, კვლევა ხაზს უსვამს ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას მდგრადი და თვითსაკმარისი თანასაზოგადოების შესაქმნელად. უკრაინის თანასაზოგადოებებს შეუძლიათ ეფექტურად გადალახონ ომისშემდგომი აღდგენის სირთულეები და მდგრადი განვითარების სოციალური ტექნოლოგიების, მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის წახალისების და სისტემური პრობლემების გადაჭრის ინტეგრაციის გზით. ეს მიდგომა არა მხოლოდ ამზადებს თემებს თანამედროვე გამოწვევების გადასაჭრელად, არამედ საფუძველს უყრის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ადგილობრივი საზოგადოება, ომისშემდგომი რეკონსტრუქცია, სოციალური ერთიანობა, თვითორგანიზაცია, სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური კაპიტალი, მონაწილეობითი მმართველობა, უკრაინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება – ECONOMIC SECURITY

მურმან კვარაცხელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხისათვის

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.KVARATSKHELIA

ანოტაცია. *გლობალიზაციის ეპოქა მოითხოვს სუვერენული სახელმწიფოს მიერ სწორი და გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ამისთვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური უსაფრთხოების სტაბილური სისტემის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია მაკროეკონომიკური სიტუაციების დარეგულირებასთან მისი მთავარი მაჩვენებლების კონტროლის პირობებში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოების ეკონომიკური უსაფრთხოება ჩამოყალიბდა როგორც ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა, რომელიც მოითხოვს მუდმივად ბალანსის შენარჩუნებას ქვეყანაში არსებული მოთხოვნა-მიწოდებას შორის, როგორც დარგობრივ, ასევე მთელი მეურნეობის მასშტაბით.*

დღევანდელ ტურბულენტურ სამყაროში ეროვნული ეკონომიკის წარმოების გიგანტები გარკვეული დილემის წინაშე დგანან. მათი სურვილია მსოფლიო ეკონომიკა არ გაეხვიოს მორიგ არაპროგნოზირებად კრიზისში და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაც შეინარჩუნონ. თუმცა, ამის მიღწევა არც ისე ადვილია, რადგან ჟამიდან ჟამს ეკონომიკური კრიზისები მოულოდნელ რყევებს იწვევენ არა მარტო ეკონომიკის უამრავ სფეროებში, არამედ მთლიანად ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეკონომიკური პროგრესისათვის თანამდევი ხდება კარგად გაუმჯობესებული ძველის ახალი ნაირსახეობები. გლობალური ეკონომიკა მუდმივად გამოსავლის ძებნაშია და ადვილად არ ეპუება ახალ-ახალ გამოწვევებს. ზოგჯერ ასეთი სიახლეები პროგრესის მიმანიშნებლად გვევლინება და სრულიად განსხვავებული მეთოდები ჩნდება მის დასამარცხებლად.

ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს სხვადასხვა სახის კრიზისების ფეთქებადი ხასიათი. ეს შეიძლება იყოს პანდემიური პროცესების გააქტიურება, რომელსაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში თავისი ეკონომიკის რეგრესიული შედეგებით, ინფლაციის უმართავ რეგისტრში გადასვლით. ასეთი პროცესი საქართველოს ეკონომიკისთვის იმპულსური გახდა ბოლო წლებში, რაც ეკონომიკის ზრდაზე უარყოფითად აისახა. თუმცა სახელმწიფო რეგულირების სისტემის ამოქმედების შემდეგ ნახტომისებრივი პროცესი უსაფრთხოების კუთხით გგარკვეულწილად სტაბილურიც გახდა. ასევე, მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა, რომელიც ქვეყანაში დაფიქსირდა, ეკონომიკასა და ბიზნესზე ნეგატიურად აისახა.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ვაჭრობა, ბიზნესი, სისტემური კონფლიქტები, ეკონომიკური წესწყობილება.*

* * *

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა ბევრადაა დამოკიდებული მასში მიმდინარე პროცესების დინამიკაზე. სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა კი უშუალო კავშირშია მის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან თავისი მრავალმხრივი განშტოებებით. თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორი ხდება სახელმწიფოების სტაბილური განვითარებისთვის. ხანგრძლივმა კონფლიქტებმა კაცობრიობის წინაშე მესამე მსოფლიო ომის კონტურები რეალურად წარმოაჩინა, რომელმაც დააჩქარა მძლავრი ეროვნული ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბება. ერთპოლუსიანი მსოფლიოს მითი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და თითქოს მანამდე ჩამორჩენილი და სუსტი ქვეყნები ახალ ამპლუაში წარმოჩინდნენ. პლანეტის ნომერ პირველ ქვეყანას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, წამოეწია აზიის გიგანტი, ჩინეთი, რომლის პროდუქცია უკვე იპყრობს ევროპასაც და ამერიკასაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ევროპის მოთხოვნის 60-70 პროცენტს ჩინური საქონელი აკმაყოფილებს. ასევე მძლავრი თვისობრივი ნაბიჯებით მოემართება თავისი მაღალი განვითარებით ინდოეთი, ბრაზილია და არაბეთის ქვეყნებიც. მათი ეკონომიკური ალიანსები ბევრ თავსატეხს უჩენს ჰეგემონიის ამბიციებით შეპყრობილ სახელმწიფოებს და აიძულებს მათ გადახედონ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის დოქტრინებს.

მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობისა და სტაბილურობის ფაზას პრაქტიკულად უპირისპირდება საერთაშორისო გეოპოლიტიკურ პროცესებსა და წამყვან ქვეყნებს შორის გამძაფრებული, ზოგან „წესების გარეშე“ ძლიერთა მხრიდან, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ ეპოქაში კონკურენციასა და სავაჭრო ურთიერთობებში ხელის გადაგრეხის პოლიტიკა. ასეთი სიტუაციები კიდევ მეტად ამძაფრებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტას. ასეთ პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ქრონიკული გლობალური კრიზისების ისეთი ელემენტების მუდმივად არსებობა, როგორიცაა სისტემური კონფლიქტები და ომების პრევენცია. ასეთი დამანგრეველი საფრთხის წინაშე პერმანენტულად დგანან განვითარებადი და „მესამე სამყაროს“ ქვეყნები. ეს დიდი ალბათობით, ომის ინსპირატორთა დაფარულ მიზნებს ემსახურება თავიანთ სასარგებლოდ გადმოქაჩონ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც ხანგრძლივად უზრუნველყოფს მათი ეკონომიკების განვითარებას მისთვის თანამდევი დადებითი პროცესებით. თითქოსდა მოწყალების გაღების ემპირიული პროვოცირება შეიძლება გახდეს „მარადიული სატანჯველისკენ“ მიმავალი გზა. ამ შემთხვევაში „მცირე ეკონომიკის“ მქონე ქვეყნები დიდი საფრთხის წინაშე დგანან მისი მრავალი განშტოებებით. ეს ყოველივე მიანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიოში ეკონომიკური ომი თანდათანობით უფრო მძაფრ ხასიათს იღებს, უკვე აშკარად გამოკვეთილი საომარი პოლიტიკის სახით.

ამისი თვალსაჩინო მაგალითია, დღევანდელი რუსეთის ეგრეთ წოდებული სპეცოპერაცია სუვერენულ უკრაინაში. ომის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ ყველა გაჟღერებული მიზეზი, რამაც გამოიწვია სისხლიანი ომის პროვოცირება, ეს არის ომის ჭეშმარიტი მიზნის დაფარვა. სინამდვილეში, რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ევროპაში, ესაა უკრაინა, რომლის რუსეთის მიერ ოკუპირებულ ნაწილში განთავსებულია, ექსპერტების გამოთვლით, 12-დან 14 ტრილიონი დოლარის რესურსები. სწორედ ასეთი კოლოსალური სიმდიდრის ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად, თვითონ მსოფლიო რესურსების 44%-ის (გაეროს მონაცემებით!) მფლობელი ქვეყანა. ასეთ პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა უკვე გლობალურ ხასიათს იღებს და მისი გადაწყვეტისთვის საჭიროა დიდი ძალისხმევის გატარება.

დღევანდელ პირობებში კაპიტალისტური სისტემა პროგრესული გზების ძიების პროცესშია. მისთვის ბალავრის ქვის როლში გამოდის დემოკრატიის შენება, რომელიც ყოვლისმომცველად და ყოვლისშემძლედ გვევლინება მსოფლიო პრაქტიკაში. თუმცა, ჩვენი აზრით, დიდი ხანია ის „მოჩვენებითი მშვიდობის“ მაჩვენებელია, ვიდრე რეალური და გლობალური გამოწვევების გადამჭრელი. რაც უფრო ღრმად შედის საზოგადოება განვითარების სიღრმეებში, მით უფრო ხშირია ეკონომიკის კრიზისი თავისი ზიგზაგისებური გზებით. ამ დროს თავისი გადამწვეტი სიტყვა უნდა თქვას ეკონომიკურმა თეორიამ და შესთავაზოს კაცობრიობას გამოსავლის გზები. თუმცა ასეთი ინოვაციები, ბუნებრივია, ექსპერიმენტის სფეროს ჯერ-ჯერობით ვერ სცილდება. ამ შემთხვევაში იკვეთება ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა ეკონომიკური ნაციონალიზმის ფორმით. ეს პროცესი პატარა ეკონომიკის ქვეყნებისათვის ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის მაჩვენებელია, რომელმაც შეიძლება გარკვეული დისკომფორტი შეუქმნას განვითარებულ და ჰეგემონ ქვეყნებს. ეს კი მსოფლიო ეკონომიკაში დისჰარმონიზაციის საფუძველიც შეიძლება გახდეს თავისი სხვადასხვა წინააღმდეგობებითა და თავისი არასასურველი შედეგებით.

დღევანდელი გადასახედიდან ეკონომიკური პოლიტიკა ბევრ წინააღმდეგობას აწყდება სუვერენული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. აქაც, გლობალური ინტეგრაციის მოთხოვნები შეიძლება დამთრგუნველი აღმოჩნდეს პატარა ქვეყნებისთვის. ამიტომ ეკონომიკურ პოლიტიკას გლობალური გაანალიზების სისტემის ჩამოყალიბება სჭირდება მისი მაშტაბურად მართვისთვის, რომ არ აღმოჩნდეს ვიწრო ჩარჩოებში ჩაკეტილი. ამიტომ ასეთი სინდრომის არსებობა ზოგადად მოითხოვს ყველა სუვერენული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ღრმა შეფასებას და გამოსავლის ძიებას რომ არ აღმოჩნდნენ მძევალის როლში.

საზოგადოების განვითარების დინამიკა მოითხოვს მასშტაბურ ცვლილებებს პრინციპით: „ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია“! ამისთვის საჭიროა მეცნიერული გამბედაობის გამოჩენა ახალი ეკონომიკური თეორიების შემქმნელთათვის, რომლებისგანაც სახელმწიფოები ელოდებიან ქმედით იდეებს, რაც თამამ და შეუზღუდავ ეკონომიკურ აზროვნებაზე იქნება დამყარებული. ამ ინოვაციური იდეების რეალიზაციას კი სჭირდება სახელმწიფოების გაბედული ლიდერები რეფორმისტული მენტალიტეტით (კეინზის და რუზველტის მაგალითი), რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი მართვა.

დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური წესრიგი შესამჩნევ რყევებს განიცდის. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ასე კატეგორიულად ახალი წესრიგის დამყარების დილემა. მართალია, ამის შემოქმედნი ცდილობენ ყურადღების უფრო სხვა სიბრტყეზე გადატანას, მაგრამ ფაქტები სულ სხვას ღაღადებენ. ასეთი გაწელილი წესრიგის აღდგენის პროცესი ჰარმონიული წონასწორობის დამყარებას ხელს უშლის, რაც შეიძლება ხელისშემწყობ ფაქტორად მოგვევლინოს ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის დასაწყებად. სწორედ ამის გვერდის ავლის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკა რეალობასთან უნდა იყოს ახლოს, რომ მოხდეს გარკვეული პრევენცია ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ეკონომიკური პოლიტიკა უშუალო თვისობრივ კავშირშია ეკონომიკის უსაფრთხოებასთან. ამ შემთხვევაში მეტად დამაფიქრებელია ასეთი კატეგორიების ურთიერთშეთანაწყობა, როგორებიცაა ეკონომიკური უსაფრთხოება და ეკონომიკურად უსაფრთხო ქვეყანა. ასეთი კატეგორიები მეტად

აქტუალურია, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩემი აზრით, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ მასშტაბურობასა და მათ მახასიათებლებს. ამ კუთხით თუ ქვეყანა მიუხედავად მისი სიდიდისა, ფლობს საჭირო და აუცილებელ რესურსებს, ის ანგარიშგასაწევი ხდება და შეფასების კრიტერიუმებიც მაღალია.

ეროვნული უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის მოითხოვს სწორ და საკუთარ ინტერესებზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ამასთან ერთად საჭიროა ჯანსაღი, სამართლიანი და მდგრადი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფაც, თუ გვინდა მდგრადი ეროვნული უსაფრთხოების მიღწევა. ამასთან, გასათვალისწინებელია გლობალური პროცესების გაკვეთილებიც, რომლის გამოცდილებაზე უნდა დავაშენოთ საკუთარი უსაფრთხოება, ეს კი კორელაციაშია ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონესთან, განვითარების უთანაბრობასთან და უცხო საფრთხეების აღმოცენებასთან. ყოველივე ეს დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკაში მომხდარ რყევებთან, კატაკლიზმურ პროცესებთან, რომლისთვის ყოველთვის არ არიან მზად სახელმწიფოები და ყველაზე ერთ-ერთ მთავარ ფაქტორთან, როდესაც სხვა სახელმწიფოების მხრიდან მძიმე წნეხის ქვეშ ექცევა სუვერენული სახელმწიფო.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს შემადგენელ ნაწილს შეადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, პირველ რიგში, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის ქმნის მტკიცე საძირკველს, რაც სტაბილური განვითარების გარანტიცაა გლობალურ სამყაროში.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეს არ არის ჩაკეტილი პროცესი. მისი სრულყოფილად მიღწევისათვის, განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება ინვესტიციების რაოდენობრივ მხარესთან ერთად, მისი თვისობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობას. ამასთან, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტელექტუალური უსაფრთხოების ინვესტირება. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალი უნდა ჰყავდეს საკმარისი იმისთვის, რომ თავად შეძლოს ინოვაციური პროცესების მართვა. არ უნდა იყოს ხელშეწყობილი კონკურენტუნარიანი კაპიტალის გადინება ქვეყნიდან, რაც ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორიცაა.

ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა ესაა ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის გარანტიც. ეს თავისთავად უზრუნველყოფს მაღალი ფინანსური შედეგების მიღწევას. ამ შემთხვევაში ჩნდება შესაძლებლობა საგარეო ნეგატიური ფაქტორების გლობალური ზეგავლენისაგან განთავისუფლებაზე დასახული მიზნების მისაღწევად. ამ დროს უსაფრთხოების ზოგადი მცნება თავის ასახვას პოულობს ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა დასაქმება, გადახდისუნარიანობის ლიკვიდურობა, მოწინავე ტექნოლოგიების ინვესტირება, საგარეო და შინაგანი მუქარებისაგან დაცვა. მიუხედავად იმისა, ეკონომიკური უსაფრთხოების სხვადასხვა დონე არსებობს, მიზანი ერთია, რომელიც მიმართულია ცალკეული მუქარების რისკების მინიმიზირებისკენ, რომელიც ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული პრაქტიკების შესწავლისას მისი სხვადასხვა დონეების განხილვა ინტერესმოკლებული არ არის. თუ გავითვალისწინებთ ყველაზე დაბალ საფეხურს, ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის გარკვეული ფენების სი-

ღარიბის დონესთან, ამ შემთხვევაში ეს დამოკიდებული ხდება სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე, რომელსაც სახელმწიფო ატარებს სიღარიბის დასაძლევად.

შემდეგი უსაფრთხოების დონე დარგობრივია, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიული დარგების ისეთ დონეზე განვითარებასთან, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციას და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან ჰარმონიზაციას. რეგიონული უსაფრთხოების დონე ქვეყნის ტერიტორიული დისპროპორციის დაძლევასთანაა დაკავშირებული, რაც ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

უსაფრთხოებების შემდეგი დონე არის ეროვნული ანუ სახელმწიფოებრივი და ბოლოს, სახელმწიფოთაშორისი და ეროვნებათაშორისი, რომელსაც შეიძლება მსოფლიო დონე ვუწოდოთ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დონეები ურთიერთკავშირშია და ურთიერთ განმაპირობებელ ფაქტორსაც წარმოადგენს. ეს გამოწვეულია მსოფლიო ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლით, რადგანაც ცალკეული უსაფრთხოების დონეები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაა რეგიონსა და მსოფლიო ბაზარზე.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც, რომელიც გლობალურ პროცესებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე კონკრეტული სუბიექტების პირობებში, პირდაპირ მოქმედებს მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში მიმდინარე მოვლენები. ეს შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ უნდა გამოვყოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარმოების დაცემა, რომელსაც მოჰყვება რეცესიული პროცესების განვითარება, რაც უმუშევრობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. ასევე არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ეროვნული ვალუტის რყევები, რაც ეროვნული სახელმწიფოების აქილევსის ქუსლად შეიძლება განვიხილოთ. ყოველივე ამათ შეიძლება მოჰყვეს საინვესტიციო აქტიურობების შემცირება, რაც ეროვნული ეკონომიკების ზრდაზე საკმაოდ ნეგატიურად აისახება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოვლენები სახელმწიფოს ყველა სფეროზე ახდენს გავლენას, რაც სწორედ ეკონომიკურ უსაფრთხოებას კიდევ უფრო მეტი რისკის ქვეშ აყენებს.

დასკვნები

დღევანდელ პირობებში კაპიტალისტური სისტემა განვითარების აალი გზების ძიების პროცესშია. მისთვის ბალავრის ქვაა ინოვაციური დემოკრატიის შენება, რომელიც ყოვლისმომცველად და ყოვლისშემძლედ გვევლინება მსოფლიო პრაქტიკაში. თუმცა ის „მოჩვენებითი მშვიდობის" ხელშემწყობი ფაქტორი უფროა, ვიდრე რეალური და გლობალური გამოწვევების გადამჭრელი.

სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა ბევრ წინააღმდეგობას აწყდება სუვერენული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევაში გლობალური ინტეგრაციის მოთხოვნები შეიძლება დამთრგუნველი აღმოჩნდეს პატარა ქვეყნებისთვის. ამიტომ ეკონომიკურ პოლიტიკას გლობალური გაანალიზების სისტემის ჩამოყალიბება სჭირდება მისი მაშტაბურად მართვისთვის, რომ არ აღმოჩნდეს ვიწრო ჩარჩოებში ჩაკეტილი.

მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური წესრიგი შესამჩნევ რყევებს განიცდის. ამიტომ, დღის წესრიგში დგას ახალი წესრიგის დამყარების დილემა. სახეზეა გაწელილი წესრიგის აღდგენის პროცესი, რაც ჰარმონიული წონასწორობის დამყარებას ხელს უშლის. ასეთ დროს ეკონომიკური პოლიტიკა რეალობასთან უნდა იყოს ახლოს, რომ მოხდეს გარკვეული პრევენცია ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ეკონომიკური პოლიტიკა თვისობრივ კავშირშია ეკონომიკის უსაფრთხოებასთან. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ მასშტაბურობასა და მათ მახასიათებლებს. თუ ქვეყანა ფლობს სათანადო და აუცილებელ რესურსებს, ის ანგარიშგასაწევი ხდება სხვებისთვის და მისი შეფასების კრიტერიუმებიც მაღალია.

ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის გარანტიცაა. უსაფრთხოების რეალიზება ხდება დასაქმების, გადახდისუნარიანობის ლიკვიდურობის, მოწინავე ტექნოლოგიების ინვესტირების, საგარეო და შინაგანი მუქარებისაგან დაცვის სფეროებში. მისი მიზანი ერთია, ცალკეული მუქარების რისკების მინიმიზირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://accentnews.ge/ka/article/111939-tanamedrove-ekonomikuri-usaprtxoebis-zogiert-tavis;
2. https://accentnews.ge/ka/article/112621-tanamedrove-ekonomikuri-usaprtxoebis-zogiert-tavis;
3. https://geoeconomics.ge/?p=2989;
4. https://rt-solar.ru/services/jsoc/blog/3964/;
5. https://www.dai.com/our-work/projects/georgia-usaid-economic-security-program-georgia-
1. esp;
6. https://pmcg-i.com/project/georgia-economic-security-program-gesp/;
7. https://www.icrc.org/en/document/introduction-economic-security;
8. https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/economic-policy.html;
9. https://www.healthknowledge.org.uk/public-health-textbook/organisation-management/5b-understanding-ofs/assessing-impact-external-influences.

Murman Kvaratskhelia

Doctor of Economic Sciences, Professor of Sukhumi State University, Chief Research Fellow of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ON THE PROBLEM OF ECONOMIC SECURITY AND ECONOMIC POLICY

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.KVARATSKHELIA

Expanded Summary

The main thing for the development of the modern world economy is to ensure its stability, so that an unforeseen and unpredictable crisis does not arise, which will have a painful impact on the the well-being of the population of the countries. Achieving of the stability is absolutely necessary and essential, but difficult, because unexpected fluctuations are expected time and time again and namely this becomes an important factor of economic stagnation. Because of this, the global economy is constantly looking for solutions and does not easily face new challenges. Sometimes such news appears as a sign of progress, and completely different methods appear to overcome and defeat it.

The phase of growth and stability of the world economy is practically opposed by the intense and sometimes, especially from the powerful states competition "without rules", having place between the international geopolitical processes and the leading countries, the so-called "arm-wrestling" so usual and common in the industrial and post-industrial era.

Such situations aggravate even more the solution of the issue of the economic security of individual countries. In this case, countries with "small economies" are facing multiple threats. All this indicates that the economic war in the world is gradually becoming more intense, with the continuation of the already clearly defined policy, in the form of a bloody confrontation.

In the present conditions, the capitalist system is in the process of searching for the progressive ways. Though, the desire for such innovations is not able to go beyond the field of experiments yet. In this case, one very important problem is identified in the form of economic nationalism. This process is an indicator of national economic sovereignty for small economies, which may cause some discomfort to developed and hegemonic countries. This can become the basis for the disharmony in the world economy with its various contradictions and undesirable consequences.

The economic policy of all countries is qualitatively related to the security of the economy. In this case, it is very important to reconcile such categories as economic security and economically secure country. Such problems are very relevant and great importance is attached to the economic scale of individual countries and their characteristics. If the country regardless of its size, possesses necessary and essential natural resources it becomes worthy of respect and of being taken into consideration and therefore, its assessment criteria are very high.

Achieving national security for any country requires the implementation of the correct and self-interested economic policy. At the same time, it is necessary to ensure healthy, fair and strong economic opportunities if we want to achieve sustainable national security. It is necessary to take into account the lessons of global processes, on the experience of which one's own security should be built, and this is correlated with the level of poverty in the country, the inequality of development and the emergence of foreign threats. All this is connected with the fluctuations and cataclysmic processes ongoing in the global economy, for which States are not always ready, and is associated with one of the main factors when a Sovereign State experiences heavy pressure from the other states.

The existence of levels of economic security shows that it is related to the reduction of poverty of the certain strata of the population, which indicates the effectiveness of social policies. These are sector – specific ones, which ensure the development of industrial sectors at such a level, which will lead to optimization of the sectoral structure of the country's economy and strengthening of the economic security and regional security, which is related to the overcoming of the country's territorial disproportion and which will necessarily become one of the main factors for the inclusive development. National or State security and inter-state and inter-national security should reach the world level.

The economic policy pursued by the States is directly related to the economic security. In this case, the indicators of the economic scale of individual countries are significant. If the country possesses self-sufficient and necessary resources, the assessment criteria for reporting it both regionally and internationally are very high.

Achieving economic security is also a guarantee for the economic stability and sustainability. Security is realized through employment, solvency liquidity, advanced technology investment, foreign minimization in the fields of protection against external and internal threats. Its goal is to minimize the risks of individual threats.

მიხეილ თოქმაზიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
შოთა ლომინაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გეოპოლიტიკა

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOKMAZISHVILI.LOMINASHVILI

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკური, ეკონომიკური და რეგიონული პრობლემები და საფრთხეები. აქცენტი გაკეთებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გეოპოლიტიკური განვითარების სპექტრზე და არასტაბილურ ვექტორებზე; დახასიათებულია რეგიონულ ეკონომიკურ მოთამაშების როლი და მათი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკის განვითარების შესაძლებელი მიმართულებები და აღნიშნულია, რომ საქართველოს ისტორიაში არასდროს არ ჰქონია შიდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ისეთი მაღალი წონა ეკონომიკის განვითარებაში, როგორც ამჟამად. საქართველოს ეკონომიკაში მოსალოდნელი ცვლილებები ქვეყნების, რეგიონული გაერთიანებების ამკარა დაპირისპირების ფონზე წარიმართება და საქართველოს ეკონომიკის ევროპულ მომავალს ექმნება საფრთხე როგორც დასავლეთთან გაცხადებული „ცივი ომის" გამო, ასევე სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის ვექტორის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ აქცენტირებით. ეს და სხვა საფრთხეები საქართველოს გეოეკონომიკური სარგებელზე ახდენენ ნეგატიურ გავლენას.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი.*

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება სერიოზული გეოპოლიტიკური რისკებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა, რეგიონული არასტაბილურობით, კავკასიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის განსხვავებული მიმართულებებით, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის ერთიანი და ძლიერი რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნას. სომხეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ირანის და განსაკუთრებით რუსეთის გავლენის ზრდას რეგიონში, ხოლო აზერბაიჯანი უპირატესობას თურქეთის გრძელვადიან ინტერესებს ანიჭებდა. გარე ქვეყნების ინტერვენციამ და რეგიონში უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფის შეუძლებლობამ გამოიწვია „3+3+2" სისტემის შექმნის იდეა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი + რუსეთი, ირანი, თურქეთი + აშშ, ევროკავშირი). თუმცა, რეგიონულ და ექსტრარეგიონულ ძალებს შორის მუდმივი დაპირისპირების პირობებში, ძლიერი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება წარუმატებელია. გაძლიერდა საფრთხეები რეგიონის დიდი სახელმწიფოების მხრიდან, კერძოდ, რუსეთიდან, რომელიც იმპერიალისტური მიზნებით ცდილობს საბჭოთა კავშირის დროს არსებული პოლიტიკური დომინანტობის აღდგენას.[1] მას შემ-

[1] Политолог рассказал о концептуальном восстановлении Путиным Советского Союза, Lenta.RU, **8 декабря 2021**, **https://lenta.ru/news/2021/12/08/vosstanovlenie_sssr/**; Путин назвал распад СССР

დეგ, რაც რუსეთმა, 2008 წლის აგვისტოში, განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ქართულ-რუსული ინტერესების დაპირისპირების ღია და მკაცრი გამოვლენის ფორმა მიიღო.[2] ეს მდგომარეობა შერბილდა 2012 წლის შემდგომ პერიოდში და საქართველოში მსხვილი გეოპოლიტიკური პროექტები, რომელიც საქართველოს ეკონომიკას მეტ დამოუკიდებლობასა და სტაბილიზაციას მატებდა, და სავარაუდოდ არ იყო რუსეთის ინტერესებში (ანაკლიის პორტის მშენებლობა, ნამუხვანის ჰესი, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი), შეჩერდა ან გადაიდო გარკვეული პერიოდით. საქართველოს ხელისუფლება არ შეურთდა რუსეთის, (რომელმაც უკრაინას ომი გამოუცხადა და შეიჭრა მის ტერიტორიაზე) წინააღმდეგ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს (გარდა ფინანსური სანქციებისა, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო სატრანსფერო ქსელების მეშვეობით), და დარჩა ნეიტრალურ პოზიციაზე. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი არგუმენტი იყოს ის, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შ. პაპუაშვილის სიტყვებით, „საქართველოს რომ დაეწესებინა სანქციები, რუსეთს ვერანაირ ზიანს ვერ მივაყენებდით და დავაზიანებდით მხოლოდ ჩვენს ქვეყანას - 10%-იანი ეკონომიკური ვარდნა გვექნებოდა, არათუ ზრდა".[3]

პარალელურად საქართველო ცდილობს დასავლეთთან ალიანსს თავისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები პერიოდულად იძაბებოდა, როგორც კი საქართველო ჩრდილოეთ ალიანსთან თანამშრომლობის შესახებ აკეთებდა დეკლარაციას და თანდათან აღრმავებდა ევროკავშირთან ინტეგრაციას.[4] დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობათა მთავრობების მოსაზრებით, საქართველოს ეს პოლიტიკა არ აღმოჩნდა თანმიმდევრული, განსაკუთრებით 2022 წლიდან ხელისუფლების დასავლეთის დადანაშაულებით ე.წ. „გლობალური ომის წარმოებით",[5] რუსეთის წინააღმდეგ ევ-

---

трагедией и «распадом исторической России» так как Государство утратило 40% территории. 30 лет без СССР , РБКб 12 дек 2021, **https://www.rbc.ru/politics/12/12/2021/61b5e7b79a7947689a33f5fe**

[2] S. Neil MacFarlane, Georgia: National Security Concept versus National Security , Russia and Eurasia Programme Paper REP PP 2012/01,ChatamHouse, Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi, August 2012, p.7. www.chathamhouse.org / www.css.gehttp://css.ge/wp-content/uploads/2019/07/neil_security_eng.pdf

[3] შალვა პაპუაშვილი - „საქართველოს რომ დაეწესებინა სანქციები, რუსეთს ვერანაირ ზიანს ვერ მივაყენებდით და დავაზიანებდით მხოლოდ ჩვენს ქვეყანას - 10%-იანი ეკონომიკური ვარდნა გვექნებოდა, არათუ ზრდა", ინტერპრესნიუსი, პოლიტიკა, 09.02.2023, https://shorturl.at/dKhVL

[4] სანქტ-პეტერბურგი. 2008 წლის 2-3 აპრილს ბუქარესტში ნატოს სამიტზე საქართველომ და უკრაინამ ვერ მიიღეს წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP), მაგრამ ამავე დროს მიიღეს მტკიცე ვალდებულება, რომ საქართველო და უკრაინა უნდა გაწევრიანდნენ ნატოში. 2008 წლის აგვისტოში დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი, რის შედეგადაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ნაწილი - აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები გააძლიერა.

[5] ხელისუფლების მოსაზრებით, გლობალური ომის პარტია არის ძალა, რომელიც მსოფლიოს მართავს, და საქართველოს "ომში ჩათრევის განზრახვა" აქვს. *"ამ ძალებს აქვთ საკვანძო გავლენა როგორც ევროკავშირზე, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებზეც, რაც არის ძალიან სამწუხარო მოვლენა".* (გლობალური ომის პარტია, ვენეციის კომისიის დასკვნა, განათლების

როკავშირის სანქციებთან მიერთებისთვის მხარდაჭერაზე უარის თქმითა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის დამტკიცებით, რომელმაც საზოგადოების ნაწილის, ევროკავშირის და აშშ-ს ხელისუფლების აღქმით, გადაიყვანა საქართველო ევროპული გზიდან და **უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და** მტრულ ძალად მიიჩნევს დასავლური ქვეყნებიდან დაფინანსებულ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიას, რითაც საფრთხეს შეექმნა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს, გააგრძელონ საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.[6] ყოველივე ეს საქართველოს დასავლეთთან „ცივი ომის" პირობებში აყენებს, ამასთან, „ცივი ომის" საპასუხო რეაქციები დასავლეთის მხრიდან და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან სავიზო შეზღუდვების დაწესებით იმ სახელმწიფო პირებზე, ვინც მათი აზრით, „ძირს უთხრის დემოკრატიას საქართველოში," მყისიერად აისახა ფინანსურ სტაბილურობაზე და ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე. [7] თუმცა ლარის კურსი მალევე დასტაბილურდა.

ტრადიციულ ეკონომიკური პარტნიორებთან ერთად საქართველოში თავისი ინტერესები ჩინეთმაც გამოავლინა, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პირველ სამეულში დაიმკვიდრა ადგილი და საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირედ გამოცხადდა, იმ იმედით, რომ იგი დიდ შესაძლებლობებს გააჩენს ეკონომიკის განვითარებისათვის და განახორციელებს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების პრეფერენციულ დაკრედიტებას. რისკები შესაძლოა შექმნას იმ გარემოებამ, რასაც „სესხის ხაფანგის დიპლომატიას" უწოდებენ, როდესაც კრედიტორი პოლიტიკურ ბერკეტად აქცევს მისადმი სხვა სახელმწიფოების ვალს, და ამ ახალ ბერკეტს იყენებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად.[8] დასავლურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის დეკლარირებული პოლიტიკის ფონზე, საქართველოს სტრატეგიის აქცენტირება ჩინეთთან, არ არის ევროკავშირისა და აშშ-ს ინტერესებთან თანხვედრაში, პერსპექტივაში საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის სტრატეგიულ ინტერესებს.

საქართველოს ისტორიაში არასდროს არ ჰქონია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ისეთი მაღალი წონა ეკონომიკის განვითარებაში, როგორც ამჟამად. შესაბამისად საკითხი დადგა საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომელიც ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნებისა და რეგიონული გაერთიანებების ცივი ომისა და აშკარა დაპირისპირების ფონზე წარიმართება.

ეკონომიკური უსაფრთხოების სხვადასხვა ვექტორები

სისტემა და ტრადიციები. ირაკლი კობახიძის ინტერვიუ. 23.05.2024, https://shorturl.at/1mR4Y). დასავლეთის მრავალმა დიპლომატიურმა უწყებამ მრავალჯერ უარყო ეს ბრალდება, თუმცა იგი საქართველოს ხელისუფლებისათვის შეთქმულების თეორიის ნაწილია, რომელიც მათი ძალაუფლების განმტკიცების მიზანს ემსახურება.

[6] სრული სიმართლე „აგენტების კანონზე", ავტ. ლ. პერტაია, აპრილი 15, 2024, https://shorturl.at/8fjqH

[7] საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2024 წლის ივნისის დასაწყისში, ე.წ. „უცხოეთის გავლენის აგენტების კანონის" მიღებისა და თანამდებობის პირების სანქცირებისთანავე, ლარი დოლართან მიმართებაში 14 პუნქტით გაუფასურდა.

[8] საქართველოს 6 პრობლემა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაში, ავტ.ლ. პერტაია აგვისტო 01, 2023, https://shorturl.at/7LMqf

21-ე საუკუნის დასაწყისში, ევროკავშირის ჩართულობა სამხრეთ კავკასიაში გადაიზარდა „აღმოსავლეთ პარტნიორობაში", რომელიც შეიქმნა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ევროპასთან ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, ამ ტერიტორიებზე რუსეთის გავლენის დასაპირისპირებლად. მას მოყვა სომხეთთან და საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნას. 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, რომლის ნაწილია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა (AA/DCFTA), ხოლო 2013 წლის სექტემბერში, სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, რომლის დროსაც პრეზიდენტი პუტინი ცდილობდა სომხეთისთვის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მხარდაჭერის შეთავაზებას, სომხეთმა ევროკავშირთან (EU) ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ნაცვლად ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (EAEU) გაწევრიანება არჩია.[9] ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობასთან ექვსწლიანი თანამშრომლობის შემდეგ აზერბაიჯანმა უარი თქვა როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, ასევე ევრაზიაში გაწევრიანებაზე. თუმცა, დე ფაქტო ის ინტეგრირებულია (ამა თუ იმ ხარისხით) ევრაზიის ბაზარზე.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკის ვექტორები დიდწილად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ძლიერი იყო რუსეთისა და ევროპის გავლენა ამ ქვეყნების უსაფრთხოების ინტერესებზე. რეგიონში ინტერესების ფრაგმენტაცია მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური დაძაბულობის შემცირების პროცესს, უარყოფითად აისახება სტაბილურობასა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.

რუსეთს აქვს მკაფიოდ გამოხატული პრეტენზია იყოს დომინანტური სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში და სურს აღადგინოს და შეინარჩუნოს თავისი უპირატესობა რეგიონში. მისთვის პოსტსაბჭოთა სივრცე არის „განსაკუთრებული ინტერესის ზონა", რომელზეც მისი მოთხოვნა არის ლეგიტიმური.[10]

რუსეთი ანვითარებს „ლიბერალური იმპერიის" იდეას,[11] რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციას შეუძლია და უნდა აღადგინოს თავისი გავლენა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში არა მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსიით, არამედ სამხედრო ექს-

---

[9] ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EAEU) არის რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც მოიცავს ოთხ ქვეყანას: სომხეთის რესპუბლიკას, ბელორუსის რესპუბლიკას, ყაზახეთის რესპუბლიკას, ყირგიზეთის რესპუბლიკას და რუსეთის ფედერაციას. 2010 წელს ბელორუსმა, ყაზახეთმა და რუსეთმა შექმნეს ევრაზიის საბაჟო კავშირი, რომელსაც ორი წლის შემდეგ მოჰყვა ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება. 2011 წელს სამი სახელმწიფო შეთანხმდა EAEU-ს შექმნაზე, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. EAEU მიზნად ისახავს მნიშვნელოვნად გააფართოოს ევრაზიის საბაჟო კავშირის ჩარჩო და საერთო ეკონომიკური სივრცე საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის ერთიანი ბაზრის შექმნით.

[10] Bobo Lo, Vladimir Putin and the Evolution of Russian Foreign Policy, Chatham House Papers, Oxford: Blackwell/Royal Institute of Inernational Affairs, 2007;

Mette Skak, "Russia's New 'Monroe Doctrine'," in Roger Kanet, ed., Russian Foreign Policy in the 21st Century Basingstoke: Palgrave Macmillan, 2011.

[11] ვ. პაპავა, თ. თაფლაძე, „ლიბერალური იმპერიის" რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. # 1, 2009, ეკონომისტი, გვ. 23-27. https://www.papava.info/publications/Papava_Tapladze_No1_2009.pdf

პანსიითაც. დასავლეთის ინტერესებისგან განსხვავებით, ამ დოქტრინის დასტურია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ამჟამინდელი რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო და დღემდე გრძელდება. რუსეთის პოლიტიკური დოქტრინა რეალურ საფრთხეს უქმნის ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფოების დამოუკიდებელ არსებობას და ზემოქმედებს ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე.

კავკასიაში უსაფრთხოება კიდევ უფრო მყიფე გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გააძლიერა თურქეთისა და ირანის პოზიცია, რომლებიც ახლა მოსკოვისთვის ვაჭრობისა და იარაღის მნიშვნელოვანი წყაროა.[12]

ამჟამად, საქართველოში არის რუსეთის მიერ გაზრდილი მილიტარიზაციის ზონები (აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი/ ცხინვალის რეგიონში). ამ რეგიონების სუსტი ეკონომიკური განვითარების გამო, რუსეთის მხრიდან ფინანსური ნაკადები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ფინანსები გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პენსიებისა და თავდაცვისთვის. როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონში. რუსული თავდაცვის ხარჯები აღემატება ამ რეგიონების მთელ ბიუჯეტს და მშპ-საც კი, რაც წინასწარ განსაზღვრავს ამ რეგიონის სამხედრო ხასიათს. კერძოდ, თუ რუსეთში სამხედრო ხარჯები ფედერალური ბიუჯეტის თითქმის 15 პროცენტია,[13] აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეს 1,5-2-ჯერ მეტია ადგილობრივ ბიუჯეტზე.[14]

რუსეთის კერძო და სახელმწიფო ფინანსები რუსეთის ბაზებთან ერთად მყარდება და ცენტრალურ ადგილს იკავებს ამ რეგიონების ეკონომიკაში და ამ დროისთვის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას ამ კონფლიქტების მოგვარების მცირე პერსპექტივა აქვს.[15]

საქართველოს მთავრობის ამბიციური გეგმების განხორციელებას ნატოსა და ევროპაში გაწევრიანების შესახებ ბარიერები აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანას არ გააჩნია ძლიერი ეკონომიკური ბაზა, რომელიც არ დაამძიმებს ევროკავშირს მისი ეკონომიკური პრობლემებით, ან იმიტომ, რომ მას არ აქვს კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატია და ინსტიტუციური სტრუქტურა, არამედ იმიტომ, რომ შიშია რუსეთთან ურთიერთობაში, რომელიც მზად არის კიდევ ერთხელ დაიკავოს ქვეყნის ტერიტორიები თავისი სამხედრო ინტერვენციებით და განახორციელოს მორიგი შეჭრა მეზობელ ქვეყანაში.[16] შესაძლებელია ამით იყოს განპირობებული საქარ-

---

[12] Troianovski A, Renewed Armenia-Azerbaijan Conflict Underlines Russia's Waning Influence. The New York Times,
Jan. 17, 2023. https://www.nytimes.com/2023/01/17/world/europe/armenia-azerbaijan-russia-nagorno.html

[13] Военный раздел поднимется на второе место в бюджете России по расходам, Экономика , 03 окт 2021, РБК: https://www.rbc.ru/economics/03/10/2021/61571a279a79478e0bc0b011

[14] გამოთვლაში გამოყენებულია სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის მონაცემები და მონაცემები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

[15] Neil Melvin, Giulia Prelz Oltramonti, Managing Conflict and Integration in the South Caucasus: a Challenge for the European Union, SIPRI–CASCADE Policy Brief , November 2015.
https://www.sipri.org/publications/2015/sipri-fact-sheets/managing-conflict-and-integration-south-caucasus-challenge-european-union

[16] В отколовшися территориях Грузий периодочески ставится вопрос о их присоединений к России. ("Цхинвал начал обсуждать с Москвой вхождение Южной Осетии в РФ — Бибилов",

თველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი ანტიდასავლური რიტორიკა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მიესალმება.

თუმცა, ამჟამად საქართველოს უსაფრთხოების გარანტიას ვერც ერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს, რომელიც რეგიონში ურთიერთდაპირისპირებულ დომინანტურ ძალად არის წარმოდგენილი. არც ერთი ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაცია არ არის საბოლოო ჯამში ქვეყნის უსაფრთხოების სრული, აბსოლუტური გარანტი.

ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფანი

საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობა დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე და სატრანსპორტო და ეკონომიკური დერეფანის განვითარებაზე. იზრდება ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ინტერესი საქართველოს, როგორც სატრანზიტო ტერიტორიის მიმართ და სატრანსპორტო დერეფნის გაფართოება ღებულობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ წონას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ნავთობისა და გაზის პრობლემა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი დიდწილად განსაზღვრავს მრავალი სახელმწიფოს ურთიერთობების ხასიათს კავკასიის მიმართ. აზერბაიჯანს აქვს გაზისა და ნავთობის სტრატეგიული მარაგი და საქართველოს მთავარი შედარებითი უპირატესობა არის მისი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ, რაც განსაზღვრავს ამ ქვეყნების საერთაშორისო გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ფუნქციას.

დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესები, მიიღონ წვდომა ნავთობისა და გაზის,რუსეთის გავლენისგან თავისუფალ, ალტერნატიულ წყაროებზე, არის პრიორიტეტული დოქტრინა ევროკავშირის ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების მისაღწევად. ეს პოლიტიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ რაც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად იცვლება გეოპოლიტიკური ვითარება. რუსული სატრანსპორტო არტერია შეიზღუდა როგორც ომის, ისე დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო.

არსებობს შუა დერეფნის განვითარების სერიოზული პოტენციალი და აზერბაიჯანი და საქართველო თავად შეიძლება გახდნენ ელექტროენერგიის მწარმოებლები და ექსპორტიორები ევროკავშირში, რასაც ხელს უწყობს შავი ზღვის ფსკერზე ელექტრო კაბელის გაყვანის პროექტი, რომელიც დააკავშირებს აზერბაიჯანს საქართველოსთან, შემდეგ რუმინეთთან და უნგრეთთან. ეს პროექტი ევროკავშირის პატრონაჟით უნდა განხორციელდეს.[17]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონური და ჩინური კომპანიები დაინტერესდნენ სამხრეთ კავკასიის გავლით ტვირთების გადაზიდვით, რომელიც გადის საქართ-

---

ИА REGNUM. 03.31.2022., https://regnum.ru/news/polit/3550730.html; "Общественные организации Абхазии выступили против присоединения к России", Политика , РБК, 19.03, 2022,
https://www.rbc.ru/politics/19/02/2023/63f245279a79479aa893d9d5).

17 Грузия, Азербайджан, Венгрия и Румыния подписали Соглашение о Черноморском электрокабеле, 17, Декабря, 2022. https://civil.ge/ru/archives/519149

ველოსა და აზერბაიჯანზე.[18] ეს უზრუნველყოფს ტრანზიტის უსაფრთხოების გარკვეულ ზღვარს, ხოლო ჩინელი ინვესტორების მონაწილეობა ანაკლიაში მრავალფუნქციური ღრმაწყლოვანი პორტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობაში იძლევა გარკვეულ შესაძლებლობებს ძალთა ბალანსისთვის.[19] თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამით **ჩინეთი** ღებულობს კონტროლის უფლებას გლობალური ვაჭრობისთვის ძალიან მნიშვნელოვან მარშრუტზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ინვესტიციები ჩინეთის ეროვნულ ვალუტაში განხორციელდება, კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს საქართველოს მიმდნარე ანგარიშის ბალანსს, ფინანსურ სტაბულურობასა და ფასებზე შესაძლებელია ყუარყიფითი გავლენა მოახდინოს, რამდენადაც საქართველოს სავაჭრო ბალანსი ჩინეთთან უკიდურესად უარყოფითია და მლრდ დოლარს აღემატება (2023), რაც მთლიანი სავაჭრო ბალანისი 12 პროცენტია. აქვე ისიც უნდა აღინიშონს რომ ჩინეთის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე არ არის დიდი და „ჩინეთის ინდექსის" მიხერვით საქაართველო 29 ადგილზეა (შედარებისათვის გერმანია არის მე-19 ადგილზე, ხოლო დიდი ბრიტანეთი კი - 27 ადგილზე). [20]

ეკონომიკური უსაფრთხოების ახალი რისკები

უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ, როდესაც საფრთხის ქვეშ დადგა რუსეთში მეწარმეების ურთიერთობა დასავლეთის და სხვა ქვეყნების მეწარმეებთან, იგი ნაწილობრივ რუსული ბიზნესის მეზობელ ქვეყნებში გადატანით გადაიჭრა და რუს მეწარმეებს საშუალება მიეცა შეენარჩუნებინათ საერთაშორისო ინტერნეტ კომუნიკაციები, განეხორციელებინათ საერთაშორისო ფულადი გზავნილები და მიეღოთ საბანკო მომსახურება. რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ვექტორი ნაწილობრივ შეიცვალა რუსეთიდან მოქალაქეებისა და ბიზნეს კაპიტალის ფართო მიგრაციის გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა სომხეთი და საქართველო.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რამდენიმე ათასი რუსული კომპანია დარეგისტრირდა. რუსეთიდან სომხეთსა და საქართველოში ფულადი ნაკადები გაიზარდა, რადგან რუსეთიდან დასავლეთში ტრანზაქციები სანქცირებულია და რუსული ბანკები მოწყვეტილი იყო საერთაშორისო საგადასახადო სისტემას. გარიგების მონაწილე ქვეყნები იყვნენ კავკასიის ქვეყნები, ასევე ევროპისა და აზიის ზოგიერთი სხვა ქვეყანა.[21] საქართველოში უცხოური კომპანიების ზრდამ და

---

[18] Unpacking Chinese finance in the South Caucasus, The region is newly strategic as Russia's war shifts attention to the so-called Middle Corridor, *Eurasianet*, Dec 14, 2022, https://eurasianet.org/unpacking-chinese-finance-in-the-south-caucasus

[19] ანაკლიის პორტის ინვესტორი ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმია (CCC და China harbour investor).

[20] China Index 2022, https://china-index.io/country

[21] ამ მოვლენის საპასუხოდ დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ „მტრულ ქვეყნებს არ აქვთ გამბედაობა აღიარონ, რომ მათმა „ჯოჯოხეთურმა" სანქციებმა არ გაამართლა. [ისინი] არ მუშაობენ... სამრეწველო და სამომხმარებლო საქონლის აბსოლუტური უმრავლესობა შეიცვალა შიდა საქონლით, დაკარგული კი - აზიური ბრენდებით. ამავდროულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდიც კი პროგნოზირებს რუსეთის ეკონომიკურ ზრდას წელს". ამავდროულად, პარალელური იმპორტიც მუშაობს და რუსი მომხმარებელი იმავე დასავლურ ბრენდებს იღებს". (Medvedev lambasts 'failed' Western sanctions, TASS, Russian News Agency, 31, January, 2023, https://tass.com/politics/1569393).

კაპიტალის შემოდინებამ ხელი შეუწყო 2022-2023 წლებში მშპ-ს 10 პროცენტზე მეტ ზრდას საქართველოში.

ამჟამად რუსეთი კავკასიის ქვეყნების პირველი სავაჭრო პარტნიორია. ეს ტენდენცია გაძლიერდა უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ. გაიზარდა რუსეთთან საგარეო ვაჭრობა.[22] ამავდროულად გაიზარდა რუსეთზე დამოკიდებულება, განსაკუთრებით ხორბალსა და ფქვილზე.[23] მათი წილი საქართველოს ხორბლისა და ხორბლის ფქვილის მთლიან იმპორტში არის 95% (2022); ეს დამოკიდებულება ქმნის დეფიციტის რისკს ამ პროდუქტების მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში. სტრატეგიული პროდუქტების დეფიციტი ჩვეულებრივ იწვევს სხვა საქონელზე ფასების ზრდას. (ეს უკვე მოხდა 2022 წლის ზაფხულში). სურსათზე ფასების ზრდა სერიოზულ ზეწოლას ქმნის ინფლაციაზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021-2020 წლებში ინფლაცია საქართველოში 10-11 პროცენტი იყო.2023 წელს იგი მკვეთრად შემცირდა.

ნავთობი, გაზი და მარცვლეული, რუსეთის მთავარი ექსპორტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მოსკოვს გარკვეულ გავლენას ანიჭებს რეგიონში. თუმცა, მიუხედავ იმისა, რომ ძლიერდება რუსეთის ეკონომიკური მონაწილეობა რეგიონში, იზრდება კონკურენციაც მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციით ან იმპორტის ჩანაცვლებით.[24] რუსეთთან მზარდმა ეკონომიკურმა კავშირებმა შესაძლოა ეკონომიკური დესტაბილიზაციის წინაშე დააყენოს ქვეყანა იმ შემთხვევაში, როდესაც დაიწყება რუ-

---

[22] კორონავირუსის გლობალური ეპიდემიის შემდგომ პერიოდში ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლების შედარებისას პირობითია იმ ფაქტორების გამოყოფა თუ რა წილი ჰქონდას კრიზისის მედგომ აღმავლობას, რუსეთ-უკრაინის ომსა და დასავლეთის სანქციებს სავაჭო ურთიერთობების განვითარებაზე. ცალკეული კვოევებით, უკრაინაში რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა თითქმის არ შეცვლილა; რუსეთში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა ომამდე და ომის შემდეგ პრაქტიკულად იდენტურია; ომის დაწყების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან, განსაკუთრებით გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი; გაიზარდა რეექსპორტის მოცულობა, რაც ლოგისტიკური კავშირების გადალაგების ფარგლებში უნდა განვიხილოთ; (მ. კაკულია, ნ. კაპანაძე, რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა უკრაინაში რუსეთის სრულსასშტაბუიან შწრამდე და შემდგომ, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბ. 2023, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3527.pdf)

[23] რუსეთიც და უკრაინაც მსოფლიოს წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიორები არიან. 2020 წლის მონაცემებით, რუსეთი და უკრაინა ერთად შეადგენდნენ ხორბლის გლობალური ექსპორტის 26%-ს, ხოლო უკრაინას მთლიანი ექსპორტის 8%. ორივე ქვეყანას შეადგენს ქერის მსოფლიო ექსპორტის 24%. მზესუმზირის თესლის, ზამბახისა და ბამბის ზეთის გლობალური ექსპორტის 57% სწორედ ამ ორ ქვეყანაზე მოდის. მსოფლიოში სიმინდის ექსპორტის 13% მხოლოდ უკრაინას უკავია. (By Siobhan McDonough and Youyou Zhou, What the Russian invasion of Ukraine could mean for global hunger, Feb 27, 2022, https://www.vox.com/future-perfect/2022/2/27/22950805/russia-ukraine-food-prices-hunger-invasion-war) ომმა ასევე საფრთხე შეუქმნა ამ რეგიონების სასურსათო უსაფრთხოებას და შექმნა მთელ მსოფლიოში ფასების მკვეთრი ზრდის პრეცედენტი.

[24] **Александров И**, Россия-Закавказье: обзор торговли, РФ усиливает экономическое присутствие в Армении, но сталкивается со всё большей конкуренцией в Азербайджане и Грузии. Nov 21, 2021. Eurazianet, **https://shorturl.at/kapSe**

სული კაპიტალის რეპატრიაცია და შეიცვლება სავაჭრო ურთიერთობების ვექტორი.[25]

Morgan-Stanley-ის ინვესტიციების ხელმძღვანელის თქმით, კონფლიქტის დროს ნებისმიერმა მოკლევადიანმა გარიგებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები. ასეთ შემთხვევაში, ფინანსურმა ბაზრებმა შეიძლება განიცადოს ძლიერი რყევები, გაიზარდოს სესხების ხარჯები და შეანელოს გლობალური ზრდა.[26] Bloomberg-ის ანალიტიკოსები ასევე ფიქრობენ, რომ ზრდა შენელდება, რადგან შინამეურნეობები იძულებულნი არიან დახარჯონ თავიანთი შემოსავლის მზარდი წილი საკვებსა და საწვავზე და უფრო ნაკლები სხვა საქონელსა და მომსახურებაზე.[27]

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში ყველა ქვეყანას სურს ჰქონდეს მეტი ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოება, მაგრამ ამას ცდილობენ მიაღწიოს საკუთარი გზით: აზერბაიჯანი ფრთხილი და ნეიტრალურია დასავლეთთან ურთიერთობაში, მისი ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური კავშირები თურქეთთან და გაზისა და ნავთობის რესურსების არსებობა მის უსაფრთხოებას უფრო მტკიცეს ხდის. სომხეთი ისწრაფვოდა რუსეთთან კავშირებისკენ, რათა ყარაბაღის ტერიტორია საკუთარ ორბიტაში შეენარჩუნებინა, მაგრამ 2020-21 და 2022 წლებში აზერბაიჯანთან ომების და ამ ტერიტორიების დათმობის შემდეგ სომხეთი ცდილობს გადახედოს უსაფრთხოების დღის წესრიგს და განთავისუფლდეს რუსეთზე დამოკიდებულებისაგან. საქართველო ტრადიციულად ეძებს კავშირებს დასავლეთის ქვეყნებთან. რეგიონული უსაფრთხოების ეს კაკოფონია ასახავს ქვეყნების განსხვავებულ პოლიტიკურ მისწრაფებებს.

---

[25] სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს ვექტორი რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაში ძალიან ცვალებადია: 2005-2012 წლებში რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ ქართულ ექსპორტზე რუსეთში და ქართული ღვინის იმპორტის შეზღუდვების განხილვამ რუსეთის დუმაში, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებმა (მასობრივი „ანტისაოკუპაციო პროტესტი") ნათლად აჩვენა, რომ რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე და აღიარებულია, როგორც სერიოზული და რეალური გამოწვევა პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის. დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობების გამო საქართველომ დაკარგა ღვინის, მინერალური წყლისა და ხილის და სუბტროპიკული კულტურის წილი. 2005 წელს რუსეთის მიერ დაწესებულ ემბარგომდე, მთელი ღვინის ექსპორტის 77,5%, მინერალური წყლის 72%, საქართველოში წარმოებული ხილისა და სუბტროპიკული კულტურების 21% რუსეთში იყიდებოდა. 2012 წლიდან, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები თანდათან აღდგა, თუმცა მისი ბაზარი მოიაზრება როგორც არამდგრადი და რისკიანი ქართველი მეწარმეებისათვის

[26] Hamza Fareed Malik, A Morgan Stanley investing chief says the Russia-Ukraine conflict is 'a big deal' for markets and anyone trying to trade it on a short-term basis will likely struggle, February 27, 2022, https://finance.yahoo.com/news/morgan-stanley-investing-chief-says-090000177.html

[27] Ben Holland, Scott Johnson, Jamie Rush, Anna Wong and Tom Orlik, How War in Ukraine Threatens the World's Economic Recovery. (Bloomberg Economics examines how the conflict could impact growth, inflation and monetary policy), *Bloomberg*, February 25, 2022, https://www.bloomberg.com/news/features/2022-02-25/war-in-ukraine-how-the-ukraine-russia-conflict-could-impact-the-global-economy

ეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანსკავკასიური აღმოსავლეთი-დასავლეთის დერეფანი აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან რგოლად აქცევს. ამავდროულად, კავკასიის დერეფნის მიმართ ინტერესი და ქვეყნების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა იზრდება აზერბაიჯანულ გაზსა და ნავთობპროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის შესაბამისად.

პარალელურად წინა წლებთან შედარებით იზრდება საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე, რაც აისახა რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში რუსეთიდან მიგრაციისა და ფულადი კაპიტალის შემოდინებაში. თუმცა, ეს დროებითი მოვლენაა და იგი შეუქცევადი არ არის. შესაბამისად მოსალოდნელია ქვეყნიდან „კაპიტალის გაქცევა", რაც გამოიწვევს საქართველოს მაღალი ეკონომიკურის ზრდის დაცემას.

ამ ცვალებად სიტუაციაში ახალ შესაძლებლობებს ქმნის 2023 წლის დეკემბერში საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, რომლის შემდგომმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა და ეკონომიკის შემდგომი განვითარება. ევროკავშირთან ინტეგრაციამ კი შესაძლებელია გახადოს ქვეყანა მისაზიდი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზოგადოებისათვის, რაც მნიშვნელოვანი პირობა იქნება ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებისა და ეკონომიკური განვითარების რთულ გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Александров И.,** Россия-Закавказье: обзор торговли, РФ усиливает экономическое присутствие в Армении, но сталкивается со всё большей конкуренцией в Азербайджане и Грузии. Nov 21, 2021. Eurazianet, https://russian.eurasianet.org/%D1%80%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B8%D1%8F-%D0%B7%D0%B0%D0%BA%D0%B0%D0%B2%D0%BA%D0%B0%D0%B7%D1%8C%D0%B5-%D0%BE%D0%B1%D0%B7%D0%BE%D1%80-%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BB%D0%B8
2. Военный раздел поднимется на второе место в бюджете России по расходам, Экономика , 03 окт 2021, РБК: https://www.rbc.ru/economics/03/10/2021/61571a279a79478e0bc0b011
3. В Азербайджане решили не открывать сухопутные границы, Эхо Кавказа, Июнь 22, 2022, **https://www.ekhokavkaza.com/a/31910119.html**
4. Грузия, Азербайджан, Венгрия и Румыния подписали Соглашение о Черноморском электрокабеле, 17, Декабря, 2022. https://civil.ge/ru/archives/519149
5. Кривошее К.,, Воюют все. Как мобилизация меняет отношения России с соседями, Carnegie Endowment for International Peace, 3.10.2022, https://carnegieendowment.org/politika/88070
6. Нил МакФарлейн: «Ошибочно полагаться на международные механизмы», Интервью, *1news.13:42 - 30 / 07 / 2011,* https://1news.az/news/20110730013556593-Nil-MakFarlein-Oshibochno-polagatsya-na-mezhdunarodnye-mekhanizmy).
7. "Общественные организации Абхазии выступили против присоединения к России", Политика , РБК, 19.03, 2022, https://www.rbc.ru/politics/19/02/2023/63f245279a79479aa893d9d5.
8. Организация Договора о коллективной безопасности, http://www.odkb.gov.ru/b/azbengl.htm

9. Путин назвал распад СССР трагедией и «распадом исторической России» так как Государство утратило 40% территории. 30 лет без СССР , РБКб 12 дек 2021, https://www.rbc.ru/politics/12/12/2021/61b5e7b79a7947689a33f5fe

10. Шакирова М., Толпа фаундеров с квадратными глазами»: как Ереван стал для россиян новой Долиной, 29 марта 2022 г. https://www.forbes.ru/svoi-biznes/460595-tolpa-faunderov-s-kvadratnymi-glazami-kak-erevan-stal-dla-rossian-novoj-dolinoj

11. "Цхинвал начал обсуждать с Москвой вхождение Южной Осетии в РФ — Бибилов", ИА REGNUM. 03.31.2022., https://regnum.ru/news/polit/3550730.html;

12. Ben Holland, Scott Johnson, Jamie Rush, Anna Wong and Tom Orlik, How War in Ukraine Threatens the World's Economic Recovery (Bloomberg Economics examines how the conflict could impact growth, inflation and monetary policy), *Bloomberg,* February 25, 2022 , https://www.bloomberg.com/news/features/2022-02-25/war-in-ukraine-how-the-ukraine-russia-conflict-could-impact-the-global-economy

13. Bobo Lo, Vladimir Putin and the Evolution of Russian Foreign Policy, Chatham House Papers, Oxford: Blackwell/Royal Institute of Inernational Affairs, 2007;

14. Hamza Fareed Malik, „A Morgan Stanley investing chief says the Russia/Ukraine conflict is 'a big deal' for markets and anyone trying to trade it on a short-term basis will likely struggle", Finance, February 27, 2022, https://finance.yahoo.com/news/morgan-stanley-investing-chief-says-090000177.html

15. Hamza Fareed Malik, A Morgan Stanley investing chief says the Russia-Ukraine conflict is 'a big deal' for markets and anyone trying to trade it on a short-term basis will likely struggle, February 27, 2022, https://finance.yahoo.com/news/morgan-stanley-investing-chief-says-090000177.html

16. Heintz Jim, Why tensions are high over a blockaded road in Azerbaijan, **Associated Press** , PBSO News Hour. Jan 22, 2023, **https://www.pbs.org/newshour/world/analysis-why-tensions-are-high-over-a-blockaded-road-in-azerbaijan**

17. Medvedev lambasts 'failed' Western sanctions, TASS, *Russian News Agency*, 31 JAN, 2023, https://tass.com/politics/1569393.

18. Mette Skak, "Russia's New 'Monroe Doctrine'," in Roger Kanet, ed., Russian Foreign Policy in the 21st Century (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2011

19. Neil Melvin, Giulia Prelz Oltramonti, Managing Conflict and Integration in the South Caucasus: a Challenge for the European Union, SIPRI–CASCADE Policy Brief , November 2015. https://www.sipri.org/publications/2015/sipri-fact-sheets/managing-conflict-and-integration-south-caucasus-challenge-european-union;
https://www.spglobal.com/commodityinsights/en/market-insights/podcasts/crude/230123-ferc-weber-agenda-natural-gas-climate-biden-regulation-policy

20. S. Neil MacFarlane, Georgia: National Security Concept versus National Security , Russia and Eurasia Programme Paper REP PP 2012/01,ChatamHouse, Published in association with Center for Social Sciences, Tbilisi, August 2012, www.chathamhouse.org / www.css.gehttp://css.ge/wp-content/uploads/2019/07/neil_security_eng.pdf

21. Samuel Lussac, The Baku-Tbilisi-Kars Railroad And Its Geopolitical Implications for the South Caucasus, Caucasian Review of International Affairs, vol. 2 (4), autumn 2008. https://www.academia.edu/220716/The_Baku_Tbilisi_Kars_Railroad_And_Its_Geopolitical_Implications_for_the_South_Caucasus?email_work_card=view-paper

22. Siobhan McDonough and Youyou Zhou, What the Russian invasion of Ukraine could mean for global hunger, Feb 27, 2022, https://www.vox.com/future-perfect/2022/2/27/22950805/russia-ukraine-food-prices-hunger-invasion-war

23. Thomas De Waal, Black Garden: Armenia and Azerbaijan through Peace and War (New York: New York University Press, 2003).

24. Troianovski A, Renewed Armenia-Azerbaijan Conflict Underlines Russia's Waning Influence, The New York Times, Jan. 17, 2023. https://www.nytimes.com/2023/01/17/world/europe/armenia-azerbaijan-russia-nagorno.html

25. Unpacking Chinese finance in the South Caucasus, The region is newly strategic as Russia's war shifts attention to the so-called Middle Corridor, Eurasianet, Dec 14, 2022, https://eurasianet.org/unpacking-chinese-finance-in-the-south-caucasus

Mikheil Tokmazishvili
Doctor of Economics,
Akaki Tsereteli State University, Invited professor;
Shota Lominashvili,
Doctor of Economics,
Akaki Tsereteli State University,
Head of department of economics, Associate Professor

Geopolitics of Georgia's Economic Security

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOKMAZISHVILI.LOMINASHVILI

Expanded Symmary

The article examines the challenges to Georgia's economic security, addressing political, economic, and regional issues. It highlights the unstable trajectories and complex geopolitical developments in the South Caucasus, emphasizing the influence of regional economic actors on Georgia's economy. The article also outlines potential directions for economic development, noting that, for the first time in Georgia's history, domestic political decisions have significantly shaped its economic trajectory. Anticipated economic shifts in Georgia are expected to unfold amid escalating tensions between nations and regional organizations. The so-called "Cold War" with the West, coupled with a pivot in trade and investment policy toward Northeastern nations, threatens Georgia's European aspirations.

Following the August 2008 war between Russia and Georgia and the occupation of Georgian territories, the confrontation between Georgian and Russian interests became overt. While tensions eased somewhat after 2012, significant geopolitical initiatives and projects in Georgia aimed at fostering greater independence and economic stability likely conflicted with Russia's strategic interests. The article identifies several factors influencing economic security: Currently, there are zones of heightened militarization by Russia in Georgia, specifically in Abkhazia and the so-called South Ossetia/Tskhinvali region. Due to the regions' weak economic development, financial support from Russia is crucial for the local population. These funds are allocated for socio-economic programs, pensions, and defense. In both Abkhazia and the South

Ossetia/Tskhinvali region, Russian defense spending far exceeds the total budget and even the GDP of these areas, reinforcing the predominantly military character of the region.

It is noted that Russia's private and state finances are strengthening alongside its military presence, increasingly dominating Georgia's economy. Following the onset of the war in Ukraine, several thousand Russian companies were registered in Georgia, and financial flows from Russia to Georgia surged due to sanctions on transactions between Russia and the West and the exclusion of Russian banks from the international financial system. The influx of foreign companies and capital significantly contributed to Georgia's GDP growth, exceeding 10% in 2022-2023. However, this growth is considered short-lived, as such short-term economic boosts during conflicts often lead to sharp financial market fluctuations, increased borrowing costs, and slowed economic growth. Macroeconomic trends are expected to worsen further, exacerbated by declining capital inflows from Western countries amid deteriorating political relations.

Currently, Russia is Georgia's primary trade partner, with growing dependence on Russian imports, particularly wheat, flour, and energy resources. This dependence poses risks of inflationary pressure. Control over oil, gas, and grain provides Moscow with leverage in the region, increasing its influence over Georgia.

The article highlights that China's growing interests in Georgia, including preferential lending for social and infrastructure projects, and Georgia's strategic focus on China, conflict with the interests of the European Union and the United States. This misalignment poses a long-term threat to Georgia's aspirations for a European future. It emphasizes that Georgia's economic stability relies heavily on the development of a robust transport and economic corridor, which is vital for enhancing national and regional economic security. However, China's increasing control over a critical global trade route and its expanding investment footprint are likely to strain Georgia's current account balance, potentially undermining financial stability. These and other challenges weaken Georgia's geoeconomic advantages and pose risks to its long-term growth and integration into the European economic framework.

Keywords: economy of Georgia, economic security, geopolitics, South Caucasus region,

ეკონომიკური თეორია – ECONOMIC THEORY

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.VESHPIDZE

ანოტაცია. *ამ ნაშრომის ინტერესის სფეროა ზოგიერთი დღევანდელი პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც სახელმწიფოების წარმოშობასთან და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან ერთდროულად წარმოიშვა. მათ შორის ყველაზე აქტუალური რჩება პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხოების კონტექსტში ეკონომიკური აზროვნების ევოლუციის შესწავლა აჩენს კითხვებს დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის კავშირზე და გზას უხსნის პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიული გზების გამორკვევას.*

კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე ამ ნაშრომის ***კვლევის მიზანია:*** *პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის ძირითადი ისტორიული ტიპების იდენტიფიცირება. ამ მიზნიდან გამომდინარე, კვლევის* ***ამოცანებია:*** *პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის ძირითადი ისტორიული ტიპების გამოყოფა და მათი საერთო არსებითი ნიშნების დადგენა; ამ ნიშნების თავისებურებების გამოვლენა დროის, ადგილისა და გარემოებების სხვადასხვა სპეციფიკურ ისტორიულ პირობებში. ნაშრომის* ***კვლევის საგანია:*** *პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ევოლუცია.* ***კვლევის ობიექტია*** *ძირითადი ეკონომიკური იდეები, შეხედულებები, კონცეფციები. კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, ისტორიული* ***მეთოდები.***

ნაშრომში გამოკვლეულია პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიდგომები ძირითადი ეკონომიკური იდეების, შეხედულებების, კონცეფციების მიხედვით, უძველესი დროიდან დღემდე. გამოვლენილია დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის კავშირები, გამორკვეულია ძირითადი კონცეფციები, რომელიც აქტუალურია თანამედროვე პირობებში და გზას უხსნის პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიული გზების გამორკვევას.

საკვანძო სიტყვები: *უსაფრთხოება, ადამიანის მოთხოვნილებები, ეკონომიკური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის კავშირი.*

შესავალი

ყველა დროს თავისი ტკივილი და გამოწვევები აქვს. ამიტომ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკური ასპექტების გააზრება, პირველი აზრის და იდეების გაჩენიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ფენომენია. პრობლემის უწყვეტად, მთლიანობაში გააზრება, დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის კავშირის უკეთ გაგების, მისი ევოლუციონირების, კეთილდღეობის ამაღლებისთვის გამოყენების საშუალებას იძლევა.

უსაფრთხოება ადამიანთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანის ეკონომიკური მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა მათ **ჰქონდეთ საკმარისი ფული არა მარტო საკვებისთვის, არამედ მოქალაქეები არ იყვნენ ვალაუვალნი და გაკოტრების ზღვარზე, ჰქონდეთ ფინანსური წიგნიერების სათანადო, საშუალო საერთაშორისო დონე.**

ადამიანის (პირადი) უსაფრთხოების განხილვისას გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანური განვითარების ანგარიშში 1996 წელს, ექსპერტებმა გამოყვეს ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები, მათ შორის:

1. ადამიანის უსაფრთხოება არის უნივერსალური კონცეფცია, რომელიც ვრცელდება ყველა ადამიანზე ყველა ქვეყანაში, იქნება ეს მდიდარი თუ ღარიბი. არსებობს მრავალი საფრთხე, რომელიც ყველასთვის ერთნაირია - **უმუშევრობა, სიღარიბე, დამნაშავეობა, გარემოს დაბინძურება;** 2) ადამიანთა უსაფრთხოება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის ბაზარი და სოციალური შესაძლებლობები, **ცხოვრობენ თუ არა ისინი კონფლიქტის პირობებში თუ მშვიდობის პირობებში.** [18].

****

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი განვითარება დაკავშირებულია პიროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროს პარალელურად გაფართოებასთან, რომლის პრობლემების მთელი სპექტრი არსებითად, ცხოვრების ყველა ასპექტში მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე დაიყვანება.

ეროვნული უსაფრთხოების ეკონიმიკური უზრუნველყოფა „სამ ვეშაპს" ეყრდნობა და ფართო გაგებით პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მათი ინტერესების დაცვას გულისხმობს. ამ სამდონიან იერარქიაში ყოველი კომპონენტი თანაბრად წონადია. [19].

ეკონომიკური აზროვნების ევოლუციის შესწავლა ამდიდრებს ჩვენს ცოდნას სახელმწიფოს, საზოგადოების, ცალკე აღებული პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ. სხვადასხვა კონცეფციისა და თეორიის კვლევის პროცესში **ჩნდება კითხვები დღევანდელ რეალობასა და წარსულს შორის კავშირზე,** თუ რატომ ინარჩუნებს აქტუალურობას წარსულის ზოგიერთი იდეა. ბევრი დღევანდელი პრობლემა პირველი სახელმწიფოების წარმოშობასთან და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობასთან ერთდროულად წარმოიშვა. მათ შორის ყველაზე აქტუალური რჩება **სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის იდეალური მოდელის შექმნის პრობლემა.**

სახელმწიფოებრიობის გაჩენასთან ერთად გაჩნდა პირველი ფილოსოფიური და ეკონომიკური შეხედულებები, სახელმწიფოს, საზოგადოების და მისი წევრების, ინტერესების დაცვის იდეა, რომელიც მეცნიერულ სახეს ღებულობს იმდროინდელი მეცნიერთა ნაშრომებში.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნავდნენ ეგვიპტის უძველეს სახელმწიფოში, ბაბილონის სამეფოში („ჰამურაბის კანონები"), ძველ ინდოეთსა („მანუს კანონები") და ჩინეთში, საბერძნეთსა და რომის იმპერიაში („12 ტაბულის კანონები"), ადრე და გვიან საუკუნეებში.

ძველ ეგვიპტეში იყო ერთგვარი გეგმური, უფრო სწორად ორგანიზებული საირიგაციო სისტემის გარშემო აგებული ეკონომიკა. აქ ჩაეყარა საფუძველი ეკონომიკურ ურთიერთობებს და ძალისხმევის გაძლიერებას მათ დასარეგულირებლად. ამ დროს გაჩნდა პირველი იდეები სახელმწიფოს ეკონომიკური დაცვის მიზნით.

მისი მთავარი მიზანია თითქმის ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორო სისტემის და ჩასახული მონათმფლობელობის სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სხვადასხვა ქვეყანაში ეს ტენდენცია სხვადასხვანაირად გამოვლინდა.

ასურეთისა და ბაბილონის თეოკრატიებს ჰქონდათ უზარმაზარი სამხედრო და ბიუროკრატიული ორგანიზაციები და განვითარებული სამართლებრივი სისტემები. მათ შორის, მაგალითად, ჰამურაბის კოდექსი (დაახლ. ძვ. წ. 2000 წ.). ამ კანონების ნაკრები კერძო საკუთრების ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული. ვინც ხელყოფს სხვის საკუთრებას, მონობაში დაბრუნებით ან სიკვდილით ისჯებოდა. მონა მეპატრონის საკუთრებად, ნივთად ითვლებოდა; მისი პიროვნება, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში არავითარ როლს არ თამაშობდა. მონის დაუცველობამ ის დაუცველი გახადა კანონის თვალსაზრისით: მას არანაირი თავისუფლება არ ჰქონდა. ჰამურაბის კოდექსი შეიცავდა დებულებებს მონათმფლობელობის სისტემის მოწესრიგებისთვის და საკრედიტო ურთიერთობების სისტემატიზაციისთვის. მაგალითად, ვალის გადახდის გადავადებისთვის არც სამეფო ჯარისკაცებს და არც ბაბილონის სხვა მოქალაქეებს მეტად აღარ შეიძლებოდა ჩამორთმეოდათ მათი მიწის ნაკვეთები. ფულადი სესხის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი თავდაპირველი თანხის 20%-ს, ნატურით - 33%-ს. დადგენილი კანონების დარღვევისთვის დაწესებული იყო ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სიკვდილით დასჯაც კი. [1]. მიუხედავად იმისა, რომ ჰამურაბი ემსახურებოდა კერძო საკუთრების ინტერესებს, მისი დებულებები ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა გაერთიანებულიყო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ინტერესები, სახელმწიფო და სამართლებრივი წყობილების შენარჩუნების მიზნით.

ძველ ჩინეთში ფილოსოფიური სწავლებები წარმოდგენილია კონფუცის იდეებით, რომლებიც შეიცავს ზოგიერთი ეკონომიკური ელემენტს, მათ შორის უსაფრთხოების და სახელმწიფოს სტაბილურობის სფეროში. კონფუცის აზრით, სოციალური წესრიგის საფუძველი არის ღვთაებრივ საწყისი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანისა და საზოგადოებრივი წესრიგის ბედს. საზოგადოების დაყოფას "კეთილშობილებად" და "უბრალოებად"კონფუცი ბუნებრივად თვლიდა. მისი სწავლებები ყურადღებას ამახვილებს მონათმფლობელური წყობილების დაცვაზე, სახელმწიფოს ავტორიტეტის განმტკიცებაზე, ამ მიზნით ტრადიციული ფორმებისა და წესჩვეულებების გამოყენებაზე. გარკვეულ ინტერესს შეიცავს კონფუცის იდეები მმართველების „სწორ ქმედებებზე", რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს აყვავებაზე, თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, შექმნილი დოვლათის თანაბარი განაწილების გზით. [1, 21].

ტრაქტატი „გუან–ძი" (ძვ. წ. IV-III სს. უცნობი ავტორების შრომა) შეიცავს იდეებს გლეხებზე ზრუნვის შესახებ, მათი სავალდებულო შრომითი ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ, სპეკულანტებისა და მევახშეებისაგან დაცვის შესახებ. გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის გასაძლიერებლად ტრაქტატში არის დებულებები გადასახადების სისტემის შეცვლის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, რომლის განხორციელებაც სახელმწიფოს ევალება. ტრაქტატის ავტორები სახელმწიფოს აკისრებენ აქტიურ როლს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. [1]. ფაქტობრივად, ტრაქტატში „გუან–ძი" პირველად იქნა ჩამოყალიბებული პიროვნებისა და საზოგადოების სოციალური სოციალური სტაბილურობის საფუძვლები.

ცალკეული რეკომენდაციები პურის ფასების რეგულირების, მარცვლეულის სახელმწიფო რეზერვების შექმნის, მიწათმოქმედთათვის შეღავათიანი სესხების შემოღების, პირდაპირი გადასახადების გარკვეულ პროდუქტებზე არაპირდაპირით შეცვლის შესახებ, დღესაც მოთხოვნადია და გამოიყენება ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ [1, 4-5].

ძველი ინდური ეკონომიკური აზრის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებს შორის უნდა გამოვყოთ მეფე ჩანდრაგუპტი I-ის მრჩევლის, ბრაჰმან კაუტილიას (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო - III საუკუნის დასაწყისი) ტრაქტატი „არტჰაშასტრა". ისევე როგორც ძველი ეგვიპტური „ჰერაკლიოპოლისის მეფის დარიგება თავის ვაჟს", ეს ტრაქტატი წარმოადგენს მითითებებსა და რჩევებს მმართველისთვის, სახელმწიფოს სწორად მართვის შესახებ.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა, რომ არტჰაშასტრაში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ინტერპრეტაციას. ტრაქტატმა სამეფო ხელისუფლებას დააკისრა პასუხისმგებლობა მრავალი ეკონომიკური საქმის განხორციელებისთვის, მათ შორის **გარეუბნების კოლონიზაცია, სარწყავი სისტემების შენარჩუნება, ჭების აშენება, ახალი სოფლების შექმნა, სართავ–საქსოვი წარმოების ორგანიზება მუშათა კონკრეტული კონტინგენტის მონაწილეობით (ქვრივები, ობლები, ღატაკები) გარდა ამისა, ტრაქტატში დეტალურად იყო აღწერილი გადასახადების მართვისა და შემოსავლის წყაროების განსაზღვრის მეთოდები, ასევე სამეფო ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცედურა.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრაქტატმა შესთავაზა **სახელმწიფოს სტაბილურობის შენარჩუნების გზები, პირველ რიგში ეკონომიკური. ასეთი დებულებები ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიის საფუძველია, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა მისი განუყოფელი ნაწილია** [20].

იდეალიზებული მმართველებისა და საზოგადეებრივი წესრიგების შესახებ მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია **ქსენოფონტეს** მიერ, გაძლიერებულია მისი თანამემამულე, ფილოსოფოს **პლატონის** (ძვ. წ. 427 - 347 წწ.) შრომებში „სახელმწიფო" და „კანონები". მისი აზრები უდავო ინტერესს იწვევს ჩვენს დროშიც კი. პლატონის იდეალური მდგომარეობა არის ის, რომელშიც ნავარაუდებია მოსახლეობის მცირე და, თუ შეძლებისდაგვარად მუდმივი რაოდენობა. მკაცრად იყო რეგულირებული ყველა ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობა. მეომრები, მიწათმოქმედები, ხელოსნები ორგანიზებულნი არიან მუდმივ კასტებად, თანაბრად ეპყრობიან მამაკაცებსა და ქალებს. სახელმწიფოს მართვა ევალებოდა მცველთა ან მმართველთა კასტას, რომლებსაც ერთად უნდა ეცხოვრათ და არ ჰქონოდათ პირადი საკუთრება. **პლატონის მიხედვით** იდეალური სახელმწიფოს საფუძველია **სამართლიანობის იდეა. ის სამართლიანად მიიჩნევდა ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ყველა მოქალაქე აკეთებს იმას, რაც მას საუკეთესოდ შეუძლია.** ამ პოსტულატის ასახსნელად პლატონი იყენებს სამ ძირითად ადამიანურ სათნოებას: სიბრძნეს, გამბედაობას და მოთმინებას. სამართლიან საზოგადოებაში ოთხი კლასი უნდა იყოს: მმართველები, მეომრები, თავისუფალი გლეხები და ხელოსნები, მონები. პლატონი მონებად თვლიდა საზოგადოების იმ წევრებს, რომლებსაც არ გააჩნდათ არც ერთი ზემოაღნიშნული სათნოება. იდეალურ სახელმწიფოს უნდა მართავდნენ ფილოსოფოსები, რომლებიც მეომრებთან ერთად მოწოდებული არიან, შეასრულონ მთავარი როლი საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნ-

ველყოფაში [21]. პლატონმა გაიგივა სამხედრო და ეკონომიკური შემადგენლები სახელმწიფოს მართვაში და პრიორიტეტი მიანიჭა სიტუაციების ძალისმიერ გადაწყვეტას. ამ მიდგომის განვითარებამ ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიების ევოლუცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეანელა.

სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტისას ძალისმიერი მიდგომის დომინირება დამახასიათებელია **ძველი რომისთვის.** ამ ფონზე აღსანიშნავია ვარონის ტრაქტატი „სოფლის მეურნეობის შესახებ", რომელშიც ავტორი იკვლევს აგრარული წარმოების შემოსავლიანობის გაზრდის გზებს. ტრაქტატის ისეთი დებულებები, როგორიცაა მატერიალური დაინტერესების გამოყენება, წარმოების ინტენსივობის ამაღლება, მიუთითებს მისი ავტორის მისწრაფებაზე, უზრუნველყოს **ეკონომიკური ზრდა,** ე.ი. ეს არის ის, რასაც ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია მოუწოდებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიის განვითარების მეორე ეტაპი რომის იმპერიის დაცემის პერიოდში დაიწყო და შუა საუკუნეების და რენესანსის პერიოდების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია მეცნიერების მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების იგნორირება, ხოლო ძირითადი ყურადღება თეოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეთმობოდა. გამონაკლისი არის აღმოსავლეთის ზოგიერთი მეცნიერის ნაშრომები. საინტერესოა მე-14 საუკუნის მოაზროვნის **იბნ ჰალდუნის** „სოციალური ფიზიკის" კონცეფცია. ამ მეცნიერის იდეა ყველა დარგის წარმატებული განვითარების შესახებ, როგორც ერის სიმდიდრის გამრავლების წარმატებული საწინდრის შესახებ, ერთდროულად შეიცავს სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოების ელემენტებს და იდეალური სახელმწიფოს შესახებ პლატონისა და არისტოტელეს იდეების გაგრძელებას წარმოადგენს. იბნ ჰალდუნი ქონებრივ დიფერენციაციას იდეალურ სახელმწიფოს აშენების მთავარ დაბრკოლებად თვლიდა. [1, 21]. მსგავსი იდეები ჰქონდა კიდევ ერთ აღმოსავლელ მეცნიერს - აბუ ნასრ ალ-ფარაბის (**ალ-ფარაბი აბუ ნასრ მუჰამად იბნ თარხან**– არაბი ფილოსოფოსი, დაახლოებით 450-515 წწ). თავის ტრაქტატში "სრულყოფილი ქალაქის მაცხოვრებლების შეხედულებების შესახებ." ამ ნაშრომში ავტორი ცდილობდა ეპოვა პასუხი სახელმწიფოს წარმოშობისა და სოციალური უთანასწორობის მიზეზების შესახებ.

მაშინ როცა შუა საუკუნეებისა და ადრეული აღორძინების ეპოქის საწყისი პერიოდის ეკონომისტები ყურადღებას არ აქცევდნენ სახელმწიფოს ეკონომიკურ დაცვას, მაშინდელი პოლიტიკოსები გამოთქვავდნენ ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიასთან დაკავშირებულ იდეებს. აგალითად, **ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე, დროული წინააღმდეგობის პრინციპი ეკონომიკურ საფრთხეებზე, ქვეყანაში „ძლიერი უცხოქვეყნელების" შესვლის პრევენციის აუცილებლობაზე, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაცია და საზოგადოებრივი კონფლიქტების გამოწვევა** [9].

ეს პრინციპი დღესაც აქტუალური რჩება, რადგან ეკონომიკური საფრთხე, რომელიც დროულად არ აღმოიფხვრება, მასშტაბურად იზრდება და ახალ საფრთხეებს ქმნის, რომელთა ნეიტრალიზაცია რთული და ხშირად შეუძლებელი ხდება. აღმოსავლეთის მეცნიერთა შემდეგი საინტერესო ტრაქტატია "სიასეთ-ნამე". იგი შეიცავს იდეებს და პრაქტიკულ რჩევებს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. აქ ორმოცდაათი თავიდან ხუთი ეძღვნება ეკონომიკურ საკითხებს, კერძოდ იმას, რომ „ხელმწიფემ უნდა იზრუნონ სუსტებზე და არ დაუშვან, ჩინოვ-

ნიკმა ჩაიდინოს უკანონო ქმედებები." [13]. რაც შეეხება სახელმწიფოს სესხების გაცემას, მის შესახებ ასევე გაცხადებულია, რომ „რომელ ადამიანსაც უჭირს... მას სესხი უნდა მისცენ." [13].

იმ პერიოდის ისლამური აღმოსავლეთის თეოლოგიისა და იდეების გავლენის მიუხედავად, ამ ნაშრომში ავტორებმა მოახერხეს სოციალური სახელმწიფოს იდეების განვითარება, რომლის საფუძველიც უნდა იყოს **სოციალური კეთილდღეობა და სამართლიანობა.** ეს უკანასკნელი არის სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველი.

შუა საუკუნეების ეკონომიკური დოქტრინები ძირითადად ემყარებოდა სიმდიდრის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას, ამიტომ ეკონომიკა არა ეკონომიკური ცხოვრების რეალური ფაქტების განზოგადების შედეგებზე, არამედ ინდივიდების ადრეული ქრისტიანული სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად ქცევის წესებზე დაიყვანებოდა.

უსაფრთხოების ეკონომიკური უზრუნველყობის თეორიული საფუძვლები კომპლექსურად დაამუშავეს მერკანტილისტებმა. მათ პირველ ეკონომიკურ სკოლას ჩაუყარეს საფუძველი. მერკანტილისტები სახელმწიფოს იხილავდნენ როგორც ორგანიზაციას, რომელსაც შესწევს უნარი, უზრუნველყოს ადამიანის **ბუნებითი უფლებები,** რომლის შემადგენლობაში შედის **საკუთრება და უსაფრთხოება.**

ფილოსოფოსი ჯონ ლოკი და მე–18 საუკუნის ამერიკელთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ადამიანები **თანასწორნი არიან სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების** უფლების მხრივ. ეს ბუნებითი უფლებები მათ იმიტომ აქვთ, რომ ადამიანები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებით სახელმწიფოში არავის ექნებოდა იმის უფლება, რომ ვაგლახად შეხებოდა ადამიანის სიცოცხლეს, საკუთრებას და თავისუფლებას, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს ღირებულებები საფუძვლად დაედო აშშ კონსტიტუციას. [6]

მერკანტილიზმმა, როგორც ერთ-ერთმა ეკონომიკურმა დოქტრინამ, რომელიც წარმოიშვა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების დროს, საფუძველი ჩაუყარა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თანამედროვე წარმოდგენებს. ამ სკოლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრე ოქროსა და ვერცხლის ფულში იყო და მისი წყარო საგარეო ვაჭრობა იყო. მერკანტილისტების მიერ შემუშავებული საგარეო ვაჭრობის კონცეფცია შეიცავდა შემდეგ იდეებს:

- თავისუფალ კონვერტირებად ვალუტაში ფულადი ნაკადების გაზრდის მიზნით საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობა;
- საკუთარი სამრეწველო წარმოების განვითარებაში გამოყენებული იაფი ნედლეულის იმპორტის გაზრდა და ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადების შემოღება;
- აქტიური სავაჭრო ბალანსის შექმნა და შენარჩუნება იმპორტის 30%-ის და ექსპორტის 70%-ის თანაფარდობით ან, ზოგიერთ შემთხვევაში, 50-დან 50%-მდე პროპორციის დადგენა. [20].

ეს დებულებები საფუძვლად დაედო საგარეო ვაჭრობის თანამედროვე თეორიას, როგორც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას.

კამერალიზმი, მერკანტილიზმის გერმანული ვერსია იყო, რომელიც პატარა გერმანულ სახელმწიფოებში საგანმანათლებლო აბსოლუტიზმის პერიოდში, XVII საუკუნეში და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში არსებობდა. ტერმინი ,,კამერალიზ-

მი" მომდინარეობს სიტყვიდან camere, რაც ნიშნავს ოთახს რომელშიც სათავადაზნაურო ხაზინა ინახებოდა. კამერალიზმში, ძირითადად დაკავებული იყო სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის ხელოვნებით და მისი ხაზინის შევსებით, რათა ყოველგვარი მოსალოდნელი რისკებისგან დაზღვეული ყოფილიყვნენ.

კამერალიზმის შესახებ ვრცელი ლიტერატურა ეძღვება კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის, სახელმწიფო მმართველობის და ბუღალტერიის, გადასახადების და ფისკალური პოლიტიკის საკითხებს. იმისათვის, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ კარგად იფუნქციონიროს კამერალისტ-მერკანტილისტების აზრით, მოხელეებმა უნდა მიიღონ განათლება კამერალური მეცნიერების და სამართლის სფეროში.

ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) შემდეგ, კამერალისტები მნიშვნელოვან პრიორიტეტად განადგურებული და დაცარიელებული ქალაქების და სოფლების აღდგენას, სოფლის მეურნეობის წახალისებას და მოსახლეობის ზრდას მიიჩნევდნენ. გრძელვადიან მიზნებად ისინი მიიჩნევდნენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებას სამრეწველო წარმოების შექმნის წახალისებით და სახელმწიფო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით. სახელმწიფო, თვლიდნენ კამერალისტები, მნიშვნელოვან მონაწილედ გამოდის საქმიანობის ყველა ამ სახეობებში ან დამოუკიდებლად, ან კერძო საწარმოებთან თანამშრომლობით. [10].

ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გამორჩეული კლასიკოსების, **ადამ სმითის** (1723 - 1780) და **დეივიდ რიკარდოს** (1772 - 1823) სახელებთან. კლასიკოსების მისწრაფება დაიცვან მხოლოდ ეკონომიკური თეორიის დებულებები, სუბიექტური, ფსიქოლოგიური და სხვა არაეკონომიკური იდეების გარეშე, ეწინააღმდეგება ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთქმედებას სხვადასხვა არაეკონომიკურ ფაქტორებთან: **პოლიტიკასთან (მათ შორის, უფრო ხშირად, პირველ რიგში, გეოპოლიტიკასთან), ეკოლოგიასთან, კანონმდებლობასთან, კულტურასთან და ა.შ. .**

ა. სმითის იდეებმა, რომლებიც ავსებდნენ და განავითარებდნენ მთლიან ეკონომიკურ მეცნიერებას, არ შეუწყო ხელი ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიის შემუშავებას. ცოტა ხნით კვლავ დავიწყებას მიეცა და სახელმწიფოს ეკონომიკური დაცვის უზრუნველყოფის პრობლემები გასული საუკუნის შუა წლებში პოლიტიკოსებში ინტერესი კვლავ გამოიწვია. **ამ პერიოდში ყველაზე ხშირად განიხილებოდა საზოგადოების სოციალური სფეროსა და შემოსავლების სამართლიანი განაწილების საკითხები.** კლასიკოსების შეხედულებებიდან ყველაზე ახლოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებთან, არის შრომის ანაზღაურების საკითხები. [4, 8].

ეკონომიკური უსაფრთხოების იდეები კიდევ უფრო განვითარდა მარჟინალისტების შეხედულებებში. მარჟინალისტური მიმართულება დაკავშირებულია შემდები სამი ნაწარმოების გამოცემასთან: "პოლიტიკური ეკონომიკის თეორიები" (უ. ჯევონსი,1871), " პოლიტიკური ეკონომიკის საწყისები" (კ.მენგერი, 1871), „პოლიტიკური ეკონომიკის ელემენტები" (ლ.ვალრასი 1874). ამ ნაწარმოებების ავტორებმა, პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეს სუბიექტურ–ფსიქოლოგიურ მიდგომას ეკონომიკური პროცესების, მეწარმე სუბიექტების, მისი ფსიქოლოგიისა და მოტივების კვლევაში. მათ სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანეს **ეკონომიკის მდგრადობისა და წონასწორობის კონცეფცია,** რომელიც არის **სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი კონცეფცია.**

მეოცე საუკუნის ეკონომიკური სკოლების უმეტესობის თეორიები, მიმართუ-

ლია არა იმდენად საერთოსახელმწიფოებრივი, რამდენადაც სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ, ისეთების, როგორიცაა **უმუშევრობა, შემოსავლის გაზრდა, ფასების შემცირება, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, აგრეთვე კრიზისებთან გამკლავება.**

1936 წელს ჯ.მ. კეინზის ნაშრომის "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი ზოგადი თეორია," გამოჩენამ, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი მიმართულების – კეინზიანიზმის დასაწყისს. „ბაზრის უხილავი ხელის" იდეას, როგორც საბაზრო ეკონომიკის ავტომატური რეგულირების ინსტრუმენტს, ბოლო მოეღო.

კეინზის შემოქმედება შეიცავს უამრავ ახალ იდეას. ასე, კრიზისების და უმუშევრობის მიზეზების გამოკვლევისას მეცნიერი აკეთებს დასკვნას მათი საბაზრო ხასიათის შესახებ, მიუთითებს რა კაპიტალისტური ეკონომიკის უუნარობას გაუმკლავდეს მათ მხოლოდ შინაგანი ძალებით. **კრიზისებთან და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება კეინზის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მარეგულირებლის დახმარებით, ერთობლივი მოთხოვნის, ფულის მიწოდების სიდიდის შეცვლით.** მან გამოიკვლია და შექმნა მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც აჩვენებს შესაბამისობას ისეთ ელემენტებს შორის, როგორიცაა ინვესტიციები, დასაქმება, მოხმარება და შემოსავალი. წარმოდგენილ მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სახელმწიფოს. ამრიგად, კეინსმა დიდი ხნის განმავლობაში პირველად გამოთქვამდა აზრს „მთავრობის ჩარევის აუცილებლობაზე ეკონომიკაში ყოველგვარი დათქმების (შენიშვნების) გარეშე. არ ზღუდავდა რა ამას მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროთი.

კეინსის აზრით, **„სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს კაპიტალური დაბანდებების, კერძოდ, სუბსიდიების, ზღვრული ეფექტურობის, სახელმწიფო შესყიდვების და ა.შ ზღვრული ეფექტიანობის ასამაღლებლად,. ამავდროულად, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეამციროს ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთი კაპიტალი და დაიცვას ზომიერი ინფლაცია. ინფლაცია გამიზნულია ფასების ზომიერი ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების გაზრდას. ასეთი პოლიტიკის შედეგი იქნება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა."** [8, 20]. ეს დებულება, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს სოციალური მიმართულება, მაინც გულისხმობს უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს **ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში.**

თუმცა კეინზის სკოლის სხვა წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს უპირველეს ყოვლისა, **ეკონომიკაში ციკლურობის პრობლემების** შესწავლას და **ეკონომიკის შიდა და გარე საფრთხეებისგან დამცავი მექანიზმის შექმნის პრობლემა, მათ არ აინტერესებდათ. ეს აიხსნება იმით, რომ ისინი მთავარ საფრთხეს ეკონომიკის ციკლურ რეცესიებში ხედავდნენ.**

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის გაზრდამ და საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციამ, გამოიწვია მწვავე სოციალური წინააღმდეგობები. „საშუალო ფენის" ინტერესები დაირღვა და გაჩნდა ახალი იდეების აუცილებლობა, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური მოწყობის პრობლემების გადასაჭრელად. ამ დროს ეკონომიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ახალი მიმართულება - **ინსტიტუციონალიზმი.** ამ სკოლის წარმომადგენლები სწავლობდნენ ადამიანის ქცევას და ადამიანურ ინსტიტუტებს. **ინსტიტუციონალიზმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სახელმწიფოს სამარ-**

თლებრივი საფუძვლებისადმი, ბიზნესზე საზოგადოებრივი კონტროლის დამყარების იდეაზე და ეკონომიკური დაგეგმვის საჭიროების დასაბუთებისადმი, როგორც მისი ეფექტიანობის გაზრდის ინსტრუმენტისადმი. ამ ნაწილში ამ სკოლის იდეები სასარგებლოდ და აქტუალურად ითვლება ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიაში.

მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში ნეოკლასიკური სკოლის მომხრეები მივიდნენ დასკვნამდე სახელმწიფოს მარეგულირებელ როლის შესახებ, მატერიალური დოვლათის განაწილების სტაბილური და სამართლიანი უზრუნველყოფის მიზნით.

XXI საუკუნეში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შედეგად, რომელსაც 2007–2008 წლების იპოთეკური და 2020 წლის კოვიდ–პანდემიით გამოწვეული კრიზისები მოჰყვა, ეროვნული ინტერესების დაცვა ახალი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთ–უკრაინის ომმა აღნიშნული საფრთხეები კიდევ უფრო გაამწვავა და ახალი საშიშროების, საფრთხეების, რისკების და გამოწვევების გენერირება განაპირობა. [7, 12, 15-17].

დღევანდელ პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების საბაზო მიდგომები და მასთან ბრძოლის მეთოდები, უკვე კარგად ადაპტირებულ ფრიდრიხ ლისტის კამერალისტურ, [11] ჯონ მეინარდ კეინზის კეინზიანურ, [2]. ერნანდო დე სოტოს ადმინისტრაციული ბარიერებისგან დაცვის ინსტიტუციონალურ [22] და სხვა კონცეფციებთან ერთად, სხვა მიდგომებითაც არის განსაზღვრული.

მიმდინარე გლობალური პროცესების დაჩქარებამ **დაბალანაზღაურებადი მუშახელის, გარემოს დაბინძურების, ნახშირორჟანგის გამოფრქვევის ზრდის პრობლემები გაამწვავა** [3]. ეკონომიკური პოლიტიკის სამყაროში გაჩნდა **ახალი პარადიგმა ეკონომიკის სწავლებასა და თავად ეკონომიკაში.** მისი მიდგომის მთავარი პრიორიტეტი ის არის, რომ დაუყოვნებლივ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა **უთანასწორობა და კლიმატის ცვლილებები.** ეკონომიკის სტანდარტული ორიენტირები იცვლება უფრო რეალისტური და სასარგებლო ალტერნატიული ორიენტირებით. [14].

დასკვნა

უძველესი დროიდან ჩვენს დღევანდელობამდე, პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პერმანენტულად სენსიტიურ საკითხად მოიაზრებოდა. დღეს ეს პრობლემა მაქსიმალურ წონას იძენს. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ სფეროში ცენტრალური ადგილი ენიჭება პიროვნების ინტელექტუალურ პოტენციალს, ვინაიდან მხოლოდ მასზეა დამოკიდებული მომსახურების სექტორის გაუმჯობესება და ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოება, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლიანობის უმაღლეს სტანდარტს. მაშასადამე, თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური წარმატება უშუალოდაა დამოკიდებული სახელმწიფოს შესაძლებლობებზე, პიროვნული, მათ შორის ინტელექტუალური განვითარების მაჩვენებლებიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იადგაროვი ი. ს. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, სახელმძღვანელო, აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი, 2014.

2. კეინსი ჯ. (1995). დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია / თარგმნა რამაზ ნამიჭეიშვილმა; [რედ.: ელგუჯა თავბერიძე]. ქუთაისი : ს/ს "სტამბა"

3. კრუგმანი პ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. (2017). საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე. თბილისი.

4. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", თბილისი, 2010.

5. ხარიტონაშვილი ჯ. (2019). ეკონომიკური აზრის ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

6. აშშ კონსტიტუცია : კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა / სამეცნიერო რედაქტორი: მინდია უგრეხელიძე ; მთარგმნელები: მინდია უგრეხელიძე ; ვიქტორ ყიფიანი. გამომცემლობა „ჯისიაი". თბილისი, 1997.

7. Bedianashvili, G., & Kokhreidze, G. (2023). Public debt and foreign direct investment in small countries in the context of economic growth. *Sociālo Zinātņu Vēstnesis*, (1), 7-28.**7.**

8. Blaug, M. (1997). Economic theory in retrospect. Cambridge university press.

9. Goryainova L.V. History of economy tenets; practical-educational manual. – M: EALL centre, 2007. -248pp.

10. Kurz H. (2017). Economic Thought A Brief History. Translated by Jeremiah Riemer Columbia University Press. https://cup.columbia.edu/book/economic-thought/9780231172585

11. List F. (1909). The National System of Political Economy [1841]. *The National System of Political Economy by Friedrich List,* trans. Sampson S. Lloyd, with an Introduction by J. Shield Nicholson (London: Longmans, Green and Co.,1909). https://oll-resources.s3.us-east-2.amazonaws.com/oll3/store/titles/315/List_0168_EBk_v6.0.pdf

12. Papava, V. (2022). Cold War vs. Hot War in 2022. Eurasia Review, Febru¬ary 28. Availa-ble at: https://www.eurasiareview.com/28022022-cold-war-vs-hot-war-in-2022-oped

13. Siaset-name. The book on the governance of Nizam-al-mulk, **vazir** of the XI-th century. – Under the general editorship of the commission of the USSR Academy of Sciences. – editions of the USSR Academy of Sciences, 1949. -379pp.

14. Rodrik, D. (2021). Beware Economists Bearing Policy Paradigms. *Project Syndicate*.

15. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(4), 152-157.

16. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *World economy and international economic relations.- International Scientific Collection*, *5*.

17. Zoidze, G., Abuselidze, G., & Veshapidze, S. (2023). Economic Vulnerability of Small Powers. *Journal of Geography, Politics and Society*, *13*(3), 1-12.

18. Доклад о развитии человека / ПРООН. 1996. 82 с. [Электронный ресурс]. – URL: www.hdr.undp.org/en/content/sustainable-human-development-concepts-and-priorities

19. Банк О. А. ЭКОНОМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ ЛИЧНОСТИ В СИСТЕМЕ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ ГОСУДАРСТВА. RUSSIAN JOURNAL OF MANAGEMENT Том 8 № 2 , 2020

20. Блиничкина, Н. Ю. (2014). Вопросы формирования идеи экономической безопасности в экономической науке. *Вестник Таджикского государственного университета права, бизнеса и политики. Серия гуманитарных наук*, (4 (60)), 69-79.

21. Саталкина, Н. И. История экономического анализа : учебное пособие / Н. И. Саталкина, Б. И. Герасимов, Г. И. Терехова. - Тамбов : Изд-во Тамб. гос. техн. ун-та, 2009. - 100 с.

22. Эрнандо де Сото. (1995). Иной путь. Невидимая революция в третьем мире. М. : Перевод издательства "Catallaxy".

Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SOME ECONOMIC ASPECTS OF SECURITY IN THE CONTEXT OF ECONOMIC THEORIES

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.VESHPIDZE

Expanded Summary

The text emphasizes that the problem of economic security of a person is directly related to the formation of the state and the economic involvement of society. This can be reflected in the following historical contexts: a) Ancient societies: economic security mainly depended on clan or community support. The issue of individual security was not considered in isolation. b) Feudalism and mercantilism: the idea of economic security expanded and the state actively intervened in economic processes, for example, regulating coinage systems or protecting national markets. c) The era of industrialization: the economic security of the individual was linked to social guarantees such as wages, working conditions and pensions. d) Contemporary context: Today, economic security includes not only physical needs, but also digital security, challenges of globalization and the impact of environmental problems.

Field of interest and relevance of the paper. The work deals with the problems related to the origin of states and participation in economic life, the main focus of which is on ensuring the economic security of individuals, society and the state. The issue of economic security is still relevant today, which is caused by the growth of globalization, economic crises and new security challenges. The author emphasizes the importance of understanding contemporary problems through historical analysis, which allows to find out alternative ways of economic security.

The purpose of the research is to identify the historical types that ensured the economic security of the person.

Based on the purpose of the research, the following **tasks** were identified: separation of historical types of security (in terms of individual, society, state); including identifying common features and analyzing them in specific historical contexts. It helps to understand alternative ways of developing concepts of economic security of a person.

The subject of research is the evolution of economic security of a person. **The object of research is:** basic economic ideas, views and concepts.

Research methodology includes comparative analysis, historical method, induction and deduction, as well as its critical evaluation. These approaches contribute to the comparison of historical and modern contexts, to reveal their parallels, as well as to clarify the universal and specific factors of economic security. However, the research framework can be complex given the changing social, political and technological contexts.

Historical and contemporary connections. The paper analyzes approaches to ensuring economic security from ancient times to the present day; The main concepts related to today's reality are separated; It is revealed how past experience can become the basis for determining alternative ways of modern economic security. Therefore, the text emphasizes the fact that historical experience paves the way for the creation of alternative models. This includes: a) economic policy integration: global and local approaches; b) Inclusion of technological changes:

impact of digital economy and artificial intelligence on economic security; c) Environmental factors: the economic aspect of risks related to climate change.

General conclusions and future perspectives. The paper establishes that economic security is not a static concept; It changes over time. By analyzing past models, it is possible to create systems that balance the interests of individuals, society, and the state. Taking into account modern challenges requires a more multi-functional approach to economic security, which includes the integration of technological and environmental factors. In addition, the work deals not only with the historical aspects of the problems, but also with the possibilities of their practical application today. Analysis of historical types serves to develop new ways of economic security that respond to contemporary challenges. The work combines historical analysis, modern problems and establishing connections between them. It shows that the development of concepts of economic security over time relies on both past experience and the specifics of contemporary conditions. The text is the basis of a multifaceted analysis, which helps to identify alternative ways of ensuring economic security.

Keywords: Security, Human needs, Ensuring economic needs, The link between present reality and the past.

ნატალია დავლაშერიძე
ეკონომიკის დოქტორი
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
უფროსი მეცნიერთანამშრომელი

ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების გამოცდილების გამოყენება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.DAVLASHERIDZE

ანოტაცია. *ნაშრომში სისტემატიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში და გაანალიზებულია საქართველოში მისი გამოყენების შესაძლებლობები. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადამწყვეტ გავლენას ახდენს გლობალურ სამყაროში მკაფიო ადგილის უზრუნველყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს ერის ეროვნულ სტრატეგიულ ღირებულებას და პოტენციალს. განხილულია ევროკავშირის ქვეყნებში (გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, მცირე ქვეყნების დასავლეთ ევროპაში და ა.შ.) ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზები.*

ხაზგასმულია, რომ მსოფლიო წესრიგი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ხასიათდება ეკონომიკური არასტაბილურობით, ინფლაციით და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებით (მაგალითად, დასავლეთის სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ - და უკრაინის მარცვლეულის ექსპორტის შეფერხებამ შავი ზღვის გავლით - გამოიწვია ფასების მკვეთრი ზრდა ენერგომატარებლებზე და სურსათზე).

საჭირო გახდა სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინება, რამაც შექმნა უსაფრთხოების ახალი რისკები (როგორიცაა სწრაფი შეიარაღება და კიბერ საფრთხეები), ასევე ბუნებრივი რისკები, როგორიცაა პანდემია და კლიმატის ცვლილება. ეს ყველაფერი მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების ***ახალ*** *პროგრამას, არამედ* ***ახალი კომპლექსური*** *ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური უსაფრთხოება, მსოფლიო წესრიგი, ეკონომიკური სტაბილურობა.*

****

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სწრაფად ცვალებად პირობებში - გლობალიზაცია და გლობალური კრიზისები - ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან ეკონომიკა არის საზოგადოების არსებობის, სოციალური ურთიერთობების აგების და მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და ასეთი უსაფრთხოების წარმატებული გამოცდილების ანალიზი და შემდგომი ადაპტაცია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია ეროვნული ეკონომიკის მდგრადობისა და ეფექტურობის მისაღწევად. ევროკავშირის ქვეყნებში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება გაგებულია არა როგორც ეროვნული ეკონომიკისა თუ პოლიტიკის დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის მისწრაფების სურვილი დანარჩენი მსოფლიოსგან, არამედ როგორც ქვეყნის სტაბილური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითა-

რების მდგომარეობა, რისი უზრუნველყოფაც შესაზლბელია მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობით.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები განსხვავებულია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელსაც თითქმის ყველა სახელმწიფო იყენებს.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზებია:

– უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;

– სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება;

– ტერიტორიული კონფლიქტების დიპლომატიური გადაწყვეტა;

– კორუმპირებული მოხელეებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება;

– ყოვლისმომცველი საერთაშორისო პროგრამების ფორმირება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

– რეზერვებისა და ფონდების შექმნა.

ზოგადად, ამ პრობლემების გადასაჭრელად ევროკავშირის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისას ითვალისწინებენ მასში შემავალი ცალკეული სახელმწიფოების ინტერესებს, მათ ეროვნულ დოქტრინებს, პროგრამებს, ასევე ეროვნულს უსაფრთხოებას.

გერმანიაში, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე აქტიურ ქვეყანაში, ტერმინი ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების საერთო კეთილდღეობაზე და არა კონკრეტულ ქვეყანაზე.

გერმანიაში ეკონომიკური უსაფრთხოება უფრო მეტად ესმით, როგორც ეკონომიკური ზრდის სტაბილურობა. გერმანიის მდგრადი განვითარების სტრატეგია შეიცავს კონკრეტულ მიზნებს, რომელთა მიღწევაც გარკვეული ინდიკატორების საფუძველზე უნდა გაიზომოს.

სხვადასხვა ინსტიტუტები, მათ შორის გერმანიის მდგრადი განვითარების საბჭო (RNE), რომელიც შეიქმნა 2001 წელს, მზად არიან უზრუნველყონ, რომ მდგრადობა ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი გახდეს. გერმანიაში მდგრადი განვითარების პოლიტიკა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკასთან და ორიენტირებულია მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე - მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDGs), რომელიც ჩამოყალიბდა 2015 წელს გაეროს მიერ, როგორც 2030 წლისთვის დღის წესრიგის ნაწილი. გერმანიაში მდგრადი განვითარების თემა კანცელარიის პასუხისმგებლობას ეკუთვნის. მდგრადი განვითარების სახელმწიფო მდივნების კომიტეტი რეგულარულად იკრიბება ფედერალური კანცელარიის ხელმძღვანელის ეგიდით. 2004 წლიდან ბუნდესტაგი ასევე იწვევს მდგრადი განვითარების საპარლამენტო მრჩეველთა საბჭოს (PBnE). ეს მრავალპარტიული ორგანო თავის თავს მიიჩნევს პარლამენტში მდგრადობის პოლიტიკის „დამკვირვებლად" და აფასებს დაგეგმილ კანონმდებლობას გერმანიის მდგრადობის ეროვნული სტრატეგიის მიზნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. 2002 წელს გამოქვეყნდა გერმანიის პირველი ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგია სახელწოდებით „პერსპექტივები გერმანიისთვის". მიმდინარე ვერსია რატიფიცირებული იქნა ფედერალური კაბინეტის მიერ 2017 წლის იანვარში.

გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოთა უმეტესობას (Länder) ასევე გააჩნია საკუთარი მდგრადობის სტრატეგია.[28]

გერმანიის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ მრავალმხივ კანონად შეიძლება ჩაითვალოს კანონი „ეკონომიკის მდგრადობისა და ზრდის მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიხედვითაც „სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ საბაზრო ეკონომიკის არჩეული მოდელის ფარგლებში მან ერთდროულად ხელი შეუწყოს ფასების სტაბილურობას, დასაქმების მაღალ დონეს და გარე ეკონომიკურ წონასწორობას ეკონომიკური თანაზომიერი ზრდის ტემპისას. ამ დოკუმენტში გაწერილია ზომები, რომლებიც აუცილებლად მისაღებია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში შიდა და გარე საფრთხეების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია იმპორტირებული ნედლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია, ეს ფაქტი ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საფრთხედ არ განიხილებოდა (ყოველ შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის ომამდე). ენერგორესურსების მოხმარების მიღწეული დონის შენარჩუნებისას ისახება მიღწეულ იქნას სამრეწველო წარმოებისა და გერმანიის ექსპორტზე ფასების ზრდა. შიდა ეკონომიკური თვალსაზრისით კი მიზანია ქვეყნის ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობის გარანტია. საგარეო ეკონომიკური თვალსაზრისით ძირითადი აქცენტი, ეკონომიკის საექსპორტო ორიენტაციის გამო, კეთდება გაყიდვების ბაზრების სტაბილურობასა და გაუმჯობესებაზე. გერმანიაში ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად ძირითადი მეთოდებია საბაზრო ურთიერთობების ცივილიზებული ბუნების შესანარჩუნებლად ქმედებები, კონკურენციის თანაბარი პირობების შესაქმნელად, ცალკეულ დარგებში მონოპოლიზაციის თავიდან ასაცილებლად და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

მნიშვნელოვანი შესაბამისი დასკვნები გაკეთდა გერმანიისა და ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების მრჩეველთა საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშში 2023/2024 წლებში[29]:

1) გეოპოლიტიკური გაურკვევლობა მნიშვნელოვან რისკს უქმნის ეკონომიკურ განვითარებას და ინფლაციას. გაურკვევლობის ფაქტორებს წარმოადგენს კერძოდ, უკრაინაში მიმდინარე ომი და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი ისრაელზე ჰამასის ტერორისტული თავდასხმის შედეგად. ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის გამწვავებამ შესაძლოა ენერგომატარებლებზე ფასების ახალი ზრდა გამოიწვიოს.

2) კორონავირუსის პანდემიამ და ენერგეტიკულმა კრიზისმა კვალი დატოვა განსაკუთრებით ევროპასა და გერმანიაში. გერმანიის წარმოების მოცულობა ამჟამად თითქმის იმავე დონეზეა, როგორც კორონავირუსის პანდემიის დაწყებისას, თითქმის ოთხი წლის წინ. ამრიგად, გერმანიაში დაფიქსირდა ევროზონის ყველა ეკონომიკებს შორის ყველაზე დაბალი ზრდა კოროვირუსული პანდემიის დაწყების შემდეგ.

3) კიდევ უფრო ღრმა რეცესიის თავიდან აცილება გახდა შესაძლებელი ეკონომიკური პოლიტიკის მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, რომლებიც მიზნად ისახავდა ენერგომომარაგების შეცვლას და ენერგეტიკული კრიზისის ეკონომიკური

[28] Sustainability Policy in Germany. https://www.nachhaltigkeitsrat.de/en/sustainability-policy-in-germany

[29] Jahresgutachten 2023/24 ENERGIEKRISE SOLIDARISCH BEWÄLTIGEN, NEUE REALITÄT GESTALTEN https://www.sachverstaendigenrat-wirtschaft.de/jahresgutachten-2023.html

ზემოქმედების შერბილებას. თუმცა, ყოველწლიურ ანგარიშში წარმოდგენილი გერმანიის წარმოების პოტენციალის საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზი, მიუხედავად არსებული ეკონომიკური სისუსტისა, მიუთითებს ზრდის მნიშვნელოვან წინააღმდეგობებზე მომდევნო ათწლეულებში.

4) ეკონომიკის მოდერნიზაციაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), დინამიური დამწყები საქმიანობა და, კერძოდ, ახალგაზრდა მზარდი კომპანიები. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ასოცირებულ სტრუქტურულ ცვლილებებს კაპიტალის ბაზრის რეფორმები უნდა დაინერგოს გერმანულ და ევროპულ დონეზე, რაც გამოიწვევს უფრო ღრმა და ინტეგრირებულ კაპიტალის ბაზარს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მწვანე და ციფრულ ტრანსფორმაციას. მნიშვნელოვანი წინსვლაა საჭირო ვენჩურული კაპიტალის მეშვეობით ახალგაზრდა კომპანიების ზრდის დაფინანსებაში.

2024 წელს ჩატარებული შემოსავლების განაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გერმანიაში სიღარიბის რისკი გაიზარდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ რეალური შემოსავლები დაბალი შემოსავლის დიაპაზონში საშუალოზე დაბლა ვითარდებოდა.

ეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, შემოთავაზებულია რეფორმების გატარება, კერძოდ, ეკონომიკის მოდერნიზაციის მიზნით:

• აუცილებელია ინოვაციების შესაძლებლობების გაფართოება, სამეცნიერო კვლევებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, განათლების სექტორში ინვესტიციების გაზრდა და კვლევების დაფინანსების გაფართოება, განსაკუთრებით ისეთ სექტორთაშორისი ტექნოლოგიების სფეროში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და დიგიტალიზაცია.

• ინვესტიციებისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღება.

• ციფრული და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

• უზრუნველყოს კერძო და საჯარო ვენჩურული კაპიტალის მობილიზება სპეციალურად სტარტაპების ზრდის ფაზაში.

• გაზარდოს ინსტიტუციური ინვესტორებისათვის აქციონერული კაპიტალის შეთავაზებები.

• ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების გამარტივება.

• ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების ორგანოს (ESMA) მართვის კომპეტენციის გაფართოება.

• ევროპის ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის ჩარჩო პირობების შექმნა.

• უცხოური კაპიტალიდან შემოსავლების დაბეგვრის გამარტივება და ა.შ.

კაპიტალის მარაგის ზრდას შეიძლება ხელი შეუწყოს კარგად განვითარებულმა და ლიკვიდურმა კაპიტალის ბაზრებმა. ისინი ასევე ხელს უწყობენ კაპიტალის გადანაწილებას მისი ყველაზე პროდუქტიული გამოყენებისთვის და ინოვაციების დაფინანსებას. შესაბამისად, კარგად ფუნქციონირებად კაპიტალის ბაზრებს ცენტრალური მნიშვნელობა უკავიათ სუსტი ზრდის დასაძლევად და ციფრულ და მწვანე ტრანსფორმაციაში საჭირო ინვესტიციების დაფინანსებისთვის. თუმცა, გერმანიასა და ევროპაში კაპიტალის ბაზრები შედარებით განუვითარებელია.

გერმანიისა და ევროკავშირის დამოკიდებულება იმპორტზე (ევროკავშირისთვის ეს კიდევ უფრო მაღალია - 52%) საერთოდ არ არის დამოკიდებული სამომხ-

მარებლო საქონელზე (როგორც ბევრს, ვინც არ იცნობს რეალურ მდგომარეობას შეცდომით სჯერა). მაგალითად, გერმანიის სამი უმსხვილესი კრიტიკული იმპორტის ჯგუფია კომპიუტერები, თვითმფრინავების ძრავის ნაწილები და ანტიბიოტიკები; კრიტიკული იმპორტის მცირე ჯგუფების არარსებობაც კი შეიძლება შეაჩეროს გერმანიის წევის ელექტროძრავების, თვითმფრინავების, სამრეწველო რობოტების, 3D ბეჭდვის მოწყობილობების, საწვავის უჯრედების, ფოტოელექტრული სისტემების და ა.შ.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საშუალო და გრძელვადიანი გამოწვევები, როგორიცაა დეკარბონიზაცია, დემოგრაფიული დაბერება და ეკონომიკური და ფულადი კავშირის სტაბილურობა, არ უნდა გადავიდეს მეორე პლანზე. ეს ყველაფერი მოითხოვს ერთობლივ მოქმედებას და სოლიდარობას ევროპაში. მაღალი ვალის დონისა და საპროცენტო განაკვეთების ზრდის პირობებში, და აგრეთვე კრიზისთან დაკავშირებულ სამთავრობო ამოცანებზე გაზრდილი მოთხოვნებისას, რომელიც დაკავშირებულია კრიზისთან, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა იყოს გაძლიერებული.

საფრანგეთში ეკონომიკური უსაფრთხოება ხორციელდება ეკონომიკური საფრთხეების გაფრთხილების გზით პრევენციული ღონისძიებების საშუალებით. მთავრობა იყენებს ახალ სქემებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად, რომელიც ადაპტირებულია მსოფლიოში არსებულ ვითარებაზე. საფრანგეთში, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული მთავარი სახელმწიფო დოკუმენტი არის 1964 წლის ეროვნული უსაფრთხოების აქტი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

1. უცხოურ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დონის შემცირება;
2. სტაბილური პირობების ფორმირება და ეროვნული ეკონომიკის სექტორების თანაბარზომიერი განვითარება, განვითარებაში დისპროპორციების აღმოფხვრა;
3. ეკონომიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებზე დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება.

ესპანეთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომელმაც შეძლო აეშენებინა ღონისძიებების კომპლექსი მრავალდონიანი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თანამედროვე ესპანეთმა მიიღო ეკონომიკური უსაფრთხოების სპეციალური კონცეფცია, რომელიც გამოირჩევა ძლიერი და კარგად განვითარებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზით.

ქვეყანა ხასიათდება მაღალი ეფექტურობით ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრინციპების განხორციელებაში. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

1) ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგის სპეციალიზებული სამსახურის არსებობა;

2) მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოქნილი სისტემა;

3) დეპარტამენტების, სამინისტროების, ორგანიზაციების პასუხისმგებლობის სფეროების მკაცრი და ლოგიკური დელიმიტაცია;

4) აღმასრულებელი და საკანონმდებლო უფლებამოსილების ყველა ორგანოზე მკაცრი კონტროლი;

5) ეკონომიკური უსაფრთხოების დამტკიცებული პროგრამა;

6) ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დამტკიცებული პროგრამა.

იტალიაში აქცენტი კეთდება საგარეო ეკონომიკურ ექსპანსიაზე. ამ მიდგომის მნიშვნელოვანი საზღვარი იტალიის ფარგლებს გარეთ, არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), რომელიც ყურადღებას ამახვილებს იტალიაში არსებულ ვითარებაზე, მთავრობის დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობას და საგარეო სავაჭრო ოპერაციებს უცხოელ პარტნიორებთან. იტალიის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ფაქტორებია კოოპერატივების დანერგვა ინდუსტრიაში და იტალიელი მწარმოებლებისა და მეწარმეების დაცვა.

საერთაშორისო თანამშრომლობა, ტექნოლოგიური პარტნიორობის გარდა, აქტიურად ვითარდება სხვა სფეროებში. თუმცა, ეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის ოფიციალური შექმნა არ არის პრიორიტეტი იტალიის მთავრობისთვის. მთავარი ძალისხმევა მიმართულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და ზრდისაკენ და თანამშრომლობის ხელმისაწვდომი და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბალტიის ქვეყნებს, უნგრეთს, სლოვაკეთს, ჩეხეთს, პოლონეთს ცალ-ცალკე აქვთ შეზღუდული პოტენციალი გავლენა მოახდინონ მსოფლიო ეკონომიკაზე, ამიტომ ისინი ირჩევენ განვითარების მოდელებს, რაც შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მოქნილი და მდგრადი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში მათ ჩამოაყალიბეს და წარმატებით განახორციელეს ეროვნული თითქმის იდენტური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც მოიცავს: 1) გეოპოლიტიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასება; 2) ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების კორექტირება; 3) განვითარების ვექტორისა და სტრატეგიის არჩევა; 4) განვითარების საბაზისო, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კორელაცია, მსოფლიო და რეგიონალურ სტანდარტებთან;

5) ქცევის ეფექტური მოდელის შექმნა 5, 10, 30 წლისთვის.

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ამ ქვეყნების პოტენციალის განვითარებას, ასევე ამცირებს სოციალურ ტვირთს მოსახლეობაზე. კერძოდ, უნგრეთი მიიჩნევს ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საფრთხეებს: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეებს, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირების პრობლემებს. პოლონეთის კონცეფციაში კიდევ ერთი საფრთხე დაემატა ზემოთ ჩამოთვლილ უნგრეთის ეკონომიკურ უსაფრთხოებას – სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის იმპორტის შეწყვეტას ან მნიშვნელოვან შეზღუდვას.

მცირე ქვეყნების გამოცდილება დასავლეთ ევროპაში (**ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, შვეიცარია**) ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აჩვენებს, რომ მათი ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის მთავარი სტრატეგიული მიზანია ეკონომიკის მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და მოდერნიზაციის უზრუნველყოფა მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პირობების შესაბამისად. ამ ქვეყნებს არ აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იმოქმედონ მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებაზე. ისინი იძულებულნი არიან მოერგონ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პირობებს, შეცვალონ ეროვნული ეკონომიკის არსებული სტრუქტურები და მათი განვითარების პროპორციები. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკის მოქნილი, ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის ფორმირების სტრატეგიული მიზნები. ამავე დროს, ევროკავშირის ე.წ. "მცი-

რე ქვეყნები" განსაზღვრავენ ეკონომიკის ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის სტრატეგიულ მიზნებად ჩამოყალიბებას.

ზოგადად, ევროკავშირის ქვეყნებმა, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ეკონომიკა, მნიშვნელოვანი და ხარისხობრივი ნახტომი გააკეთეს მათი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებმა არ გაითვალისწინეს გარე ფაქტორების გავლენა. აშშ-ს ეკონომიკასთან გაერთიანებული და ინტეგრირებულნი, ისინი მოექცნენ ამ ქვეყნის ეკონომიკის გავლენის ქვეშ. ნებისმიერ დროს, შეერთებულ შტატებს შეუძლია დააწესოს ეკონომიკური სანქციები ევროკავშირის კომპანიების წინააღმდეგ, გაყინოს ამ კომპანიების აქტივები და ანგარიშები, რაც სინამდვილეში ნიშნავს სრულ კონტროლს ასეთი კომპანიების ქმედებებსა და საქმიანობაზე. შედეგად, ჩვენ ვაკვირდებით მჭიდრო ურთიერთკავშირს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, ან უბრალოდ რომ ვთქვათ "ეკონომიკის პოლიტიზებას".

თანამედროვე პირობებში, კერძოდ, უკრაინის ომისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გამო, მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნები, დგანან ახალი, ჯერ კიდევ უცნობია მისი ზომით, გლობალური კრიზისის ზღვარზე, რომელიც ახლა იწყებს საკუთარი თავის გამოვლენას და გაძლიერებას. ამრიგად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ექსპერტი გლობალური ფინანსების შესახებ, ნოურიელ რუბინი, თავის სტატიაში პროექტის სინდიკატის ვებ -გვერდზე "რუსეთის ომი და გლობალური ეკონომიკა" წერს, რომ "მაცდურია ვიფიქროთ, რომ სპეცოპერაცია უკრაინაში მოახდენს უმნიშვნელო ეკონომიკურ და ფინანსურ გავლენას მსოფლიოში, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 3%. დღევანდელი კრიზისი წარმოადგენს თვისებრივ გეოპოლიტიკურ ნახტომს. მისი გრძელვადიანი ეფექტები და მნიშვნელობა ძნელი გადასაფასებელია"[30]. ეკონომისტის თქმით: ომი უკრაინაში არის მესამე ასიმეტრიული შოკი, რომელიც ევროკავშირმა განიცადა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. 2008 წლის ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა ევროზონის კრიზისი, შემდგომ დაიწყო COVID-19 პანდემია. ასიმეტრიული შოკი არის ეკონომიკური პირობების მოულოდნელი ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ევროკავშირის ქვეყნებზე სხვადასხვა ხარისხით. კერძოდ, უკრაინაში ომი ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს მის მეზობელ ქვეყნებზე ლტოლვილთა შემოდინებასა და ამ ქვეყნების ჯერ კიდევ დამოკიდებულების გამო რუსულ გაზზე.

ამრიგად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

– ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტია და განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკის დაცვის მდგომარეობით გარე და შიდა საფრთხეებისგან;

– ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეები არის გარკვეული პირობები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას, რაც მისი ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტია;

– მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი გზები, კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ აქვთ საერთო ფესვები, რომლებიც გამოხატულია მდგრადი განვითარების

[30] NOURIEL ROUBINI, Russia's War and the Global Economy. https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02

დონის შენარჩუნებისა და კრიზისის დროს ეკონომიკური სტაგნაციის თავიდან აცილების ამოცანებში;

– მსოფლიო წესრიგი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ხასიათდება ეკონომიკური არასტაბილურობით, ინფლაციით და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებით (მაგალითად, დასავლეთის სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ - და უკრაინის მარცვლეულის ექსპორტის შეფერხებამ შავი ზღვის გავლით - გამოიწვია ფასების მკვეთრი ზრდა ენერგომატარებლებზე და სურსათზე). ასევე, საჭირო გახდა სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინება, რამაც შექმნა უსაფრთხოების ახალი რისკები (როგორიცაა სწრაფი შეიარაღება და კიბერ საფრთხეები), ასევე ბუნებრივი რისკები, როგორიცაა პანდემია და კლიმატის ცვლილება. ეს ყველაფერი მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების **ახალ** პროგრამას, არამედ **ახალი კომპლექსური** ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას.

საბოლოო ჯამში, ევროკავშირის ქვეყნების მიერ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების წარმატებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და სიძლიერეზე. მხოლოდ ძლიერ ეკონომიკებს შეუძლიათ წარმატებით დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები ზრდადი გლობალური კონკურენციისა და გლობალური ეკონომიკური დისბალანსების ფონზე.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა დაეყრდნონ მსოფლიო გამოცდილებას ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში, არამედ, პირველ რიგში, განახორციელონ ეროვნული და საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური რეფორმები ყველა სუბიექტის დასაცავად. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა გადამწყვეტი ფაქტორია გლობალურ სამყაროში სახელმწიფოს მკაფიო ადგილის შესანარჩუნებლად, რაც საშუალებას მისცემს გამოავლინოს ეროვნული პოტენციალი. გლობალურ ეკონომიკაში გაჩნდა ახალი რეალობა, რომელშიც ძირითადი ეროვნული პრიორიტეტები უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვებისა და სტრატეგიული ავტონომიის მდგრადობას. მცირე ქვეყნები განსაზღვრავენ ეკონომიკის ეფექტური სტრუქტურისა და სპეციალიზაციის ფორმირებას მათი სტრატეგიული მიზნებით. ამრიგად, საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციაში და ევროპაში ენერგომომარაგების უზრუნველყოფაში.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროექტებს, რომლებიც მიმართულია სატრანზიტო და ლოგისტიკური ფუნქციის გაძლიერებისაკენ, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრო კაბელი და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი[31].

საქართველო უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროკავშირისთვის ენერგომომარაგების თვალსაზრისით. შავი ზღვის გასწვრივ გაყვანილი კაბელი ევროპაში ენერგიის ტრანსპორტირებისთვის უნდა გახდეს "საქართველოსა და მთელ რეგიონთან თანამშრომლობის სიმბოლო. მანამდე აზერბაიჯანმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ ევროპას საქართველოს გავლით მიაწოდოს ელექტროენერგია და უნგრეთი გახდა პირველი ევროკავშირის ქვეყანა, რომელიც რეალურად გამოხატავდა ამის მიმართ ინტერესს. ჩვენი აზრით, ისეთი მცირე სახელმწიფოს გადარჩენის მთავარი პირობა,

[31] https://bm.ge/news/mnishvnelovania-anakliis-portis-ganvitareba-da-dzalian-male-daitsyeba-samsheneblo-samushaoebi-premieri

როგორიც საქართველოა, გარე გარემოში ცვლილებების მიმართ ადაპტირება. მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გადარჩენის იგივე პრობლემა შეექმნა ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ზომებით შეესაბამებიან საქართველოს, როგორიცაა: დანია, ნორვეგია, შვეიცარია, ირლანდია, ბელგია, ნიდერლანდები. თითოეულმა ამ ქვეყანამ აღმოაჩინა თავისი სპეციალიზაცია თავის რეგიონში, წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა და გადარჩა როგორც სახელმწიფო.

ამასთან დაკავშირებით, გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიზანი უნდა იყოს საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა ყველა მიმართულებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური განვითარების დონით დაახლოების შემთხვევაში, ცხოვრების დონისა და სტანდარტების თვალსაზრისით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაახლოება თავისთავად მოხდება. არ იქნება საჭირო ბარიერების აგება ხალხის, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილებისთვის. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა და შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ვერავინ ვერ დააკავებს ხალხს, ბიზნეს სუბიექტებს, კაპიტალებს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ისინი უკეთეს გამოყენებას ნახავენ ევროპისა და მსოფლიოს სხვა ადგილებში.

ამრიგად, საქართველოსთვის, რომელიც ცდილობს გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით - ტექნოლოგია, აღჭურვილობა, შრომის პროდუქტიულობა, წარმოების ხარჯები, ხელფასები და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Sustainability Policy in Germany.
2. https://www.nachhaltigkeitsrat.de/en/sustainability-policy-in-germany
3. Jahresgutachten 2023/24 ENERGIEKRISE SOLIDARISCH BEWÄLTIGEN, NEUE REALITÄT GESTALTEN https://www.sachverstaendigenrat-wirtschaft.de/jahresgutachten-2023.html
4. OECD Economic Outlook, Volume 2024 Issue 1, https://www.oecd-ilibrary.org/economics/oecd-economic-outlook/volume-2024/issue-1_69a0c310-enen;jsessionid=92nyFIM8ZvUm4P_gDXNOHi9Opi8WeTm9WjFx-qP6.ip-10-240-5-137
5. Global Economic Prospects. https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects?intcid=ecr_hp_headerA_2024-06-11-GEPReport
6. What the global economy and security require - The Business & Financial Times (thebftonline.com) https://thebftonline.com/2024/01/16/what-the-global-economy-and-security-require/

Natalia Davlasheridze

TSU P. Gugushvili Institute of Economics,

Doctor of Economics, Senior Researcher

USING THE EXPERIENCE OF ECONOMIC SECURITY OF THE EUROPEAN UNION COUNTRIES IN THE ECONOMIC POLICY OF GEORGIA

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.DAVLASHERIDZE

Expanded Summary

The article systematizes the experience of developing and implementing EU measures in the field of economic security and analyzes the possibility of its application in Georgia. The expe-

rience of the member States of the European Union has shown that the economic security of a nation has a decisive impact on ensuring a clear place in the global world, which takes into account the national strategic value and potential of the nation. The most common ways of ensuring economic security in the countries of the European Union (Germany, France, Italy, Spain, former socialist countries, small countries of Western Europe, etc.) are considered. It is emphasized that the world order is undergoing significant changes characterized by economic instability, inflation and disruptions in supply chains (for example, Western sanctions against Russia – and the disruption of Ukrainian grain exports across the Black Sea led to a sharp increase in energy and food prices). It was necessary to take into account rapid technological progress, which created new security risks (such as the arms race and cyber threats), as well as natural risks such as pandemics and climate change. All this requires a new economic security program not only for individual countries, but also a new comprehensive economic security program. Economic security is an integral part of the national security of the state and is determined by the state of protection of the state's economy from external and internal threats.

Threats to economic security are certain conditions and factors that contribute to a negative impact on the economy of a state, which is the main component of its national security. The main ways to combat threats to economic security in different countries of the world differ from each other, but have common roots, which are expressed in the tasks of maintaining a sustainable level of development and preventing economic stagnation during the crisis. Ultimately, the successful provision of the national economic security of the EU countries depends on the stability and strength of the country's economy. Only strong economies can successfully defend their national interests in the face of growing global competition and global economic imbalances.

Therefore, States should not only rely on international experience in developing the concept of national security, but also, above all, implement national and foreign policy economic reforms to protect all actors.

Due to Georgia's strategic location, it can play an important role in diversifying transport routes and ensuring Europe's energy supply. Of particular importance to Georgia are projects aimed at strengthening its transit and logistics function, in particular, the Baku-Tbilisi-Kars railway, the Black Sea underwater power cable and the deep-water port of Anaklia.

Georgia is becoming increasingly important for the security of the European Union in terms of energy supply. The cable laid across the Black Sea to transport energy to Europe should become "a symbol of cooperation between Georgia and the entire region." Before that, Azerbaijan expressed its readiness to supply electricity to Europe through Georgia, and Hungary became the first EU country to actually express interest in this.

In our opinion, the main condition for the survival of such a small state as Georgia is adaptation to changes in the external environment. Countries such as Denmark, Norway, Switzerland, Ireland and the Netherlands faced the same problem of survival. Each of these countries has found its own specialization in its region, successfully solved this problem and survived as a state. In this regard, since Georgia's goal is its accession to the European Union, the main goal of national security in the long term should be Georgia's achievement of EU standards in all areas and in all directions - technology, equipment, labor productivity, cost of production, wages, etc.

Keywords: economic security, World Order, economic stability.

ლურჯი ეკონომიკა – BLUE ECONOMY

თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე;
კსუ ასოცირებული პროფესორი.

„ლურჯი ეკონომიკა" და მდგრადი განვითარების გამოწვევები

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.LAZARASHVILI

ანოტაცია. *„ლურჯი ეკონომიკა", ანუ ოკეანის ეკონომიკა სულ მეტ პოპულარობას იძენს მთელს მსოფლიოში. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ „ლურჯი ეკონომიკა" არის „მწვანე" მიდგომების განვითარების შემდგომი საფეხური.*

2009 წელს ბელგიელმა ეკონომისტმა გიუნტერ პაულიმ რომის კლუბის სხდომაზე (საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია) წარმოადგინა მოხსენება „„ლურჯი ეკონომიკა": 10 წელი, 100 ინოვაცია, 100 მილიონი სამუშაო ადგილი". ეს დღე შეიძლება ჩავთვალოთ ათვლის წერტილად, როდესაც „ლურჯი ეკონომიკის" კონცეფციამ დაიწყო მთელს მსოფლიოში გავრცელება.

გ. პაულის გამოსვლის შემდგომ „ლურჯი ეკონომიკის" ცნებამ განიცადა ევოლუცია. დღეისათვის ეს არის ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახე, რომელიც დაკავშირებულია ოკეანეებთან, ზღვებთან და სანაპიროებთან, მიუხედავად იმისა ხორციელდება თუ არა ისინი საზღვაო ზონაში (მაგ. ნაოსნობა, თევჭერა, ენერგიის წარმოება), თუ ხმელეთზე (პორტები, აკვაკულტურა ხელოვნურ საცავებში, სანაპირო ტურიზმი).

„ლურჯი ეკონომიკა" გულისხმობს მსოფლიო ოკეანის რესურსების მდგრად გამოყენებას, რომელიც დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე: წყლის რესურსების დაცვასა და შენარჩუნებაზე, ბუნების დაცვის მენეჯმენტზე და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციისთვის გადაწყვეტილებების დანერგვაზე. კლიმატური გადაწყვეტილებები დაფუძნებული ოკეანის რესურსებზე თამაშობენ მნიშვნელოვან როლს გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში: მათი მეშვეობით შესაძლებელია 21%-ით შემცირდეს ნახშირორჟანგის გამორტყოცნის მოცულობის შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს ტემპერატურის აწევას 1,5°C-ით 2050 წლისთვის.

საკვანძო სიტყვები: *„ლურჯი ეკონომიკა", მდგრადი განვითარება, ზღვის რესურსები.*

****

გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი დიდ ცვლილებებს განიცდის და ამიტომ მდგრადობამ, რესურსების რაციონალურმა მართვამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა. ასეთი ცვლილებების ფონზე მდგრადი „ლურჯი ეკონომიკა" წარმოადგენს მრავლისმეტყველ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით სანაპირო ზოლის მქონე ქვეყნებისთვის. „ლურჯი ეკონომიკა" დღეისათვის ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში და გააჩნია სამი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა: ეკონომიკისთვის ოკეანეების საერთო სარგებელი, მოთხოვნა ოკეანეების ეკოლოგიური და ეკოლოგიური მდგრადობის საკითხების გადა-

საჭრელად და ოკეანის ეკონომიკა, როგორც მზარდი შესაძლებლობა ორივე მხარისთვის.

დაახლოებით 50 წელია კაცობრიობა ცდილობს გადაჭრას გარემობუნების კლიმატური ცვლილებისა და დეგრადაციის პრობლემები. მაგრამ სიტუაცია სულ უფრო მწვავდება. გრძელდება სასათბურე გაზების გამოფრქვევის ზრდა, იზრდება გლობალური დათბობა, ხშირდება ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები, მცირდება ბიომრავალფეროვნება და ა.შ. ყველაფერი ეს წარმოადგენს ანთროპოგენური ეპოქას დადგომის შედეგს, ე.ი. ადამიანის საქმიანობის უპრეცენდენტო აქტივიზაციის ეპოქის, რასაც დიდად ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს ფორმულირებულმა სამომხმარებლო საზოგადოებამ, რომელიც სტიმულირებს კონკურენციას, ჭარბ წარმოებას და შეუზღუდავ ეკონომიკურ ზრდას.

1970-იანი წლიდან დ3ედამიწის მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ მეტად და უახლოვდება 8 მლრდ ადამიანს. პროგნოზის მიხედვით 2050 წლისთვის იგი მიაღწევს 10 მლრდ, ხოლო 2100 წლისთვის - 11 მლრდ ადამიანს, რაც გამოიწვევს გადაჭარბებულ უსაზღვრო მოხმარებას და უკვე ამოწურული რესურსების შემდგომ დეგრადაციას. დღეისათვის დედამიწაზე ყოველწლიურად მოიხმარება 3,8 ტრილიონი მტკნარი წყალი, 17 მლრდ. ტ. მინერალური, სამშენებლო და ენერგეტიკული პროდუქტები, 5,8 მლრდ. ტ. ტყის რესურსები და 5 მლრდ. ტ. სასურსათო საქონელი. მხოლოდ გამოყენებული რესურსების მცირე ნაწილი გადამუშავდება და გამოიყენება მეორადი მოხმარებისათვის. წარმოების ნარჩენების საერთო მოცულობა ფასდება 10-11 მლნ ტონად წელიწადში.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამრეწველო თევჭერის შედეგად დაკარგულია თევზის მარაგის 33%. კლიმატზე ადამიანის საქმიანობის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად გარემობუნებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ხმელეთის 77%-ის (ანქტარტიდის გამოკლებით) და 87% ოკეანის ფართობის, რომელიც განპირობებული იყო ველური ძუძუმწოვრებისა და მცენარეების ნახევარი ბიომასის დაკარგვით.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ოკეანის ექსტრემალური მოვლენების მასშტაბებისა და სიხშირის ზრდის გამო უმეტეესობა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი საზღვაო რეგიონების ადგილობრივი კლიმატური პირობები გასცდა ისტორიულ საზღვრებს. ამას გარდა, 2014 წელს ექსტრემალურმა სიცხემ პირველად მოიცვა 50%-ზე მეტი მსოფლიო ოკეანის ფართობი, რაც, სპეციალისტების აზრით, მოწმობს „ახალ ნორმაზე“ გადასვლაზე. ახალ პირობებში შესაძლებელია ოკეანის ეკოსისტემის სტრუქტურის, ფუნქციის და მომსახურების ძირეული ცვლილება. მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი კერძოდ, თევზის მარაგის განაწილებასა და კვლავწარმოებაში, რასაც მოყვება სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

მთლიანობაში ახლო მომავალში არსებული მთლიანი რაოდენობის 8 მლნ ცხოველებისა და მცენარეების სახეობებიდან შეიძლება გადაშენდეს დაახლოებით 1 მლნ ცხოველების სახეობა. ამასთან სახეობების გადაშენების დღევანდელი ტემპი მთელს სამყაროში არა ამარტო აჭარბებს საშუალო მაჩვენებლებს ბოლო 10 მლნ წლის განმავლობაში, არამედ ჩქარდება. გადაშენების საფრთხის ქვეშ იმყოფება უფრო მეტი სახეობა, ვიდრე მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ჯერ კიდევ 2009 წელს მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს ე.წ. „პლანეტარული საზღვრების“ კონცეფცია. ისინი განსაზღვრავენ უსაფრთხო სამუშაო სივრცეს კაცობრიო-

ბისათვის დედამიწა-ადამიანი სისტემის ჩარჩოში და დაკავშირებული არიან პლანეტის ბიოფიზიკურ ქვესისტემებთან. უმეტესობა მათგანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ზოგიერთი ცვლადების განსაზღვრული დონეების მიმართ, რომელთა გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს მავნე და კატასტროფული შედეგი ადამიანებისათვის და პლანეტისთვის.

მეცნიერებმა გამოყვეს კრიტიკული სიდიდეები (საზღვრები) 9 პირობითი მიწის სისტემებისათვის: კლიმატის, ბიომრავალფეროვნების, აზოტისა და ფოსფორის ბიოქიმიური ციკლების, ოკეანეების მჟავიანობის, ადამიანის მიერ მოხმარებული მსოფლიო მტკნარი წლის მო0ცულობის, ხმელეთის ეკოსისტემის ცვლილების, ატმოსფეროში აეროზოლის შემცველობის, გარემობუნების ქიმიური დაბინძურების.

2015 წელს დაფიქსირებული იყო ხმელეთის ეკოსისტემის ცვლილების უსაფრთხო ზღვარის გადაჭარბება და აგრეთვე პლანეტარული საზღვრების დარღვევა, რომლებიც განსაზღვრავენ ბიოქიმიურ ციკლებს, არა მხოლოდ აზოტით, არამედ ფოსფორით.

ამჟამად არსებობს მტკიცებულებები გარემობუნების ქიმიური დაბინძურების დასაშვები საზღვრის გადაჭარბების, ქიმიური წარმოების სწრაფი განვითარების შედეგად. 1950 წლიდან ქიმიური ნივთიერებების წარმოება გაიზარდა 50-ჯერ. ამჟამად მსოფლიო ბაზარზე ცირკულირებს დაახლოებით 350 ათასი ქიმიური ნივთიერება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დარეგისტრირებული იყო დაახლოებით 70 ათასი ე.წ. ახალი ობიექტები, მ.შ. თითქმის 30 ათასი - საბაზრო ეკონომიკის ფორმირებად ქვეყნებში, რომლ;ებიც დემონსტრირებენ ასეთი ობიექტების წარმოების ზრდის მაღალ ტემპებს, მაგრამ ხშირად არ აქვთ მისი აღმოფხვრის ტექნოლოგიები. მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის ქიმიური პროდუქციის წარმოება 2010 წელთან შედარებით გასამმაგდება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია გამოყოფს „ლურჯი ეკონომიკის" 11 საბაზისო და 6 ფორმირებად დარგს. ტრადიციულ დარგებს მიეკუთვნება: თევჭერა, ზღვის პროდუქტების გადამუშავება, ნაოსნობა, პორტის ინფრასტრუქტურა, გემთმშენებლობა და გემების შეკეთება, გაზისა და ნავთობის მოპოვება შელფზე, საზღვაო მშენებლობა, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, საზღვაო ბიზნესის მომსახურება, საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და განათლება, გათხრითი სამუშაოები ზღვის ფსკერზე. ფორმირებად დარგებს კი – ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სექტორები: ოფშორული ქარის ენერგია, ოკეანის განახლებადი ენერგია, საზღვაო ბიოტექნოლოგიები, მაღალტექნოლოგიური ზღვის პროდუქტები და მომსახურება, ნავთობისა და გაზის მოპოვება ღრმაწყლიან ზონებში, ზღვის აკვაკულტურა.

„ლურჯი ეკონომიკა" „მწვანე ეკონომიკის" მომდევნო, შედარებით სრულყოფილი საფეხურია. ნოვატორული „ლურჯი" მიდგომა შემდგომში ალტერნატივაა „წითელი" და „მწვანე" ეკონომიკების და ორიენტირებულია მოცემული მოდელების ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ. „მწვანე" აქტივისტები ფართოდ აკრიტიკებენ თანამედროვე ეკონომიკას მისი დესტრუქციული ხასიათისა და კრიზისებისადმი დაქვემდებარების გამო, თუმცაღა მათ მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები, პირველ რიგში იგნორირებენ მომხმარებელთა ინტერესებს, მეორე მხრივ კი ქმნიან კეთილსასურველ პირობებს სპეკულაციის სხვადასხვა სახეებისთვის. „ლურჯი ეკონომიკა" ვარაუდობს მოახდინოს სიმბიოზური ურთიერთობების ფორმირება ადა-

მიანსა და ბუნებას შორის, სამომხმარებლოს საპირწონედ და ამით არ დაარღვიოს არსებული საბაზრო მექანიზმები.

„ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპების დანერგვის მნიშვნელობას აღიარებს საერთაშორისო თანასაზოგადოება, დღეისათვის უკვე შემუშავებულია გლობალური სტრატეგიები. ჯერ კიდევ 2017 წელს იქნა გამოქვეყნებული გაეროს მსოფლიო ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი ანგარიში – „ლურჯი ეკონომიკის“ პოტენციალი. ანგარიშში ხაზგასმულია „ლურჯი ეკონომიკის“ პირობების დაცვის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოებისათვის და სანაპირო განვითარებული ქვეყნებისათვის, აგრეთვე განისაზღვრება მათი ძირითადი ამოცანები: ზღვის ეკოსისტემების დაცვა; სანაპირო ზონების ინტეგრირებული მართვა; ზომები, რომლებიც ხელს უწყობენ ნახშირბადის შთანთქმას; მასტიმულირებელი ფინანსური მექანიზმების დანერგვა და სხვა. ოკეანის რესურსების მდგრადი მართვა მოითხოვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და აგრეთვე სახელმწიფოებს და კერძო სექტორებს შორის, საკმაოდ ფართო მასშტაბებში.

2021 წელს გაეროს გლობალურმა ანგარიშმა გამოუშვა საერთაშორისო კვლევა „ოკეანისა და კლიმატის კავშირი“, რომელშიც მთავრობებსა და ბიზნესს ეძლევა საკვანძო რეკომენდაციები მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოსაყენებლად ოთხი მიმართულებით: საზღვაო ტრანსპორტი გამონაბოლქვის ნულოვანი დონით, დაბალი ნახშირბადის „ლურჯი“ კვების პროდუქტები, ზღვის განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება და ბუნებრივი გადაწყვეტილებები (ზღვის წყალმცენარეების გამოყენებაზე აქცენტით). კვლევაში გამოყოფილია 6 საკვანძო ნაბიჯი, რომლებიც საშუალებას იძლევა მსოფლიო ოკეანეში საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის პარიზის შეთანხმების მიზნების მისაღწევად. დოკუმენტში აგრეთვე განსაზღვრულია საზღვაო ტრანსპორტისათვის „ტრაექტორია 1,5°C“. ამას გარდა შემუშავებულია „სუფთა“ საზღვაო განახლებადი ენერგიისა და ოკეანის რესურსების გამოყენების ინტეგრაციის საგზაო რუქა.

„ლურჯი ეკონომიკის“ განვითარება ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მე-14 მიზანში „ოკეანეების, ზღვების და ზღვის რესურსების შენარჩუნება და რაციონალური გამონოყენება“. გაეროს ეგიდის ქვეშ ხორციელდება საზღვაო სფეროს მდგომარეობის გლობალური შეფასება, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების ჩათვლით. გაეროში აგრეთვე მიმდინარეობს ზღვებისა და ოკეანეების მდგრადობის ნებაყოფლობითი ვალდებულებების რეესტრის წარმოება. 2021-2030 წლები გამოცხადებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მეცნიერების საერთაშორისო ათწლეულად ოკეანეების შესახებ მდგრადი განვითარების ინტერესებში.

2023 წლის მარტში - გაეროში მიღებულ იქნა მსოფლიო ოკეანის დაცვის შესახებ შეთანხმება, რომლის თანახმადაც 2030 წლისთვის ოკეანეების 30% იქნება დაცული ტერიტორიები (ამჟამად მხოლოდ 10%-ია დაცული). ამ ტერიტორიებზე იმოქმედებს შეზღუდვები თევჭერაზე, ნაოსნობაზე და გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებზე. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია მსოფლიო ოკეანის ეკოსისტემის შემდგომი დეგრადაციის შეწყვეტისათვის და ბიოსფეროს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები გამოიმუშავებენ „ლურჯი“ ფინანსირების პრინციპებს - ფართოდ გავრცელებული „მწვანე“ ფინანსების ანალოგიურად. მსოფლიო ბანკმა 2018 წელს შექმნა მულტიდონორული სატრასტო ფონდი Problue, რომელიც შედიოდა პროგრამაში Umbrella 2.0.. Problue ღებულობს დაფი-

ნანსებას ნორვეგიიდან, შვედეთიდან, ისლანდიიდან, ევროპული კომისიიდან და აშშ-დან.

2022 წლის იანვარში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (ინსტიტუტი რომელიც შედის მსოფლიო ბანკის სტრუქტურაში) გამოუშვა „ლურჯი ფინანსირების სახელმძღვანელო". „ლურჯი ობლიგაციები" და „ლურჯი სესხები" ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტებია, რომლებიც გულისხმობენ სახსრების გამოყოფას განსაკუთრებით იმ პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ოკეანისა და სხვა წყლის რესურსების დაცვას. ავტორები გვთავაზობენ კრიტერიუმების 3 ძირითად ჯგუფს, რომლის მიხედვითაც პროექტი შეიძლება მივაკუთვნოთ „ლურჯს".

1. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს „მწვანე"ობლიგაციების და „მწვანე" კრედიტის პრინციპებს და აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნებს №6 („სუფთა წყალი ყველასთვის") და №14 („ზღვის ეკოსისტემების შენარჩუნება").
2. პროექტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მდგრადი განვითარების მიზნების სხვა მიღწევებს (მ.შ. ისეთის, როგორიცაა „შიმშილის ლიკვიდაცია", „ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია", „პასუხსიმგებლიანი (გონივრული) მოხმარება და წარმოება", „კლიმატის ცვლილებისადმი წინააღმდეგობა").
3. პროექტში მკაფიოდ უნდა იყოს ნანაჩვენები მდგრადი განვითარების რომელ აღიარებულ სტანდარტებს მიჰყვება. მოსალოდნელია, რომ დაცული იქნება საბაზო დარგობრივი კლასიფიკაციის საქმიანობის სტანდარტები და წამყვანი პრინციპები (გაიდლაინები) მსოფლიო ბანკის გარემობუნერების, ჯანმრთელობისა და შრომის დაცვის შესახებ და ანალოგიური დოკუმენტები.

„ლურჯი" ფული. 2018 წელს მსოფლიო ბანკმა სეიშელებთან ერთად გამოუშვა პირველად მსოფლიოში „ლურჯი" ობლიგაციები 15 მლნ აშშ დოლარის ოდენობის თევჭერის სფეროში მდგრადი პროეტების მხარდასაჭერად.

2019 წელს მსოფლიო ბნაკმა Morgan Stanley-სთან ერთად გამოუშვა „ლურჯი" ობლიგაციები 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პლასტიკური ნარჩენებით ოკეანეების დაბინძურების პრობლემების გადაჭრის მიზნით; და შვეიცარულ კომპანია Swiss- თან ერთობლივად - 28,6 მლნ აშშ დოლარზე მტკნარი წყლისა და ზღვის ცხოველების საარსებო გარემოს დაცვისა და აღდგენის დაფინანსების მიზნით.

მსოფლიო ბანკის ინიციატივების შემდგომ მთელმა რიგმა ფინანსურმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა აგრეთვე დაიწყეს ან გეგმავენ „ლურჯი" ობლიგაციების გამოშვებას.

იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ მდგრადი ლურჯი ეკონომიკის არსს, საჭიროა მისი ძირითადი პრინციპების და ურთიერთკავშირის შესწავლა.

ეკოლოგიური მდგრადობა. მდგრადი ლურჯი ეკონომიკის საფუძველში დევს ზღვის ეკოსისტემების დაცვის ვალდებულება, რაც გულისხმობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, დაბინძურების შემცირებას და კლიმატის ცვლილების შედეგის შესუსტებას. მდგრად მეთოდებს, როგორიცაა ზომიერი თევზჭერა და ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნა თამაშობენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს.

ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება იკავებს საკვანძო ადგილს „ლურჯ ეკონომიკაში". ეს გულისხმობს შეზღუდვების დაწესებას თევზჭერაზე, თევჭერის სელექციური მეთოდების მიღებას და აკვაკულტურის მეთოდების წინ წამოწევას, რომლებსაც მინიმუმამდე დაყავთ გარემობუნების დაბინძურება. მდგრადი ლურჯი ეკონომიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანმრთელი ოკეანის შენარჩუნებასა და

აღდგენას. ეს გულისხმობს პლასტიკურ დაბინძურებასთან ბრძოლის ძალისხმევას, საკვები ნივთიერებების ჩადინების შემცირებას და სხვა.

ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. „ლურჯი ეკონომიკა" ხელს უწყობს დივერსიფიკაციას, იყენებს რა ოკეანეების მთლიანი სპექტრის შესაძლებლობებს. ეს გულისხმობს განახლებადი ენერგიის წარმოებას ზღვის ქარის ელექტროსადგურების მეშვეობით, ზღვის ორგანიზმებიდან ღირებული ნაერთების მოპოვებას და მდგრადი ტურიზმის განვითარებას. ხელს უწყობს რა ოკეანის საქმიანობის ფართო სპექტრს, მდგრად ლურჯ ეკონომიკას შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები და სახსრები სანაპირო ტერიტორიებზე, ამასთან შეამციროს სიღარიბე და გაზარდოს ეკონომიკური მდგრადობა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „ლურჯი ეკონომიკის" მდგრადობისა და ზრდისთვის. მოწინავე ტექნოლოგიები, ისეთები, როგორიცაა ავტონომიური წყალქვეშა აპარატები და სატელიტური მონიტორინგის სისტემები, გამოიყენება რესურსების მართვის გასაუმჯობესებლად და გარემობუნებაზე ზემოქმედების მინიმიზაციისათვის.

სოციალური სამართლიანობა და ინკლუზიურობა. მდგრადი „ლურჯი ეკონომიკა" ხაზს უსვამს საზოგადოების მონაწილეობას და სარგებლის განაწილებას. სანაპირო საზოგადოებებს უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იღებდნენ საზღვაო საქმიანობიდან მიღებული ეკონომიკური კეთილდღეობის სამართლიან წილს.

ძირძველი თემები ხშირად ფლობენ უნიკალურ ცოდნას რესურსების მდგრადი მართვისა და ოკეანის შენარჩუნების შესახებ. „ლურჯი ეკონომიკა" აღიარებს ამ სიბრძნის პატივისცემის და ინტეგრაციის მნიშვნელობას თავის პრინციპებსა და პრაქტიკაში. იმისათვის, რომ უზრუნველყოს სამართლიანი გადანაწილების შესაძლებლობები, „ლურჯი ეკონომიკა" ინვესტიციებს დებს განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამებში.

მდგრადი ლურჯი ეკონომიკის მნიშვნელობის გაგება აუცილებელია მისი როლის შესაფასებლად გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.

1. **გარემობუნების დაცვა.** ოკეანეები ფარავენ დედამიწის ზედაპირის 70%-ზე მეტს და წარმოადგენენ სხვადასხვა ეკოსისტემის სახლს. „ლურჯი ეკონომიკის" აქცენტი ეკოლოგიურ მდგრადობაზე ეხმარება დაიცვას ეს ეკოსისტემებეი ზედმეტი ექსპლუატაციისგან და დეგრადაციისგან, შეინარჩუნოს რა ამით წყალქვეშა სიცოცხლე და ბიომრავალფეროვნება.
2. **კლიმატის ცვლილების შედეგების შესუსტება.** ოკეანეები თამაშობენ საკვანძო როლს დედამიწის კლიმატის რეგულირებაში. „მდგრადი ლურჯი ეკონომიკა" ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შედეგების შესუსტებას, წინ წამოწევს ენერგიის განახლებად წყაროებს: ოფშორული ქარისა და ტალღების ენერგიას, სასათბურე გაზების გამოფრქვევის შემცირებას და იცავენ ნახშირბადის მშთანთქველი სასიცოცხლოდ მნიშვნლოვან მანგროებს და ზღვის ბალახებს.
3. **ეკონომიკური მდგრადობა.** სანაპირო ზონები ხშირად დაუცველია ეკონომიკური რყევებისა და სტიქიური უბედურებისაგან. „ლურჯი ეკონომიკა" ახდენს შემოსავლების დივერსიფიცირებას, უზრუნველყოფს რა მდგრადობას ეკონომიკური შოკების მიმართ და ქმნის სტაბილურ სახსრებს საზოგადოებების არსებობისათვის, რომლებიც დამოკიდებული არიან ოკეანეზე.

4. **საკვების უსაფრთხოება.** ზღვის პროდუქტები წარმოადგენს ცილების მნიშვნელოვან წყაროს მილიარდი ადამიანისთვის მთელს მსოფლიოში. თევჭერის მდგრადი მეთოდები უზრუნველყოფენ ზღვის პროდუქტების სტაბილურ და უხვ მიწოდებას და ხელს უწყობს გლობალურ საკვების უსაფრთხოებას.
5. **ინოვაციები და ტექნოლოგიები.** ლურჯი ეკონომიკა ხელს უწყობს ინოვაციების და ტექნოლგიურ პროგრესს, სტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და წყვეტს მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს.
6. **საერთაშორისო თანამშრომლობა.** საერთაშორისო თანამშრომლობას, ოკეანეების ურთიერთდაკავშირებული ხასიათის გათვალისწინებით, გააჩნია დიდი მნიშვენლობა „ლურჯი ეკონომიკა" წარმატებისთვის. ის ხელს უწყობს დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებას და ადგილობრივ ძალისხმევას საერთო პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა არაკანონიერი თევჭერა და გარემო ბუნების დაბინძურება.

მართალია მდგრად „ლურჯ ეკონომიკას" გააჩნია დიდი პერსპექტივები, იგი ასევე ეჯახება რიგ პრობლემებსა და მოსაზრებებს:

- **ბალანსი ეკონომიკურ ზრდასა და გარემო ბუნების შენარჩუნებას შორის.** ბალანსის მიღწევა ეკონომიკურ განვითარებასა და გარემო ბუნების დაცვას შორის რჩება რთულ ამოცანად. პირები, რომლებიც ღებულობენ გადწყვეტილებას ზედმიწევნით უნდა ითვალისწინებდნენ თავისი ქმედებების გრძელვადიან შედეგებს.
- **კლიმატის ცვლილების შედეგები.** კლიმატის ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან დარტყმას „ლურჯი ეკონომიკისთვის", რადგანაც ზღვის დონის, ოკეანის მჟავიანობის აწევა და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები ზემოქმედებენ სანაპირო რეგიონებზე და მრეწველობაზე. ადაბტაციის სტრატეგიებს და კლიმატის ცვლილების შედეგების შესუსტებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.
- **გადაჭარბებული თევზაობა.** ჭარბი თევჭერა რჩება სერიოზულ პრობლემად, მიუხედავად იმისა რომ, ინტენსიურად ხდება თევჭერის მდგრადი მეთოდების დანერგვა. თევზის მარაგის ამოწურვის შესაჩერებლად აუცილებელია ეფექტიანი მართვა და სწორედ მოხმარება.
- **დაბინძურება და პლასტიკური ნარჩენები.** საზღვაო გარემოს დაბინძურება მ.შ. პლასტიკური ნარჩენებით ემუქრება ოკეანის და ზღვის სიჯანსაღეს. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს კოორდინირებულ გლობალურ ძალისხმევას პლასტმასების წარმოების შესამცირებლად და ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად.
- **სამართლებრივი და მმართველობითი პრობლემები.** უმრავლესობა დაინტერესებული მხარეებისა და საერთაშორისო წყლებში ცურვის კოორდინაციამ შეიძლება გამოიწვიოს იურიდიული და მმართველობითი პრობლემები. ამიტომ, სხვადასხვა სამართლებრივი ჩარჩოები და საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია ამ წინააღმდეგობების გადაჭრისათვის.

დასკვნა

მდგრადი ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს ჰარმონიულ მომავალს, რომელშიც ეკონომიკური კეთილდღეობა და ეკოლოგიური მდგრადობა თანაარსებობენ. მიიღებენ რა პრინციპებს რაციონალურად გამოიყენონ გარემო ბუნება, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, სოციალური სამართლიანობა და კომპლექსური

მართვა, სანაპირო ქვეყნებს და საზოგადოებებს შეუძლიათ გამოავლინონ თავისი ოკეანის რესურსების მთელი პოტენციალი, შეინარჩუნონ რა ამით ოკეანეები მომავალი თაობებისათვის.

კაცობრიობა მიისწრაფვის უფრო მდგრადი, სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი მომავლისკენ, სადაც ოკეანეები ყველაზე დიდი საგანძური ჩვენი პლანეტის, იქნება დაცული და მათი გამოიყენება მოხდება გონივრულად, რადგანაც ჩვენ შეჯახებას ვაგრძელებთ გლობალურ პრობლემებთან კლიმატის ცვლილებიდან დაწყებული – სასურსათო უსაფრთხოებემდე. „ლურჯი ეკონომიკა" დემონსტრირებს რა მდგრადი მეთოდების შესაძლებლობას გამოიწვიონ პოზიტიური ცვლილებები გლობალური მასშტაბით.

საკვანძო რისკებად კაცობრიობისათვის რჩება კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. გლობალური დათბობის შეზღუდვა დედამიწაზე საცხოვრებლად ვარგისი კლიმატის შესანარჩუბნებლად და ბიომრავალფეროვნების დაცვა - ურთიერთდაკავშირებული მიზნებია, რომელთა მიღწევას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია დედამიწის მოსახლეობას შორის ეკონომიკური კეთილდღეობის მდგრადი მიწოდებისა და სამართლიანი გადანაწილებისათვის, როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი თაობებისათვის. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს „ლურჯი ეკონომიკის" კონცეფციის პრაქტიკაში რელიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ლაზარაშვილი, ნ. კაკულია. „ლურჯი ეკონომიკის" პოტენციალი და შესაძლებლობები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი, 2023, 3 ნოემბერი.
2. Жилина И.Ю. Как сохранить планету – концепции синей экономики. ж." Экономические и социальные проблемы России". 2022. https://cyberleninka.ru/article/n/kak-sohranit-planetu-kontseptsii-siney-ekonomiki
3. Blue growth: unlocking the potential of the oceans (H2020-BG-2014-2015), Blue Growth: demonstrating an ocean of opportunities (H2020-BG-2016-2017), Blue Growth: sustainably harvest the potential of aquatic and marine resources, while protecting biodiversity and enhancing climate resilience (H2020-BG-2018-2020).
4. Sumaila, U.R., Walsh, M., Hoareau, K. et al. Financing a sustainable ocean economy. Nat Commun 12, 3259 (2021). https://doi.org/10.1038/s41467-021-23168-y
5. P. Ramirez-Monsalve, J Van Tatenhove 'Mechanisms of power in maritime spatial planning processes in Denmark, Ocean & Coastal Management' (2020).
6. Taylor S. et al. (2017). Eunomia. Green Jobs in the Blue Economy – A Bottom-up Approach. No 11.066100/2015/716324/SFRA/ENV.C2 . Final Report to DG Environment of the European Commission.
7. The EU Blue Economy Report 2022. European Union, 2022.

8. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=&cat=pers&leng=ge&adgi=1528&title ნესტან ვარშანიძე ოლურჯი ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები
9. https://oceanfdn.org/ka მდგრადი ლურჯი ეკონომიკა.

Tea Lazarashvili
Doctor of Economics, Tsu Paata Gugushvili Institute of Economic, Principal Researcher;
Caucasus International University Associate Professor,

"BLUE ECONOMY" AND CHALLENGES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.LAZARASHVILI

Expanded Summary

The "blue economy", or the ocean economy, is gaining more and more popularity around the world. Some economists consider the "blue economy" to be the next step in the development of "green" approaches.

In 2009, Belgian economist Gunther Pauli presented a report "The Blue Economy: 10 Years, 100 Innovations, 100 Million Jobs" at the meeting of the Club of Rome (an international public organization). This day can be considered as the turning point when the concept of "blue economy" began to spread around the world.

Gunter Paul's speech, the concept of "blue economy" underwent an evolution. Today, it is all types of economic activities related to oceans, seas and coasts, regardless of whether they are carried out in the marine area (sailing, fishing, energy production) or on land (ports, aquaculture in artificial reservoirs, coastal tourism).

"Blue economy" refers to the sustainable use of the world's ocean resources, based on three main principles: the protection and preservation of water resources, the management of nature conservation and the implementation of solutions for adaptation to climate change. Climate solutions based on ocean resources play an important role in the fight against global warming: they can reduce the volume of carbon dioxide emissions by 21%, which in turn will reduce the temperature rise by 1.5°C by 2050.

Humanity is moving towards a more sustainable, just and livable future, where the oceans, our planet's greatest treasure, are protected and used wisely as we continue to grapple with global challenges from climate change to food security. The "blue economy" demonstrates the potential of sustainable methods to drive positive change on a global scale.

Climate change and biodiversity loss remain key risks to humanity. Limiting global warming to maintain a habitable climate on Earth and protecting biodiversity are interrelated goals, the achievement of which is crucial for the sustainable delivery and equitable distribution of economic prosperity among the Earth's population, both for current and future generations. One important way to address these problems is to put the concept of the "blue economy" into practice.

Key words: "blue economy", sustainable development, marine resources.

მიკროეკონომიკა – MICROECONOMICS

ეთერ ხარაიშვილი
პროფესორი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
ნინო ლობჟანიძე
ასისტენტ პროფესორი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის შეფასება საქართველოში: პილარის ანალიზი

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOKMAZISHVILI.LOMINASHVILI

ანოტაცია. *სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები. დასაბუთებულია სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელობა მსოფლიო დღის წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში. შესწავლილია განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოების როლი სერვისების ეფექტიან მიწოდებაში, ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში.*

საქართველოში სახელმწიფო საწარმოები ქვეყნის ბიუჯეტის ტვირთის როლს ასრულებს და მოკრძალებული წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში. შესაბამისად, არგუმენტირებულია სახელმწიფო საწარმოებში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა.

ბიბლიოგრაფიული კვლევით გამოვლენილია სახელმწიფო საწარმოებში არსებული ძირითადი გამოწვევები, იდენტიფიცირებულია ქვეყნები, სადაც სახელმწიფო საწარმოები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, განვითარების სტიმულირებასა და სიღარიბის შემსუბუქებას. ასევე, შეფასებულია სახელმწიფო საწარმოების პოზიციები გლობალურ ეკონომიკასა და საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ სახელმწიფო საწარმოები დღეს გახდნენ არა მხოლოდ გლობალური მოთამაშეები, არამედ ისინი არიან მსოფლიოს ეკონომიკური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. სახელმწიფო საწარმოების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენისა და პრობლემების აღმოფხვრისათვის შესწავლილია წარმატებული ქვეყნების გამოცდილება, შემოთავაზებულია საქართველოში ამ საწარმოების გამოცდილების გაზიარების გზები.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოების რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეფასებულია 5 პილარით: (1) კომერციული მიზნების პრიორიტეტების განსაზღვრა; (2) კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებზე დაყრდნობით; (3) სახელმწიფო საწარმოთა ფლობის პოლიტიკა და რაციონალურობის განსაზღვრა; (4) საწარმოთა საშუალოვადიანი სტრატეგიული სამიზნე მაჩვენებლებით მართვა; (5) კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპის ინსტიტუციონალიზაცია.

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის მიმართულებების შესახებ შემუშავებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო წესრიგი, ტრანსფორმაცია, სახელმწიფო საწარმო, რეფორმა, პილარის ანალიზი.*

****

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პერიოდი გამოირჩევა უპრეცედენტო ინტენსიური არჩევნებით, ომებით, შეიარაღებული კონფლიქტებით, აჯანყებებითა და სხვა სახეობის კონფრონტაციით, რაც იწვევს გლობალურ არასტაბილურობას და მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის აუცილებლობას. პერსპექტივაში გეოპოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე კვლავ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საომარი მოქმედებები უკრაინაში, პალესტინაში, სუდანსა და იემენში; სხვადასხვა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს სუბსაჰარის ქვეყნებში, 2024 წელს ჩანიშნული არჩევნები 70-ზე მეტ ქვეყანაში 4 მილიარდზე მეტი ადამიანის მონაწილეობით (Carme Colomina, Senior Research Fellow, CIDOB, 2024). ასევე, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება ისეთი მოვლენების გამო, როგორებიცაა: მზარდი კონკურენცია, *საერთაშორისო ნორმების ეროზია, სამყაროს დეორგანიზაციის პროცესი, თანმიმდევრული ეკონომიკური კრიზისები, ფინანსური პირობების გამკაცრება, განსხვავებული ინტერესებისა და ალიანსების ფორმირება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა,* ხელოვნური ინტელექტის და უკიდურესად დახვეწილი მანიპულაციის ეპოქაში *საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობა და სხვა.*

სახელმწიფო საწარმოებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მსოფლიო დღის წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოები უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურის ფორმირებას, სერვისების ეფექტიან მიწოდებას, დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოები ქვეყნის ბიუჯეტის ტვირთის როლს ასრულებს და მოკრძალებული წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში. შესაბამისად, ამ საწარმოებში აუცილებელია რეფორმების განხორციელება, რომლის პროცესში გასათვალისწინებელია ხუთი ძირითადი პილარი: (1) კომერციული მიზნების პრიორიტეტების განსაზღვრა; (2) კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებზე დაყრდნობით; (3) სახელმწიფო საწარმოთა ფლობის პოლიტიკა და რაციონალურობის განსაზღვრა; (4) საწარმოთა საშუალოვადიანი სტრატეგიული სამიზნე მაჩვენებლებით მართვა; (5) კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპის ინსტიტუციონალიზაცია.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში პილარის ანალიზის გამოყენებით სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის მიმართულებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, კერძოდ, შეფასებულია მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციისა და სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის პრობლემებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშები. განხორციელებულია პილარის ანალიზი, რეფორმის განხორციელების ეტაპები შეფასებულია შუქნიშნის მეთოდით, რომელსაც არაერთი ორგანიზაცია იყენებს პოლ-

ტიკის განხორციელების ეტაპების შესაფასებლად, მათ შორისაა ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი (IDB). აღნიშნული მეთოდოლოგიით, თუ დაგეგმილი ღონისძიებები შესრულდა სრულად ან მინიმუმ 80%-ით, ამ შემთხვევაში ეტაპი წარმატებულად გადალახულად ითვლება, თუ პროგრესი ვარირებს 60%-დან 80%-მდე, ფიქსირდება ზომიერი პროგრესი, და რჩება შესრულების მიღმა, თუ პროგრესი 60%-ზე ნაკლებია (IDB).

კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარების, ანალიზის, ექსპერტული და სხვა მეთოდები. დამუშავებულია ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ვებგვერდები, მონაცემთა ბაზები, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

კვლევის კითხვები

საკვლევი პრობლემის კორელაციური ანალიზისა და შეფასების მიზნით განისაზღვრა კვლევის კითხვები:

RQ1: რომელი ფაქტორები განაპირობებს მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის აუცილებლობას?

RQ2: რა როლს ასრულებს სახელმწიფო საწარმოები მსოფლიო დღის წესრიგის ფორმირებაში?

RQ3: როგორია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის კომპონენტები მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის გათვალისწინებით?

RQ4: რა ძირითადი გამოწვევებია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სფეროში?

RQ5: რომელი კონცეფციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებაა მიზანშეწონილი საქართველოსთვის სახელმწიფო საწარმოების რეფორმების საერთაშორისო გამოცდილების (OECD) თვალსაზრისით?

RQ6: რომელია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განმსაზღვრელი ძირითადი პილარი?

ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიო წესრიგის ევოლუციური ცვლილება მეცნიერთა მიერ გაანალიზებულია წარსულში, აწმყოსა და მომავალში, შესწავლილია ამ ცვლილების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. კვლევებით გამოვლენილია უნიპოლარული სამყაროს წინააღმდეგობები და ახსნილია, რომ გლობალიზაცია უფრო მომგებიანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. დღეს გადამწყვეტია ეკონომიკური უსაფრთხოების რეგიონალიზაციის კონტექსტში განხხილვა, შესაბამისად მეცნიერები განიხილავენ გლობალიზაციას ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერპრეტაციით (Papava V. 2024).

მეცნიერთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსოფლიო ძალთა ახალი ბალანსისკენ მიდის და სავარაუდოდ სამყარო ლიდერის გარეშე იქნება წარმოდგენილი, მსოფლიო წესრიგს განსაზღვრავს მრავალი დიდი ბლოკი და კოალიცია ახალი წესებისა და ურთიერთპასუხისმგებლობის ფარგლებში. თუმცა, ავტორები მიუთითებენ, რომ ახალ მსოფლიო წესრიგზე გადასვლას გარკვეული დრო დასჭირდება (დაახლოებით ორი ათეული წელი). ეს პერიოდი, როგორც ახალი კოალიციების ეპოქა, გამოიწვევს მსოფლიო სისტემის რეკონფიგურაციას, მზარდ ტურბულენტობასა და გაზრდის კონფლიქტების ინტენსივობას (Grinin et al., 2017).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ კომერციულ საქმიანობაში. აღნიშნული საწარმოები განვითარებადი ეკონომიკის პოლიტიკის ლანდშაფტს ქმნის აზიის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მთელ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ამ საწარმოების პრივა-

ტიზაციისა და დერეგულაციის ტენდენცია, სახელმწიფო საწარმოებმა მაინც შეინარჩუნეს ძლიერი პოზიციები გლობალურ ეკონომიკაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში.

სახელმწიფო საწარმოები აგრძელებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოების სხვადასხვა აუცილებელი საჭიროებების მომსახურებას (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წყლის მენეჯმენტი, ბუნებრივი რესურსების კვლევა და სხვ.). სახელმწიფო საწარმოები გახდნენ არა მხოლოდ გლობალური მოთამაშეები, არამედ ისინი, ასევე, არიან მსოფლიოს ეკონომიკური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამ საწარმოების წილად მოდის გლობალური ინვესტიციის 20%, დასაქმების 5% და წარმოებული პროდუქციის 40%-მდე (Ginting and Naqvi, 2020). განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სახელმწიფო საწარმოები თავდაპირველად შექმნეს, პირველ რიგში, იმპორტ-ჩანაცვლების მიზნით.

სამყარო სულ უფრო მეტად დეცენტრალიზებული, დივერსიფიცირებული და მრავალგანზომილებიანი ხდება. შესაბამისად, აქტუალურია იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესსა და ახალი საერთაშორისო დღის წესრიგის ფორმირებაზე.

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის აუცილებლობას რამდენიმე მთავარი ფაქტორი განაპირობებს, მათგან აღსანიშნავია:

- **კონფლიქტების ინტენსივობა, სიხშირე და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფა**

2023-2024 წლები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კონფლიქტური პერიოდია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ პერიოდში პოლიტიკური ძალადობა თითქმის 27%-ით არის გაზრდილი. ამასთან, კონფლიქტები გამოირჩევა ინტენსივობისა და სიხშირის მაღალი დონით, გამწვავებულია დაუსჯელობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფის შემთხვევები. ომი უკრაინასა და ღაზაში, სახელმწიფო გადატრიალებები აფრიკის ექვს ქვეყანაში და სხვა ნეგატიური პროცესები ნათლად აჩვენებს ძალის გამოყენების დერეგულირების პროცესის აუცილებლობას;

- **ხარვეზიანი დემოკრატია და დემოკრატიული პროცესების ეროზია**

2024 წელს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 51%-ს მოუწევს არჩევნებში მონაწილეობა, მათგან ყოველი მეოთხე ამომრჩეველი არჩევანს გააკეთებს ხარვეზიანი დემოკრატიის და/ან ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყანაში. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, ტუნისი, ალჟირი, ბელორუსია, რუანდა ან ირანი არჩევნებს გამოიყენებს ძალაუფლების გამკაცრებისა და ლეგიტიმაციის მოპოვების მიზნით. ამავე წელს არჩევნები ჩატარდება ევროკავშირში გაწევრიანების ოთხ კანდიდატ ქვეყანაში (ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია და საქართველო). როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული პოლიტიკური არასტაბილურობისა და ძალადობის რისკები;

- **მომხმარებელთა მიგრაცია ახალი ამბების საინფორმაციო სისტემებიდან სოციალურ ქსელებში**

საზოგადოება გადატვირთულია ინფორმაციის სწრაფი ცვლილებებით, იკვეთება ასიმეტრიული ინფორმაციის ნიშნები, შესაბამისად, იზრდება დისტანცია საზოგადოებას, ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. დღეს აშკარად გა-

მოკვეთილია საინფორმაციო ამბებიდან სოციალურ ქსელებზე მომხმარებლის გადასვლის ტენდენცია. გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის, მიგრაციამ ინსტაგრამსა და TikTok-ზე არსებითად შეცვალა მოთხოვნა ახალი ამბების შინაარსთან მიმართებაში.

- **ხელოვნური ინტელექტი: „აფეთქება" და რეგულირების აუცილებლობა**

2023 წელს საზოგადოების ცხოვრებაში შემოიჭრა ხელოვნური ინტელექტი და მისმა მომხმარებელმა დღეს უკვე 180 მილიონს გადააჭარბა. 2024 წელი ხელოვნური ინტელექტის რეგულირებისთვის გადამწყვეტი იქნება. ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გამოყენების გამო დეზინფორმაცია დამატებითი გამოწვევა იქნება „სუპერ საარჩევნო 2024 წელს". მოსალოდნელია, რომ ხელოვნური ინტელექტის სწრაფი პროგრესი კიდევ უფრო მეტად დააზიანებს ინფორმაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობას. სოციალური მედიის მომხმარებელთათვის რთულია რეალურ და ყალბ სიახლეებს შორის განსხვავების დადგენა;

- **ჰუმანიტარული კოლაფსი**

2023 წლის ბოლოსთვის, ომმა და ძალადობამ მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 114 მილიონ ადამიანამდე გაზარდა. UNHCR-ის თანახმად, აღნიშნული პროცესის მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ომი უკრაინაში და კონფლიქტები სუდანში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მიანმარში, ასევე, გვალვა და წყალდიდობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გახანგრძლივებული ჰუმანიტარული კრიზისი სომალსა და ავღანეთში;

- **„ნარატივების ბრძოლა"**

მსოფლიო „ნარატივების ბრძოლაშია" ჩართული. ჰეგემონური ნარატივები გამოწვევის წინაშეა, რეგიონულ დღის წესრიგს ადგენენ საშუალო ზომის სახელმწიფოები, ხოლო ტრადიციული ძალები იძულებულნი არიან მოიძიონ საკუთარი სივრცე გლობალურ სამყაროში და სხვ.

სახელმწიფო საწარმოების რეფორმა ხშირად ვერ აღწევს დასახულ მიზანს, შესაბამისად, მეცნიერები იკვლევენ კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე მოქმედ ფაქტორებს (Ferdiana, and Sugiyarto, 2022).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების როლი ეკონომიკურ განვითარებაში ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. სახელმწიფო საწარმოებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. მაგალითად, ირლანდიაში ასეთი საწარმოების უმეტესობა უზრუნველყოფს ქვეყნისათვის კონკურენტუნარიანი ინფრასტრუქტურით მომსახურებას და სერვისების მიწოდებას. ელექტროენერგიის, გაზის, აეროპორტების, საზღვაო პორტების, რკინიგზისა და სხვათა სახით (Forfas, 2010).

მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ საჯარო ბიზნესში რეფორმის იდენტიფიცირების პრობლემებზე, მიზანშეწონილად მიიჩნევენ რეფორმის მხარდამჭერი პროექტების შემუშავების აუცილებლობას, ასევე, საწარმოთა პორტფოლიოს შედგენას (Szarzec, Dombi, and Matuszak, 2011).

ნაწილობრივი რეფორმები, თუნდაც მნიშვნელოვანი, ვერ უზრუნველყოფს დანახარჯები-გამოშვების თანაბარზომიერ ზრდას. ეკონომიკის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელია საჯარო სექტორის რეფორმა. ამასთან, ეფექტიანი შედეგების მიღწევა მდგრადი ზრდისთვის მსგავსია პოსტსაბჭოთა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის (Kaufmann, 1997).

მსოფლიო დღის წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში გასათვალისწინებელია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის აუცილებლობა. განვითარებად ქვეყნებში რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უნდა განხორციელდეს. სწორედ პილარის ანალიზი შეესაბამება გლობალური საზოგადოების კონცეფციას, ხელს უწყობს იდეების განხორციელებას, რომლებიც აქტუალურია დღევანდელი ეპოქისათვის - მსოფლიოს განვითარების, უსაფრთხოების, გამჭვირვალობის, თანამშრომლობის, ცივილიზაციისა და მმართველობისთვის. ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონცეპტუალური ჩარჩო-პირობების განსაზღვრას, არამედ წარმოადგენს პრაქტიკულ საგზაო რუკას საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის მისაღწევად. იგი არის ეკონომიკური ინტეგრაციის, ურთიერთდაკავშირებული განვითარების და მიღწევების გაზიარების გასაღები (The Belt and Road Initiative, 2023). საჭიროა განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საფრთხეების შინაარსი, აგრეთვე ის, თუ როგორ უკავშირდება ისინი უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემას (Papava V., Maisaia V. 2023).

მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვანია, ასევე, მოხდეს სოციალური წესების ადაპტაცია მსოფლიო წესრიგის მოთხოვნებთან, რომელიც უზრუნველყოფს თაობებს შორის სოლიდარობას. ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე, უნდა განიხილებოდეს, როგორც საწარმოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობა (Kharaishvili, Lobzhanidze, 2024). საჯარო სექტორის რეფორმის პროცესში აუცილებელია მეწარმეები ზრუნავდნენ თავიანთ თანამშრომლებზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და განვითარების სამომავლო შესაძლებლობებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ყველა იმ სივრცის ათვისება, რაც სხვადასხვა სექტორში არსებობს, ამ მხრივ, განსაკუთრებით ყურადღების ქვეშ უნდა მოხვდეს სოფლის მეურნეობის სექტორი, სადაც მომუშავე სახელმწიფო საწარმოებს სხვადასხვა შესაძლებლობების ათვისება შეუძლიათ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში (Kharaishvili, 2015). ცვლილებები უფრო მწვანე, სამართლიანი და ინკლუზიური მომავლისათვის მოითხოვს ყურადღების გადატანას სოციალურ საკითხებზე. სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობა 2030 წლისთვის მინიმუმ 15 მლნ-ით უნდა შემცირდეს. ამიტომ საჭიროა სოციალური პილარის პრინციპების განხორციელება ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების დონეზე, შესაბამისი კომპეტენციების გათვალისწინებით (**Commission President von der Leyen (speech to the European Parliament, 2021).**

სახელმწიფო საწარმოთა უმეტესობა მნიშვნელოვანი ფინანსური რისკის მატარებელია და მათთან დაკავშირებით არსებობს უამრავი გამოწვევა არსებობს (მაისურაძე დ. და სხვ. 2018).

სახელმწიფო საწარმოები მრავალ ქვეყანაში ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, განვითარების სტიმულირებასა და სიღარიბის შემსუბუქებას (Gigineishvili at al., 2021). სახელმწიფო საწარმოები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში თითქმის ყველგან ზარალიანია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებული სახელმწიფო საწარმოები დღეს ხშირად გვხვდება მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანია, ირლანდია, ვიეტნამი და სხვა.

სახელმწიფო საწარმოების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენისა და პრობლემების აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზება და რეფორმის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

დისკუსია და ანალიზი

სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ეს ინდიკატორი იზრდებოდა იმ ქვეყნებში, სადაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ინვესტიციებს ახორციელებდა. თუმცა, სახელმწიფო საკუთრება კვლავ გავრცელებულია ბევრ სექტორში და ზოგიერთ ქვეყანაში ზრდის ტენდენციითაც გამოირჩევა (მაგალითად, უნგრეთში, პოლონეთში, თურქეთში და სხვ.). სახელმწიფო საკუთრების წილი 1990-იან წლებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი საზომი იყო, მაგრამ მიმდინარე ეტაპზე ამ პრობლემებზე ყურადღება შედარებით შენელდა. ქვეყნებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს სახელმწიფო საწარმოები, საჭიროებენ ამ სექტორში კორპორაციული მართვის, ფინანსურ მენეჯმენტისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაუმჯობესებას.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოების უმეტესობა, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ზარალიანი იყო წლების მანძილზე. თუმცა, 2021 წელს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 147 საწარმოს მთლიანმა მოგებამ 376 მლნ ლარი შეადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო). კერძოდ, ამ წელს მოგება დაფიქსირდა საქართველოს რკინიგზაში - 53 მლნ ლარი შეადგინა, ნავთობისა და გაზის კორპორაციაში - 137.6 მლნ ლარი, სახელმწიფო ელექტროსისტემაში - 235 მლნ ლარი, სახელმწიფო ფოსტაში - 32 მლნ ლარი, გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში - 25 მლნ ლარი, ენგურჰესში - 42 მლნ ლარი, წყალმომარაგების კომპანიაში - 37 მლნ ლარი და სხვ. თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში 173 მლნ ზარალი აღინიშნა. აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლის მიღწევა ძირითადად განპირობებული იყო როგორც ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად გამოწვეული კურსთა შორის სხვაობით, ასევე, ქვეყანაში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობით.

დინამიკაში მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო საწარმოები ფინანსური მაჩვენებლების მხრივ არასტაბილურობით გამოირჩევიან, მათ წინაშე მრავალი გამოწვევა და შესაბამისად რეფორმის განხორციელება დღის წესრიგის მთავარი საკითხია.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოების სექტორის მთავარი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები მოცემულია 2023-2026 წლების სტრატეგიაში (სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგია 2023-2026 წწ.). მასში წარმოდგენილია ხედვა სახელმწიფო სექტორის 4 წლიან პერიოდში განვითარების შესახებ. სტრატეგიის მიზანია სახელმწიფო კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და საჯარო ფინანსების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მიღწევის მთავარ შესაძლებლობად მიჩნეულია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ხუთი პილარით ფასდება: (1) კომერციული მიზნების პრიორიტეტების განსაზღვრა; (2) კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებზე დაყრდნობით; (3) სახელმწიფო საწარმოთა ფლობის პოლიტიკა და რაციონალურობის განსაზღვრა; (4) საწარმოთა საშუალოვადიანი სტრატეგიული სამიზნე მაჩვენებლებით მართვა; (5) კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპის ინსტიტუციონალიზაცია.

სახელმწიფო საწარმოთა პორტფელის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 310 საწარმოა რეგისტრირებული, მათგან ენერგეტიკის სექტორში ფუნქციონირებს საწარმოთა 53%, ტრანსპორტის სექტორში 25%,

დანარჩენი 22% სხვადასხვა სექტორშია წარმოდგენილი, დასაქმებულთა რიცხოვნობა კი 62 000 კაცს შეადგენს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023).

რეფორმის პროცესში კორპორაციული მართვა განიხილება როგორც კომპანიის მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოს, დაინტერესების პირებისა და სხვა ჩართული მხარეების ურთიერთობა. კორპორაციული მართვის სტრუქტურის მეშვეობით განისაზღვრება კომპანიის მიზნები, ამ მიზნების მიღწევის საშუალებები და ხორციელდება ამ მიზნების მიღწევის ზედამხედველობა.

კორპორაციული მართვის შეფასება შესაბამისი სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების ანგარიშის (ROSC) შესახებ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

კორპორაციულ მართვასთან მიმართებაში საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის განვითარება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. 2015 წლამდე საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით შეზღუდული იყო. 2016 წლიდან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, საკანონმდებლო და მარეგულირებელმა ბაზამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა.

სქემა 1. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განხორციელების ეტაპების შუქნიშანი



წყარო: *აგებულია ავტორთა მიერ*

2018 წლიდან ამოქმედდა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, ხოლო 2021 წელს გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი სახელმწიფო საწარმოებისთვის, შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის მაღალი დონის საბჭო. ამავე წელს მნიშვნელოვნად განახლდა კანონი „მეწარმეთა შესახებ", 2022 წელს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განისაზღვრა სამი საპილოტე მსხვილი კომპანია: ,,საქართველოს რკინიგზა", ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება", ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" (იხ. სქემა 1). საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო ამ სექტორში, შემსუბუქდა ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ბარიერები, მოქნილი გახდა სახელმწიფო სერვისების მიწოდება. სექტორში განხორციელებული საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად შეფასდა სხვადასხვა უწყებებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ და შედეგები აისახა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებსა და რეიტინგებში (Kharaishvili, Lobzhanidze, 2024). მნიშვნელოვანია, ამ მხრივ გათვალისწინებული იყოს ასევე, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები.

სახელმძღვანელო პრინციპების, რომელიც შემოთავაზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, მთავარია მიზანია სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა (OECD, 2015). მოცემული პრინციპები შემუშავდა 2005 წელს კორპორაციული მართვის ზოგად პრინციპებთან ერთად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის შესახებ წარმოადგენს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობაში ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა (OECD, 2015). აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები თავდაპირველად 2005 წელს შეიმუშავა კორპორაციული მართვის ზოგად პრინციპებთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საწარმოთა როლი და მნიშვნელობა ძალიან დიდია როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელოვან როლს არაერთი ქვეყნის ეკონომიკაში და მიუთითებს, რომ მათი როლი კიდევ უფრო დიდია განვითარებად ქვეყნებში და ხელს უწყობს სამართლიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას სახელწმიფო და კერძო საწარმოებისათვის (OCED, 2015).

მნიშვნელოვანია, ასევე, მსოფლიო ბანკის მიერ 2014 წელს შემუშავებული სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის ანგარიში (World Bank Group, 2014), რომელშიც ხაზგასმულია გამჭვირვალობასთან და ანგარიშვალდებულების ხარისხთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მთავარი ლაიტმოტივი, რაც ანგარიშს გასდევს არის ის, რომ სახელმწიფო საწარმოებში უნდა გაიმიჯნოს ეკონომიკური საქმიანობა და საჯარო ფუნქციები. მსოფლიო ბანკის მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს კორპორაციული მართვის სარეკომენდაციო კოდექსის შექმნა, რაც საუკეთესო სტანდარტების დანერგვის ფართო შესაძლებლობებს აჩენს.

ლატვიაში 2014 წელს საჯარო პირების საწარმოებისა და კაპიტალის წილების მართვის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ნორმატიულ მოთხოვნად ჩამოყალიბდა პრაქტიკა ახლად დაარსებული ერთეულებისთვის კორპორაციული მმართველო-

ბის სისტემა. ამ ქვეყანაში შექმნილი სექტორთაშორისი საკოორდინაციო ცენტრი (Cross-Sectoral Coordination Centre) პასუხისმგებელია ლატვიის სახელმწიფო საწარმოების მუშაობის მონიტორინგზე, ჩართული სამინისტროებისა და ინსტიტუტების კონსულტაციებზე, სახელმწიფო საწარმოების მენეჯმენტსა და კორპორაციულ მართვაზე. კანონის 22-ე პუნქტი ადგენს, რომ საკოორდინაციო განყოფილების ამოცანების ჩამონათვალს შორის არის საჯარო სექტორის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კოორდინაცია და წლიური აგრეგირებული ანგარიშის მომზადება (OECD, 2022).

2010 წელს ლიეტუვამ წამოიწყო რეფორმა, რომლის მიზანი იყო გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის გაძლიერება თავის სახელმწიფო საწარმოებში. როგორც ამ რეფორმის კომპონენტი, ლიეტუვას მთავრობამ მხარი დაუჭირა განახლებულ გამჭვირვალობის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება ყველა სახელმწიფო საწარმოსთვის. ეს გაიდლაინები ავალდებულებს, რომ ასეთმა საწარმოებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ კვარტალური და წლიური ანგარიშები, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მათი საოპერაციო აქტივობები და ფინანსური მაჩვენებლები მათ შესაბამის ვებგვერდებზე. 2012 წელს ლიეტუვას მთავრობამ შემოიღო შემდგომი დირექტივები, რომლებიც ადგენს მკაფიო კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა დაიცვან ნებისმიერი ახალი სახელმწიფო საწარმოს შექმნისას (Valdymo koordinavimo centras, 2023):

1. ეფექტიანი და გამჭვირვალე სამეთვალყურეო საბჭო;
2. ძლიერი მართვა;
3. კარგად განსაზღვრული მიზნები და ამოცანები.

შვედეთში სახელმწიფო საწარმოების მართვის ჩარჩო განისაზღვრება „სახელმწიფო საკუთრების პოლიტიკით" (State Ownership Policy). სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები მოქმედებენ კერძო კომპანიების მსგავსად „საწარმოთა შესახებ კანონისა" (Companies Act) და შვედეთის კორპორაციული მართვის კოდექსის (Swedish Code of Corporate Governance) რეგულაციების შესაბამისად. შვედეთის მიერ გამოქვეყნებულ სახელმწიფო საწარმოების ბოლო წლიურ ანგარიშში გამოკვეთილია სახელმწიფო დახმარების სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა. საწარმოებისთვის, რომლებიც იღებენ საბიუჯეტო დახმარებებს, ანგარიშში აღწერილი უნდა ჰქონდეს შემდეგი ინფორმაცია (Ministry of Finance, 2021):

1. საანგარიშო ფინანსური წლის საბიუჯეტო დახმარების ოდენობა;
2. სახელმწიფო საწარმოების მთლიანი შემოსავალი;
3. საბიუჯეტო დახმარების პროცენტული წილი.

სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე საქართველოში მიზანშეწონილია სახელმწიფო კორპორაციებმა გაიზიარონ ზოგიერთი გამოცდილება:

- მნიშვნელოვანია კორპორაციების მიერ მომზადდეს თავიანთი ფინანსური უწყისები;
- კორპორაციებმა რეგულარულად უნდა ჩაატარონ აუდიტი და გამოაქვეყნონ ისინი კერძო სექტორის კომპანიების მსგავსად, რათა გააძლიერონ კონკურენტული ნეიტრალიტეტი, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- საქართველოს პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, მიზანშეწონილია გაუმჯობესების განხორციელება მთავრობის სა-

კუთრების უნიკალური გარემოებების გათვალისწინებით, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე;

- ყველა სახელმწიფო საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა იყოს გამჟღავნებული კვაზიფისკალური აქტივობები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის კორპორაციებსა და მთავრობას ან სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის;
- მმართველობის ანგარიშებში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კვალიფიკაცია და გამოცდილება, მათი ამჟამინდელი როლები სხვა საბჭოებში და მათი დამოუკიდებლობის სტატუსი. ასევე, გადამწყვეტია ინფორმაციის მიწოდება აღმასრულებელ კომპენსაციაზე, როგორც მთლიან, ისე ინდივიდუალურ დონეზე;
- სახელმწიფო საწარმოებმა უნდა წარუდგინონ თავიანთი ფინანსური ანგარიშგება ქვეყნის პარლამენტისა და ადგილობრივ საბჭოების წინაშე ოფიციალური განხილვის მიზნით;
- საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ასევე, განსაზღვრული უნდა იყოს გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა.

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო საწარმოები ეკონომიკურად მნიშვნელოვან სექტორებში მოქმედებენ და მოქალაქეებს აწვდიან მნიშვნელოვან საჯარო მომსახურებას. საწარმოებში ეფექტიანი და ძლიერი კორპორაციული მენეჯმენტის სისტემების დანერგვა აუცილებელია მათი ეკონომიკური გავლენის გასაძლიერებლად, ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად და ფისკალური რისკების შესამცირებლად. გაზრდილი გამჭვირვალობა და ფინანსური სტაბილურობა ასევე, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას და აქტიურ მონაწილეობას კაპიტალის ბაზარზე. სახელმწიფო საწარმოების რეფორმას ხუთი ურთიერთდაკავშირებული პილარის გაანალიზებით უნდა მივუდგეთ. სტანდარტების წარმატებით დანერგვისა და კორპორაციული მმართველობის გასაუმჯობესებლად, ამ საყრდენის ყველა ასპექტი უნდა იყოს განხილული და შესრულებული.

ეფექტიანი კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი წინაპირობებია: ჩართული მხარეების პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, პროცესის ღიაობა, სამართლიანობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

სასურველია სახელმწიფო საწარმოებმა პერმანენტულად შეიმუშაონ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები და წარუდგინონ ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებს.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოებში შემუშავდეს და განვითარდეს ეთიკის კოდექსი და დისციპლინური წარმოების დაცვის მექანიზმები. არსებითია უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სახელმწიფო საწარმოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. როგორც ნაშრომში აღინიშნა, რეფორმა ამ ეტაპზე შესაძლოა განვითარდეს ორი სცენარით 2025 წლიდან, გაგრძელდეს არსებული, ან შემუშავდეს ახალი პროგრამა. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს, ყველა ის მიგნება, რომელიც დასკვნისა და რეკომენდაციების სახითაა შემოთავაზებული, რაც პროგრესს უფრო დააჩქარებს და სახელმწიფო საწარმოებისა და საზოგადოებისათვის მდგრად შედეგებს მოიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაისურაძე დ., ნარმანია გ., ლაზიშვილი მ., ტყეშელაშვილი მ., შაკიაშვილი ი., ზვიერიევ ი. (2018). სახელმწიფო საწარმოები საქართველოში, არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები.
2. მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ანგარიში სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ, (2021) https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/ce2c1bf7-049f-51de-b1c1-def4db1c800b/content
3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8
4. საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/sacarmoebus_reforma/soe_reform_one_pager(2).pdf
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში. www. https://mof.ge/
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში, (2021) https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-09-2021/SOE%20Corporate%20Governance%20Report_August%2031.pdf
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული ანგარიში 2023 წელი. https://mof.ge/images/File/2024_Biujeti/03-11-2023/danartebi/17.fiscal%20Risks%20and%20SOE%20Aggregate%20Report.pdf
9. სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი
10. სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგია 2023-2026 წლებისათვის. https://www.mof.ge/images/File/publications/2022/08-12-2022/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
11. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ქვეყნის ტექნიკური ანგარიში - სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის პროექტი, N 21/270, (2021)
12. Carme Colomina, Senior Research Fellow, CIDOB (2024). The World in 2024: ten issues that will shape the international agenda. https://www.cidob.org/en/publications/publication_series/notes_internacionals/299/the_world_in_2024_ten_issues_that_will_shape_the_international_agenda
13. Commission President von der Leyen (speech to the European Parliament, 2021). European Council, A new strategic agenda for the EU 2019-2024. https://op.europa.eu/webpub/empl/european-pillar-of-social-rights/en/
14. Ferdiana, N., and Sugiyarto, T. (2022). State-Owned Enterprises (SOEs): The Role in Economic Development and The Determinant of Its Performance.

https://www.researchgate.net/publication/365072613_State-Owned_Enterprises_SOEs_The_Role_in_Economic_Development_and_The_Determinant_of_Its_Performance
15. Forfas (2010). The Role of State Owned Enterprises: Providing Infrastructure and Supporting Economic Recovery. https://enterprise.gov.ie/en/publications/publication-files/forf%C3%A1s/the-role-of-state-owned-enterprises.pdf
16. Gigineishvili, N. at al. (2021). The Role of the State in Promoting Long-Term Growth.
17. Ginting, E., and Naqvi, K. (2020). Reforms, Opportunities, and Challenges for State-Owned Enterprises. https://www.adb.org/sites/default/files/publication/618761/reforms-opportunities-challenges-state-owned-enterprises.pdf
18. Grinin, L., Korotayev, A., Issaev, L., Shishkina, A., Ivanov, E., Meshcherina, K. (2017). Word Order Transformation and Sociopolitical Destabilization. https://philarchive.org/archive/GRIWOT
19. Kaufmann, D. (1997). 15 The Missing Pillar of a Growth Strategy for Ukraine: Reforms for Private Sector Development. https://www.elibrary.imf.org/display/book/9781557756190/ch015.xml
20. Kharaishvili E. (2015). Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering Vol: 9 No: 5, 2015. DOI:10.13140/RG.2.1.1571.6241
21. Kharaishvili E., Lobzhanidze N. (2024). "Digital Transformation in Small and Medium-Sized Enterprises: Approaches and Challenges (Focus: Agricultural Sector of Georgia)". Medicon Agriculture & Environmental Sciences 6.1 (2024): 16-26. https://doi.org/10.55162/MCAES.06.151
22. Kharaishvili E., Lobzhanidze N. (2023). "Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)". Medicon Agriculture & Environmental Sciences 4.5 (2023): 05-15.
23. Inter-American Development Bank (IDB) Traffic-Light Methodology. https://crf.iadb.org/en/2016-2019/traffic-light-methodology
24. Lithuania https://governance.lt/en/vkc-ataskaitos/
25. Ministry of Finance (2021). Annual report for state-owned enterprises 2020, Government office of Sweden. https://www.government.se/reports/2021/09/annual-report-for-state-owned-enterprises-2020
26. OECD, Guidelines on Corporate Governance of State-owned Enterprises (2015)
27. OECD (2022). Monitoring the Performance of State-owned Enterprises, Good Practice Guide for Annual Aggregate Reporting. http://www.oecd.org/corporate/monitoring-performance-state-owned-enterprises.htm
28. OECD, Remuneration policies and practices https://www.oecd-ilibrary.org/sites/efbde381-en/index.html?itemId=/content/component/efbde381-en
29. Papava V. (2024).Globalization with Economic Security and "Glocalization". (PDF) Globalization with Economic Security and "Glocalization" (researchgate.net)
30. Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 17, no. 3, 2023.
31. Sweden https://www.government.se/reports/2021/09/annual-report-for-state-owned-enterprises-2020/
32. Szarzec, K., Dombi, Á., and Matuszak, P. (2011). State-Owned Enterprise Engagement and Reform. This document is being disclosed to the public in accordance with ADB's Public Communications Policy 2011.

https://www.adb.org/sites/default/files/evaluation-document/349826/files/in407-18.pdf
33. The Belt and Road Initiative: A Key Pillar of the Global Community of Shared Future (2023). http://www.scio.gov.cn/zfbps/zfbps_2279/202310/t20231010_773734.html
34. Valdymo koordinavimo centras (2023). State-Owned Enterprises in Lithuania 2022-2023. https://governance.lt/wp-content/uploads/2023/11/VKC-VVI-Metine-Ataskaita_2023_EN_.pdf
35. World Bank Group (2014). Corporate Governance of State-Owned Enterprises: A Toolkit

Eter Kharaishvili
Professor
Economics and Business Faculty
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Nino Lobzhanidze
Assistant Professor
Economics and Business Faculty
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

TRANSFORMATION OF WORLD ORDER AND EVALUATION OF STATE ENTERPRISE REFORM IN GEORGIA: A PILLAR ANALYSIS

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOKMAZISHVILI.LOMINASHVILI

Expanded Summary

The article analyzes the factors influencing the formation of the world order, emphasizing the importance of state enterprises in transforming the global agenda. It substantiates the critical role of state-owned enterprises (SOEs) in providing effective services, fostering economic growth, and enhancing the well-being of populations in developed countries.
In Georgia, however, state enterprises often burden the national budget and contribute modestly to economic development. This underscores the necessity for comprehensive reforms in these enterprises.
Building on the justification of the research's relevance and aiming to conduct a comprehensive correlation analysis of the identified problem, the following research questions have been formulated:
RQ1: What are the key drivers necessitating the transformation of the world order?
RQ2: How do state-owned enterprises (SOEs) influence the development and shaping of the global agenda?
RQ3: What are the essential components of state enterprise reform in the context of global transformation?
RQ4: What are the primary challenges associated with state enterprise reform?
RQ5: How can Georgia leverage international best practices (e.g., OECD guidelines) in implementing state enterprise reforms?
RQ6: What is the foundational pillar underpinning successful state enterprise reform?
To address these questions, extensive bibliographic research has been conducted, focusing on evaluating published scientific articles and organizational reports that discuss the dynamics of world order transformation and the challenges of state enterprise reform. The analysis includes -Pillar Analysis: A detailed exploration of the structural and functional aspects of reform, identifying critical pillars that support the successful transformation of state enterprises. And, Traffic Light Method Evaluation: An assessment of the stages of reform implementation using

a traffic light methodology, which categorizes progress into stages such as "on track" (green), "at risk" (yellow), and "needs significant attention" (red).
This approach provides a structured framework for evaluating the interconnectedness of global trends and domestic reform initiatives, ensuring actionable insights and alignment with international standards.
Bibliographic research identifies the main challenges facing state enterprises and highlights countries where SOEs significantly contribute to economic growth, development, and poverty alleviation. The research also evaluates the positions of SOEs in the global economy and their role in implementing public policies. It concludes that today, state-owned enterprises are not only global players but also integral components of the economic structure in the world's fastest-growing economies.
To address the challenges and eliminate problems in the field of state enterprises, the study examines the experiences of successful countries and proposes ways to apply these experiences in Georgia.
The reform of state-owned enterprises in Georgia, in alignment with international standards, is evaluated using a five-pillar framework: (1) Determining the priorities of commercial goals; (2) Implementing corporate governance principles based on the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) guidelines; (3) Formulating a rational state enterprise ownership policy; (4) Managing medium-term strategic target indicators for enterprises; (5) Institutionalizing the principle of competitive neutrality.
The article concludes that state-owned enterprises (SOEs) in Georgia play a vital role in economically significant sectors and are key providers of essential public services. To enhance their economic impact, improve the business environment, and mitigate fiscal risks, the implementation of robust and effective corporate governance systems is imperative.
Strengthening transparency and financial stability within SOEs will not only foster trust and accountability but also enable their integration into and active participation in the capital market. The reform of SOEs should be guided by an analysis of five interrelated pillars, each requiring comprehensive attention and implementation to ensure the adoption of international standards and the enhancement of corporate governance practices.
A critical aspect of these reforms includes the development of a code of ethics and the establishment of robust mechanisms for handling disciplinary proceedings within SOEs. Furthermore, ensuring public access to information about the operations and performance of each SOE is essential for fostering accountability and trust among stakeholders.
Finally, a set of recommendations has been formulated to guide the reform efforts, with a focus on strengthening governance, enhancing transparency, and ensuring the financial sustainability of state enterprises in alignment with international best practices.

Keywords: world order, transformation, state enterprise, reform, pillar analysis.

ეკონომეტრიკა - ECONOMETRICS

ლია თოთლაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების გამგე

კლიმატის ცვლილების შედეგების ზეგავლენის შეფასება ეკოინოვაციების კონტექსტში: საქართველოს მაგალითი

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOTLADZE.KHUSKIVADZE

ანოტაცია. *კლიმატის ცვლილება უდიდეს გავლენას ახდენს დედამიწის აწმყოსა და მომავალზე, გლობალურ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ გარემოზე, ბიზნესზე, საზოგადოებებსა და ინდივიდებზე. ათწლეულზე მეტია კლიმატის ცვლილება მუდმივად სახელდება გლობალურ საფრთხეთა მთავარ ხუთეულში. იქიდან გამომდინარე რომ კლიმატის ცვლილების პირდაპირი ზეგავლენა ადამიანსა და ეკოსისტემაზე, გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე, სამუშაო პირობებზე, უსაფრთხოების სტანდარტებზე, ზემოქმედებს ჯანმრთელობასა და საარსებო წყაროებზე და შესაბამისად, მოითხოვს სათანადო მიდგომასა და ყურადღებას, უაღრესად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და ადაპტაციის ღონისძიებების გატარება.*

ნაშრომში კლიმატის ცვლილების თეორიულ და ემპირიულ ასპექტებთან ერთად გადმოცემულია საქართველოში საწარმოებში ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვისა და ეკოლოგიური ინოვაციების გავრცელების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება. ამისათვის გაანალიზირებულია საქართველოში მოქმედ საწარმოთა კვლევის შედეგები. არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი მიღებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *კლიმატის ცვლილება; კლიმატის ცვლილებების შერბილება; ეკოინოვაციები;*

****

ეჭვგარეშეა რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევად კლიმატის ცვლილება ითვლება. გაეროს ინფორმაციით სათბურის აირების (GHGs) ემისიები კვლავ გლობალურად იზრდება (UNGA, 2018). კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) განცხადებით, „ადამიანის გავლენა კლიმატზე აშკარაა. ბოლოდროინდელი ანთროპოგენური [სათბურის აირები] ისტორიაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა" (IPCC, 2014). ზოგადად კლიმატის ცვლილება გარკვეულწილად გამოწვეულია ადამიანის ეკონომიკური აქტივობებითა და თანმდევი სათბურის აირების ემისიებით. თუმცა, ამავდროულად ამ ეკონომიკურ აქტივობებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. ინდუსტრიულმა პროცესებმა, ადამიანის საქმიანობამ, ადრეულ ინდუსტრიულ დონესთან შედარებით, გლობალური დათბობის დაახლოებით 1.0°C-ით გაზრდა გამოიწვია. ბუნებრივ და ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებული რისკების შემ-

ცირებისათვის აუცილებელი კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა (IPCC, 2018).

კლიმატის ცვლილება უდიდეს გავლენას ახდენს დედამიწის აწმყოსა და მომავალზე, გლობალურ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ გარემოზე, ბიზნესზე, საზოგადოებებსა და ინდივიდებზე. 2011 წლიდან მოყოლებული, კლიმატის ცვლილება მუდმივად სახელდება გლობალურ საფრთხეთა მთავარ ხუთეულში და თან „მოსალოდნელზე გაცილებით სწრაფად მწვავდება" (WEF, 2020).

იქიდან გამომდინარე რომ კლიმატის ცვლილების პირდაპირი ზეგავლენა ადამიანსა და ეკოსისტემაზე, გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე, სამუშაო პირობებზე, უსაფრთხოების სტანდარტებზე, ზემოქმედებს ჯანმრთელობასა და საარსებო წყაროებზე და შესაბამისად, მოითხოვს სათანადო მიდგომასა და ყურადღებას, უაღრესად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და ადაპტაციის ღონისძიებების გატარება.

2015 წელს, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეთა კონფერენციამ (COP), მიიღო პარიზის შეთანხმება - კლიმატის ცვლილების საერთაშორისო რეჟიმის შესახებ სამართლებრივად სავალდებულო მესამე ხელშეკრულება, რომელიც ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე, მათი განვითარების დონის მიუხედავად (UNFCCC, 2015). პარიზის შეთანხმება ადგენს, ერთი მხრივ, ოპერაციულ მიზანს, გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C-მდე შეზღუდვა წინარე ინდუსტრიულ დონესთან შედარებით და, მეორე მხრივ, სასურველ მიზანს, ტემპერატურის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის მცდელობა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით (Bodle, Donat, Duwe, 2016). ამ გამოწვევასთან გამკლავება მოითხოვს ცვლილებებს ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, შენობები, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა, მრეწველობა, სატყეო მეურნეობა და სხვ.

პარიზის შეთანხმებისა და სხვა განვითარებების საპასუხოდ, **ევროკავშირი** მიზნად ისახავს, რომ 2050 წლისათვის კლიმატ-ნეიტრალური იყოს და ჰქონდეს ისეთი ეკონომიკა, რომელშიც სათბურის აირების ჯამური ემისიების ბალანსი ნულს გაუტოლდება (EC, 2020). ანალოგიურად ცხადად განსაზღვრული მიზნები აქვთ ჩინეთს, აშშ-ს, იაპონიას და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს.

უმთავრესად მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების ტენდენციაა 2050-2060 წლისათვის მიაღწიონ დეკარბონიზაციასა და ნულოვან ემისიებს. ამავდროულად, მთავრობებთან ერთად კლიმატთან დაკავშირებულ, მათ შორის, სათბურის აირების შემცირების მიმართულებით მზაობაა კერძო სექტორშიც. არაერთმა მსხვილმა კომპანიამ მიზნად დაისახა სათბურის აირების ემისიების შემცირება ან დადო ნულოვანი ემისიების პირობა და შეუერთდა ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სქემებს. აშშ-ში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, გამოკითხულ ინვესტორთა 78% დაინტერესებული იყო საკუთარი ინვესტიციების გზით ხელი შეეწყო კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევისთვის (Morgan Stanley, 2019).

მსოფლიო ცდილობს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული სისტემიდან ისეთ სისტემაზე გადასვლას, რომელიც სუფთა, დაბალნახშირბადიან განახლებად წყაროებსა და ტექნოლოგიებს ეყრდნობა. ამ ტრანსფორმაციის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლიანი და ინკლუზიური მიდგომების გამოყენება სოცია-

ლურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვის, გარემოსდაცვით, გენდერულ და ეთნიკურ სფეროებში.

ადამიანის სიცოცხლის და კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებების შემცირების პარალელურად ერთ-ერთ გზად მიჩნეულია **მწვანე ზრდა** და **მწვანე ეკონომიკა**, რომლებიც რესურსების მოხმარებასთან და ემისიებთან დაკავშირებული ზრდის შეჩერებას ითვალისწინებს. რესურსებზე დამოკიდებულების ზრდის შეჩერება, ასევე ცენტრალურ იდეად იქცა გაეროს SDGs-ისა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შეთანხმებისათვის.

პანდემიამ ნათლად გამოაჩინა საზოგადოების უთანასწორობა და დაუცველობა კრიზისულ სიტუაციებში, განსაკუთრებით დაბალ-ანაზღაურებად და ნაკლებად უსაფრთხო, სექტორებში მომუშავე ადამიანებისათვის, რომელთა საქმიანობის შესრულება სახლიდან შეუძლებელია (WB, 2020). პოსტპანდემიური აღდგენის პროცესში, ემისიების შემცირების გზით უნდა მოხდეს დეკარბონიზაცია და გაძლიერდეს ეკონომიკა დაბალნახშირბადიანი ინვესტიციებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დღის წესრიგში აყენებს ეკოლოგიური ფაქტორების პრიორიტეტულობას.

საქართველო შეუერთდა UNFCCC-ს, კიოტოს პროტოკოლს, კიოტოს პროტოკოლის დოჰას ცვლილებას და დაამტკიცა პარიზის შეთანხმება. ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების ყველა საერთაშორისო და სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულება, რაც მას შესაბამის ვალდებულებებს აკისრებს. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველომ მოამზადა „განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის" (NDC) და კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის (CSAP) პროექტები, როგორც NDC-ის განხორციელების ინსტრუმენტი. უფრო ზუსტად, საქართველომ განსაზღვრა მისი მთავარი და სექტორული სათბურის აირების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები, მიმართულებები და ღონისძიებები 2030 წლისთვის. თუმცა ამავდროულად აღსანიშნავია რომ საქართველოს არ აქვს „მწვანე ზრდის სტრატეგია", მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კლიმატის პოლიტიკასა და ამ სფეროში განხორციელებულ ქმედებებზე დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის გზით. შესაბამისად, მოსალოდნელია ევროპის მწვანე შეთანხმების გავლენაც, განსაკუთრებით საქართველოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკაზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველომ განახორციელა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზაცია, პრიორიტეტად განსაზღვრა 17-ვე მიზანი და დაადგინა ქვეყნისთვის სპეციფიკური კონკრეტული მიზნები და ინდიკატორები (GOG, 2019). მიზნების განხორციელება ცხადია დაკავშირებულია ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან. ანუ, ტექნოლოგიურ ცვლილებებს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე: ერთი მხრივ განაპირობებენ (წვლილი შეაქვთ) კლიმატის ცვლილებებს და მეორე მხრივ ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები უნდა გახდეს მთავარი ინსტრუმენტი კლიმატის ცვლილებების შერბილების პოლიტიკისათვის. ტექნოლოგიურ ცვლილებებში ცხადია მოიაზრება ინოვაციები მოწყობილობები, ციფრული ტექნოლოგიები. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზება თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტე-

ტად განისაზღვრა. ევროკავშირის მიერ ინიცირებული „EU4Digital: ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" მხარს უჭერს ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების ძირითად სფეროებს ევროკავშირის ნორმების და პრაქტიკის შესაბამისად. ციფრული პროცესების გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება ცხოვრების ყველა ასპექტი და ეკოსისტემის პლატფორმა (თოთლაძე ლ., ვეშაპელი გ., 2021).

უნდა აღინიშნოს რომ კლიმატის ცვლილება, შეზღუდული რესურსები, ბიომრავალფეროვნების ცვლილება – თანაბრად აისახება სხვადასხვა სექტორსა და ბიზნეს საქმიანობაზე. არსებითია რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კომპანიებმა გააცნობიერეს ახალი მიდგომების აუცილებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნეს პროცესების, წარმოებისა და პროდუქტის მდგრადობას. შესაბამისად, ეკოინოვაცია მთავარი კონცეფციაა ამ კონტექსტში. მას გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობის ყველა ეტაპზე. სწორედ ამიტომ გვეხმარება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ამცირებს ბიზნეს საქმიანობის უარყოფით გავლენას გარემოზე, ზრდის ბუნების მედეგობას გარემოს გამოწვევების წინაშე. ეკოინოვაციები კომპანიებს ეხმარება არსებულ გამოწვევებს ინოვაციური მიდგომებით გაუმკლავდნენ და ამასთან, მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებს უქმნის მათ.

ეკოინოვაციების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ. 2019 წლიდან ევროკავშირი, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს პროგრამას "ევროკავშირი გარემოსათვის" (EU4Environment). პროგრამა აერთიანებს ხუთ ძირითად თემატურ საკითხს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს – აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და უკრაინას – ეხმარება პოლიტიკის დაგეგმვასა და უფრო "მწვანე" ინვესტიციების განხორციელებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობაში, გარემოს დაცვის მიმართულებით აქტივობების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. პროგრამა ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად ხორციელდება.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და კომპონენტია მცირე და საშუალო საწარმოებში ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვისა და პროდუქტების ინოვაციების ("ეკოინოვაციების") ხელშეწყობა, რომელსაც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ხელმძღვანელობს და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან თანამშრომლობით განხორციელდა.

პროგრამის მონაწილე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკაში, ასევე მნიშვნელოვანია მათი გავლენა გარემოზე, შესაბამისად, ეკოინოვაციების დანერგვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა, რაც უფრო "მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლას შეუწყობს ხელს. ეკოინოვაციების დანერგვა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს დაეხმარებათ, შეამცირონ გამოყენებული რესურსები, აღადგინონ მასალები და მართონ ნარჩენები. ეკოინოვაციის დანერგვა ერთიანი პროცესია და გულისხმობს ცვლილებებს კომპანიის/საწარმოს სტრატეგიაში. თავის მხრივ, სტრატეგიაში შეტანილი ცვლილებები აისახება ბიზნეს მოდელში, საოპერაციო დონეზე და ბიზნეს პრაქტიკაში. ამდენად, ეკოინოვაცია

მოიცავს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს: ნედლეულის მოპოვებიდან – სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე, მისი რეალიზაციის ჩათვლით.

საწარმოებში ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვისა და პროდუქტების ინოვაციების გავრცელების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში საწარმოებში არსებული მდგომარეობისა და დინამიკის შეფასება. ამისათვის საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზი. სტატისტიკური მონაცემები ემყარება საქართველოში მოქმედ საწარმოთა კვლევას, რომელიც მოიცავს საქართველოში საწარმოთა კვლევას გამოკითხვის საფუძველზე. გამოკითხვა წარმოებს სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად ასახავს საწარმოებში არსებულ მდგომარეობას. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ გამოკითხვის შედეგები ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია საწარმოთა ზომის მიხედვით, საქმიანობის სფეროების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში და ა.შ. რაც თავის მხრივ საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კლიმატის ცვლილების შედეგების თვალსაზრისით ჩვენ გავაანალიზეთ 2023 წლის კვლევის შედეგები რომლებიც ეხებოდა საწარმოებისათვის მნიშვნელოვნების კატეგორიების განაწილება კლიმატის ცვლილების შედეგების გავლენის მიხედვით (რაც შეეხება დინამიკას, რაც შესაძლებელია გარკვეული დასკვნებისათვის განგვეხილა, ამ შემთხვევაში დიდი ცვლილებები არ იყო ოთხწლიან დინამიკაში. შესაბამისად აღებულია კვლევის ბოლო 2023 წელი).

ნახაზი #1

საწარმოებისათვის მნიშვნელოვნების კატეგორიების განაწილება კლიმატის ცვლილების შედეგების გავლენის მიხედვით

	2023				
	მაღალი	*საშუალო*	*დაბალი*	*არ იყო მნიშვნელოვანი*	*შეფასების გარეშე**
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მთავრობის პოლიტიკა/ღონისძიებები	19.8%	23.5%	22.8%	25.6%	25.7%
კლიმატის ცვლილების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება (მაგ. მოთხოვნა დაბალნახშირბადის შემცველ პროდუქტებზე და კლიმატის ცვლილებებზე უკეთესად ადაპტირებულ პროდუქტებზე)	15.9%	21.1%	24.0%	25.4%	26.7%
კლიმატის ცვლილების შედეგად ხარჯების ან ფასების ზრდა ნედლეულზე (მაგ. გაზრდილი სადაზღვევო მოსაკრებელი, წყლის უფრო მაღალი ფასები და ა.შ.)	31.0%	29.9%	24.1%	24.6%	24.0%

ექტრემალური კლიმატური პირობების ზემოქმედება (მაგ. დაზიანებები/დარღვევები)	*33.2%*	*25.6%*	*29.0%*	*24.5%*	*23.7%*
სულ	***100.0%***	***100.0%***	***100.0%***	***100.0%***	***100.0%***

წყარო: www.Geostat.ge

გამოკითხვის შედეგების მიხედვით კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკა მხოლოდ საწარმოთა 19,8%-სათვის აღმოჩნდა მაღალი მნიშვნელობის მქონე. ასევე საკმაოდ დაბალია იმ საწარმოთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთათვისაც კლიმატის ცვლილების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება მაღალმნიშვნელოვანია. შედარებით მაღალია იმ საწარმოთა წილი, რომლებსაც გაეზარდათ კლიმატის ცვლილების შედეგად ხარჯები ან ფასები ნედლეულზე და შეადგინა 31%. რაც შეეხება ექსტრემალური კლიმატური პირობების ზემოქმედებას, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საწარმოთა 33,2%-თვის.

კლიმატის ცვლილებისასთან დაკავშირებული პოლიტიკა როგორც ვიცით მოიცავს ადაპტაციას და შერბილებას. ორივე მიმართულებით ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვანია რომ გატარდეს როგორც სახელმწოფო დონეზე ასევე კომპანიების მიერ (ცხადია სახელმწიფოს ხელშეწყობითა და წახალისებით). ამ მიმართულებით ერთ-ერთ არსებითად მნიშვნელოვანს წარმოადგენს ინოვაციები რომლებსაც ნერგავენ კომპანიები: კონკრეტულად კი ეკოლოგიური სარგებლის მქონე ინოვაციები. **ეკოლოგიური სარგებლის მქონე ინოვაციები** არის ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი/მომსახურება ან პროცესები, რომლებმაც მოიტანეს ეკოლოგიური სარგებელი. ეკოლოგიური სარგებელი შეიძლება იყოს ინოვაციის მთავარი მიზანი. ინოვაციის ეკოლოგიური სარგებელი შეიძლება წარმოიშვას საქონლის ან მომსახურების წარმოების დროს, მისი მოხმარების ან პროდუქტის საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენების დროს. საბოლოო მომხმარებელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, სხვა საწარმო, მთავრობა და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს მონაცემებს საწარმოთა მიერ ეკოლოგიური სარგებლის მქონე ინოვაციების ტიპოლოგიას მნიშვნელოვნების მიხედვით (ნახაზი #2).

ნახაზი #2

საწარმოთა განაწილება ეკოლოგიური სარგებლის ტიპების მნიშვნელოვნების კატეგორიების მიხედვით

	2023 სარგებელი		
	მნიშვნელოვანი	*უმნიშვნელო*	*სარგ. გარეშე*
პროდუქციის ერთ ერთეულზე გამოყენებული მასალის ან წყლის რაოდენობის შემცირება	*2.40%*	*5.10%*	*92.50%*
ენერგიის მოხმარების შემცირება (CO2-ის გამოყოფის შემცირება)	*2.30%*	*6.00%*	*91.70%*
წყლის, ხმაურის, ნიადაგის, ჰაერის დაბინძურების შემცირება	*2.50%*	*5.90%*	*91.60%*
მასალების ჩანაცვლება ნაკლებად დამაბიძურებელი ან საშიში ჩამნაცვლებლებით	*2.60%*	*5.30%*	*92.00%*

ჭიაღისეული ენერგიის შეცვლა განახლებადი ენერგიის წყაროებით	*1.80%*	*3.60%*	*94.70%*
გადამუშავებული ნარჩენების, წყლის, მასალების გამოყენება საკუთარი გამოყენებისთვის ან გასაყიდად	*1.50%*	*4.00%*	*94.50%*

წყარო: www.Geostat.ge

გამოკითხვის შედეგების მიხედვით საწარმოთა მხოლოდ 2,4%-სათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროდუქციის ერთ ერთეულზე გამოყენებული მასალის ან წყლის რაოდენობის შემცირება (ხოლო 92,5%-თვის სარგებლის გარეშე). ასევე საკმაოდ დაბალია ენერგიის მოხმარების შემცირებით და წყლის, ხმაურის, ნიადაგის, ჰაერის დაბინძურების შემცირებით მიღებული ეკოლოგიური სარგებლის მნიშვნელოვნება (შესაბამისად საწარმოთა 2,3% და 2,5%-თვის), მასალების ჩანაცვლება ნაკლებად დამაბინძურებელი ან საშიში ჩამნაცვლებლით მნიშვნელოვანი სარგებელი იყო საწარმოთა 2,6%-თვის, ჭიაღისეული ენერგიის შეცვლა განახლებადი ენერგიის წყაროებით მაღალი მნიშვნელობის აღმოჩნდა მხოლოდ საწარმოთა 1,8%-თვის; რაც შეეხება გადამუშავებული ნარჩენების, წყლისა და მასალების გამოყენებას 1,5% საწარმოებისათვის იყო მხოლოდ მაღალმნიშვნელოვანი.

კვლევის შედეგები ადასტურებს კლიმატის ცვლილებების შერბილების ხელისშემწყობი მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას. საქართველოს აუცილებელია მუშაობა ცნობიერების ამაღლების კუთხით, რა თავის მხრივ გაზრდის მოთხოვნას დაბალნახშირბადის შემცველ პროდუქტებზე და კლიმატის ცვლილებებზე უკეთესად ადაპტირებულ პროდუქტებზე.

ასევე მნიშვნელოვანია საწარმოო პროცესების იმგვარად განხორციელება, რაც შეამცირებს წყლის, ჰაერის, ნიადაგის დაბინძურების ხარისხს. ჩვენი აზრით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება გადამუშავებული ნარჩენების, წყლის, მასალების გამოყენება საკუთარი გამოყენებისთვის ან გასაყიდად. მთავარი აქცენტები ენერგოუზრუნველყოფის მიმართულებით კი უნდა გაკეთდეს განახლებად ენერგიაზე.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია წარმოუდგენელია სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე, რომელმაც პრაქტიკულად მაკოორდინირებელი როლი უნდა შეასრულოს. სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა კერძო სექტორმა უნდა მიიღოს. აუცილებელია მუდმივი კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთლაძე ლ., ვეშაპელი გ. (2021) ციფრული ტრანსფორმაციის შრომასა და შრომის ბაზარზე ზეგავლენის საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები" მასალათა კრებული, თბილისი; http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2021%20konf.pdf ;
2. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ურბანიზაციისა და ეკოლოგიური მდგომარეობის დამოკიდებულების რეგიონული ასპექტები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ეროვნული კონფერენცია, თბილისი, 2024;

3. Appiah E. N. (2017) The Effect of Education Expenditure on Per Capita GDP in Developing Countries. International Journal of Economics and Finance; Vol. 9, No. 10;. https://doi.org/10.5539/ijef.v9n10p136
4. Big Ideas Report 2021. Research Paper of ARK Investment Management, Available at: https://ark-invest.com/big-ideas-2021/;
5. Hanushek, E. A., & Wößmann, L. (2010). Education and Economic Growth. In P. Peterson, E. Baker, & B. McGaw (Eds.), *International Encyclopedia of Education* (Vol. 2, pp. 245-252). https://doi.org/10.1016/B978-0-08-044894-7.01227-6;
6. Goos, M., Arntz, M., Zierahn, U., Gregory, T., Carretero Gómez, S., González Vázquez, I., Jonkers, K., The Impact of Technological Innovation on the Future of Work, European Commission, Seville, 2019, JRC117212;
7. Totladze L. (2020) Government Expenditure on Education and R&D as a Factor of Homan Capital and its Impact on Economic Growth. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი", #2 2020. ISSN 1987-6890 https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE
8. Totladze L., Khuskivadze M. (2020) The Effect of Foreign Direct Investments on Innovation and Technology Transfer. საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტი, თბილისი, 2020; http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2020konfint.pdf
9. http://data.uis.unesco.org ;
10. https://unctad.org;
11. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba

Lia Totladze
Associate Professor, Doctor of Economics, Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Principal Research Fellow at Paata Gugushvili Institute of Economics;
Mamuka Khuskivadze
Associate Professor, Doctor of Economics, Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Principal Research Fellow at Paata Gugushvili Institute of Economics

THE ASSESSMENT OF THE IMPACT OF CLIMATE CHANGE IN THE CONTEXT OF ECO-INNOVATION: THE EXAMPLE OF GEORGIA

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TOTLADZE.KHUSKIVADZE

Expanded Summary

Climate change is considered one of the greatest challenges. It has a profound impact on the global economy, the macroeconomic environment, businesses, societies, and individuals. Since 2011, climate change has consistently been among the top five global threats and is "aggravating much faster than expected" (WEF, 2020). The impact of climate change on people and ecosystems affects economic growth, employment, working conditions, safety standards, health, and livelihoods. Therefore, an appropriate approach to measuring impact is extremely important for implementing climate change mitigation and adaptation policies. The developed countries aim to achieve decarbonization and zero emissions by 2050-2060. At the same time,

the private sector is also committed to climate-related actions, including greenhouse gas reduction, alongside governments. Many large companies have set targets for reducing or net-zero greenhouse gas emissions and have joined voluntary certification schemes. According to a study conducted in the US, 78% of investors surveyed were interested in contributing to climate change efforts through their investments (Morgan Stanley, 2019). The world is trying to transition from a system dependent on fossil fuels to one that relies on clean, low-carbon renewable sources and technologies. In the post-pandemic recovery process, decarbonization should be achieved through emission reductions and the economy should be strengthened through low-carbon investments.

Georgia has joined the UNFCCC, the Kyoto Protocol, the Doha Amendment to the Kyoto Protocol and ratified the Paris Agreement. Therefore, all international and legally binding climate change agreements are important for Georgia, which impose relevant obligations on it. The implementation of the goals is obviously related to the use of innovative approaches. That is, technological changes are given special importance at the modern stage: on the one hand, they cause (contribute to) climate change, and on the other hand, new modern technologies should become the main tool for climate change mitigation policies. Technological changes obviously include innovations in devices and digital technologies. Harmonizing digital markets between the EU and partner countries has been identified as one of the priorities for cooperation.

It is essential that in recent decades, companies have realized the need for new approaches that promote the sustainability of business processes, production and products. Accordingly, eco-innovation is a key concept in this context. It has an impact on all stages of a company's activities. Since 2019, the European Union, together with partner international organizations, has been implementing the "EU4Environment" program. The program is jointly implemented by the European Union, the Organization for Economic Cooperation and Development (OECD), the United Nations Environment Program (UNEP), the United Nations Industrial Development Organization (UNIDO) and the World Bank. One of the main directions and components of the program is the promotion of ecological value chains and product innovations ("eco-innovations") in small and medium-sized enterprises, which is led by the United Nations Environment Program (UNEP) and implemented in cooperation with the Global Compact Network.

In the countries participating in the program, including Georgia, small and medium-sized enterprises play an important role in the economy, and their impact on the environment is also important, therefore, the introduction of eco-innovations in small and medium-sized enterprises is considered an important tool that will contribute to the transition to a more "green" economy. The introduction of eco-innovations will help small and medium-sized enterprises reduce the use of resources, recover materials and manage waste. The introduction of eco-innovation is a unified process and implies changes in the strategy of the company/enterprise. In turn, the changes made to the strategy are reflected in the business model, at the operational level and in business practices. Thus, eco-innovation covers all stages of the product life cycle: from the extraction of raw materials to the end of the life cycle, including its sale.

In terms of the spread of eco-innovations in enterprises, it is extremely important to assess the dynamics of enterprises in Georgia. For this purpose, the analysis of the research conducted by the Department of Statistics of Georgia is interesting. Statistical data are based on the Survey of Enterprises Operating in Georgia, which includes a survey of enterprises in Georgia. The survey is conducted in various directions and accordingly reflects the current situation in enterprises. It is also interesting that the survey results are often presented by enterprise size, by field of activity, in a regional context, etc. which in turn allows for sound conclusions to be drawn.

In terms of the consequences of climate change, we analyzed the results of the 2023 survey. According to the survey results, government policy related to climate change was

found to be of high importance for only 19.8% of enterprises. The percentage of enterprises for which raising consumer awareness about climate change is of high importance is also quite low. The share of enterprises that have increased costs or prices for raw materials as a result of climate change is relatively high and amounted to 31%. As for the impact of extreme climatic conditions, this factor was found to be important for 33.2% of enterprises (www.Geostat.ge) .

Climate change policy includes adaptation and mitigation. It is important to implement measures in both directions both at the state level and by companies. One of the essential part is innovations that companies introduce: specifically innovations with ecological benefits. Innovations with environmental benefits are new or significantly improved goods/services or processes that bring environmental benefits. Environmental benefits can be the main purpose of the innovation. The environmental benefits of an innovation can arise during the production of a good or service, its consumption or use by the end user of the product. The end user can be an individual, another enterprise, government, etc.

According to the survey results, only 2.4% of enterprises considered reducing the amount of material or water used per unit of production to be important (while 92.5% did not consider it to be beneficial). The importance of environmental benefits from reducing energy consumption and reducing water, noise, soil, and air pollution is also quite low (2.3% and 2.5% of enterprises, respectively); replacing materials with less polluting or hazardous substitutes was a significant benefit for 2.6% of enterprises; replacing fossil fuels with renewable energy sources was of high importance for only 1.8% of enterprises; and the use of recycled waste, water, and materials was of high importance for only 1.5% of enterprises (www.Geostat.ge) .

The survey results confirm the need for targeted policies to mitigate climate change. Georgia needs to work on raising awareness, which in turn will increase the demand for low-carbon products and products that are better adapted to climate change.

It is also important to implement production processes in a way that will reduce the level of water, air, and soil pollution. In our opinion, one of the important directions is the use of recycled waste, water, and materials for our own use or sale. The main emphasis in the direction of energy supply should be on renewable energy.

The implementation of the above-mentioned measures is unthinkable without the active intervention of the state, which should practically play a coordinating role. Along with the state, the private sector should actively participate in this process.

Keywords: Climate change; Climate Change Mitigation; Ecological Innovations;

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

მალხაზ ჩიქობავა
თსუ მაკროეკონომიკის კათედრის
ასოცირებული პროფესორი

შეინარჩუნებს თუ არა აშშ დოლარი მსოფლიო ვალუტის სტატუსს?

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHIKOBAVA

ანოტაცია. *1944 წელს ბრეტონ ვუდსში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე აშშ-ის დოლარმა ოფიციალურად მიიღო მსოფლიო ვალუტის სტატუსი. ამ სტატუსს იგი 80 წელია ინარჩუნებს. მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს დარჩება აშშ დოლარი მსოფლიო ვალუტად. შეფასებების დიაპაზონი ფართოა. ზოგი ამბობს, რომ ამერიკული დოლარი, როგორც მსოფლიო ვალუტა, დღეს ან ხვალ მოკვდება. სხვები ამბობენ, რომ ის კიდევ ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. სხვები კი თვლიან, რომ ამის პროგნოზირება შეუძლებელია. თითქოს, ყველაფერი შემთხვევითობით განისაზღვრება. და ბოლოს, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აშშ დოლარს საფრთხე საერთოდ არ ემუქრება. ამბობენ, რომ მას აქვს „დროებითი სირთულეები", რაც ადრეც არსებობდა და რომელიც წარმატებით გადაილახა და მომავალშიც გადაილახება.*

დღეს მსოფლიოში დრამატული მოვლენები ხდება. იამაიკის სავალუტო-საფინანსო სისტემა სერიოზულ კრიზისს განიცდის. არის ნიშნები იმისა, რომ აშშ დოლარი მიმზიდველობას კარგავს იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომლებიც ვაშინგტონის მოკავშირედ ითვლებიან. ასე რომ, თვით ამერიკის ტრადიციული მოკავშირეებიც კი აღარ ამჟღავნებენ იგივე პატივისცემას არც ვაშინგტონის და არც ამერიკული დოლარის მიმართ. დღეს თუ ხვალ მოსალოდნელია, რომ საუდის არაბეთმა დაიწყოს ნავთობის მიწოდება ჩინურ იუანში. ნავთობიუანი შესაძლოა გახდეს ნავთობდოლარის ნამდვილი კონკურენტი. იამაიკის სისტემის კონსტრუქციაში ძალიან სერიოზული და საშიში ბზარი მწიფდება. ჯერჯერობით არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს, არც ვაშინგტონს და არც სხვა ვინმეს დასავლეთში ოფიციალურად არ დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ შეიძლება ჩაანაცვლოს ამჟამინდელი დოლარზე დამყარებული სისტემა. ვფიქრობთ, მისი ჩანაცვლებისთვის მზადება უკვე მიმდინარეობს, ოღონდ კულისებს მიღმა, როგორც ეს იყო 1970-იანი წლების პირველ ნახევარში მოხდა, როდესაც მზადება მიმდინარეობდა ოქროს დოლარის სტანდარტის გაუქმებისა და ნავთობდოლარის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: *ბრეტონ-ვუდსის სისტემა, იამაიკის სისტემა, სარეზერვო ვალუტა, ნავთობდოლარი, ევროდოლარი, სესხის მიღების სპეციალური უფლება, გლას-სტიგალის აქტი, გრემ-ლიიჩ-ბლაილის აქტი.*

*****

კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა მრავალი ვალუტა, რომლებსაც ჰქონდათ მსოფლიო ვალუტის სტატუსი, გამოიყენებოდა როგორც უნივერსალური გადახდის საშუალება საერთაშორისო ვაჭრობაში და როგორც ტეზავრაციის (დაგროვების) საშუალება. ისტორიკოსებმა გამოთვალეს ასეთი მსოფლიო ვალუტების „სი-

ცოცხლის ხანგრძლივობა", ანუ, ვალუტების მიერ მსოფლიო ვალუტის სტატუსის შენარჩუნების ხანგრძლივობა.

აი, ერთ-ერთი პუბლიკაცია ამ თემაზე: World Reserve Currencies: What Happened During Previous Periods of Transition? (მსოფლიო სარეზერვო ვალუტები: რა ხდებოდა წინა გარდამავალ პერიოდებში?). იგი გვთავაზობს მსოფლიო ვალუტების მოკლე მიმოხილვას XV-XX საუკუნეების შუა პერიოდისათვის, თითოეული ვალუტის „სასიცოცხლო ციკლის" შეფასებით. მოვიყვანოთ მონაცემები:

- პორტუგალიური რიალი (1450-1530 წლები) - დაახლოებით 80 წელი
- ესპანური ესკუდო (1530-1640 წლები) - დაახლოებით 80 წელი
- ჰოლანდიური გულდენი (1640-1720 წლები) - დაახლოებით 80 წელი
- ფრანგული ლუიდორი (1720-1815 წლები) - დაახლოებით 95 წელი
- ბრიტანული ფუნტი სტერლინგი (1815-1920 წლები) - დაახლოებით 105 წელი
- აშშ დოლარი - 1920 წლიდან. მსოფლიო ვალუტის სტატუსი ნარჩუნდება დღემდე. გამოდის, რომ უკვე 104 წელია, რაც ამერიკული დოლარი ამ სტატუსშია (Ferreira, 2014).

რა თქმა უნდა, შეფასებები მიახლობითია. ყოველთვის არ არის შესაძლებელი ზუსტად დაფიქსირდეს თარიღი, როდესაც ეროვნული ვალუტა ხდება მსოფლიო ვალუტა ისევე, როგორც ზოგჯერ შეუძლებელია ზუსტად იმ მომენტის იდენტიფიცირება, როდესაც ვალუტა კარგავს თავის გლობალურ სტატუსს.

გარდა ამისა, იყო წლები, როდესაც მსოფლიო ასპარეზზე ორი ვალუტა ეჯიბრებოდა ერთმანეთს მსოფლიო ვალუტის ტიტულის მოსაპოვებლად. ერთი იყო „ამომავალი" ვალუტა, მეორე კი - „ჩამავალი". მაგალითად, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ბრიტანული ფუნტი სტერლინგი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მსოფლიო ვალუტის სტატუსს, აშშ დოლარი კი მას ეცილებოდა პირველობაში. ომთაშორის პერიოდში ბრიტანულ და ამერიკულ ვალუტებს შორის არსებობდა ერთგვარი „ორმაგი ძალაუფლება".

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზემოაღნიშნული სურათი ნათლად გვიხატავს ისტორიულ ფაქტებს. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიო ვალუტის რანგში ფულადი ერთეულის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის ერთ საუკუნეს უტოლდება. ამერიკული დოლარი, თუ 1920 წლიდან დავიწყებთ ათვლას, უკვე 104 წელია, რაც ამ სტატუსის მატარებელია. ზოგიერთი ექსპერტი, რომელიც იცნობს ადრინდელი მსოფლიო ვალუტების „სასიცოცხლო ციკლებს" და ე.წ. ისტორიულ მიდგომას იყენებს, მიიჩნევს, რომ აშშ დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის ასაკი გადაჭარბებულადაა შეფასებული. მათი აზრით, ათვლა არა 1920 წლიდან, არამედ 1944 წლიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც აშშ დოლარმა მსოფლიო ვალუტის ოფიციალური სტატუსი მოიპოვა. ამიტომ, ის ჯერ კიდევ „მხოლოდ" 80 წლისაა (Катасонов, 2023).

ცივ ომში ამერიკის გამარჯვებამ და ეკონომიკური და ფინანსური გლობალიზაციის დაწყებამ აშშ დოლარს სიცოცხლე შთაბერა. დაიწყო დოლარის პოზიციის გამყარების ციკლი. გამყარება 2001 წლამდე გაგრძელდა, როდესაც მსოფლიო რეზერვებში დოლარის წილმა 71,51%-ს მიაღწია. შემდეგ დაიწყო ახალი კლება, რის შედეგადაც დოლარის წილი 2013 წელს 61,24%-მდე დაეცა.

2014-2016 წლებში იყო გარკვეული გამყარება, თუმცა 2016-2022 წლებში დაიწყო დოლარის პოზიციების შესუსტების ახალი ციკლი: 65,36%-დან 58,36%-მდე.

საერთაშორისო რეზერვებში აშშ დოლარის წილის შემცირებამ შვიდი წლის განმავლობაში 7 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა საუბრები „დოლარის კურსის ვარდნაზე".

ამ საუბრებში მხოლოდ დოლარის „კვდომის" პროგოზები არ ყოფილა გაჟღერებული. არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აშშ დოლარი კიდევ ერთხელ შეძლებდა მისი დასუსტების დაძლევას. ამ შეხედულების მომხრეთა აზრით, უარესი პერიოდებიც ყოფილა. მაგალითად, 1990 წელი, როდესაც ეს მაჩვენებელი 47 პროცენტამდე დაეცა, მაგრამ შემდეგ ის ზრდით შეიცვალა. 2016-2022 წლები განიხილება, როგორც ვარდნის კიდევ ერთი ციკლი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ზრდის ციკლი.

წარმოვადგინოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები 2023 წლისთვის. უახლესი მაჩვენებლები მითითებულია ამ წლის მე-3 კვარტლის ბოლოსთვის. აშშ დოლარის წილი საერთაშორისო რეზერვებში 59,17%-ია. იმავე თარიღისათვის მონაცემები სხვა სარეზერვო ვალუტების შესახებ ასე გამოიყურება (%): ევრო – 19,58; იაპონური იენი – 5,45; ბრიტანული ფუნტი სტერლინგი – 4,85; კანადური დოლარი – 2,50; ჩინური იუანი – 2,37; ავსტრალიური დოლარი – 2,02; შვეიცარიული ფრანკი – 0,18; სხვა ვალუტა – 3,89 (IMM, 2024).

საყურადღებოა 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნებული სტატია „Why's the Dollar So Darn Strong?" (რატომ არის დოლარი ასე ძლიერი?) (Rickards, 2023). ავტორია ჯეიმს ჯ. რიკარდსი, ჟურნალების Strategic Intelligence, Project Prophesy, Crash Speculator და Gold Speculator-ის რედაქტორი. ის არის ამერიკელი იურისტი, ეკონომისტი და საინვესტიციო ბანკირი, რომელსაც უოლ სტრიტზე კაპიტალის ბაზრებზე 40-წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს.

რიკარდსი ცდილობს ახსნას დოლარის გამყარების პარადოქსი ამერიკის ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიური პროცესების ფონზე. რიკარდსი გვახსენებს ყველაზე მნიშვნელოვან „ნეგატივებს". შეერთებულ შტატებში, სახელმწიფო ვალის შეფარდება GDP-ისთან რეკორდულ ნიშნულზეა და 130%-ს უახლოვდება (30% გონივრულ დონედაა მიჩნეული, ხოლო 90%-ზე მეტი - ნებისმიერი ეკონომიკური ზრდისთვის დაბრკოლებად ითვლება). შეერთებული შტატები ყოველწლიურად ბიუჯეტის მრავალტრილიონიან დეფიციტს განიცდის. კონგრესი და თეთრი სახლი, როგორც ჩანს, იზიარებს თანამედროვე მონეტარულ თეორიას, რომელიც აცხადებს, რომ აშშ-ს შეუძლია შეუზღუდავი დეფიციტისა და დავალიანების დაგროვება ეკონომიკური ზიანის გარეშე, რადგანაც მას შეუძლია ფულის ბეჭდვა შეუზღუდავი რაოდენობით ვალებისა და ხარჯების დასაფინანსებლად. რიკარდსს მოჰყავს Bloomberg-ის უახლესი მონაცემები: ოქტომბრის ბოლოს აშშ-ის მთავრობის ვალზე პროგნოზირებული წლიური საპროცენტო გადასახდელი 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. ვალის მომსახურების ხარჯები გაორმაგდა ბოლო 19 თვის განმავლობაში, რადგან აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საბაზისო განაკვეთები გაიზარდა (Rickards, 2023).

„როგორ შეიძლება აშშ-ის ვალუტა იყოს ასეთი ძლიერი ასეთ საშინელ სიტუაციაში?" – კითხვას სვამს სტატიის ავტორი. მისი აზრით, ამ კითხვაზე ორი პასუხი არსებობს.

პირველი პასუხი შემდეგში გამოიხატება: „...დოლარს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი პრობლემები, მაგრამ სხვა ვალუტები კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია...". არ გავიმეორებთ რიკარდსის შეფასებებს ისეთ ვალუტებზე, როგორიცაა ევრო, ბრი-

ტანული ფუნტი სტერლინგი, იაპონური იენი და ჩინური იუანი. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისი აზრით, ისინი უფრო დიდი პრობლემებით არიან დამძიმებული, ვიდრე აშშ დოლარი. „ასე რომ, დიახ, დოლარს აქვს თავისი პრობლემები, მაგრამ, როგორც ინვესტორმა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მის ნაცვლად თქვენ აირჩიოთ ფუნტი სტერლინგი, ევრო, იენი ან იუანი," - ასკვნის ავტორი (Rickards, 2023).

მეორე პასუხი შეიცავს ისეთ საკვანძო სიტყვას, როგორიცაა „ევროდოლარი". რიკარდსი მას შემდეგნაირად განმარტავს: „ევროდოლარები დოლარში დენომინირებული დეპოზიტებია, რომლებიც ინახება მსხვილი ბანკების საგარეო ოფისებში და, შესაბამისად, სცილდება აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემისა და საბანკო წესების იურისდიქციას". ავტორი ხაზს უსვამს, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას ძალიან მცირე გავლენა აქვს დოლარის გლობალურ ბაზარზე და დოლარის გაცვლით კურსზე; რომ წმინდა „ამერიკული" დოლარის მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებულია ევროდოლარის მდგომარეობაზე, ხოლო ამ უკანასკნელის მდგომარეობა დამოკიდებულია არა იმდენად ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობაზე, რამდენადაც იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც ევროდოლარი იბადება. ეს არის არა მხოლოდ ევროპის ქვეყნები, არამედ კანადა, ავსტრალია, იაპონია და ა.შ.. ერთი სიტყვით, არასწორია აშშ დოლარის პოზიციის შეფასების დაკავშირება მხოლოდ ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობასთან. თუმცა, ევროდოლარის ბაზრებსა და შეერთებულ შტატებს შორის კავშირი ნებისმიერ შემთხვევაში ნარჩუნდება. ასეთ ბაზრებს უკიდურესად სჭირდება ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდები, როგორც სხვადასხვა ოპერაციების მხარდაჭერის ინსტრუმენტი.

რიკარდსი აღნიშნავს, რომ ევროდოლარის ბაზრები, განსაკუთრებით დასავლეთი ევროპის, კლებას განიცდის. ამ ბაზრებზე მომუშავე ბანკები უკეთესი გირაოთი უზრუნველყოფას ითხოვენ. ისინი არ მიიღებენ კორპორატიულ ვალს, იპოთეკას ან თუნდაც აშშ-ის საშუალოვადიან სახაზინო ობლიგაციებს. ერთადერთი მისაღები გირაო აშშ-ის მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებებია და რომელიც რაც უფრო მოკლევადიანია, მით უფრო უკეთესია. ეს ნიშნავს 1-თვიან, 3-თვიან და 6-თვიან ობლიგაციებს. რა თქმა უნდა, ისინი დენომინირებულია დოლარებში. იმისათვის, რომ თამასუქები უზრუნველყოფილი იყოს გირაოს სახით, ბანკებს უწევთ დოლარების ყიდვა ამ თამასუქების საყიდლად. ამან დოლარზე უზარმაზარი მოთხოვნა შექმნა და ეს ნაწილობრივ ხსნის დოლარის სიძლიერეს" (Rickards, 2023).

რიკარდსი ასკვნის: „დოლარის დეფიციტის ფუნდამენტური პრობლემა მალე არ გაქრება და გააგრძელებს დოლარის მხარდაჭერას". ის აღიარებს, რომ დოლარის გამყარების მისი ვერსია მიეკუთვნება „ტექნიკური პრობლემების" კატეგორიას, რომელიც ყოველთვის არ არის ნათელი საშუალო ადამიანისთვის.

შევეცდებით უფრო პოპულარულად ავხსნათ მითითებული ვერსია. მართლაც, ევროდოლარის გიგანტური ბაზრები, საკუთარი თავის მხარდასაჭერად, მოითხოვს დიდი რაოდენობით „ნარკოტიკებს" მოკლევადიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების სახით (და, შესაბამისად, დოლარის ემისიების ზრდას). მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, როგორ მთავრდება „ნარკოტიკებით" გატაცება. ამრიგად, ამერიკელი ექსპერტის მიერ გამოთქმული ვერსია საერთაშორისო რეზერვებში დოლარის პოზიციის დროებითი გამყარების შესახებ, საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. სხვათა შორის, სტატიის ბოლოს რიკარდსს მკითხველები ამ დასკვნამდე მიჰყავს და მათ თავაზობს, რომ აშშ დოლარში დანაზოგი ოქროთი შეცვალონ: „ინვესტორებმა ოქროზე დღევანდელი ფასები უნდა განიხი-

ლონ, როგორც საჩუქარი და, შესაძლოა, ამ ფასად ოქროს ყიდვის უკანასკნელი შანსი, სანამ ნამდვილი რბოლა არ დაწყებულა უსაფრთხო თავშესაფრისათვის. 2000 დოლარზე დაბალი ოქროს ფასი წარმოუდგენლად იაფია. მე დაჟინებით მოგიწოდებთ, ისარგებლოთ ამ შესაძლებლობით" (Rickards, 2023).

დასასრულს, კვლავ დავუბრუნდეთ „ისტორიულ ვერსიას", რომელიც ხსნის მსოფლიო ვალუტების სასიცოცხლო ციკლებს. ამ ვერსიის მრავალი მხარდამჭერი აღნიშნავს, რომ ერთი მსოფლიო ვალუტის ეპოქიდან მეორის ეპოქაზე გადასვლა ყოველთვის ომებით ხდებოდა. ომები იწყება მსოფლიო ვალუტის ემიტენტის როლის მთავარ პრეტენდენტებს შორის და გრძელდება მანამ, სანამ წინა ემიტენტი ამ ომში არ დამარცხდება (ან, ყოველ შემთხვევაში, არ მოხდება მისი ეკონომიკური და სამხედრო გამოფიტვა). ძირითადი სარეზერვო ვალუტების ემიტენტების მზაობის ნიშნები ასეთი ომისთვის დღეს აშკარაა.

იმის საილუსტრაციოდ, რომ აშშ დოლარს სერიოზული საფრთხე ემუქრება, საჭიროა ყურადღება მივაქციოდ იმ „ნაღმს", რომელიც ამერიკის ეკონომიკის ქვეშ ჩაიდო. ამისთვის გარკვეული ისტორიული ექსკურსი დაგვჭირდება. ეს ამბავი დაახლოებით საუკუნეს ითვლის. გასული საუკუნის 20-იანი წლების ამერიკას ისტორიკოსები ხანდახან „ბობოქარ ოციანებს" უწოდებენ. ეს იყო ახალი სამყაროს ცხოვრების ყველა ასპექტში დინამიური ცვლილებების დრო. ეკონომიკურ სფეროში ეს გამოიხატებოდა მრავალი ახალი ინდუსტრიის გაჩენაში (ავტომობილები, ელექტროინჟინერია, თვითმფრინავების წარმოება და ა.შ.), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ახალი ტიპების სწრაფ განვითარებაში, ცათამბჯენების მშენებლობაში, მონოპოლიებისა და ბანკების სწრაფ ზრდაში, საფონდო ბირჟაზე შეუზღუდავ სპეკულაციებსა და ა.შ.

1929 წლის ოქტომბერში „ბობოქარი ოციანები" მოულოდნელად დასრულდა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე პანიკის შედეგად. საფონდო ბირჟის კრიზისი სწრაფად გავრცელდა ამერიკის ეკონომიკის ყველა სექტორსა და ინდუსტრიაზე. შეერთებული შტატები ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდა, რომელიც 1933 წელს დეპრესიის ფაზაში შევიდა. მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა ვერ შეძლო კრიზისთან გამკლავება. პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა, რომელმაც 1933 წელს შეცვალა ჰუვერი, უფრო გადამჭრელი ნაბიჯები გადადგა. იმ ღონისძიებებს შორის, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლებამ მიმართა კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გლას-სტიგალის აქტის მიღება 1933 წელს. კანონს ორი კონგრესმენის - კარტერ გლასისა და ჰენრი სტიგალის სახელი ეწოდა, რომლებიც მისი ინიციატორები იყვნენ. გლას-სტიგალის აქტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტიკულ ნაბიჯებს:

- საბანკო საკრედიტო ოპერაციების გამიჯვნას საინვესტიციო ოპერაციებისგან (იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბევრად უფრო სარისკოა); ბანკების დაყოფას კომერციულ (დეპოზიტების მიღებისა და დაკრედიტების უფლების მქონე) და საინვესტიციო ბანკებად (რომლებსაც მხოლოდ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელების უფლება აქვთ საფონდო ბაზრებზე);
- მოსახლეობის საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სპეციალური ორგანიზაციის - დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის (FDIC) შექმნას;
- აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საზედამხედველო, მარეგულირებელი და საკონტროლო ფუნქციების გაძლიერებას კომერციულ ბანკებთან მიმართებაში; საინვესტიციო ბანკების გაყვანას აშშ-ის ფედერალური სარეზერვო

სისტემის კონტროლიდან და მათი რისკების არდაზღვევას სახელმწიფოსა და ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ;

- ფედერალური სარეზერვო სისტემისათვის ბანკების შემნახველ დეპოზიტებზე ზღვრული საპროცენტო განაკვეთების დასარეგულირებლად და ასევე, სიტუაციის გათვალისწინებით, ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შემავალი ბანკებისთვის სავალდებულო სარეზერვო ნორმების დასაწესებლად უფლებების მინიჭებას.

ამ ნაბიჯებიდან პირველი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. იმის გამო, რომ კანონის ინიციატორებისა და მრავალი ამერიკელი ეკონომისტის აზრით, სწორედ კლასიკური სადეპოზიტო და საკრედიტო ინსტიტუტების (კომერციული ბანკების) ფინანსურ სპეკულანტებად გადაქცევა იყო 1929 წლის ოქტომბერში საფონდო ბირჟის კოლაფსის მთავარი მიზეზი. 1929-1933 წლებში დაახლოებით 4 ათასი ბანკი გაკოტრდა. მათი რიცხვი 1933 წლისთვის 1925 წელთან შედარებით განახევრდა. ბანკის კლიენტებმა (როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა) დიდი თანხები დაკარგეს. შედეგად, ამერიკაში ახალი მილიონობით ღარიბი და გაღატაკებული მოქალაქე გაჩნდა და ათიათასობით კომპანია გაკოტრდა (Катасонов, 2024).

გლას-სტიგალის კანონის მიღებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აშშ-ის ფინანსური და საბანკო სისტემის სტაბილიზაციაში. XX საუკუნის ბოლომდე ამერიკა საბანკო კრიზისების გარეშე ცხოვრობდა (თუმცა ცალკეული ბანკების გაკოტრება რეგულარულად ხდებოდა). გლას-სტიგალის კანონი გადაულახავი ბარიერი გახდა ხარბი ბანკირებისთვის, რომლებსაც სურდათ თავიანთი სადეპოზიტო დაწესებულებების პრივილეგირებული სტატუსი გაეერთიანებინათ საფონდო ბირჟებზე სპეკულაციურ ოპერაციებთან. მათ ძალიან სურდათ ბირჟაზე აზარტული თამაშებისთვის მეანაბრეთა ფულის გამოყენება. ბანკირების პირველი მცდელობა, დაესუსტებინათ გლას-სტიგალის კანონი, ჯერ კიდევ 1956 წელს განხორციელდა საბანკო ჰოლდინგური კომპანიების შესახებ კანონის მიღებით. შემდეგ შემოთავაზებული იქნა ყველა შტატში საბანკო ჰოლდინგური კომპანიების შვილობილი კომპანიებისთვის საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის გაერთიანების აკრძალვის გაუქმება. თუმცა, მცდელობა ჩაიშალა. სადეპოზიტო-საკრედიტო დაწესებულებებს უწინდებურად ეკრძალებოდათ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე ფინანსური მომსახურების სხვა სექტორების (სადაზღვევო, საინვესტიციო, აქტივების მართვის და ა.შ.) კომპანიების შთანთქმა, ასევე მათთან პარტნიორობის ორგანიზება.

1960-70-იანი წლების მიჯნაზე შესაძლებელი გახდა პირველი ნაბიჯის გადადგმა საფინანსო ბიზნესის ორ ძირითად ტიპს - სადეპოზიტო-საკრედიტოსა და საინვესტიციოს შორის კედლის დანგრევაში. კომერციულმა ბანკებმა უფლება მიიღეს შესულიყვნენ მუნიციპალური ობლიგაციების ბაზარზე, როგორც ანდერრაიტერებმა (საინვესტიციო ბროკერებმა). ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიებმა თავიანთი ლობისტების მეშვეობით მოიპოვეს უფლება გაეხსნათ კლიენტებისთვის მოთხოვნამდე ანგარიშები ფულის ბაზარზე (ფულის ბაზრის ანგარიშები), რომლებიც რეალურად მოკლევადიანი დეპოზიტების ანალოგებია. მაგრამ, ასეთ ანგარიშებზე არ ვრცელდებოდა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის (FDIC) საქმიანობა და არსებობდა მაღალი რისკის ანგარიშები (Катасонов, 2024).

1986 წლის ბოლოსა და 1987 წლის დასაწყისში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ზოგიერთ განსაკუთრებით

სანდო კომერციულ ბანკს საშუალება მისცა მიეღოთ მთლიანი შემოსავლის არაუმეტეს 5%-ისა ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან (თუმცა, ჯერ არა კლიენტების სახსრების, არამედ საკუთარი კაპიტალის ხარჯზე). ცოტა მოგვიანებით, ყველაზე სანდო ბანკებისათვის ადრე დადგენილმა თამასამ 10%-მდე აიწია. ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე იყო პოლ ვოლკერი.

გლას-სტიგალის კანონის დემონტაჟის საბოლოო ეტაპი ასოცირდება ალან გრინსპენის სახელთან. 1987 წლის აგვისტოში ჯ. პ. მორგანის (J.P. Morgan) ბანკის დირექტორობიდან ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნისას, გრინსპენმა მაშინვე განაცხადა, რომ აუცილებელია „საბანკო სისტემის მაქსიმალური დერეგულირება ამერიკული ბანკების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მსხვილ უცხოურ ბანკებთან ბრძოლაში". გრინსპენის გაგებით კი „დერეგულაცია", უპირველეს ყოვლისა, გლას-სტიგალის კანონის გაუქმება იყო. როგორც ამბობენ, „პროცესი დაიძრა". ბუნებრივია, პირველი ბანკი, რომელმაც 1990 წელს ფედერალური სარეზერვო ბანკისგან მიიღო უფლება საინვესტიციო საქმიანობაზე მთლიანი შემოსავლის 10%-მდე ოდენობით, იყო გრინსპენის „მშობლიური" ბანკი ჯ. პ. მორგანი. გრინსპენის საჩუქარმა ბანკს საშუალება მისცა მკვეთრად გაეძლიერებინა თავისი პოზიცია უოლ სტრიტის სხვა ბანკებს შორის და მათ ხარჯზე. ჯ. პ. მორგანმა, საინვესტიციო ოპერაციების საშუალებით, დიდი მადით დაიწყო კონკურენტების გადაყლაპვა: ჩემიქალ ბენკი (Chemical Bank) (1991 წელს), ჩეიზ მენჰეტენი (Chase Manhattan) (1995), ფერსთ ჩიკაგო (First Chicago) (1995), გრეით ვესტერნ ბენკი (Great Western Bank) (1997), ბენკ უანი (Bank One) (2004) და ა.შ.

1996 წლის დეკემბრისთვის გრინსპენის ინიციატივით ბანკებისთვის ნებადართული საკუთარი საინვესტიციო საქმიანობის დონე 25%-მდე გაიზარდა. უკვე 1997 წლის აგვისტოში, პირველმა საბანკო სტრუქტურამ, ბენკერს თრასთმა (Bankers Trust) შთანთქა საბროკერო კომპანია ალექს, ბრაუნ ენდ კომპანი (Alex, Brown & Co). მოგვიანებით ის თავად შთანთქა დოიჩე ბანკმა. უოლ-სტრიტზე სხვადასხვა სახის ფინანსურ სერვისებს შორის აღმართული კედლის ნგრევა კარგად მიმდინარეობს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნარჩუნდებოდა მხოლოდ ბანკების სადაზღვევო საქმიანობაში შესვლის აკრძალვა.

გლას-სტიგალის კანონის უტიფარი იგნორირება გაგრძელდა. 1997 წელს სადაზღვევო კომპანიამ „თრეველსმა" (Travelers) შთანთქა საინვესტიციო ბანკი სოლომონ ბრაზერსი (Solomon Brothers), ხოლო 1998 წელს, თავად „თრეველსი" 70 მლრდ დოლარად იყიდა კორპორაციამ სითიკორპმა (Citicorp) (სითიბენკის (Citibank) დედა კომპანიამ).

შემდეგ მსხვილმა ბანკებმა გააგრძელეს ბრძოლა გლას-სტიგალის კანონის სრული ლიკვიდაციისათვის. 1999 წლის 4 ნოემბერს მათ გამარჯვება იზეიმეს. ამ დღეს დემოკრატმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ხელი მოაწერა ფინანსური მოდერნიზაციის აქტს (Financial Modernization Act). მას ასევე უწოდებენ გრემ-ლიიჩ-ბლაილის აქტს (Gramm-Leach-Bliley Act), მისი ავტორების სახელების მიხედვით (Gramm-Leach-Bliley Act, ან მოკლედ GLB Act). მეოთხედი საუკუნის წინ, გლას-სტიგალის კანონი, რომელიც არსებობდა ამ სამყაროში 66 წლის განმავლობაში, მოკვდა.

მრავალრიცხოვან გამოსვლებში, რომლებიც თან ახლდა კანონის მიღებას, ბანკირები ამერიკის მოქალაქეებს ცინიკურად უხატავდნენ ვარდისფერ პერსპექტივას. ამბობდნენ, რომ ამერიკაში „უნივერსალური“ ბანკების დრო იწყება; რომ ამიერიდან ამერიკელები დაზოგავდნენ დროსა და ფულს ყველა ფინანსური სერვისის ერთი ფანჯრიდან მიღებით. სინამდვილეში, აშშ „მღელვარე ოციანებს“ დაუბრუნდა.

ფაქტობრივად, 1999 წლის 4 ნოემბერს აშშ-ის ფინანსური სისტემას ნაღმი დაუდეს, რომელიც ცხრა წლის შემდეგ აფეთქდა. საუბარია 2008-2009 წლების ფინანსურ კრიზისზე. ამერიკის ფინანსური კრიზისის საგამოძიებო კომისიამ, ფილ ანჯელიდესის თავმჯდომარეობით, ფინანსური კოლაფსის მიზეზების კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. აღიარებული იყო, რომ ფაქტიურად ფინანსური მოდერნიზაციის შესახებ კანონის მიღების მომენტიდან, ამერიკულმა ბანკებმა დაიწყეს საფონდო და სხვა ფინანსურ ბაზრებზე „ბუშტების“ აქტიური გაბერვა. განსაკუთრებით გააქტიურდა „ბუშტი“ იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. მისი გასკდომის შემდეგ დაიწყო საბანკო კრიზისი. 2007 წლის აგვისტოში ბეარ სტერნსი (Bear Stearns) (იმ დროს მეხუთე უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი შეერთებულ შტატებში) იპოთეკური კრიზისის შუაგულში აღმოჩნდა. 2008 წლის 15 სექტემბერს აშშ-ის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა Lehman Brothers-მა გამოაცხადა გაკოტრება. 2008 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, ამერიკის ხუთმა წამყვანმა საინვესტიციო ბანკმა შეწყვიტა ადრე არსებული პროფილით საქმიანობა: Bear Stearns ხელახლა გაიყიდა, Lehman Brothers გაკოტრდა, Merrill Lynch ხელახლა გაიყიდა, Goldman Sachs-მა და Morgan Stanley-იმ სახელი შეიცვალეს და შეწყვიტეს საინვესტიციო საქმიანობა განსაკუთრებული რისკებისა და ფედერალური სარეზერვო სისტემისგან დამატებითი მხარდაჭერის მიღების საჭიროების გამო (Катасонов, 2024).

ანჯელიდესის ზემოხსენებული კომისიის მოხსენებაში არსებული დასკვნით, კრიზისის მთავარ მიზეზად ფრანკლინ დელანო რუზველტის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში მიღებული გლას-სტიგალის აქტის გაუქმება, ხოლო მარეგულირებელი მექანიზმების განადგურების მთავარ ინიციატორად - ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე, ალან გრინსპენი დასახელდა.

რასაკვირველია, აშშ-ის ხელისუფლებას მოუწია რეაგირება 2007-2008 წლების ფინანსურ კრიზისზე, იმის დემონსტრირებით, რომ მათ გამოიტანეს დასკვნები ამ კრიზისიდან და შეძლეს საჭირო ზომების მიღება ახალი კრიზისის თავიდან ასაცილებლად. აშშ-ის კონგრესმა, პრეზიდენტ ბარაკ ობამას მხარდაჭერით, 2010 წელს მიიღო ყოვლისმომცველი კანონპროექტი უოლ სტრიტის ბანკების რეფორმირებისა და მომხმარებლების დასაცავად. მას ასევე უწოდებენ დოდ-ფრენკის აქტს, სენატორ დოდისა და კონგრესმენ ფრენკის სახელების მიხედვით, რომლებმაც მისი ინიციირება მოახდინეს.

ხსენებულმა დოდ-ფრენკის აქტმა (მისი სრული სახელია „უოლ სტრიტის რეფორმისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონი“; 848 გვერდიანი დოკუმენტი) ვერ გადაჭრა საკვანძო პრობლემა - ამერიკული ბანკების სადეპოზიტო-საკრედიტო საქმიანობის განცალკავება საინვესტიციო (სპეკულაციური) და სადაზღვევო საქმიანობისგან. ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ლინდონ ლარუშმა (1922-2019) ამ კანონს უწოდა „უსარგებლო, გულისცემის ნახევარსაზომი“.

ლინდონ ლარუში, ცალკეული კონგრესმენები და სენატორები მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ (და ახლაც ცდილობენ) გლას-სტიგალის აქტის აღდგენას. ჯერ კიდევ 2010 წლის დასაწყისში სენატორებმა მარია კანტველმა (დემოკრატი

ვაშინგტონის შტატიდან) და ჯონ მაკკეინმა (რესპუბლიკელმა არიზონადან) წარმოადგინეს ცვლილებები დოდ-ფრანკის აქტში, რაც, ფაქტობრივად, განაპირობებდა გლას-სტიგალის აქტის ძირითადი დებულებების აღდგენას. ცვლილებამ ვერ მოიპოვა საჭირო მხარდაჭერა.

2011 წლის აპრილში, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა მარსი კაპტურმა (დემოკრატმა ოჰაიოს შტატიდან) განსახილველად ხელახლა შემოიღო კანონპროექტი გლას-სტიგალის კანონის აღდგენის შესახებ, სახელწოდებით H.R. 1489 - წინადადებით „გაუქმდეს გრეჰემ-ლიიჩ-ბლაილის აქტის გარკვეული დებულებები და აღდგეს გამიჯვნა კომერციულ საბანკო საქმიანობასა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას შორის, ასევე სხვა მიზნებისათვის, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 1933 წელს მიღებული კანონით, რომელმაც მიიღო გლას-სტიგალის აქტის სახელწოდება".

2013 წლის 16 მაისს სენატორმა ტომ ჰარკინმა (დემოკრატმა აიოვას შტატიდან) წარმოადგინა აშშ-ის კონგრესის ზედა პალატის წინაშე განსახილველად კანონპროექტი N985 (SB 985) გლას-სტიგალის აქტის აღდგენის მიზნით.

აშშ-ს კონგრესის ზედა და ქვედა პალატების საკანონმდებლო ინიციატივების სია 1999 წელს გაუქმებული გლას-სტიგალის აქტის აღდგენის მიზნით კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთ მათგანს ჯერჯერობით წარმატება არ მოჰყოლია.

ზუსტად ერთი წლის წინ, მარტში, აშშ-ში საბანკო გაკოტრების სერია დაიწყო. ამ რიგში პირველი იყო სილიკონ ველი (Silicon Valley) (მე-16 უდიდესი ბანკი აშშ-ში). შემდეგ მას კიდევ რამდენიმე ბანკი მიჰყვა. საბანკო კრიზისის შემდგომი გაფართოების შეჩერება გასულ წელს მოხერხდა. მაგრამ საბანკო სექტორში სტაბილურობა კვლავ მყიფეა. ამერიკის ეკონომიკის საბანკო სექტორის არასტაბილურობის სისტემური მიზეზები ძალაში რჩება. მიმდინარე წლის დასაწყისში უძრავი ქონების ბაზარზე უმსხვილესი ამერიკული ბანკების მხრიდან „ბუშტის" ფორმირება დაფიქსირდა. ექსპერტები პროგნოზირებენ 2007-2008 წლების მოვლენების განმეორებას, რომელიც იპოთეკური ბაზრიდან დაიწყო და უოლ სტრიტის უმსხვილესი ბანკების კოლაფსით დასრულდა (Мигунов, 2024).

გასაგებია, რომ აშშ-ის ხელისუფლება და ფედერალური სარეზერვო სისტემა თავს არიდებენ ქვეყანაში შესაძლო საბანკო კრიზისის საკითხს. რა საჭიროა სპეციალურად მისი პროვოცირება? საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: უკვე აშშ-ის კონგრესშიც კი შეწყვიტეს გლას-სტიგალის აქტის აღდგენის საკითხის დაყენება. ამერიკა ჯერ კიდევ აგრძელებს ეკონომიკურ სივრცეში ცხოვრებას, რომელიც 25 წლის წინ იქნა დანაღმული, როდესაც აღნიშნული კანონი გაუქმდა.

დღეს მსოფლიოში დრამატული მოვლენები ხდება. იამაიკის სავალუტო-საფინანსო სისტემა სერიოზულ კრიზისს განიცდის. არის ნიშნები იმისა, რომ აშშ დოლარი მიმზიდველობას კარგავს იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომლებიც ვაშინგტონის მოკავშირედ ითვლებიან. ასე რომ, საუდის არაბეთი, რომელიც ამერიკის ტრადიციული მოკავშირე იყო და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყიდდა ნავთობს დოლარზე, აღარ ამჟღავნებს იგივე პატივისცემას არც ვაშინგტონის და არც ამერიკული დოლარის მიმართ. დღეს თუ ხვალ დაიწყება მისი მიწოდება ჩინურ იუანში. ნავთობიუანი შესაძლოა გახდეს ნავთობდოლარის ნამდვილი კონკურენტი. იამაიკის სისტემის კონსტრუქციაში ძალიან სერიოზული და საშიში ბზარი მწიფდება. ჯერჯერობით არც საერთაშორისო სავალუტო ფონდს, არც ვაშინგტონს და

არც სხვა ვინმეს დასავლეთში ოფიციალურად არ დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ შეიძლება ჩაანაცვლოს ამჟამინდელი დოლარის სისტემა. ვფიქრობთ, მისი ჩანაცვლებისთვის მზადება უკვე მიმდინარეობს, ოღონდ კულისებს მიღმა, როგორც ეს იყო 1970-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც მზადება მიმდინარეობდა ოქროს დოლარის სტანდარტის გაუქმებისა და ნავთობდოლარის შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა

Ferreira C., (2014). World Reserve Currencies: What Happened During Previous Periods Of Transition? Aug. 24, 2014. https://seekingalpha.com/article/2447275-world-reserve-currencies-what-happened-during-previous-periods-of-transition

IMM, (2024). Currency Composition of Official Foreign Exvhange Reserves (COFER), 06.08.2024. https://data.imf.org/?sk=e6a5f467-c14b-4aa8-9f6d-5a09ec4e62a4

Rickards J., (2023). Why’s the Dollar So Darn Strong? November 7, 2023. https://dailyreckoning.com/whys-the-dollar-so-darn-strong/

Slav I., (2023). Fifth of Global Oil Trade Used Non-Dollar Currencies in 2023. December 28, 2023. https://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/Fifth-of-Global-Oil-Trade-Used-Non-Dollar-Currencies-in-2023.html

Емузова Э., (2016). «Золотая инициатива» М. Каддафи как вызов новому мировому порядку. https://cyberleninka.ru/article/n/zolotaya-initsiativa-m-kaddafi-kak-vyzov-novomu-mirovomu-poryadku/viewer

Катасонов В., (2023). Полвека назад был дан старт проекту «нефтедоллара». 21.08.2023. https://www.fondsk.ru/news/2023/08/21/polveka-nazad-byl-dan-start-proektu-neftedollara.html

Катасонов В., (2024). Силовое обеспечение нефтедоллара: уже не помогает 19.03.2024. https://www.fondsk.ru/news/2024/03/19/silovoe-obespechenie-neftedollara-uzhe-ne-pomogaet.html

Катасонов В., (2024).Четверть века назад под американскую экономику была заложена. 14.03.2024. https://www.fondsk.ru/news/2024/03/14/chetvert-veka-nazad-pod-amerikanskuyu-ekonomiku-byla-zalozhena-mina.html

Мигунов Д., (2024). Офисный ад: кризис недвижимости поставил под угрозу крупнейшие банки США. Вакантные офисы могут привести к глобальным потрясениям, 26.02.2024. https://iz.ru/1654567/dmitrii-migunov/ofisnyi-ad-krizis-nedvizhimosti-postavil-pod-ugrozu-krupneishie-banki-ssha

Malkhaz Chikobava
PhD in Economics, Associate professor of
department of macroeconomics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

WILL THE US DOLLAR RETAIN ITS STATUS AS A WORLD CURRENCY?

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHIKOBAVA

Expanded Summary

The passage of the Glass-Steagall Act played an important role in stabilizing the US financial and banking system. Until the end of the 20th century, America lived without banking crises (although individual banks went bankrupt regularly). The Glass-Steagall Act became an insurmountable barrier to greedy bankers who wanted to combine the privileged status of their depository institutions with speculative operations in the stock markets. They were eager to use

depositors' money to gamble on the stock exchange. The first attempt by bankers to weaken the Glass-Steagall Act was made as early as 1956 with the passage of the Bank Holding Company Act. It was then proposed to repeal the ban on combining lending and investment activities for subsidiaries of bank holding companies in all states. However, the attempt failed. Deposit and credit institutions were forbidden in advance to carry out investment activities, as well as to absorb companies from other sectors of financial services (insurance, investment, asset management, etc.), as well as to organize partnerships with them.

At the turn of the 1960s and 1970s, it was possible to take the first step in breaking down the wall between the two main types of financial business - deposit-credit and investment. Commercial banks were allowed to enter the municipal bond market as underwriters (investment brokers). At the same time, investment companies, through their lobbyists, won the right to open demand accounts in the money market (money market accounts) for clients, which are actually analogues of short-term deposits. But, such accounts were not covered by the Federal Deposit Insurance Corporation (FDIC) and there were high risk accounts (Katasonov, 2024).

In late 1986 and early 1987, another important development occurred: the Federal Reserve allowed some particularly reliable commercial banks to receive no more than 5% of their gross income from securities operations (though not yet at the expense of client funds, but at the expense of their own capital). A little later, the previously established margin for the most reliable banks was raised to 10%. This happened back when Paul Volcker was the chairman of the Federal Reserve System.

The final stage of dismantling the Glass-Steagall law is associated with the name of Alan Greenspan. In August 1987 J. P. Upon his appointment as Chairman of the Board of Governors of the Federal Reserve System from the directorship of J.P. Morgan, Greenspan immediately declared the need for "maximum deregulation of the banking system in order to increase the competitiveness of American banks in the fight against large foreign banks." According to Greenspan, "deregulation" was, first of all, the repeal of the Glass-Steagall Act. As they say, "the process has started". Naturally, the first bank to receive from the Federal Reserve in 1990 the right to invest up to 10% of gross income was Greenspan's "home" bank J. P. Morgan. Greenspan's gift allowed the bank to dramatically strengthen its position among and at the expense of other Wall Street banks. J. P. Morgan, through investment operations, began to devour competitors with great appetite: Chemical Bank (1991), Chase Manhattan (1995), First Chicago (1995), Great Western Bank (Great Western Bank) (1997), Bank One (Bank One) (2004) and A.S.

By December 1996, Greenspan's initiative increased the level of own investment activity allowed to banks to 25%. Already in August 1997, the first banking structure, Bankers Trust, absorbed the brokerage company Alex, Brown & Company (Alex, Brown & Co). It was later absorbed by Deutsche Bank. Wall Street is well on its way to tearing down the wall between different types of financial services. For a certain period of time, only the prohibition of entry of banks into insurance activities was maintained.

The blatant disregard for the Glass-Steagall Act continued. In 1997, the insurance company "Travelers" absorbed the investment bank Solomon Brothers, and in 1998, "Travelers" itself was bought by Citicorp (Citibank's parent company) for $70 billion.

Then the big banks continued to fight for the complete liquidation of the Glass-Steagall Act. On November 4, 1999, they celebrated their victory. On this day, Democratic President Bill Clinton signed the Financial Modernization Act. It is also called the Gramm-Leach-Bliley Act (Gramm-Leach-Bliley Act), after the names of its authors (Gramm-Leach-Bliley Act, or GLB Act for short). A quarter of a century ago, the Glass-Steagall law, which had existed in this world for 66 years, died.

In numerous speeches accompanying the passage of the law, bankers cynically painted a rosy outlook for the American people. It was said that the time of "universal" banks is begin-

ning in America; That henceforth Americans would save time and money by getting all their financial services from a single window. In fact, the US has returned to the Roaring Twenties.

In fact, on November 4, 1999, a mine was planted in the US financial system that exploded nine years later. We are talking about the financial crisis of 2008-2009. The American Financial Crisis Investigation Commission, under the chairmanship of Phil Angelides, published the results of the research into the causes of the financial collapse. It was recognized that literally from the moment the Financial Modernization Act was passed, American banks began actively inflating "bubbles" in the stock and other financial markets. The "bubble" in the mortgage securities market became particularly active. After its collapse, the banking crisis began. In August 2007, Bear Stearns (at the time the fifth largest investment bank in the United States) found itself in the middle of the subprime crisis. On September 15, 2008, one of the largest US banks, Lehman Brothers, declared bankruptcy. As of October 2, 2008, five of America's leading investment banks have ceased operations with their previous profiles: Bear Stearns was resold, Lehman Brothers went bankrupt, Merrill Lynch was resold, Goldman Sachs and Morgan Stanley changed their names and ceased investment activities for special risks and federal funds. Due to the need to receive additional support from the reserve system (Katasonov, 2024).

According to the conclusion of the aforementioned Angelides Commission report, the main cause of the crisis was the cancellation of the Glass-Steagall Act adopted by Franklin Delano Roosevelt in the 1930s, and Alan Greenspan, the former chairman of the Federal Reserve System, was named as the main initiator of the destruction of regulatory mechanisms.

Of course, the US authorities had to respond to the financial crisis of 2007-2008 by demonstrating that they had learned from this crisis and were able to take the necessary measures to prevent a new crisis. The US Congress, with the support of President Barack Obama, passed a comprehensive bill in 2010 to reform Wall Street banks and protect consumers. It is also called the Dodd-Frank Act, after Senator Dodd and Congressman Frank, who initiated it.

The aforementioned Dodd-Frank Act (its full name is the "Wall Street Reform and Consumer Protection Act"; 848-page document) failed to solve the key problem - the separation of deposit-credit activities of American banks from investment (speculative) and insurance activities. Renowned politician and public figure Lyndon LaRouche (1922-2019) called this law a "useless, half-measure of a heartbeat."

In Lyndon LaRue, individual congressmen and senators tried (and are still trying) for many years to restore the Glass-Steagall Act. Back in early 2010, Senators Maria Cantwell (Democrat of Washington State) and John McCain (Republican of Arizona) introduced amendments to the Dodd-Frank Act that would, in effect, reinstate key provisions of the Glass-Steagall Act. The change did not gain the necessary support.

In April 2011, US House of Representatives Marcy Kaptur (D-Ohio) reintroduced a bill to restore the Glass-Steagall Act, H.R. 1489 - with a proposal to "repeal certain provisions of the Graham-Leach-Bliley Act and restore the separation between commercial banking and securities trading, as well as for other purposes, as provided by the law passed in 1933, which received the name of the Glass-Steagall Act."

On May 16, 2013, Senator Tom Harkin (D-Iowa) introduced Bill N985 (SB 985) to the upper house of the US Congress to restore the Glass-Steagall Act.

The list of legislative initiatives in the upper and lower houses of the US Congress to restore the repealed Glass-Steagall Act in 1999 could go on. But, unfortunately, none of them have been successful so far.

Exactly one year ago, in March, a series of bank bankruptcies began in the USA. The first in this line was Silicon Valley (16th largest bank in the USA). Then several other banks followed him. The expansion after the banking crisis was stopped last year. But stability in the banking sector remains fragile. The systemic causes of instability in the banking sector of the

American economy remain in force. At the beginning of this year, the formation of a "bubble" was observed on the part of the largest American banks in the real estate market. Experts predict a repetition of the events of 2007-2008, which began with the mortgage market and ended with the collapse of the largest Wall Street banks (Мигунов, 2024).

It is understood that the US government and the Federal Reserve System are avoiding the issue of a possible banking crisis in the country. What is needed to provoke it? Another fact is worth noting: even in the US Congress, they stopped raising the question of restoring the Glass-Steagall Act. America still continues to live in an economic space that was mined 25 years ago when the said law was repealed.

Dramatic events are happening in the world today. Jamaica's monetary and financial system is experiencing a serious crisis. There are signs that the US dollar is losing its appeal even to countries considered Washington's allies. So, Saudi Arabia, which has been a traditional ally of America and sold oil for dollars for almost half a century, no longer shows the same respect for either Washington or the American dollar. It will start shipping in Chinese yuan today or tomorrow. Oil may become a real competitor to the oil dollar. A very serious and dangerous crack is brewing in the structure of the Jamaican system. So far, neither the International Monetary Fund, nor Washington, nor anyone else in the West has formally raised the question of what might replace the current dollar system. We believe preparations are already underway to replace it, but behind the scenes, as was the case in the first half of the 1970s, when preparations were underway to abandon the gold dollar standard and create the petrodollar.

***Key words**: Bretton Woods system, Jamaican system, reserve currency, petrodollar, eurodollar, special drawing right, Glass-Steagall Act, Gramm-Leach-Bliley Act.*

ციცინო თეთრაული
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
მეცნიერთანამშრომელი

ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული და მდგრადი განვითარების პირობებში მიწასთან დაკავშირებული პრობლემები

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TETRAULI

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები. გლობალური მსოფლიო ძალიან დიდი სახიფათო გამოწვევების წინაშე დგას. მიმდინარეობს გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების პროცესი. გაანალიზებულია ამ ახალი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსის არსი და მნიშვნელობა, ცივილიზაციის არსებობის შენარჩუნებისათვის. ასევე მიწის რესურსებზე მოქმედი საფრთხეები, როგორიცაა: ეროზია, დეგრადაცია, გლობალური დათბობა და ა.შ. გაშუქებულია ის პრევენციული ზომები, რომელიც თავიდან აგვაცილებს მიწის რესურსებთან დაკავშირებულ საფრთხეებს. შესწავლილია ის პოტენციალი რომელიც გააჩნია საქართველოს აგრარული სფეროს განვითარებისა და აღორძინებისათვის, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. დახასიათებულია უცხოეთის გამოცდილება აგრარულ სფეროში.*

საკვანძო სიტყვები*: ეროზია, მდგრადი განვითარება, "კიბუცები", დესაკრალიზაცია, მეწყერი.*

****

დღევანდელი მსოფლიო უდიდესი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მიმდინარეობს აქამდე არსებული მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია, გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება. ომები ევროპასა და აღმოსავლეთში, იღუპებიან ადამიანები, ნადგურდება ინფრასტრუქტურა. მსოფლიომ სულ ცოტა ხნის წინ გადაიტანა ისეთი დიდი ტრაგედია როგორიცაა პანდემია, მილიონობით ადამიანი დაიღუპა. თუმცა ეს არ აღმოჩნდა გაკვეთილი მსოფლიოსთვის ბრძოლა "უჩინართან" (როგორც კორონავირუსს უწოდებდნენ) ჩაანაცვლა ნამდვილმა ომებმა. ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა დასრულდა. ისმის ფრაზები ბირთვულ ომთან დაკავშირებით. მსოფლიო ძალიან სახიფათო ფაზაშია შესული. ძნელია პროგნოზირება, როგორ განვითარდება მოვლენები. ცივილიზებულმა მსოფლიომ რატომღაც დაივიწყა პაციფიზმი, ქვეყნები იარაღის ენით ელაპარაკებიან ერთმანეთს, მაშინ როდესაც სულ ცოტა ხნის წინ ისეთი ეპითეტებით ამკობდნენ ჩვენს საუკუნეს როგორიცაა: "კეთილდღეობის საუკუნე", "ცოდნის საუკუნე", "ტექნოლოგიების საუკუნე" და ა.შ. მსოფლიომ ჩამოიგლიჯა ნიღაბი, "ჯუნგლის კანონი" ამოქმედებულია, მსოფლიო კუნთებს ათამაშებს, ადამიანის სულიერი განვითარება ვერ ეწევა ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციის "ახალი მსოფლიო წესრიგი" შეცვალა "ახალმა მსოფლიო უწესრიგობამ" დარღვეულია ადამიანის ყველაზე დიდი ფუნდამენტური უფლება სიცოცხლის უფლება, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაზაფრულმა მსოფლიომ მშვიდობის პრევენციის მიზნით შექმნა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორიცაა: გაერო ნატო, ევროკავშირი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტები, ომის კოდექსი და ა.შ. მსოფლიო ცდილობდა ფენიქსივით აღმდგარიყო ნანგრევებიდან, გლობალიზაცია გულისხმობს რომ "დედამიწა ჩვენი სა-

ერთო სახლია", მშვიდობა ჩვენი საერთო მიზანი, რომ ეკოლოგიას საზღვრები არ გააჩნია და ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ დედამიწას, კაცობრიობამ თავისი ისტორიული განვითარების გზაზე გაიარა ბევრი სამარცხვინო და საშინელი პერიოდები. როგორიცაა მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კოლონიალიზმი, ინკვიზიცია, რასიზმი, ფაშიზმი ქალთა დისკრედიტაცია და თითქოს ჰუმანიზაციის გზას დაადგა, თუმცა რასაც ახლა ვუყურებთ ტექნოკრატიული საზოგადოება მერკანტილიზმით შეპყრობილ ერთ დიდ ციფრულ ბანაკს დაემსგავსა. არისტოტელე ამბობდა "ადამიანი სოციალური ცხოველიაო", თანამედროვე ადამიანზე კი შეიძლება ითქვას, რომ ის "ტექნოკრატიული ცხოველია". მის ცნობიერებაში დიდი ცვლილება არ მომხდარა. კაცობრიობა ტექნოლოგიების გოდოლს აშენებს. ამ საუკუნემ უკვე დაიმსახურა ეპითეტები "ომის საუკუნე", "დესაკრალიზაციის საუკუნე", "კვაზი ღირებულებების საუკუნე". მსოფლიო "ოვერტონის ფანჯრის" პრინციპით იმართება. ანუ ის რაც დღეს დაუჯერებლად და წარმოუდგენლად შეიძლება მიგვაჩნდეს, ხვალ ნორმად და კანონად მოგვევლინება, მიუხედავად პანდემიისა და ომებისა მსოფლიოს მოსახლეობამ უკვე 8 მილიარდს გადააჭარბა, რაც კიდევ ერთი დიდი თავის ტკივილია გლობალური მსოფლიოსთვის. მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსები კი მცირდება. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით დედამიწის გამტარუნარიანობა 10 მილიარდს გაუძლებს ზოგიერთები კი ფიქრობენ რომ ლიმიტი უკვე ამოწურულია "ოქროს მილიარდის" კონცეფციაც ყველასთვის ცნობილია, ის რომ მოსახლეობა შემცირდეს 1 მილიარდამდე. ადამიანი საუკუნეების მანძილზე უწევს ბუნებას ექსპლუატაციას, სძალავს ყველაფერს რისი გამოძალვაც შეუძლია, აჩანაგებს და ხელყოფს მას. თანამედროვე მსოფლიოს თითქმის რელიგიის დონეზე აქვს აყვანილი ეკონომიკური ზრდა. ითვლიან რეიტინგებს. ამ დროს პარალელურად შექმნილია მდგრადი განვითარების კონცეფცია, "მწვანე ეკონომიკა" "ლურჯი ეკონომიკა", ("ყავისფერზე" უკვე უარი თქვა). მდგრადი განვითარება გულისხმობს რომ ახლანდელმა თაობამ რაციონალურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები და დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები ისე, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათაც დაუტოვონ რაღაც და ახლანდელებმა არ იცხოვრონ მომავლების ხარჯზე. ბუნებრივი რესურსების შექმნაში ადამიანს არანაირი წვლილი არ მიუძღვის. მას არანაირი წვლილი არ მიუძღვის მის შექმნაში, გახარბებული, მომხმარებლური საზოგადოება რამდენს მოიხმარს ამის ნათელი მაგალითი და ინდიკატორია, ნარჩენები, ნაგავი. ნაგავს ტოვებს ადამიანი. ჩვენს საუკუნეში ნაგავს "ოქროს ხანა" უდგას. განუვითარებელი ქვეყნები, განვითარებული ქვეყნების ნაგავსაყრელია. ადამიანებს არ ეთმობათ მდიდრული ცხოვრება, სიამოვნება, ბიზნეს მოგებები, "მწვანეთა" კონცეფციაა "ნულოვანი ეკონომიკური ზრდა" (შემცირება მაინც), ეკოლოგების დევიზია "ნულოვანი ნაგავი", უნარჩენო საზოგადოება, ორივე თავისთავში გულისხმობს "ქამრების შემოჭერას". თუმცა ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი XXI საუკუნის მსოფლიო არ აპირებს ქამრების შემოჭერას. მან დიდი ხანია გადაკვეთა წითელი ხაზები და ეკოლოგიური კატასტროფის, ეკოლოგიური სუიციდის გზას დაადგა. დაწყებულია დედოლარიზაციის პროცესი. მზადება ერთიანი ციფრული მსოფლიო ვალუტა, რაც მთლიანად შეცვლის გლობალურ საფინანსო სისტემას, სავარაუდოდ იგი (cbdc) გახდება ერთიანი მსოფლიოს ერთიანი ვალუტა. ეს გეგმა ცნობილია "ყინულმჭრელის" სახელწოდებით და თავის თავში მოიცავს მსოფლიოს ყველა ცენტრალური ბანკისა და მათი ვალუტების

კოორდინაციას. ამ ციფრულ ვალუტებს გამოიყენებენ ჩვეულებრივი ადამიანები და საწარმოები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, გლობალური მსოფლიოს სახიფათო თამაშებში მაყურებლის როლი გვერგო. ჩვენი ვალია ამ დაძაბულ და ფეთქებად საშიშ სიტუაციაში თავი გადავარჩინოთ. გავატაროთ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ნაკლებად ვიყოთ იმპორტდამოკიდებული, განვავითაროთ მცირე ბიზნესი. შევიანრჩუნოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა. როდესაც ეკონომიკის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ნუ დაგვავიწყდება რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქვეყანა თითქმის სულ პოლიტიკური ტურბულენტობის მდგომარეობაში ცხოვრობს. ჯერ სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ, დავკარგეთ ტერიტორიები, 90-იან წლებში ჩვენი მოსახლეობა 5 მილიონი იყო, ამჟამად კი თითქმის განახევრებულია. მილიონზე მეტი ადამიანი ემიგრაციაშია წასული სამუშაოდ. დემოგრაფები ძალიან საგანგაშო პროგნოზს აკეთებენ, 2050 წლისთვის შეიძლება ქართველები საქართველოში ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ. ტრადიციულად ქართველი იშვიათად ტოვებდა თავის მიწა-წყალს. ემიგრაციაში წასულებს კი ხელსახოცში გამოკრული სამშობლოს მიწა თან მიჰქონდათ. რა არის მიწა? ყველაფერი მოდის მისგან და ყველაფერი უბრუნდება მას.

მიწა უნიკალური ბუნებრივი რესურსია, მიწა ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრეა და სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ადამიანისთვის მიწა ერთდროულად არის შრომის საგანიც და წარმოების ძირითადი საშუალებაც, როდესაც კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იყენებს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. მიწის საშუალებით კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე თითქმის მთლიანად იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას. მისგან გვეძლევა "პური ჩვენი არსობისა" ქართველისთვის მიწას ყოველთვის ჰქონდა საკრალური მნიშვნელობა. ქართულ ენაში, რომელსაც იოანე ზოსიმე ღმერთების ენას უწოდებდა გვაქვს ამის გამომხატველი სიტყვები - "დედამიწა", "დედაბუნება", "დედულეთი", "ადგილის დედა". ყოველწლიურად ბრუნვიდან გამოდის 7-8 მილიონი ჰექტარი სავარგული მიწა, რომლის მიზეზია: ეროზია, დამლაშება, დაჭაობება, ურბანიზაცია, გადაძოვება, დატკეპნვა, გაუდაბნოვება და ა.შ. მსოფლიოს უძველესი წიაღისეული ნიადაგი 3 მილიარდ წელზე მეტისაა, თითქმის ისეთივე ძველი, როგორც უძველესი დანალექი ქანი და თავითავად მიწა. ადამიანები ნიადაგს ხშირად ეპყრობიან როგორც იაფ სამრეწველო საქონელს. ბევრი მათგანი მას აღიქვავს როგორც ტალახს. გუთნის გამოგონებამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში და გარდაქმნა დედამიწის ზედაპირი. ხორბალმა კი ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო მცენარემ სამუდამოდ მიაჯაჭვა ადამიანი მიწას. ჩვენი წინაპრები მონადირე-შეამგროვებლები დამაგრდნენ მიწაზე და თანდათანობით გლეხებად გადაიქცნენ. ტერმინი "მიწა" და "ნიადაგი" სხვადასხვა შინაარსის მატარებელია. წარმოდგენა ნიადაგზე როგორც დამოუკიდებელ სხეულზე რომელიც განსხვავდება ნიადაგწარმომქმნელი დედაქანისაგან. შეიქმნა XIX საუკუნეში, ნიადაგმცოდნეობის ფუძემდებლის ვ. დოკუჩაევის მიერ. ნიადაგის არსებითი თვისება არის მისი ნაყოფიერება. რაც გულისხმობს მცენარის უზრუნველყოფას წყლით, სითბოთი, საკვები ნივთიერებებით. თავდაპირველად დოკუჩაევმა გამოყო 10 ნიადაგის ტიპი ხოლო შემდგომში ნიადაგის კლასიფიკაციაში 100-ზე მტი ტიპი. ნიადაგების ტიპი თავის მხრივ იყოფა ქვეტიპებად, სახეობად, სახესხვაობებად და ვარიანტებად ესენია ეწერი ნიადაგები, წითელმიწა და ყვითელ-

მიწა, ტყის ყომრალი, შავმიწა ნიადაგები და ა.შ.. ნიადაგის ეროზია გლობალური პრობლემაა. (ეროზია ლათინური სიტყვაა და "გამოჭმას" ნიშნავს). მიწის რესურსებთან დაკავშირებით ეროზია ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემაა, იგი იწვევს ნიადაგის დეგრადაციას რის შემდეგაც ნიადაგი იფიტება, ხდება უნაყოფო და გამოუსადეგარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. 10 სმ ნიადაგის აღდგენას ათეულ წლები და ზოგჯერ საუკუნეები სჭირდება. ამიტომ ეროზია შეიძლება შევადაროთ შენელებული მოქმედების ნაღმას, კაცობრიობის უზრუნველყოფა მიწის რესურსებით განისაზღვრება მსოფლიო მიწის ფონდით. რომელიც შეადგენს 13,4 მილიარდ ჰა-ს. (ანტარქტიკისა და გრენლანდიის გამოკლებით), რაც მთლიანი დედამიწის ფართობის 26,3%-ია.

ნაყოფიერი მიწების ყოველწლიური შემცირება, მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ფონზე განაპირობებს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას. მსოფლიოში ყოველწლიურად მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს და ბევრი მათგანი შიმშილით იღუპება, ზოგიერთი შეფასებით მსოფლიოში სახნავ-სათესი მიწების ხელმისაწვდომი ფონდი 1,5 მლნ ჰა უკვე გამოყენებულია და მისი ზრდის პერსპექტივა აღარ არსებობს, სხვა მოსაზრებით, ნაყოფიერი მსოფლიო მიწის ფონდი 2,5 მილიარდი ჰექტარია. ე.ი. არსებობს კიდევ 1 მილიარდი ჰა მიწის ათვისების საშუალება. FAO-ს (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) მონაცემებით პოტენციურად ხელსაყრელი მიწის ფართობი შეადგენს 3,4 მილიარდ ჰა-ს. რაც მომავალში უკვე გამოყენებული მიწის ფონდის 1,9 მილიარდი ჰა-ით გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, ასათვისებელი მიწის ფართობების 75% მოთავსებულია განვითარებად ქვეყნებში, ხოლო 25% განვითარებულში. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტით. საქართველოს მიწის ფონდი 7628,4 ათასი ჰექტარია ქვეყანაში შარშან დაიწყო მიწის საყოველთაო ინვენტარიზაცია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ზუსტად რამდენი ჰექტარი სავარგული მიწა გაგვაჩნია, უცხოეთიდან შემოგვაქვს ის პროდუქტები რომელთა წარმოებაც თავისუფლად შეგვიძლია რათა დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი ბაზარი და ექსპორტზეც გავიტანოთ. ჩვენი მიწები ბუნებრივად ნაყოფიერია რასაც ვერ ვიყენებთ სათანადოდ. 90-იან წლებში ნაჩქარევად ჩატარდა მიწების პრივატიზაცია, ასევე სოფლის მეურნეობა რატომღაც არამომგებიან სფეროდ იყო გამოცხადებული ხორბლისა და ღვინის ქვეყანაში, გლეხებს ვაზი ააჩეხინეს და საზამთრო დაათესინეს. ქვეყანაში გაუქმდა მიწის დაცვის დეპარტამენტი. 2007 წელს დაიხურა გეოლგიის ინსტიტუტი. 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობით იჩეხებოდა ტყეები. მოსახლეობა შეშას იყენებდა გასათბობად. რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ტყის ფონდი. ასევე მასიურად იჩეხებოდა ტყეები და ხის მორები იყიდებოდა საზღვარგარეთ. ასევე უცხოელებზე მასიურად იყიდებოდა მიწები. შემდგომში ამ მხრივ კანონი გამკაცრდა.

ტყე ჩვენი უდიდესი სიმდიდრეა, ბუნებრივი გატყიანებით ჩვენი ქვეყანა ევროპაში მოწინავე ადგილზეა, ტყე ასუფთავებს ჰაერს და ამდიდრებს ჟანგბადით. 1 ჰა ტყე წლის განმავლობაში 60-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ მონაწილეობს ნაყოფიერი ნიადაგის წარმოქმნაში და ხელს უშლის მიწის ეროზიას, ასევე აქვს მეწყერსაწინააღმდეგო დანიშნულება, იცავს ფაუნას. თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია "ტყის მცველნი". ცნობილი გამოთქმაა "ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია". ქვეყანაში 1 სულ მოსახლეზე ტყით უზრუნველყოფა შეადგენს დაახლოებით 0,70 ჰა-ს, 1999 წლის მიღებული იქნა ტყის

კოდექსი. ამჟამად პრემიერ მინისტრის ბრძანებით კიდევ უფრო გამკაცრდა კანონი ხეების უნებართვოდ მოჭრაზე. ტყე უძვირფასესი ბუნებრივი რესურსია მას გააჩნია: ნიადაგდაცვითი, ჰაერის დამცავი წყალ შემავსებელი ფაუნის დაცვითი, მეწყერსაწინაამღმდეგო ზვავსაწინააღმდეგო და ა.შ. ფუნქციები. საჭიროა ჩატარდეს ჩვენი ტყეების ინვენტარიზაცია, გაიზარდოს და წახალისდეს რეინჯერთა კადრები საქართველოს ტყის ფართობი 26,600 კმ^2 გაეროს მონაცემებით მსოფლიო ტყის რესურსების საერთო ფართობი შეადგენს 40 000 000^2 კმ-ს. პლანეტის ფართობის თითქმის მესამედს. მსოფლიოში ყოველწლიურად მცირდება ტყის ფონდი, იჩეხება "დედამიწის ფილტვებად" წოდებული ამაზონის ჯუნგლები. ბიზნეს ინტერესებს და ხელოვნურად გაჩეხილი ტყის ხანძრებს ეწირება ეს უნიკალური ტყის მასივები.

ახლანდელმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა აგრარულ სფეროზე. 2012 წლიდან მცირემიწიან ფერმერთა ხელშემწყობი პროექტით გლეხებმა 306 მილიონი ლარის დახმარება მიიღეს. კერძოდ: დამუშავდა 600 ჰა-ზე მეტი მიწა, გლეხებს უფასოდ დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღები, მცენარეთა მოვლის საშუალებები, ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა. პროგრამამ "დანერგა მომავალი" ფარგლებში გშენდა 610 ჰა-ზე თანამედროვე ბაღები, შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამები: ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა, თხილის წარმოების განვითარება, ლურჯი მოცვის შეიქმნა 1225 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსდა 139 ახალი საწარმო, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფართოვდა და გადაიარაღდა 665 საწარმო, სადაც 10 000-მდე ადამიანია დასაქმებული განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 107 სარეაბილიტაციო პროექტი, მოწესრიგდა წყალარინება მთავრობამ ასევე მიიღო ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი, მამულიშვილური კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ". რომელიც 2016 წელს ამუშავდა. ამ კანონით მაღალმთიანი მოსახლეობა სარგებლობს დამატებით სოციალური და საგადასახადო შეღავათებით, დახმარებებით ყოველ ახალშობილ ბავშვზე, სახელფასო და საპენსიო დანამატებით. შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე, თავისუფლდებიან მიწის გადასახადისგან და ა.შ. ეს კანონი ხელს უწყობს ამ რეგიონებში მოსახლეობის დამაგრებას, იქედან წასულების უკან დაბრუნებას მამაპაპისეულ კარმიდამოში. სოფლად მცხოვრები ადამიანი კი როგორც წესი მისდევენ მეურნეობას, უვლიან მიწას და საკუთარ ეზო კარ-მიდამოს. სამწუხაროდ გვაქვს 2-3 კომლიანი სოფლები. დაცლილი სოფლები. 2014 წელს საყოველთაო აღწერით დაფიქსირდა 220 გაუკაცრიელებული სოფელი. ასევე 2012 წლიდან მიმდინარეობს ტყის აღდგენა და გაშენება 974,1 ჰა-ზე. ტყის თესვა და დარგვა - 366,1 ჰა-ზე. ტყის ბუნებრივ განახლებისთვის ხელშეწყობა, სანიტარული ჭრა, 708 ჰა-ზე, 1ჰ ტყე წლის მანძილზე შთანთქოს 506 ტონა ნახშირორჟანგის და გამოყოფს 4-5 ტონა ჟანგბადს.

მსოფლიოში იაფი საკვების ეპოქა დასრულდა გაიზარდა ხორბლის ფასი ევროპაში თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოებას ორი ძირითადი კრიტერიუმით აღიარებენ ესენია - მარცვლეულის გადაუდებელი მარაგები და მათი წარმოების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. შარშან ადგილობრივი ხორბლის მწარმოებლებს არარეალიზებული დარჩათ 30 000 ტონა ხორბალი, რისი მიზეზიც გახდა საქართველოში 1/3-ით გაიაფებული ფქვილის იმპორტი რუსეთიდან, რამაც არარენტაბელური გახადა ადგილობრივი მარცვლეულის

წარმოება. ამ ვითარებამ გამოიწვია წისქვილკომბინატების გაჩერება. მთავრობის ამოცანაა უზრუნველყოს მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების სტიმულირება. ქვეყანა განსაკუთრებით ახლანდელი გეოპოლიტიკური ვითარების სიტუაციაში არ შეიძლება 97%-ით თითქმის მთლიანად ხორბლის იმპორტზე იყოს დამოკიდებული. საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად. ხორბლის მოყვანის ტრადიცია და უნარ-ჩვევები. მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები. მარცვლეულის წარმოების სტიმულირების მიმართულებით შესაძლებელია: მარცვლეულის ნათესების გათავისუფლება გადასახადისგან. წარმოებული მარცვლეულის სახელმწიფო გარანტიებიც შესყიდვა, შეღავათიანი საკრედიტო სადაზღვევო სისტემა, ჯიშთა გამოცდის სადგურების აღდგენა ფუნქციონირება. ჩვენ 10-ზე მეტი ხორბლის უნიკალური ჯიში გაგვაჩნია ("ემირი", "ვარსია", "ზანდური" და ა.შ.).

გენური ინჟინერით წარმოებულმა პროდუქტებმა ვერ გადაჭრა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. აღმოჩნდა რომ ეს პროდუქტები საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამიტომ მსოფლიო ბაზარზე დღითი დღე ძვირდება ბიოლოგიურად სუფთა, ნატურალური პროდუქტის ფასი. ესტონეთი ჩვენზე პატარა ქვეყანაა. იგი 2000 წლიდან გადავიდა ორგანულ აგრომეურნეობაზე. 2000-2008 წლამდე ორგანული მიწების რაოდენობა 4000 ჰა-დან 87 000 ჰა-მდე გაზრდა. ფერმერების რაოდენობა კი 90-1300-მდე. ქვეყანაში მუშაობს რამოდენიმე კვლევითი ინსტიტუტი, ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევის საკითხებზე, უფასო სასწავლო კურსები ბიომეურნეობაში გარკვევის მსურველთათვის. თურქეთში 1992 წელს შექმნა "ორგანული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის ასოციაცია", იგი გასცემს დაბალპროცენტიან სესხებს იმ ფერმერებისათვის, რომლებსაც სურთ თავისი მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა. ქვეყანაში 25 კვლევითი ინსტიტუტი იკვლევს ბიომიმართულებებს. თურქეთმა 15 წლის მანძილზე ორგანული მიწები 10 000-103 000 ჰამდე გაზარდა, ხოლო ბიოფერმერების რაოდენობა 300-16 000-მდე. ბიოპროდუქტები 300 000 ტონამდე გაიზარდა რომლის 10% ევროკავშირში ექსპორტირდება.

საქართველოს თავისუფლად შეუძლია გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა.

ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები - კიბუცები წარმოადგენენ. მათ წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქტის 80%. ისინი ამუშავებენ სახნავი მიწების 70%-ს. კიბუცებში წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება მოქმედებს. მოქმედებს შრომის დანაწილების პრინციპი. ისრაელმა კიბუცების საშუალებით უდაბნო მიწა წალკოტად გადააქცია. კიბუცების ქართულ სინამდვილეში დანერგვა ჩვენის აზრით მნიშვნელოვნად გააძლიერებს აგრარულ სექტორს და დაეხმარება განვითარებაში. თუ მთავრობის მხარდაჭერა იქნება კიბუცები საპილოტე პროგრამის განხორციელება მაინცაა შესაძლებელი ამ მოდელს მხარს უჭერდა ჩვენი დიდი მეცნიერი პროფესორი თ. ჩხეიძე. აგრეთვე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მხარს უჭერდა ყოველთვის აღნიშნულ ინიციატივას.

საქართველოს ტერიტორიაზე მთებს უჭირავს მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი - 54%, ქვეყანაში დიდ ხიფათს ქმნის თოვლის ზვავები, მეწყერები, ღვარცოფები. საქართველოს მეწყერ საშიში რეგიონები: რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აჭარა-იმერეთი. ჩვენში 10 000 მეწყერ საშიში უბანია დაფიქსირებული. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებია უსისტემო მორწყვა, ტყის ჭრის აკრძალვა, მიწისქვეშა

აფეთქებები. ღვარცოფული საშიშროების ზონაშია საქართველოს ტერიტორიის 2 მილიონი ჰა, ღვარცოფული რაიონებია: არაგვის, თერგის, ალაზნის ხეობა, შარშან ღვარცოფმა უდიდესი ტრაგედია დაატრიალა. საქართველოში ღვარცოფის ხსენება ასოცირდება მდინარე დურუჯთან. რომელმაც ბევრჯერ მიაყენა ზიანი მოსახლეობას. ღვარცოფული მდინარეებია: კისისხევი, ლაფანის ხევი, თურდო, ჭერმისხევი. აქვე უნდა გავხსენოთ მდინარე ვერეს ტრაგედია თბილისში. ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებებია: ფერდობებზე ტყის გაშენება, წყალშემაკავებელი არხების გაყვანა, ტერასების, ორმოების დამბების გაკეთება.

ევროკავშირს მსოფლიო ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო და კარგად დარეგულირებული აგრარული პოლიტიკა გააჩნია. ევროკავშირში სერიოზული კრიზისი მოჰყვა საერთო აგრარული პოლიტიკის შემუშავებას, აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ გაჩნდა შიში ამ ახლად შექმნილი გაერთიანების დაშლისა. ბოლოს ეს კრიზისი ამოიწურა 1966 წელს "ლუქსემბურგის კომპრომისით" მათ ზედმიწევნით დეტალურად შეიმუშავეს აგრარული სფეროს დაცვისა და უსაფრთხოების მთელი რიგი კანონები და ღონისძიებები. მიწის უწყვეტი, მონიტორინგი, ფერმერების სუბსიდირება, მიწების კონსერვაცია და ა.შ. ევროკავშირისგან განსხვავებით სოფლის მეურნეობა არამომგებიან სფეროდ იყო გამოცხადებული. ჩვენი სოფლის მეურნეობა არაეფექტურია, დაბალია მისი პროდუქტიულობა, დიდია არასაბაზრო ხასიათის მცირე მეურნეობები. მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი მხარდაჭერა ფერმერებისათვის. მაგალითად ნიადაგის ანალიზის სუბსიდირება, რომელიც ძვირად ღირებული პროცესია.

მიწის რესურსებზე მოქმედი საფრთხეები კომპლექსური ხასიათისაა, აქედან სწორი მენეჯმენტით შეგვიძლია ვმართოთ ისეთი პროცესები როგორიცაა: ნიადაგის დამლაშება, ქიმიური სასუქებით კულტივაცია, ქარისმიერი ეროზია, გადაძოვება, დატკეპვნა, გაუტყიანება, მიწების ფრაგმენტაცია, მიწის კონსერვაცია, ურბანული დაგეგმარება, ნარჩენების მართვა და ა.შ. ქვეყანაში ჯერ კიდევ 60-მდე ღია ნაგავსაყრელია. ვერ მოხერხდა ფერადი ურნების განთავსება, ასევე რეციკლირება. ვერ ვმართავთ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა გლობალური დათბობა, მჟავური წვიმები. აგრარული სფერო, მიწათმოქმედება უნდა გახდეს პრესტიჟული და დაფასებული. საჭიროა მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, მათ უნდა შევაყვაროთ ბუნება, საკუთარი სამშობლოს მიწა-წყალი "როცა გაახმობთ ბოლო ხეს მოწამლავთ ბოლო მდინარეს და დაიჭერთ ბოლო თევზს, მხოლოდ მაშინ მიხვდებით რომ ფული არ იჭმევა", ამბობენ ძველი ინდიელები. მიწაზე მუშაობა, სოფლის მეურნეობა აგრარული სფერო უნდა გახდეს ძალიან დაფასებული და ხელშეწყობილი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში გვეუბნება. "მიხედეთ მიწას, მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს".

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც., (2019). მიწის რესურსების დაცვის ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.XII. ISSN 1987-6904. გვ. 471-490.

2. თეთრაული ც., (2020). ინოვაციები მიწის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.XIII. ISSN 1987-6904. გვ. 537-573.
3. პაპავა (ლადო) ვლადიმერი (2011). არატრადიციული ეკონომიკსი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ISBN 978-9941-9168-0-9.
4. იუვალ ნოახ ჰარარი (2022). 21 გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის. ქართული გამოცემა, 22. ISBN 978-9941-30-913-7.
5. თეთრაული ა. (1993). საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწილი I. თბილისი, მაცნე 1993.

Tsitsino Tetrauli

TSU P. Gugushvili Institute of Economics science worker

END OF UNIPOLAR WORLD AND SUSTAINABLE DEVELOPMENT IN TERMS OF LAND RELATED PROBLEMS

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.TETRAULI

Expanded Summary

The work discusses issues related to the transformation of the world order. The spheres of influence are being redistributed in the world. Such challenges as global warming, desertification, etc., to which were added dangerous events: pandemic, war. The existence of a unipolar world is over, the world is at a standstill, there is a desacralization of values. The essence, importance and threats of land as a unique natural resource are analyzed against the background of this new geopolitical situation. Due to permanent anthropogenic impact, millions of hectares of fertile land are lost every year in the world. The world is on the path to ecological disaster. Preventive measures to avoid earth-related hazards are covered. The potential of Georgia's agrarian field has been studied. Georgia has naturally fertile lands, which allows us to become a country producing bioproducts. Our country is almost completely dependent on wheat imports (97%). The task of the state is to provide stimulation of local grain production, universal inventory. The paper discusses such dangerous events related to land as landslides (1.5 million ha), landslides (2 million ha). They caused many tragedies in the country (eco-migrants). The work describes foreign experience in the agricultural field. For example, the phenomenon of Israel's "kibbutzim". It would be useful for Georgia to develop and implement a pilot program of the Georgian model of kibbutzim. This initiative was supported by our great scientist, Professor T. Chkheidze. Factors affecting land resources are complex in nature. The European Union in the world, unlike the European Union, which has a well-regulated agricultural policy, in our country, the agricultural sector was considered unprofitable, although this policy has been changed today. Our land requires a lot of care and attention, for which it is necessary to take protective preventive measures.

Key words: soil erosion, sustainable development, "kibbutzim", desacralization, landslide.

ტურიზმი – TOURISM

მედეა მელაშვილი,
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
მეცნიერთანამშრომელი;
ქეთევან ქველაძე,
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
ეკონომიკის დოქტორი
უფროსი მეცნიერთანამშრომელი;
ნუნუ ქისტაური,
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,
ეკონომიკის დოქტორი
უფროსი მეცნიერთანამშრომელი

საქართველოში ენოტურიზმის განვითარების
თეორიული ასპექტები და გზები

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.MELASHVILI.KVELADZE.KISTAURI

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ქვეყნისათვის ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა ტურიზმი და მისი შემგდომი განვითარების გზები, რომელშიც ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად შიდა ტურიზმის გაძლიერება მოიაზრება. შიდა ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - ენოტურიზმი (ღვინის ტურიზმი), რომელიც აგროტურიზმის ერთ-ერთ ახალ სახეობად განიხილება. ჩვენს ქვეყანას, როგორც ღვინის სამშობლოს, ენოტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, რითაც შეუძლია გადაჭრას მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაშრომში გამოკვეთილია ქვეყნისთვის ენოტურისტული რეგიონების აქტიური კვლევის აუცილებლობა და უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნა. ასევე შესწავლილია ენოტურიზმის განვითარების ზოგადი თეორიული ასპექტები და დასახულია შემდგომი განვითარების გზები უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.*

საკვანძო სიტყვები: *შიდა ტურიზმი, ენოტურიზმი, ბრენდი, მოდელი, სტანდარტი, ღვინის გზა.*

****

დღეს უკვე ცნობილია, რომ ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მევენახეობა და მეღვინეობა აქ ძვ. წ. VII-VI ათასწლეულიდან იღებს დასაბამს. დღეისთვის მსოფლიოში მევენახეობისა და ღვინის წარმოების ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე ჯერ კიდევ 8000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ატლასის, „მეღვინის ხელოვნება" ნიუ-იორკი, (1992), ავტორები ჰიუ ჯონსონი და ჯეიმს ჰოლიდეი, ასევე ღვინის ექსპერტი და მსოფლიოში საუკეთესო ღვინის გზამკვლევის ავტორი ოზ კლარკი თანხმდებიან, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ ქვის ხანაში იმყოფებოდა, როდესაც საქართველოში პირველად გააშენეს ვაზი და მიიღეს ღვინო. უძველესი რუკის მიხედვით, საქართველოდან ღვინო პირველად შევიდა სირიაში, შემდეგ ეგვიპტესა და იტალიაში, ხოლო შემდგომ - დასავლეთ ევროპაში.

მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართული, რომელთაგან 430 სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საკოლექციო ვენახებშია დაცულია. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული ტყის ვაზი წითელ წიგნში შეიტანეს და მას სახელმწიფო იცავს. საქართველოში ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული იდენტობისა და კულტურის შემადგენელი ნაწილია.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიომ საქართველო ღვინის სამშობლოდ სცნო პარადოქსულია, რომ საქართველოსათვის აგროტურიზმის ერთ-ერთ ახალ სახეობად ღვინის ტურიზმი (ენოტურიზმი) უნდა განვიხილოთ.

საქართველოში, ენოტურიზმი არსებული საუკუნოვანი გამოცდილების მიუხედავად განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. დარგში წარმატებების მისაღწევად ჩვენ აუცილებლად უნდა გავიზიაროთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც დიდი ხანია ჩართულნი არიან ამ სფეროში: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, პორტუგალია, კვიპროსი, საბერძნეთი და ავსტრია. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ენოტურიზმი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნულ სფეროს ჩვენთან არეგულირებს 2003 წლის რედაქტირებული კანონი „ღვინისა და ვაზის შესახებ". ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია ათწლიანი პროექტი „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025", რომლის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, ქვეყნის ტურიზმის სფეროში სხვადასხვა სექტორის განვითარებას (მაგ., ენოტურიზმის), მიღებული შემოსავლების გაზრდას, ახალი ბაზრების ათვისება და დივერსიფიკაციას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ.. აგრეთვე 2023 წელს დაიგეგმა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელიც 2025 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება. ამ ცვლილებების მიხედვით დადგენილია საგადასახადო შეღავათები, რომლითაც ისარგებლებენ აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის სფეროში მოღვაწის სტატუსის მქონე პირები, რასაც მათთვის მნიშვნელოვანი წამახალისებელი ეფექტი ექნება. კანონის პროექტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება აგროტურისტული და ღვინის ტურისტული სფეროს სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავალი და გაცემული ხელფასი, ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები. ეს ცვლილებები ძალაში იქნება შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში.

ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოს მოწინავე ენოტურისტული ქვეყნების სტატისტიკით მაგ., იტალიაში ენოტურიზმი წელიწადში 2,5 მილი-არდ ევროს გამოიმუშავებს. გერმანიაში ამ ტიპის დასვენებით ყოველწლიურად ინტერესდება დაახლოებით 50 მილიონი ადამიანი, რომლებიც მოგზაურობაში 5,5 მილიარდ ევროს ხარჯავენ. აშშ-ში 27 მილიონი ტურისტი სწორედ ენოტურიზმს ირჩევს გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებად. ეს ინტერესი წლიდან წლამდე უფრო და უფრო იზრდება და ამ ქვეყნებში ათასობით ახალ სამუშაო ადგილს ქმნის, რაც თავისთავად აუმჯობესებს ეკონომიკიურ მაჩვენებლებს.

როგორც ცნობილია, ტურიზმის ნებისმიერი მიმართულების განვითარება იწყება მისთვის საინტერესო სფეროს დაწვრილებით შესწავლით. გამონაკლისი არც

ენოტურიზმია. ამ მხრივ წამყვანი რეგიონი კახეთია, სადაც საქართველოს ვენახების დაახლოებით სამი მეოთხედია გაშენებული, აქ შეხვდებით რქაწითელს, კახურ მწვანეს, საფერავსა და სხვა ვაზის ჯიშებს. ქართლის რეგიონში კი კლასიკური ევროპული სტილის ღვინოებსა და ცქრიალა ღვინოების დაგემოვნებას ურჩევენ ტურისტებს. შემდეგია იმერეთის რეგიონი. იმერეთის რეგიონიდან გამოარჩევენ ადგილობრივი ციცქასა და ცოლიკოურის ნაზავს, ასევე თეთრ კრახუნასა და წითელ ოცხანურ საფერეს. რაჭა-ლეჩხუმის ღვინის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე პატარა რეგიონია საქართველოში. აქ, მთელ ტერიტორიაზე, ვენახები საკმაოდ ცოტაა, თუმცა ღვინოები მაღალი ხარისხისაა და ძალიან გამორჩეულია. რეგიონში ყველაზე ცნობილი ღვინოებია ხვანჭკარა და უსახელოური. შავი ზღვის სანაპირო კი აჭარის, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს ღვინის რეგიონებად იყოფა. აქ კლიმატი სუბტროპიკულია და ღვინოებიც უფრო მსუბუქი, "ხრაშუნა" და გამაგრილებელია. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის. აშენდა ბევრი ახალი მარანი, რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ ისეთ ისტორიულ მარანს, რომელიც საგანძურს წარმოადგენს. ასევე საინტერესოა თბილისში ქართული ღვინის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ქართული ღვინის ჭურჭელი, ქვევრები. მუზეუმი შეიცავს უძველეს ენოთეკას (საცავს), სადაც სხვადასხვა პერიოდის 25000-მდე ბოთლი ღვინოა დაცული. საქართველოში, უცხოური წამყვანი მეღვინეობის ქვეყნების მსგავსად, მეღვინეობის რეგიონების ტურიზმის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება ღვინის ტურები უნდა გახდეს (მაგ., როგორიცაა ღვინის დეგუსტაცია, წარმოების ეტაპების გაცნობა, ვენახების დათვალიერებას ღვინის ფესტივალებზე დასწრება და ა.შ.), რადგან ღვინის ტურები არის კარგი შესაძლებლობა ქართული ღვინის კულტურის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა. გარდა ამისა, ასევე უნდა მოიცავდეს ტერიტორიის უნიკალურობის, ადგილობრივი ტრადიციების, ადათ-წესების, სამზარეულოს, ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობების გაცნობასაც. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ღვინის პოტენციური ტურისტების მოტივაციის გამოვლენა. გათვალისწინებულია ისიც, რომ სტუმრებს იზიდავს არა მარტო ისტორიული ძეგლები და ტრადიციული ღვინის მარშრუტები, არამედ, ასევე მსუბუქად, გართობის სახით მოწოდებული სხვადასხვა ღონისძიებები: მაგ., ღვინის დეგუსტაციის დღესასწაულები, ვენახში ქორწილის გადახდა, ვენახების თავზე საჰაერო ბურთით ფრენა, გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფა და ყურძნის დაწურვაში მონაწილეობა, საოჯახო სასტუმროებში ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა-დაგემოვნება, ცხენებით ჯირითი, ლაშქრობები ბუნებაში და სხვ.. ღვინის ტურიზმის სფეროში ჩართული ყველა ტურსააგენტოსათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქცეს ის, რომ ჩვენთაან ჩამოსული ყველა სტუმრისთვის ღვინო საქართველოს ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახდეს და ღვინის ტურიზმი ჩამოყალიბდეს ტურიზმის ისეთ მიმართულებად, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ტურისტული ნაკადი საქართველოში.

ღვინის კულტურის მქონე ყველა ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია ენოტურიზმის ისეთი სახეობა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია ე.წ. არაორგანიზებული ტურისტებისათვის. მაგალითად, ფეხით ან საკუთარი ავტომობილით მოგზაურები ხედავენ გზებზე დამონტაჟებულ ნიშნულებს: „ღვინის გზა", რომლებიც მარნებისკენ მიუთითებენ. ისინი ხშირ შემთხვევაში ინტერესდებიან ამ მინიშნებით და სტუმრობენ მითითებულ ადგილებს და შემდეგ ახდენენ მათ რეკლამირებას. ეს კი თავისთავად ადგილობრივი ღვინის პოპულარიზაციას და, შესაბამისად ენოტუ-

რიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ბოლო წლებში ასეთი ტრაფარეტები ჩვენ გზებზეც ხშირად გვხვდება. ეს პროექტი საქართველოში სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-მა დაგეგმეს და 2011 წელს ამოქმედდა. ნიშნულებზე ვაზისა და ყურძნის სიმბოლიკა ქართულია, ფერი კი – საფერავის. ამასთან ერთად შეიქმნა ქართული ღვინის ტურისტული გზამკვლევი, რომელშიც განთავსებულია ინფორმაცია ღვინის ტურისტული მარნებისა და ქართული ღვინის კომპანიების შესახებ: მათი მისამართები და აგრეთვე ქართული ღვინის კომპანიებისა და მარნების საინფორმაციო გვერდები; მონაცემები ღვინის მაღაზიების, ბარებისა და რესტორნების შესახებ და სხვ.. ღვინის სამშობლოში „ღვინის გზა", ჯერჯერობით, ერთადერთი მასშტაბური ენოტურისტული პროექტია, რომელსაც სახელმწიფო უძღვება. იგი მოიცავს ქვეყანაში არსებულ ღვინის იმ საოჯახო მარნებსა და საწარმოებს, რომლებიც ღვინის ტურიზმის ფარგლებში საქმიანობენ. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2023 წლისთვის ამ პროექტში 352 მარანია გაერთიანებული. მისი დახმარებით აგრეთვე არაერთმა დიდმა მეღვინეობამ განავითარა ახალი ტურისტული სერვისები, შეიქმნა ტურისტული კლუბები. მაგ. ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ღვინისა და გასტრონომიის შესახებ ბლოგის, vinoge.com-ის ბაზაზე დაფუძნდა "ღვინის კლუბი", რომელიც აერთიანებს არა მარტო მეღვინეებს, არამედ ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებსაც. კლუბის მიზანია: ღვინის შესახებ ცოდნისა და ქართველი მომხმარებლის კულტურის ამაღლება, მაღალი ხარისხის ღვინის პროპაგანდა, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციების აღორძინება, ნოვატორული წამოწყებების მხარდაჭერა, ბაზარზე წარმოდგენილი ქართული და უცხოური ღვინოების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ქართული სამზარეულოს დახვეწა ადგილობრივი ღვინოების მიხედვით, ღვინის ტურიზმის განვითარებაში წვლილის შეტანა და ა.შ..

მცირე მარნებისა, რეგიონული ღვინის ტურიზმის განვითარებისა და ზოგადად, საქართველოში ტურიზმის განვითარების მიზნით, ღვინის კლუბთან (Wine Club) თანამშრომლობით, USAID/Georgia-ის „ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის" („The USAID Economic Security Program") ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ახალი საგანმანათლებლო პროექტი „ღვინის სოფელი", რომელიც 2020 წლიდან ხორციელდება. ამ სასწავლო პროექტში ჩართულმა მეღვინეების უმეტესობამ უკვე მონიშნა საკუთარი მარანი ტურისტულ რუკაზე და მზად არის უმასპინძლოს სტუმრებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში ყველაზე გავრცელებული აგროტურისტული ობიექტები სწორედ ღვინის მარნებია. ისინი აგროტურიზმის დაახლოებით 85-90%-ს შეადგენენ. საყურადღებო და უდაოდ დასაფასებელია ის გარემოება, რომ ახალი პროექტის ერთ-ერთი მიზანია „ღვინის გზის" ხარვეზების აღმოფხვრა და იგი ღვინის ტურიზმის შემდგომ განვითარებას ემსახურება.

ამის პარალელურად აუცილებელია ქვეყანამ უცხოეთში მიიქციოს ყურადღება ღვინის მაღალი ხარისხით, რათა შეძლოს საერთაშორისო ბაზარზე სათანადო ადგილი დაიმკვიდროს და თავისი ღვინო ბრენდად აქციოს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოფენებსა და დეგუსტაციებში მონაწილეობას, რაც ზრდის ქართული ღვინის ცნობადობასა და პოპულარიზაციას, და, შესაბამისად, იწვევს ექსპორტის მოცულობის ზრდას და, საბოლოო ანგარიშში, ხელს უწყობს ტურისტების მოზიდვას. ბოლო წლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენებზე მასშტაბურად

იღებს მონაწილეობას და დიდ წარმატებებსაც აღწევს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები:

- ჯერ კიდევ 2016 წლის 7-9 სექტემბერს გაერთიანებული ერების ტურიზმის ორგანიზაციის, UNWTO-ს ინიციატივით, ღვინის ტურიზმის შესახებ პირველი გლობალური კონფერენცია საქართველოში, კახეთში გაიმართა (კახეთში, რადგან საქართველოში ვენახების 65 პროცენტი სწორედ კახეთში ხარობს). კონფერენციას 42 ქვეყნის 250 დელეგატი და 150 ორგანიზაცია დაესწრო.

- განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ღვინის კომპანია „შუმის" წარმატება, რომელმაც 2021 წლის 23 ოქტომბერს, იტალიაში, ევროპის საბჭოს ეგიდით გამართულ კულტურული მარშრუტების კონკურსზე, საქართველოს სახელით ისტორიაში პირველად, საერთაშორისო უმაღლესი ტიტული – „საუკეთესო არქეობოტანიკური პრაქტიკა ღვინის ტურიზმში" – მოიპოვა. აღნიშნული ტიტული საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო ასპარეზზე.

- ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთმა უდიდესმა ღვინის ციფრულმა პლატფორმამ VinePair-მა გამოაქვეყნა სტატია: „ათი საუკეთესო ღვინის რეგიონი, რომელსაც 2023 წელს უნდა ესტუმრო". ამ ტოპ ათეულში საქართველო პირველ ადგილს იკავებს,

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინო 2023 წელს მსოფლიოს 15 ქვეყანაში ჯამში 14 გამოფენაზე, 20 ფესტივალსა და 100 პროფესიულ დეგუსტაციაზე იყო წარდგენილი. ეს ქვეყნებია: ამერიკის შეერთებულ შტატები, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, პოლონეთი, ლატვია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ისლანდია, იტალია და თურქეთი.

- Mundus Vini 2024 ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღვინის საგაზაფხულო კონკურსში საქართველომ მოიპოვა 52 ოქროს და 31 ვერცხლის მედალი.

- სულ ახლახან 2024 წლის 27 თებერვალს პორტუგალიაში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „საქართველო - ღვინის ქვეყანა", რომელიც სწორედ ქვევრის ღვინის წარმოების უნიკალურ ქართულ მეთოდს მიეძღვნა.

ქართული ქვევრის ღვინოები დღეს უკვე მოიაზრება მსოფლიოს ისეთი მეღვინეობის ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი.

ზოგადად ენოტურიზმი როგორც აგროტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც აერთიანებს სოფლის განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, მოიცავს ბევრ თანაკვეთას აგროსექტორსა და ტურიზმს შორის, არის ეკონომიკის ამ ორი სექტორის დამაკავშირებელი რგოლი.

ჩვენს ქვეყანას ღვინის ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, რითაც შეუძლია გადაჭრას მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები. ამ მიზნით საქართველოში 2020 წლის 5 მაისს ტურიზმის სექტორში მომუშავე ასოციაციების გაერთიანებით დაფუძნდა ტურიზმის ეროვნული ორგანიზაცია „საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი" (GTIA). ალიანსის პრიორიტეტული მიმართულებები ეხმიანება ღვინის, სოფლის, აგრო და ეკოტურიზმის ახალ ტენდენციებს, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ პროდუქტზე და მის უსაფრთხო წარმოება-მიწოდებაზე.

დღეს ჩვენ გვაქვს ენოტურიზმის განვითარების გარკვეული პრაქტიკა და ხელსაყრელი მდგომარეობა. აღნიშნული დარგის ექსპერტთა მიერ ჩატარებული

ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის ღვინის ტურიზმის წინაშე მდგარი პრობლემები: ენობაზრის მცირე წილი; ღვინის არასაკმარისად მაღალი ხარისხი; ზოგიერთი რეგიონის პოტენციალის ათვისების არასათანადო დონე; არასათანადო ინფრასტრუქტურა; ტურების მაღალი ფასი; მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებელი სასწავლებლების სიმცირე და, აქედან გამომდინარე, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვ.. ასევე ყურადსაღებია ის, რომ დღეს ქართული იდენტობის მატარებელი ქვევრის ღვინის მწარმოებლები ძირითადად მცირე მარნები არიან. სწორედ მათ დასახმარებლად და ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ამ სფეროსადმი სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა, ტურისტული სააგენტოების მხრიდან კი აუცილებელია ვიზიტორებისათვის კომპლექსური ღონისძიებების შეთავაზება, რომ ტური სახალისოც იყოს და შემეცნებითიც, რათა აქ ჩამოსულ ტურისტებს გაუღვიძოს დაინტერესება და გაუჩინოს სურვილი ამ ადგილების კიდევ ერთხელ მონახულებისა. ეს, თავის მხრივ, შეუწყობს ხელს საქართველოს ღვინის ტურიზმის შემდგომ პოპულარიზაციასა და განვითარებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს ქვეყანას ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის ნამდვილად გააჩნია დიდი პოტენციალი. მაგრამ, აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი მოგვარება მეღვინეების მიერ დამოუკიდებლად, მთავრობის მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის შეთანხმებული მონაწილეობა: სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს პოლიტიკის მიმართულებები და ღვინის ტურიზმის პროგრამები, აგრეთვე სრულყოს საკანონმდებლო ბაზა.

რა თქმა უნდა, ღვინის ტურიზმი ვერ იქნება მთელი რიგი არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ერთადერთი საშუალება, მაგრამ მას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს მეღვინეობის რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და სოფლის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებასა და აგრეთვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და ამით განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://mastsavlebeli.ge/?p=11819 ღვინის გზა ანუ ენოტურიზმი, 13 ოქტომბერი, 2016 - 10:30, მ. სეხნიაშვილი
2. http://vinoge.com/qarTuli-Rvino/Rvinis-turizmi-sqarTveloSi, ღვინის ტურიზმი საქართველოში
3. https://to.edu.ge/gvinis-turizmis-perspeqtivebi/, ღვინის ტურიზმის პერსპექტივები
4. https://www.researchgate.net/publication/358833823 COVID -19 პანდემია - ქართული ღვინის ინდუსტრიის გამოწვევები და შესაძლებლობები
5. https://gnta.ge/ge/2023-statistics-info/
6. https://wine.gov.ge/Ge/News/37087
7. http://vinoge.com/degustacia/52-oqro-Mundus-Vini

Medea Melashvili
TSU P. Gugushvili Institute of Economics,
scientific worker,
Ketevan Kveladze
TSU P. Gugushvili Institute of Economics,
Doctor of Economics, Senior Researcher;
Nunu Kistauri
TSU P. Gugushvili Institute of Economics,
Doctor of Economics, Senior Researcher

THEORETICAL ASPECTS AND WAYS OF WINE TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.MELASHVILI.KVELADZE.KISTAURI

Expanded Summary

Today it is already known that Georgian wine is historically one of the oldest in the world. Viticulture and winemaking here date back to the 7th-6th millennium BC. To date, the earliest signs of viticulture and winemaking found in the world indicate the existence of wine culture in Georgia as early as 8,000 years ago, which gives Georgia the status of the homeland of wine.

The authors of the Atlas, "The Art of Wine," New York, (1992), Hugh Johnson and James Holliday, as well as wine expert and author of the world's best wine guide Oz Clark, agree that humanity was still in the Stone Age when vines were first cultivated in Georgia and wine was obtained.

Of the 2,000 grape varieties known in the world, 500 are Georgian, of which 430 are preserved in various state or private collection vineyards. In the 1980s, the Georgian forest vine was included in the Red Book and is protected by the state. In 2013, the Georgian traditional method of making wine in a qvevri was granted the status of an intangible cultural heritage monument by UNESCO, which indicates the uniqueness of this method and sends a message to the whole world that wine is an integral part of the ancient Georgian identity and culture.

In Georgia, wine tourism is at the initial stage of development, despite the existing centuries-old experience. In order to achieve success in the field, we must definitely share the experience of those countries that have long been involved in this field: France, Italy, Spain, Germany, Portugal, Cyprus, Greece and Austria. It is worth noting that in recent years, wine tourism has been one of the main priorities of the Georgian government.

In our country, like in the above-mentioned countries, wine tours should become one of the leading directions of tourism in wine-growing regions (e.g., wine tasting, learning about the stages of production, visiting vineyards, attending wine festivals, etc.), because wine tours are a good opportunity to spread information about Georgian wine culture.

In all countries with a wine culture, such a type of wine tourism as the "Wine Road" is very important. This project was planned by the Georgian state and the international organization USAID and was launched in 2011. The symbolism of the vine and grapes on the signs is Georgian, and the color is Saperavi.

In order to develop small wineries, regional wine tourism, and tourism in Georgia in general, in cooperation with the Wine Club, with the financial support of the USAID/Georgia Economic Security Program, a new educational project "Wine Village" has been launched, which has been implemented since 2020.

The dynamics of recent years show that in order to popularize Georgian wine on the world market, Georgia participates in international wine and alcoholic beverage exhibitions on a large scale and achieves great success. We can cite the following data as evidence of this:

- Back on September 7-9, 2016, at the initiative of the United Nations World Tourism Organization, UNWTO, the first global conference on wine tourism was held in Kakheti, Georgia

(in Kakheti, since 65 percent of vineyards in Georgia grow in Kakheti). The conference was attended by 250 delegates from 42 countries and 150 organizations.

- The success of the wine company "Shumi" is worthy of special mention, which on October 23, 2021, in Italy, at the Cultural Routes Competition held under the auspices of the Council of Europe, for the first time in history, on behalf of Georgia, won the highest international title - "Best Archaeobotanical Practice in Wine Tourism". This title is one of the important steps forward for Georgia in the international arena.

- VinePair, one of the largest digital wine platforms in the United States, published an article: "The Ten Best Wine Regions to Visit in 2023". Georgia takes first place in this top ten,

- With the support of the National Wine Agency, Georgian wine was presented at a total of 14 exhibitions, 20 festivals and 100 professional tastings in 15 countries around the world in 2023. These countries are: the United States of America, Japan, Germany, France, Great Britain, Denmark, South Korea, China, Poland, Latvia, the Netherlands, Switzerland, Iceland, Italy and Turkey.

- Georgia won 52 gold and 31 silver medals at Mundus Vini 2024, one of the most famous spring wine competitions.

- Most recently, on February 27, 2024, an exhibition called “Georgia - the Country of Wine” opened in Portugal, which was dedicated to the unique Georgian method of qvevri wine production.

Georgian qvevri wines are now considered among the world's wine-making countries, such as France, Italy and Spain.

Our country has great potential for the development of wine tourism. It can play a crucial role in improving the living standards of the population in wine-growing regions and preserving the identity of the village, protecting and developing Georgia's unique natural heritage, and also, very importantly, creating new jobs.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ - POWER SYSTEM

შოთა ვეშაპიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ლევან კერესელიძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ნინო ცირდავა,
ეკონომიკის მაგისტრი

ენერგეტიკის დეკარბონიზაცია და საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევები

ანოტაცია. თემის აქტუალობა. *დროთა განმავლობაში, ენერგეტიკის სექტორში კლიმატური ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების შემცირება და დეკარბონიზაცია გახდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული ნახშირბადოვანი ემისიების მაქსიმალურად შემცირებას, არამედ ეკონომიკის ყველა სექტორის გარდაქმნას ისეთი მიმართულებით, რომ ის მდგრადი გახდეს გარემოსთვის.*

ნაშრომის მიზანია *საქართველოს შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი ენერგეტიკის დეკარბონიზაციის პროცესში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკის გლობალიზაცია აქტიურად მიმდინარეობს და კლიმატური ცვლილებები საერთაშორისო თანამშრომლობის უპირველეს თემად გვევლინება. კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ვალდებულია მიმართოს შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რათა შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება და უზრუნველყოს ენერგეტიკის მდგრადი განვითარება. ამ მიზნით სტატია აანალიზებს ევროკავშირის მიერ გატარებულ ზომებს. ნაჩვენებია ამ ზომების გატარების მექანიზმები და ინსტრუმენტები. კლიმატ-ნეიტრალურ ეკონომიკაზე გადასვლა დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, რის გამოც ზოგი ქვეყნისთვის შესაძლოა არ იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი. ასეთი ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პროცესისთვის გვერდის ავლით საქმიანობას, რის გამოც საჭირო ხდება შემაკავებელი ინსტრუმენტების გამოყენება. სტატიში, ეთიკურ და ეკონომიკურ ჭრილში გაანალიზებულია ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის გავლენა როგორც ეკოსისტემაზე, ასევე კაცობრიობაზე.*

ნაშრომის კვლევის საგანია *ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამოწვევების და საქართველოს შესაძლებლობების, ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის გზების შესწავლა.*

პრაქტიკული მნიშვნელობა. *ნაშრომში განხილულია საქართველოს კლიმატის ცვლილების საკანონმდებლო ჩარჩო და მის საფუძველზე კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის ერთიანი საკანონმდებლო სისტემის შექმნის აუცილებლობა. ხაზგასმულია გლობალური ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების დაჩქარების აუცილებლობა*

და მასთან საქართველოს ინტეგრაციის საკითხის საჭიროება. ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ გადადგმულ ნაბიჯად მიჩნეულია „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" ამოქმედება.

შედეგები და დისკუსია. *სტატიაში კვლევებზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციისთვის საჭირო სტრუქტურული ცვლილებებისთვის სამიზნე სექტორები. დასაბუთებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების, ძლიერი საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური ბაზის აუცილებლობის საკითხი. დადგენილია ევროკავშირის ენერგეტიკასთან ქართული ენერგეტიკის ინტეგრაციის მნიშვნელობა და შემუშავებულია რეკომენდაციები ამ მიზნის განსახორციელებლად.*

დასკვნა. *საქართველოს ენერგეტიკის დეკარბონიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგრადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ნაშრომი ადასტურებს, რომ გლობალური კლიმატური მიზნების მიღწევისთვის საქართველოს სჭირდება კომპლექსური სტრატეგია, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ტექნოლოგიურ და სოციალურ ინიციატივებს. მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის და ეროვნული მიდგომების სინთეზით შეიძლება ქვეყანამ წარმატებით გადაჭრას დეკარბონიზაციის გამოწვევები და უზრუნველყოს მდგრადი ენერგეტიკული განვითარება.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის გლობალიზაცია, ეკოსისტემა, კლიმატ-ნეიტრალურობა, მდგრადი განვითარება, ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გზები, ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი.*

შესავალი

თანამედროვე ეპოქას ანთროპოცენის ეპოქა შეიძლება ეწოდოს. ანთროპოცენი გეოქრონოლოგიური არაფორმალური ტერმინია და იგი აღნიშნავს გარემოზე ადამიანის ბატონობის ეპოქას, რომელიც დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ დაიწყო და კვლავაც გრძელდება. დედამიწის სისტემის მიმართ ადამიანთა ზემოქმედებამ შეიძლება არაპროგნოზირებად და სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს კაცობრიობა. დედამიწისეული რესურსები ამოუწურავი არ არის და მას სიფრთხილით და გონიერებით გამოყენება სჭირდება.

დღევანდელი რეალობა ხასიათდება სწრაფი ტემპებით განვითარებადი ტექნოლოგიური პროცესებით. გამოგონებებმა და სამეცნიერო მიღწევებმა შედეგად მოიტანა წარმოების მექანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით მოისპო ადამიანებს შორის ტერიტორიული სიშორით გამოწვეული ბარიერები, ინფორმაციული ნაკადების ზრდას მოჰყვა ძლიერი მიგრაციული პროცესები, შედეგად კი სამუშაო ძალის საჭიროების მიხედვით გადანაწილება. ამ ყველაფერმა საბოლოოდ მოიტანა მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად განვითარებადი გლობალიზაცია.

ერთმნიშვნელოვნად მტკიცება იმისა, გლობალიზაცია კაცობრიობისთვის ზიანის მომტანი მეტად არის თუ სარგებლის, ძნელია. დასკვნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კუთხით განვიხილავთ პრობლემას. ერთი მხრივ, გლობალიზაცია საზიანოა, ვინაიდან იგი სერიოზულად აზიანებს გარემოს, ხოლო თუ სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ, გლობალიზაციას ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მოჰყვება, რაც მის დადებით გავლენაზე მეტყველებს. ეკონომიკური

ზრდა, თავის მხრივ, წარმოების მეტად გაფართოებას და შედეგად ბუნებრივი რესურსების მეტი ინტენსივობით მოხმარებას გულისხმობს, რაც ცხადია, ასახვას ჰპოვებს გარემოზე.

ეკოსისტემაზე ეკონომიკური ზრდის გავლენას თვალსაჩინოდ ასახავს პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომისტების, ჯინ გროსმანისა და ალან კრუგერის მიერ კვლევების შედეგად მოწოდებული „გარემოს დაცვის კუზნეცის მრუდი." მრუდის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის საწყის ეტაპზე იზრდება გარემოსადმი მიყენებული ზიანი, ვინაიდან განვითარებული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ეკონომიკურ მოგებაზე და მწირი ფინანსური რესურსების გამო „თავს ვერ აძლევენ გარემოზე ზრუნვის ფუფუნებას." მრუდის მიხედვით ეკონომიკის შემდგომ ზრდასთან ერთად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მცირდება, ვინაიდან გაზრდილი ფინანსები გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა, ასევე, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იმატებს ინტელექტუალური რესურსებიც, რაც ინოვაციური, კლიმატ-ნეიტრალური ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველი ხდება.

ნაშრომში ფართოდ გაანალიზებულია ევროკავშირის მიდგომები კლიმატ-ნეიტრალურობისკენ სვლის მიმართულებით. ევროკავშირმა შეიმუშავა კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ენერგეტიკის ტრანსფორმაციას, ნახშირბადის გადასახადების დაწესებას, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას. აღნიშნული ზომები მიმართულია როგორც გლობალური კლიმატური ცვლილებების შეჩერებისკენ, ასევე მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად.

ევროკავშირის მიდგომებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური და საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას. მიუხედავად ამისა, კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკაზე გადასვლა დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან, რაც ზოგიერთისთვის ბარიერად იქცევა. ამ კონტექსტში, ზოგიერთი ქვეყანა თავს არიდებს ენერგეტიკული სექტორის ეკოლოგიზაციის პროცესს და საჭირო ხდება ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი პასუხისმგებლობის აღებას.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი ხაზს უსვამს ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენას კლიმატზე და ეკოსისტემაზე. გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ინდუსტრიალიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება, თუმცა ამ პროცესმა ასევე გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული მოხმარება და ეკოლოგიური დაბალანსებულობის დარღვევა. საქართველოს შემთხვევაში, ეს პროცესი განსაკუთრებით აშკარაა ენერგეტიკის სფეროში, სადაც გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის მცდელობა მოითხოვს ახალ მიდგომებს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დონეზე.

ამასთან, ნაშრომი განიხილავს საქართველოს კლიმატის ცვლილებების სამართლებრივ ჩარჩოს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის არსებული საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არ არის სრულად მზად კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად. საქართველოსთვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკას და მხარს დაუჭერს კლიმატურ მიზნებს. ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის მექანიზმების გაძლიერებას და ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გლობალური ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებასა და ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობას ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. გლობალიზაციის პირობებში, ენერგეტიკის სექტორის საერთაშორისო ინტეგრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობისთვის, არამედ ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობისთვის. „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" ამოქმედება აღიარებულია როგორც გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ პროცესებში.

კვლევის მეთოდოლოგია.

ამ ნაშრომის მეთოდოლოგიური მიდგომა ემყარება კომპლექსური და მრავალმხრივი კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავს ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამოწვევების, გლობალიზაციის გავლენის და საქართველოს შესაძლებლობების დეტალურ ანალიზს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც თეორიული, ისე ემპირიული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ნაშრომის სიღრმისეულობასა და საფუძვლიანობას. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

1) **ლიტერატურის მიმოხილვა.**

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამეცნიერო ლიტერატურის, ევროკავშირის დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობის, კლიმატური პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკების და დეკარბონიზაციის სტრატეგიების მიმოხილვა. ამ პროცესმა გაანალიზა:

- კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის თეორიული ასპექტები,
- დეკარბონიზაციის პოლიტიკის საკვანძო ინსტრუმენტები,
- გლობალიზაციის გავლენა ენერგეტიკასა და ეკოსისტემებზე.

2) **დოკუმენტური ანალიზი.**

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის კლიმატურ პოლიტიკას და შესაბამის ინსტრუმენტებს. ანალიზის ფარგლებში შეფასდა:

- ევროკავშირის „მწვანე შეთანხმება" (European Green Deal),
- საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული საკანონმდებლო ბაზა,
- ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები კლიმატური შეთანხმებების შესაბამისად.

3) **შედარებითი ანალიზი.**

შედარებითი ანალიზი განხორციელდა ევროკავშირის და საქართველოს ენერგეტიკის სექტორში მოქმედი საკანონმდებლო და ფინანსური მექანიზმების შედარების გზით. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საქართველოს მზაობა და სუსტი მხარეები ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებაში.

4) **რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა.**

- მონაცემთა ანალიზი: გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., IEA, IRENA) და ადგილობრივი მონაცემების ანალიზი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ემისიების შესახებ.

5) **შემთხვევების ანალიზი (Case Study Method).**

კვლევა იყენებს კონკრეტული მაგალითების ანალიზს, როგორიცაა:

- ✓ „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" ამოქმედება,
- ✓ ევროკავშირის ენერგეტიკულ პოლიტიკაში წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა.

6) რეკომენდაციების შემუშავების მიდგომა.

კვლევის შედეგების საფუძველზე განხორციელდა სამოქმედო რეკომენდაციების ფორმირება. ეს პროცესი ეფუძნებოდა:

- საკვანძო მონაცემების ანალიზს,
- საერთაშორისო და ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას,
- მოდელირების მეთოდებს, რომლებიც წარადგენს საქართველოსთვის ოპტიმალურ განვითარების გზებს კლიმატ-ნეიტრალურობისკენ.

მეთოდოლოგიური შეზღუდვები:

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში დაისვა რამდენიმე შეზღუდვა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მონაცემთა სიმცირე და არასრულყოფილება, რაც ართულებდა სრულფასოვან რაოდენობრივ ანალიზს.
2. გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების დინამიური ცვლილებები, რაც მოითხოვს კვლევის შედეგების პერიოდულ განახლებას.

ამ მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ენერგეტიკის დეკარბონიზაციის გამოწვევების მრავალმხრივი შეფასება, მათი სტრუქტურული ანალიზი და საქართველოსთვის საჭირო ქმედითი სტრატეგიების შემუშავება.

****

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კაცობიობამ ბრძოლა დაიწყო ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, გააცნობიერა რა, მის წინაშე მდგარი, მისივე წინდაუხედავი, მომხმარებლური დამოკიდებულებით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება.

ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკის შექმნაზე. ევროკავშირის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს 2030 წლისთვის CO_2-ის ემისიების 55%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით, ხოლო 2050 წლისთვის ნულამდე დაყვანა.

1994 წლის 21 მარტს ძალაში შევიდა გაეროს ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელსაც 197 ქვეყანასთან ერთად საქართველოც შეუერთდა. 2005 წლიდან მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო–კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმება - სათბურის აირების ემისიების შემცირების კიოტოს პროტოკოლი. ხოლო, 2016 წლიდან პარიზის კლიმატის შეთანხმება. მისი მიზანია საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობისა და სათბურის აირების დაბალემისიიანი ტექნოლოგიური პროცესების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ყოველწლიურად ქვეყნდება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ანგარიში, რომელიც ასახავს კლიმატზე ანთროპოგენური ზემოქმედების დინამიკას და ამასთან, გვაწვდის ინფორმაციას ამ ზემოქმედების შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კონვენცია მისი წევრი განვითარებული ქვეყნების მიმართ აყენებს მოთხოვნებს კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისკენ მიმართავს ფინანსურად მხარდასაჭერ ღონისძიებებს. ამ მიზნით შეიქმნა „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი" - გრანტებისა და სესხების სიტემა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან, რომელიც 17 მიზანსა და 169 ინდიკატორს მოიცავს, ერთ-ერთი მიზანია ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია, რისი მიღწევაც ენერგეტიკის დეკარბონიზაციით არის შესაძლებელი. მდგრადი განვითარების სხვა მექანიზმებთან ერთად დეკარბონიზაციის ერთ-ერთ ბერკეტად ნახშირორჟანგის ემისიის ტარიფის დანერგვაც მოიაზრება. ტარიფი შეეხება იმ ქვეყნების საქონლის იმპორტს, რომლებიც კლიმატის ცვლილების პოლიტიკას არ ატარებენ, ან გარემოსდაცვითი კუთხით ნაკლებგანვითარებული კანონმდებლობა აქვთ. ტარიფის დაწესების მიზანია გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკის ეკოლოგიურად „მავნე" სექტორების თავმოყრის შეფერხება კლიმატ-მეგობრული სახლმწიფო პოლიტიკის არმქონე ქვეყნებში. ევროკავშირში მსოფლიოსთვის პირველი ნახშირორჟანგის ტარიფის დანერგვა 2026 წლისთვის იგეგმება.

ენერგეტიკის, როგორც ეკონომიკის მსხვილი სექტორული რგოლის დეკარბონიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის გლობალურ საქმეში. ენერგეტიკული სისტემის დეკარბონიზაცია ორი გზით არის შესაძლებელი:

1. გარემოში ემისიებისა და ენერგიის დანაკარგების შემცირებით;
2. წიაღისეული ენერგიის ნაცვლად ელექტროენერგიის გენერირებით და მოხმარებით. ცხადია, ყველა სფეროსთვის ვერ იქნება ხელსაყრელი ელექტროენერგიაზე გადასვლა, ამ შემთხვევაში ევროკავშირი რეკომენდაციას უწევს წყალბადის ენერგიის ან ბიოგაზის გამოყენებას.

ამრიგად, დეკარბონიზაციის მისაღწევად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი ტექნოლოგიური პროცესების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რომელნიც ხასიათდებიან სათბურის აირების დაბალი ემისიით. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს მაღალ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ დონეს. ენერგეტიკის ეკოლოგიზაციის პროცესის მოწინავე ქვეყნების კვლევის და საკანონმდებლო სფეროებში უაღრესად დიდი ადგილი უჭირავს ინოვაციებისა და ინკლუზიური განვითარების ურთიერთდამოკიდებულებას.

2002 წლიდან მოყოლებული აშშ იელისა და ჰარვარდის უნივერსიტეტები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დახმარებით, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, კვლევითი ინსტიტუტებიდან, აკადემიებიდან და სამთავრობო უწყებებიდან აგროვებენ მონაცემებს და ორ წელიწადში ერთხელ გვაწვდიან ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსს (Environmental Performance Index, EPI), რომელიც სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს ქვეყნების კლასიფიცირებას მათი მგდომარეობის მიხედვით მდგრადი განვითარების მხრივ, ეკოლოგიური სიჯანსაღისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიაონობის მხრივ. ინდექსი ეფუძნება 11 კატეგორიაში გაერთიანებულ 58 ეფექტიანობის ინდიკატორს. ინდექსში მოცემულია 180 ქვეყნის მონაცემები. ინდექსი საუკეთესო ინდიკატორია ეკონომიკის ეკოლოგიზაციისთვის ხელის შემშლელი ფაქტორებისა და პრობლემების გამოსავლენად, მათი გადაჭრის გზების საჩვენებლად.

2024 წლის მოწინავე ქვეყნების ათეული გამოიყურება ასე:

დიაგრამა 1. ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი, 2024.



წყარო: Environmental Performance Index, 2024.

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის 2024 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო 47,3 ქულით 77–ე ადგილს იკავებს 180 ქვეყანას შორის, რაც 2022 წლის მონაცემებთან შედარებით დამაიმედებელია. 2022 წელს საქართველო 39,1 ქულით 103 ადგილს იკავებდა. 2024 წლის ინდექსის მონაცემების ინდიკატორების მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს განსაკუთრებით სერიოზული სამუშაო აქვს სათბურის გაზების ემისიების რეგულირების კუთხით.

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა მწვანე წიგნი კლიმატის კანონის შემუშავების ფარგლებში. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობს კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის ერთიანი საკანონმდებლო სისტემა. აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების საკანონმდებლო ჩარჩო შედგება ენერგეტიკის დეკარბონი-ზაციისთვის ისეთი მნიშვნელოვანი კანონებისგან, როგორიცაა: საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ; საქართველოს კანონი ენერგოეფექ-ტურობის შესახებ; საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ.

საქართველომ 2017 წელს ხელი მოაწერა ოქმს ენერგეტიკული გაერთიანება EnC-ს დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების შესახებ. საქართველოს ენერ-გეტიკა რეგულირდება ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობას-თან დაახლოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკით, რომელსაც კურსი უჭირავს ჩვენი ქვეყნის სუფთა ენერგიის ვაჭრობის ცენტრად და სატრანზიტო ქვეყ-ნად ჩამოყალიბებისაკენ, ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისკენ, განახლებადი ენერგიის რესუსების ათვისებისკენ, წყაროების დივერსიფიკაციისა და ენერგოეფექ-ტურობის მისაღწევად ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისკენ გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით. 2022 წლის EnC-ის ანგარიშის მიხედვით „კლიმა-ტის ნიმუშის" დანერგვის პროცესი საქართველოს მიერ 68%-ით შესრულდა.

2010 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა და 2015 წლიდან „საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის" სამოქმე-

დო გეგმის თანახმად საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის მიზნისკენ: საპროგნოზო მაჩვენელთან შედარებით 2030 წლისთვის აირების ემისიების 35%-ით შემცირებისკენ, ხოლო 50-57%-ით შემცირებისკენ, საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში. ამისათვის მიმართავს ღონისძიებებს ენერგეტიკული დანაკარგების შემცირების, ენერგიის გადაცემის სრულყოფის, ელექტროსადგურების ეფექტიანობის ამაღლებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებასა და გამოყენებაზე დაფუძნებული ინდუსტრიის განვითარებისთვის.

გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია მის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭოს მეთოდოლოგიის მიხედვით სათბურის აირების ემისიების შესახებ ანგარიშების წარდგენას. საქართველოში 2017 წელს დაფიქსირდა ემისიების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ენერგეტიკულ სექტორში.

დიაგრამა 2. ემისიები საქართველოში სექტორების მიხედვით 2017 წელს.



წყარო: *Consultation of the Environmental Protection and Natural Resources Committee of the Parliament of Georgia, 2023.*

სწორედ 2017 წლიდან მოქმედებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნლოვანეს პროექტი - "სასათბურე აირების გამოყოფის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის საშუალებით", რომელიც ინოვაციური მექანიზმების დანერგვით ქართული საწარმოების ენერგოეფექტურობის ამაღლებას ემსახურება. მნიშვნელოვან სამიზნე სეგმენტებს ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციისთვის წარმოადგენენ ტრანსპორტისა და შინამეურნეობების სექტორები, რადგან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის" 2023 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით სწორედ ისინი არიან ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელი სექტორები.

დიაგრამა 3: ეკონომიკური სექტორების ენერგომოხმარების წილი 2021 წელს.



წყარო: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2024.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემების მიხედვით საბოლოო მოხმარების დიდი წილი ეკუთვნის ამოწურვადი და არაეკოლოგიური ენერგიის სახეებს - ბუნებრივი გაზისა და ნავთოპროდუქტების მოხმარებას. შესაბამისად, დგება საბოლოო მოხმარებაში მწვანე გენერაციის წილის გაზრდის საჭიროება. ამავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2021 წელს საქართველოში გენერირებული ელექტროენერგიის 75%-ის გამომუშავება მოხდა ჰიდროელექტროსადგურებიდან. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, ქვეყანაში არსებობს 90 ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 8,248.2 გიგავატსაათ ელექტროენერგიას.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარებისა და ბაზრის ახალი მოდელის ჩამოყალიბების ხელშეწყობის, მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, 2024 წლის 1 ივლისისთვის დაიგეგმა „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" ამოქმედება. ეს ინსტიტუტი შეძლებს ბაზრის ახალი მოთამაშეების მოზიდვას, ხოლო უკვე არსებულთათვის კონკურენტული და სამართლიანი სავაჭრო გარემოს უზრუნველყოფას. ამის მიღწევა შესაძლებელია ორგანიზებული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ბაზრის შექმნის გზით და სწორი საფასო პოლიტიკის გატარებით. ბაზარს ჯერ-ჯერობით 17 მონაწილე ჰყავს, ვინაიდან ფირმები ჯერ კიდევ მოვლენების შესწავლის და დაკვირვების პროცესში არიან.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მიმზიდველი გახდა ინვესტორებისთვის, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ გონივრული პოლიტიკით მიაღწია ენერგეტიკული ბაზრის სტაბილურობას. ისეთი მსხვილი პროექტები, როგორიცაა „ევროკავშირის

გლობალური კარიბჭე" და კომპანიები „Aqualia" და „Adjaristqali Georgia", შემოდიან საქართველოში და ახორციელებენ მრავალმილიონიან ინვესტიციებს.

ენერგეტიკის დეკარბონიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ პირობა არის ინოვაციების დანერგვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი" (Shota Rustaveli National Science Foundation – SRNSFG), რომლის მიერ მხოლოდ 2023 წელს საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი არაერთი პროექტი შევიდა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონსკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებელ სიაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). მის მიერ მუშავდება 2025 წლის სტრატეგია, რომელიც დასრულების პროცესშია. სტრატეგია მხარს უჭერს კაპიტალის ბაზრის განვითარებას ენერგეტიკის სექტორში. იგი დახმარებას უწევს სტარტაპებსა დაა ინოვაციურ პროექტებს საგრანტო და თანადაფინანსების პროგრამებით. GITA მსოფლიო ბანკთან და ევროკავშირთან ერთად ახორციელებს ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამას, რომელიც ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ.

2024 წლის თებერვალში საქართველოში მდგრადი განვითარების ახლებური საერთაშორისო პლატფორმის ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა „მდგრადობის მეცნიერებათა აკადემია." მისი მიზანია საქართველოში მდგრადობის მიღწევა განათლების, მეცნიერების და გარემოსდაცვითი უფლებების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებითა და საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებით.

დასკვნა

საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს ევროკავშირთან ენერგეტიკული ინტეგრაცია, რომლის მიღწევის გზა ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების სტიმულირებაა. ამ გზაზე ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციის პროგრესული და წარმატებული პროექტების კვალდაკვალ, მაინც მტკივნეულ გამოწვევად და დაუძლეველ ბარიერად რჩება ენერგეტიკის ტრანსფორმაციისთვის საჭირო მაღალი ეკონომიკური ზრდის, ჯანსაღი კონკურენტული ბაზრის, ცირკულარული ეკონომიკის სარგებლიანობის შესახებ ბიზნესების ნაკლებ ინფორმირებულობის, მათი მხრიდან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვის დონისა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები.

ნაშრომში შემუშავებულია რიგი რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ინტეგრირებას ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზართან, დეკარბონიზაციის სტრატეგიის გაუმჯობესებას და ქვეყნის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერებას, კერძოდ:

1. **საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება** – საჭირო არის კანონის დონეზე მკაფიოდ განსაზღვრა კლიმატური მიზნები და მათი შესრულების გზები.

2. **ფინანსური მექანიზმების გაძლიერება** – ინვესტიციების მოზიდვა და ეროვნული მწვანე ფონდის შექმნა.

3. **ტექნოლოგიური ინოვაციები** – განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

4. **საერთაშორისო თანამშრომლობა** – ევროკავშირთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატური პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდისთვის.

დეკარბონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. ეს პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ ინფორმაციულ კამპანიებს, არამედ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც გაუმკლავდებიან სკეპტიციზმს და საზოგადოებაში მწვანე პოლიტიკის მხარდამჭერ განწყობებს შექმნიან.

ქართული ენერგეტიკის დეკარბონიზაციის, მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკის დეკარბონიზაციისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნებოდეს ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ბიზნეს-პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინვესტიციების გაზრდას, მიზანმიმართულ საინფორმაციო და სარეკლამო კაპმანის წარმოებას და საზოგადოების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ცნობიერების დონის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R. (2019). "Green" economy: essence and challenges. Internet conference materials.
2. Abesadze, R. (2019). “Green” and “circular” economy: essence and modern challenges. *International Journal of New Economics and Social Sciences IJONESS*, *10*(2), 329-345.
3. Abuselidze, G., & Zoidze, G. (2024). Conceptual Issues of Sustainable Local Economic Development: International Experience. In *Economic Science for Rural Development Conference Proceedings* (No. 58).
4. Abuselidze, G., & Zoidze, G. (2023). Competitive Environment Problems and Challenges in the Pre-Pandemic and Post-Pandemic Society. *Economic Themes*, *61*(3), 289-306.
5. Bedianashvili G. (2022). Climate change uncertainty and economic growth. Collection of conference materials. Tbilisi. 29-36.
6. Buftic, A. (2023). Directive 2023/1791 EED: a step closer to mandatory green public procurement criteria through sectorial legislation. *European journal of public procurement markets*, *5*, 46-70.
7. Chomakhidze d. (2022). "The Russia-Ukraine war, with a chain reaction, also caused universal economic and energy wars."
8. Consultation of the Environmental Protection and Natural Resources Committee of the Parliament of Georgia. (2023). Green Book of Climate Change of Georgia for public consultations.
9. Deal, E. G. (2020). The European Green Deal. *Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Brussels*.
10. Eichhammer, W., Boede, U., Gagelmann, F., Jochem, E., Kling, N., Schleich, J., ... & Ziesing, H. J. (2001). Greenhouse gas reductions in Germany and the UK—coincidence or policy induced. *Fraunhofer Institute for Systems and Innovation Research, Karlsruhe*.
11. Environmental Performance Index. (2024). Georgia.
12. Finance, B. N. E. (2017). Record $30 bn year for offshore wind but overall investment down.

13. Green alternative. (2013). "Green policy and environmental protection".
14. Gvelesiani M., & Veshapidze S. (2016) Values: Limits and Contradictions. Globalization & Business. (1): 35-39. (in Georgian)
15. Gvelesiani M., & Veshapidze S. (2016) European values: what can we implement from them and how can we implement them in Georgia. Globalization & Business. (1): 40-46. (in Georgian)
16. Jene, K. European Green Deal Strategy and the Implications for Employment.
17. Knight, D. M. (2017). The green economy as a sustainable alternative? Anthropology Today, 33(5), 28-31.
18. Komor, P. (2004). Renewable energy policy. IUniverse. Inc., New York.
19. Lipp, J. (2007). Lessons for effective renewable electricity policy from Denmark, Germany and the United Kingdom. Energy policy, 35(11), 5481-5495.
20. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2024). Energy policy of the state of Georgia.
21. OECD. (2016). Energy and air pollution: world energy outlook special report 2016.
22. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2023). Impact Of Economic Crime on The Sustainable Development of The State. *Three Seas Economic Journal*, *4*(1), 10-17.
23. Papava, V. (2011). Energy cooperation opportunities in the Caucasus. *Caucasus International*, *1*(1).
24. Papava, V. (2014). Georgia's Economy: The Search for a Development Model. *Problems of Economic Transition*, *57*(3), 83-94.
25. Petroleum, B. (2011). BP Statistical Review of World Energy. London: BP.
26. Planet, C. (2018). A Clean Planet for all. *A European strategic long-term vision for a prosperous, modern, competitive and climate neutral economy*.
27. Reiche, D. (Ed.). (2012). Handbook of renewable energies in the European Union: Case studies of the EU-15 states. Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften.
28. Session, U. G. A. S. (2015). Agenda item 15 and 116. *United Nations: New York, NY, USA*.
29. Silander, D. (2019). The European Commission and Europe 2020: Smart, sustainable and inclusive growth. In *Smart, sustainable and inclusive growth* (pp. 2-35). Edward Elgar Publishing.
30. Statistics, I. E. A. (2011). CO2 emissions from fuel combustion-highlights. *IEA, Paris http://www. iea. org/co2highlights/co2highlights. pdf. Cited July*.
31. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).
32. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, *10*(2), 22-32.
33. Veshapidze, S., & Kitashvili, S. (2024). Georgia's European integration perspective. *Ekonomisti, vol.* 2, 2024: 40-46. (in Georgian)
34. Veshapidze, S. (2024). European experience of green energy development and prospects for Georgia. Collection of conference proceedings of Tbilisi State University.
35. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic.
36. World Economic Forum (WEF). (2017). The global risks report.
37. Zoidze, G. (2023). Strategic directions of balanced economic growth of entrepreneurial entities. *Journal of Innovations and Sustainability*, *7*(1), 1-22.
38. Zoidze, G., Abuselidze, G., & Veshapidze, S. (2023). Economic Vulnerability of Small Powers. *Journal of Geography, Politics and Society*, *13*(3), 1-12.
39. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). Transformation of economic policy priorities under COVID-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.

40. 1Tv.ge. (2022). Georgia, Azerbaijan, Romania and Hungary have signed the project of an underwater cable transmitting electricity through the Black Sea.

Shota Veshapidze,
Doctor of Economic Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Levan Kereselidze,
Doctor of Business Administration, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Nino Tsirdava,
Master of Economics

DECARBONIZATION OF ENERGY AND CHALLENGES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

Expanded Summary

Relevance of the topic. Over time, climate change mitigation and decarbonization in the energy sector has become one of the top priorities of the modern world. Achieving climate neutrality involves not only reducing existing carbon emissions as much as possible, but also transforming all sectors of the economy in such a way that it becomes environmentally sustainable.

The aim of the paper is to analyze Georgia's opportunities and challenges in the process of energy decarbonization, especially in the conditions when the globalization of the economy is actively underway and climate change is the primary topic of international cooperation. In order to achieve climate neutrality, Georgia, like other countries, is obliged to apply relevant political, economic and technological innovations in order to reduce harmful effects on the environment and ensure sustainable energy development. For this purpose, the article analyzes the measures taken by the European Union. Mechanisms and tools for carrying out these measures are shown. The transition to a climate-neutral economy is associated with high costs, which may not be economically viable for some countries. Such countries are trying to bypass activities for the process of greening the economy, which is why it is necessary to use deterrent tools. In the article, the impact of the economic globalization process on both the ecosystem and humanity is analyzed from an ethical and economic point of view.

The research subject of the paper is the study of the challenges of decarbonization of energy and Georgia's opportunities, the ways to achieve climate neutrality in the wake of the globalization of the economy.

Practical value. The paper discusses the legislative framework of climate change in Georgia and the need to create a unified legislative system to achieve climate neutrality based on it. The need to speed up the formation of the global energy market and the need for Georgia's integration with it are emphasized. The implementation of the "Georgian Energy Exchange" is considered one of the steps taken on the path of integration.

Results and discussion. In the article, based on research, the target sectors for the structural changes necessary for the decarbonization of Georgian energy are highlighted. The issue of raising public awareness, introducing and developing innovative technologies, and the need for a strong legislative and financial-economic base is substantiated. The importance of the integration of Georgian energy with the energy of the European Union has been established and recommendations have been developed for the implementation of this goal.

Conclusion. Decarbonization of Georgian energy is one of the most important conditions for economic and ecological sustainability of the country. The paper confirms that in order to achieve the global climate goals, Georgia needs a complex strategy that includes both legal, technological and social initiatives. Only by synthesizing international cooperation and national approaches can the country successfully solve the challenges of decarbonization and ensure sustainable energy development.

ნანა შონია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების მიმართულების პროფესორი;
ლია კილაძე
თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

გლობალიზაციას, მიგრაციას, მრავალფეროვან სამუშაო ძალასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირები

ანოტაცია. *მიგრაციის საკითხის უკეთ გააზრება პოლიტიკურ დონეზე და მიზნობრივი ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება პირდაპირპროპორციულია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასთან. მაგალითად, დასაქმების მიზნით მიგრაცია პირდაპირ უწყობს ხელს მერვე მდგრადი განვითარების მიზნის (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა) და მისი ქვემიზნების მიღწევას, ხოლო ირიბად გავლენას ახდენს სხვა მიზნებზე (არ არის სიღარიბე, შიმშილი, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ხარისხი. განათლება, გენდერული თანასწორობა, შემცირებული უთანასწორობა, ქალაქებისა და დაბების მდგრადი განვითარება).*

გლობალიზაციის შედეგად ყოველდღიურად მატულობს იმიგრანტთა რაოდენობა და პარალელურად იზრდება ფულადი გზავნილების რაოდენობა, რაც აუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და უსაფრთხოებას. თუმცა ეს იწვევს ოჯახების ნგრევას, ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და გაუცხოებას ბავშვებსა და მშობლებს შორის. ბევრი ქართული ოჯახისთვის ფულადი გზავნილები შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ეს შემოსავალი აძლევს ოჯახებს სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირების პერსპექტივას, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და უკეთესი ჯანმრთელობისა და განათლების სერვისების წვდომას. მეორე მხრივ, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობს უცხოური ვალუტის რეზერვების შევსებას, რაც აუცილებელია იმპორტირებული საქონლის შესაძენად. შედეგად, მიღწეულია მდგრადი განვითარების მიზნის 8-ის პირველი ქვე-მიზანი (ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ეროვნული გარემოებების შესაბამისად, განსაკუთრებით მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 7 პროცენტი წლიური ზრდა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში). ქვეყნის მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის მეხუთე ქვემიზანი (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა) არის სრული და პროდუქტიული დასაქმების, ასევე ღირსეული შრომისა და თანაბარი ღირებულების შრომის მიღწევა 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცის, ახალგაზრდებისა და ადამიანების ჩათვლით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. საქართველოში არსებული ყველა ტიპის ორგანიზაცია (საჯარო და კერძო) არღვევს სამართლიანი კომპენსაციის უფლებას.

ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ არსებითად მივიჩნევთ სამუშაო ძალის მრავალფეროვნებისა და ორგანიზაციული კულტურის პრინციპების დანერგვას და განვითარებას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. გარდა ამისა, დასაქმების მაჩვენებლების მიმდინარე ნელი და არათანაბარი პროგრესი საჭიროებს ეკონომიკური

და სოციალური პოლიტიკის გადაფასებას, რომელიც მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრაზე.

ჩვენი გამოკითხვის შედეგები საშუალებას გვაძლევს დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ დღევანდელ გლობალურ ბიზნეს გარემოში მრავალფეროვან მუშახელზე მოთხოვნა შეუქცევადი ტენდენციაა. მრავალფეროვან სამუშაო ძალასთან დაკავშირებული რეკრუტირების, მენეჯმენტისა და ინკლუზიის საკითხების ცოდნა თანამედროვე მენეჯერებისთვის აუცილებელი კომპეტენციაა. ორგანიზაციები, რომლებსაც ესმით კავშირი გლობალიზაციას, მიგრაციას, მრავალფეროვან სამუშაო ძალასა და მდგრად განვითარებას შორის და აღიარებენ მრავალფეროვნების მნიშვნელობას, რჩებიან ეფექტურები და კონკურენტუნარიანები ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, მიგრაცია, მრავალფეროვანი სამუშაო ძალა, მდგრადი განვითარება, ღირსეული სამუშაო, ეკონომიკური ზრდა, ფულადი გზავნილები, ორგანიზაციული კულტურა.*

****

გაზრდილი მიგრაცია გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ასპექტია. იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი რომლებიც გადაადგილდებიან სხვა ქვეყნებში დასაქმებისა და ცხოვრების პირობების უკეთესი შესაძლებლობების საძებნელად. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია ჩვეულებრივ პრობლემური საკითხების ჩამონათვალში განიხილება, ამავე დროს ის ხელს უწყობს მდგრადობასა და განვითარებას. შესაბამისად, პოლიტიკურ დონეზე მიგრაციის საკითხის უკეთ გააზრება და მიზანმიმართული ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება პირდაპირპროპორციულად აისახება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე. მაგალითად, დასაქმების მოტივით მიგრაციას პირდაპირ წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მერვე მიზნის - **ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა** - და მისი ქვემიზნების მიღწევაში, ხოლო ირიბ გავლენას ახდენს სხვა დანარჩენი მიზნების მიღწევაზე (არა სიღარიბეს, არა შიმშილს, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, შემცირებული უთანასწორობა, ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება).

იმ ქვეყნებში, სადაც მცირე შემოსავლიანი მოსახლეობა ცხოვრობს, ოჯახებისთვის გაწეული ფულადი გზავნილები აუმჯობესებს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და უსაფრთხოებას. ხშირად, ფულადი გზავნილები ოჯახებისთვის შემოსავლის ერთადერთი გზაა. შედეგად ოჯახებს უჩნდებათ პერსპექტივა გააკეთონ ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში ან არასასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, ან გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, მიიღონ უკეთესი ჯანდაცვისა და განათლების სერვისები. მეორე მხრივ, ფულად გზავნილებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ ის ქვეყანას უცხოური ვალუტის რეზერვების შევსებაში ეხმარება, რაც აუცილებელია იმპორტირებული საქონლის შესაძენად. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2023 წლის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით, მიგრანტების მიერ განხორციელე-

ბული ფულადი გზავნილების სახით 4 146,5 მილიარდი დოლარი დაფიქსირდა[32], რამაც ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3 % და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მთლიანმა შიდა პროდუქტმა 5,6 % შეადგინა. გზავნილების 96,8% მოდის 25 უმსხვილეს ქვეყანაზე და მხოლოდ 2023 წლის დეკემბრის თვეში თითოეული ქვეყნიდან მილიონ დოლარზე მეტი გადმოირიცხა.

2022 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ფულადი გზავნილები ლათინური ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში დაფიქსირდა (25,3 %), სუბ-საჰარის აფრიკაში (14,1 %), ევროპასა და ცენტრალურ აზიაში (7,8 %), ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში (7,6 %), სამხრეთ აზიაში (6,9 პროცენტი). აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში ფულადი გზავნილები შემცირდა 3,3 პროცენტით; შემცირება არ აისახა ჩინეთზე, სადაც ფულადი გზავნილების ნაკადი პირიქით, 2,5 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან დღემდე ჩინეთისთვის შემოდინებული ფულადი ნაკადები გარე დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა.

2021 წელს ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყნები იყო ინდოეთი, მექსიკა, ჩინეთი, ფილიპინები და ეგვიპტე. ფულადი გზავნილები მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მაღალ წილს შეადგენდა შემდეგ ქვეყნებში: ლიბანი (54 %), ტონგა (44 %), ტაჯიკეთი (34 %), ყირგიზეთის რესპუბლიკა (33 %) და სამოა (32 %) (KNOMAD/World Bank, 2022[33]). ფულადი გზავნილების საკითხი აქტუალურია საქართველოსთვისაც, ვინაიდან მისი მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს ეროვნული ბაკის მონაცემებით, 2021 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 188.2 მლნ აშშ დოლარი (627.7 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 49.5%-ით (62.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2020 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ხოლო 2023 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 438.4 მლნ აშშ დოლარი (1134.4 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 127.1%-ით (245.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2022 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ **კოვიდ-19-ის პანდემიის** გავლენამ მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად შეამცირა ფულადი გზავნილების ნაკადები 2019-2020 წლებში, თუმცა 2021 წელს იგივე მაჩვენებელმა რეკორდული სისწრაფით, 8,6 პროცენტით აღდგენა განიცადა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის (ოფიციალური ვაშინგტონის) განცხადების თანახმად მიერ ნავარაუდევია, რომ 2022 წლისთვის ფულადი გზავნილების ნაკადები დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (LMICs) 4.2 პროცენტით გაიზრდება და მიაღწევს ექვსას ოცდაათ მილიარდ აშშ დოლარს (KNOMAD/World Bank, 2022).

მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის *8.1. ქვემიზანი ითვალისწინებს - ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას ეროვნული გარემოებების შესაბამისად, განსაკუთრებით, მთლიანი შიდა პროდუქტის სულ მცირე 7 %-იან წლიურ ზრდას ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.*

[32] https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

[33] https://www.knomad.org/publications

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, 2019 წლის მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარისთვის საარსებო წყაროს დღეში ორი აშშ დოლარის ექვივალენტი წარმოადგენს. გლობალური უმუშევრობის მაჩვენებელი 5,4 %-ია და მოსახლეობის ნაწილისთვის სამუშაოს ქონა ჯერ კიდევ არ არის სიღარიბისგან თავის დაღწევის გარანტია. დასაქმებულთა რიცხოვნობის არსებული ნელი და არათანაბარი პროგრესი მოითხოვს იმ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გადაფასებას, რომელიც სიღარიბის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

ღირსეული სამუშაოს ნაკლებობა, არასაკმარისი ინვესტიციები და არასაკმარისი მოხმარება წინ უძღვის დემოკრატიული საზოგადოების იმ ფუძემდებლური ძირითადი პრინციპის მოშლას, რომელიც გულისხმობს, რომ პროგრესი ყველას უნდა შეეხოს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდა ყოველწლიურად ფიქსირდება, ჯერ კიდევ არსებობენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც 2030 წლისთვის დაგეგმილ 7%-იანი ზრდის მაჩვენებელს ვერ მიაღწევენ. შრომის ნაყოფიერების შემცირებასთან ერთად იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი და ამასთანავე, ხელფასების შემცირების გამო უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მდგრადი ეკონომიკური ზრდა საზოგადოებისაგან ისეთი პირობების შექმნას მოითხოვს, რომ ხალხს ჰქონდეს ღირსეული სამუშაო, რომელსაც ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი ექნება და ამასთანავე, ზიანს არ მიაყენებს გარემოს. სამუშაო ადგილების შექმნა საჭიროა ყველა ასაკის ადამიანისათვის. ხოლო ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია შემოსავლების სათანადოდ მართვის, აქტივების დაგროვების და პროდუქტიული ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ ლეგალურ მიგრანტებს, რომლებიც გადასახადებს იხდიან, წვლილი შეაქვთ მასპინძელი ქვეყნის საპენსიო და ჯანდაცვის სისტემების მხარდაჭერაშიც.

*მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის - **ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა**, ქვემიზანი 8.5. - 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევაა.*

მიგრაციასთან კავშირში ეკონომიკური მოტივები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუმცა ბევრი ადამიანისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის და ქალებისთვის, მიგრაცია ფართო სამყაროს შეცნობისა და ახალი გამოცდილების მიღების საშუალებაც არის. ისინი არამხოლოდ ფინანსური დამოუკიდებლობისკენ, არამედ ოჯახის წევრებისაგან, საზოგადოებისაგან მოშორებით ყოფნის შესაძლებლობებს ეძებენ. მიგრაციას ხელს უწყობს ინფორმაციაზე გაუმჯობესებული წვდომა. დღეს ციფრული ტექნოლოგიების დამსახურებით ბევრად გაადვილებულია სამუშაოს მოძიება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქალები და ახალგაზრდები, რომლებსაც კულტურული ტრადიციების გავლენით თანაბარი წვდომა არ გააჩნიათ ქონებასთან დაკავშირებით, უმრავლეს შემთხვევაში საარსებო წყაროების მიმართ მოწყვლადები არიან. შესაბამისად, მიგრაციასა და შემოსავლების გაჩენას მათთვის არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური უფლებების დაცვის წინაპირობა უდევს საფუძვლად. *ხოლო, მერვე ქვემიზანი - შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ*

შორის მიგრანტი მუშაკებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისათვის.

ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს მიგრაციის შედეგების მდგრადი განვითარებისკენ მიმართვას, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ნაცვლად მიგრაციის შეკავებისა აქცენტი გადატანილ უნდა იქნას მიგრანტების უფლებების დაცვაზე, მათ მიერ ეროვნული კეთილდღეობის სისტემებით სარგებლობასა და პროდუქტიულობის გაზრდაზე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ მასპინძელი ქვეყნისა და თემის განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია მიგრანტთა მხარდაჭერა სახელმწიფო ენის შესწავლისა და განათლების მიმართულებით, ვინაიდან ამით მათ გაეზრდებათ წვდომა უკეთეს სამუშაო ადგილებსა და მეტი შემოსავლის მიღებაზე. ეკონომიკურად გაძლიერებულ მიგრანტებს ასევე ეზრდებათ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების, ინვესტიციების გაკეთების და შეძენილი ახალი უნარების მის მშობლიურ ქვეყანაში გამოყენების პერსპექტივა. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელმისაწვდომია კვლევები, რომელთა თანახმად ფულადი გზავნილები პოზიტიურად არ აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ვინაიდან ყოველთვის არ ხდება შემოდინებული რესურსების ინვესტირება პროდუქტიულად.

პოლიტიკა, რომელიც შექმნილია საერთაშორისო მიგრაციის შეზღუდვისკენ, როგორც წესი წაახალისებს არალეგალურ მიგრაციას, რითაც კონტრაბანდისტები და დამსაქმებლები სარგებლობენ. ისინი ქმნიან აღურიცხავი შემოსავლების მქონე არალეგალურად დასაქმებულთა ნაკადს. მაგალითად „იატაკქვეშა ეკონომიკა" ან არაფორმალური სექტორი მიჩნეულია არალეგალურ მიგრანტთა ყველაზე დიდ დამსაქმებლად. ამ სექტორს ძირითადად ტექსტილის/ტანსაცმლის მცირე საწარმოები და სამშენებლო/საინჟინრო მრეწველობა მიეკუთვნება, რომლებიც უმთავრესად მსხვილი კომპანიების ქვეკონტრაქტორებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ,,აუთსორსინგი" კერძო სექტორისთვის ეფექტიანი გზაა მაღალი ხარისხის იაფი სერვისის/პროდუქტის მისაღებად, ის ამავე დროს დიდ რისკებს შეიცავს მცირე საწარმოების მიერ ხარჯების შემცირების მიზნით არაფორმალური შრომის ბაზრების ჩამოყალიბების, არასათანადო შრომის პირობების, არასამართლიანი ანაზღაურების და კეთილდღეობასა და გადასახადებთან დაკავშირებული მანკიერი პრაქტიკების დანერგვის თვალსაზრისით.

დღის წესრიგში მუდმივად დგას, ასევე, არალეგალური მიგრანტების ჯანმრთელობის დაცვასა და სხვა სერვისებით სარგებლობის საკითხი. ხშირად, პოლიტიკის შემქმნელები უბრალოდ უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ მობილობა არის ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაბამისად, არ იღებენ ზომებს შრომის ბაზრების მოქნილობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებისთვის.

დღევანდელ გლობალურ ბიზნეს გარემოში მრავალფეროვან სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეუქცევად პროცესს წარმოადგენს. მათი დაქირავებისა, მართვისა და ინკლუზიის საკითხების ცოდნა თანამედროვე მენეჯერების ერთ-ერთ აუცილებელ კომპეტენციას წარმოადგენს. ორგანიზაციები, რომლებიც კარგად იცნობენ თემას და აღიარებენ მრავალფეროვანი სამუშაო ძალის მნიშვნელობას, ინარჩუნებენ ეფექტიანობას და კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საინტერესო ბაზარს წარმოადგენს უცხოური ინვესტორებისთვის. ამას ემატება ქვეყანაში იმიგრანტთა მზარდი ტენდენცია და მრავალფეროვანი სამუშაო ძალის დასაქმების პოტენციალი. კერძოდ საქართველოს სტატისტიკის სამ-

სახურის 2021 წლის მონაცემებით, სულ 184,629 ათასი კაცია იმიგრანტის სტატუსით ქვეყანაში შემოსული (რუსეთიდან - 95,281; საბერძნეთიდან - 15,310; უკრაინიდან - 14,978; გერმანიიდან - 7,875; სომხეთიდან - 6,986; აზერბაიჯანიდან - 6,847; თურქეთიდან - 5,681; ამერიკის შეერთებული შტატებიდან - 3,309; ყაზახეთიდან - 3,259; ესპანეთიდან - 2,414; სხვა - 22,689). აღნიშნული მონაცემები მიუთითებს შრომის ბაზრის მოსალოდნელ ცვლილებებზე, რასაც დამსაქმებელი სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან კომპეტენტური რეაგირება სჭირდება.

ამასთანავე, საქართველო მრავალფეროვანი მოსახლეობით დასახლებული სახელმწიფოა, სადაც ისტორიულად სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური ეთნოსები და კულტურული ჯგუფები ცხოვრობენ. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13,2 პროცენტი ეთნიკურმა უმცირესობამ შეადგინა. რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს აზერბაიჯანელები (6,2 %) და სომხები (4,5 %) წარმოადგენენ, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში არიან კომპაქტურად ჩასახლებულნი. რაც შეეხება რელიგიურ მრავალფეროვნებას საქართველოში, მას შემდეგი ძირითადი რელიგიური ჯგუფები ქმნიან: მართლმადიდებლები (83,9 პროცენტი), მუსლიმები (9,9 %), სომხური სამოციქულო ეკლესის წევრები (3,9 %), კათოლიკე (0,8 %), იუდეველი (0,1 %), სხვა (0,8 %), არც ერთი (0,6 %). აღნიშნული მონაცემების თანახმად, საქართველოში არსებული ძირითადი (მართლმადიდებელი) და ტრადიციული (კათოლიკე, სომხური სამოციქულო ეკლესია, იუდეველი და მუსლიმი) რელიგიური ჯგუფები მოსახლეობის 98 %-ს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 15 %-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ და თითქმის 12,5 % იძულებით გადაადგილებული პირია.

ამას ემატება ისიც, რომ ყოველწლიურად იზრდება ქვეყანაში სამუშაო თუ საგანმანათლებლო მიზეზით ემიგრირებულ პირთა რაოდენობა. ასევე სწრაფი ტემპით იზრდება ქვეყნიდან გასული ემიგრანტების მაჩვენებელი. შესაბამისად, დღის წესრიგში აქტიურად დგება შრომის ბაზარზე წარმოქმნილი დეფიციტის მრავალფეროვანი სამუშაო ძალით შევსების საკითხი.

ცხადია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დღევანდელი შრომის ბაზრის რეალობაა და მისი იგნორირება საკითხის აქტუალურობას არ შეამცირებს. თუმცა საკითხი ასე მარტივადაც არ დგას, ვინაიდან მრავალფეროვანი სამუშაო ძალა თავისებურებებით გამოირჩევა და მისი მართვა სათანადო ცოდნას, გამოცდილებას, ყურადღების დათმობასა და საკითხის მიმართ სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მოითხოვს, არამხოლოდ ორგანიზაციის, არამედ ქვეყნის პოლიტიკის დონეზე.

Nana Shonia
Akaki Tsereteli State University. Professor of Finance;
Lia Kiladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Business Administration PhD program student

THE INTERCONNECTIONS BETWEEN GLOBALIZATION, MIGRATION, WORK-FORCE DIVERSITY, AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

Expanded Sunnary

A better understanding of the issue of migration at the political level and the production of targeted national and international policies are directly proportional to the fulfillment of the country's sustainable development goals. For example, migration for employment directly contributes to the achievement of the eighth sustainable development goal (decent work and economic growth) and its sub-goals, while indirectly affecting the other goals (no poverty, no hunger, health and well-being, quality education, gender equality, reduced inequality, the sustainable development of cities and towns).

As a result of globalization, the number of immigrants increases daily, and in parallel, the amount of remittances rises, which improves the socio-economic situation and security of the country's population. However, this leads to the breakup of families, psychological tension, and alienation between children and parents. For many Georgian families, remittances are the only source of income. This income provides families with the prospect of investing in agriculture or non-agricultural activities, improving their living conditions, and accessing better health and education services. On the other side, remittances play an important role in the country's economy by helping to replenish foreign currency reserves, which are necessary for purchasing imported goods. As a result, the first sub-goal of Sustainable Development Goal 8 (sustain per capita economic growth in line with national circumstances, particularly at least 7 percent annual growth of gross domestic product in the least developed countries) has been achieved.

The fifth sub-goal of the country's sustainable development objective 8 (decent work and economic growth) is to achieve full and productive employment, as well as decent work and labor of equal value, for all women and men by 2030, including youth and persons with disabilities. All types of organizations (public and private) in Georgia violate the right to equitable compensation.

To address this issue, we consider it essential to introduce and develop the principles of workforce diversity and organizational culture in both the public and private sectors. Additionally, the current slow and uneven progress in employment rates necessitates a reassessment of economic and social policies aimed at eliminating poverty.

The results of our survey allow us to confidently state that in today's global business environment, the demand for a diverse workforce is an irreversible trend. Knowledge of recruitment, management, and inclusion issues related to a diverse workforce is a necessary competency for modern managers. Organizations that understand the connections between globalization, migration, a diverse workforce, and sustainable development, and recognize the importance of diversity, remain efficient and competitive in the marketplace.

Keywords: globalization, migration, diverse workforce, sustainable development, decent work, economic growth, remittance, organizational culture.

სოციალური ეკონომიკა - SOCIAL ECONOMY

გიორგი ღავთაძე
ეკონომიკის დოქტორი, აწსუ პროფესორი,
დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური
კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი;
აზა იფშირაძე
ეკონომიკის დოქტორი, ქუ პროფესორი

სოციალური სახელმწიფო, მორალური ეკონომიკა და ადამიანის უფლებები: თანამედროვე რეალობა და პერსპექტივები

ანოტაცია. *მორალური ეკონომიკის იდეა არის დინამიური კონცეფცია, რომელიც მუდმივად ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა გარემო პირობების ცვალებადობის გამო. იგივე ხდება თანამედროვე ეტაპზე, როდესაც „ზნეობის" საკითხი, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.*

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია ახლად ჩამოყალიბებული, განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ეკონომიკას შორის ძველი ურთიერთობა იშლება, ახლები კი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის ფაქტი, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ ქვეყნებში არსებული ვითარება სპონტანურად იცვლება ისე, რომ წინმსწრებად არ ხდება არც თეორიული და არც პოლიტიკური საფუძვლების მომზადება, სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით. ფაქტობრივად, ასე მოხდა საქართველოშიც.

ეკონომიკის მორალურობის საკითხი მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებების რეალიზებასთან, სოციალური მდგომარეობის სწორ აღქმასთან და ა.შ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი თანამედროვეობისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხებთან. ამიტომ, ამ სტატიაში „მორალური ეკონომიკის" კომპლექსური კონცეფცია განხილულია ე.წ. „მულტი-" და „კროს-" დისციპლინარული მიდგომების გამოყენებითა და თანამედროვე გლობალური თუ რეგიონული მასშტაბის პრობლემების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: მორალური ეკონომიკა; ინკლუზიური ზრდა; სოციალური ნდობა

შესავალი

ეკონომიკურ ურთიერთობებში მორალური ასპექტების გათვალისწინებისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელის ფორმირების საკითხმა, უკვე კარგა ხანია, წინა პლანზე წამოიწია მსოფლიოს მასშტაბით და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას. ბევრისათვის გასაკვირად, ე.წ. „მორალური ეკონომიკის" იდეამ მეტი პოპულარობა მოიპოვა ანთროპოლოგებსა თუ ეკონომიკის ისტორიკოსებს შორის. მაშინ როდესაც, მან შედარებთ ნაკლები ყურადღება მიიპყრო პოლიტიკოსების მხიდან, რაც, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითად აისახება შესაბამისი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესებზე.

ვფიქრობთ, რომ მორალური ეკონომიკის იდეა, ეს არის დინამიური კონცეფცია, რომელიც გამუდმებით განიცდის ზეწოლას, ცვალებადი გარემო პირობებიდან გამომდინარე. იგივე ხდება თანამედროვე ეტაპზეც, როდესაც „მორალურობის" საკითხი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე.

აღნიშნული საკითხი, კიდევ უფრო აქტუალურია ახლადწარმოქმნილი, განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ეკონომიკას შორის ძველი ურთიერთობები რღვევას განიცდის, ხოლო ახალი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ ქვეყნებში, არსებული მოცემულობის შეცვლა იწყება სპონტანურად, ისე რომ მომავალი პერსპექტივებისათვის არ არის მომზადებული არც თეორიული და არც პოლიტიკური საფუძვლები. ფაქტობრივად, ასე მოხდა საქართველოშიც.

ეკონომიკის მორალურობის საკითხი მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებების რეალიზებასთან, სოციალური სახელმწიფოს სწორ აღქმასთან და ა.შ., ანუ, ჩვენი თანამედროვეობისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხებთან. ამიტომ, წინამდებარე სტატიაში, განხორციელებულია „მორალური ეკონომიკის" ცნების კომპლექსური, ე.წ. „მულტი-" და „კროს-" დისციპლინური მიდგომების გამოყენებით გაანალიზების მცდელობა, თანამედროვე გლობალური თუ რეგიონული პრობლემების გათვალისწინებით.

შესაბამისი მოხსენება გაკეთდა ევროპარლამენტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე პოლონეთში[34], 2022 წელს, პოლონელი, ქართველი, გერმანელი, ხორვატი მკვლევარების, პოლიტიკოსებისა და საზოადოების სხვა წარმომადგენლების წინაშე. ჩვენი ქვეყნისათვის საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ავტორებმა გადავწყვიტეთ აღნიშნული პრობლემის შესახებ გვემსჯელა ქართველ კოლეგებთანაც.

ძირითადი მსჯელობა

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ეკონომიკის მორალურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკითხის მასშტაბურობისა და აქტუალობის გამომდინარე, საყოველთაო ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს ახლად წარმოქმნილი განვითარებადი ქვეყნების სამომავალო პერსპექტივების განხილვა. საქართველოს შემთხვევაში, სახელმწიფოს მმართველობითი მოდელის შერჩვაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და ეთიკური საკითხების ინტეგრირების შესაძლებლობების ძიების პროცესში, გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვეყნის მოსახლეობის ფაქტობრივი უმრავლესობის ევროპული არჩვანი.

საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავის სტრუქტურითა და შინაარსით, განამტკიცებდა ადამიანის უფლებებს სოციალური სახელმწიფოს ფარგლებში და ეს დამოკიდებულება, სამართლებრივად, დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ, ჯერ კიდევ პრობლემური რჩება კონსტიტუციით განმტკიცებული უფლებების რეალობაში სრულად დანერგვის საკითხი, რასაც ქვეყანა

[34] საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რამდენად უზრუნველყოფს ევროკავშირი მორალურ პროგრესს?", 17-18.12.22, პოზნანი, პოლონეთი

უკვე 30 წელზე მეტია ცდილობს, მართალია გარკვეული წარმატებით. თუმცა, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ევროპული ინტეგრაციის გზაზე, საქართველო, არაერთ სუბიექტური თუ ობიექტური შინაარსის პრობლემას აწყდება, რაც მოსალოდნელი იყო, კიდეც. ქვეყნისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სრულად ვერ გამოვიდა პოსტ-სოციალისტური მარწუხებიდან თუ ზეგავლენებიდან, ევროპულ ღირებულებებთან და განვითარების პრინციპებთან მისი დაახლოება სისტემური ხასიათის ცვლილებებს მოითხოვს. ქვეყანაში მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარე რეფორმები, სწორედ ზემოაღნიშნულის გამოძახილია.

მართალია, ჩვენ საკმაო წარმატებას მივაღწიეთ არაერთი მიმართულებით, მაგრამ ყველაზე პრობლემური, აქამდე თითქმის დაუძლეველი, აღმოჩნდა მოსახლეობის მსოფლმხედველობითი და ცნობიერებითი საკითხები, რომელთა ცვლილებამ უნდა შექმნას ახლი საზოგადოება, რომელიც სოლიდარული იქნება გლობალურ საკითხებთან მიმართებაში (მიუხედავად შესაძლო განსხვავებებისა პროცესების დეტალურ აღქმაში) და ექნება უნარი მიიღოს გადაწყვეტილებები საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებით, თანამედროვე პირობების სწორი ანალიზისა და სამომავლო პერსპექტიევბის ადექვატური გააზრების საფუძველზე.

აღნიშნულის მიღწევის აუცილებელ პირობად გვესახება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართების პარადიგმის ცვლილება და „დაქვემდებარებულობასთან შედარებით, პიროვნების თავისუფლების უპირატესობას", [**Boni**, 2008: 15] ქვეყნის განვითარებაში. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობების გამოწვევებზე მსჯელობა უნდა მოიცავდეს თანასწორობას, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის გარანტირებას, შესაძლებლობათა განვითარებას, ინკლუზიურ ზრდას და ა.შ.

მსგავსი მასშტაბის ცვლილება ყოვლად წარმოუდგენელია შესაბამისი ინტელექტუალური კაპიტალის განვითარების გარეშე, რომლის ფორმირება უნდა დაეყრდნოს ახალ ცოდნასა და ინფორმაციას და რომელმაც უნდა შეცვალოს საზოგადოებრივი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი განვითარების მიმართ. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტელექტუალურ კომპონენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულში ვგულისხმობთ „ინტელექტუალურ რესურსებს, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პარამეტრებს, ქმნიან საფუძველს ინოვაციური განვითარებისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის." [**Djakons Ed. R., Lukianenko D.**, 2020: 13]

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთიანი, მაგრამ არაერთგვაროვანი და მრავალწახნაგოვანი პროცესია, რომელსაც უამრავი მიმართულება გააჩნია. ისინი სხვადასხვა ძალისა და მნიშვნელობისაა, საბოლოო შედეგზე მათი ზეგავლენის მასშტაბებიდან გამომდინარე. მაგრამ, ნებისმიერი მათგანის შეუსრულებლობა ან არასრულად შესრულება გამორიცხავს საბოლოო მიზნის სრულფასოვნად მიღწევას და მეტიც, ამან მთლიანი პროცესის კრახიც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამ „მიმართულებებს" შორის, ერთ-ერთი გამორჩეულებია:

- ერთი მხრივ, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება, როგორც საფუძველი ძლიერი, სტაბილური, სოციალურად ორიენტირებული და მორალური „ზედნაშენის" - სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის და

- მეორე მხრივ, შესაბამისი სახელმწიფო მართვის სისტემის ფორმირება.

ეჭვსგარეშეა, რომ აღნიშნული მიმართულებების მიხედვით წარმატების მიღწევა მნიშველოვნად არის დამოკიდებული შესაბამისი თეორიული ბაზის არსებობაზე, რომლის შექმნა მხოლოდ „ეკონომიკური ინტერესებით" ვერ შემოიფარგლება. უკვე რამდენიმე ათეული წელია რაც მეცნიერ-ეკონომისტები საუბრობენ „მეტა-ეკონომიკაზე", რომლის ფარგლებში ხდება გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში ეთიკისა და მორალის საკითხების ინტეგრირება (რაც ასე ძლიერ აკლია თანამედროვე მსოფლიოს) და რომლის გათვალისწინებით, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოხდა „ბებერ კონტინენტზე" ფორმირება ერთიანი სივრცისა, ევროკავშირის სახით.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას. ფაქტობრივად, ყველა თანხმდება იმაზე, რომ არსებული ეკონომიკური თეორია აღარ არის საკმარისი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ფენომენების ბუნებისა და შინაარსის სიღრმისეული და ყოვლისმომცველი შესწავლისათვის. აქცენტი სულ უფრო მეტად კეთდება წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების სოციალური არსის, პროცესებისა და შედეგების გააზრების და ამის საფუძველზე სოციალური სისტემების სრულყოფილი აღქმის აუცილებლობაზე, მათი ყველა წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.

შეიძლება ითქვას, რომ ყურადღების მიღმა რჩება და, ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფილია თანამედროვეობის „მორალური" ეკონომისტების მოდერნისტული კონცეფციები, ასევე ადამიანებისა თუ ინსტიტუციების ეკონომიკურ ქცევასთან დაკავშირებული მათი კრიტიკული მოსაზრებები, სახელმწიფოსა და ეკონომიკის არისტოტელესეული თეორიის ახლებურად გააზრების მცდელობები.

სწორედ აქ ვხედავთ ჩვენ განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სივრცეს ეკონომისტების, ფილოსოფოსების, პოლიტოლოგებისა თუ სოციალური თეორიის პროფესიონალების ძალიასხმევის გაერთიანებისათვის, რამაც შედეგად უნდა მოგვცეს ახალი, მორალური, სოციალური სახელმწიფოს მოდელის ზოგადი კონტურები, რომელზეც შესაძლებელი იქნება ქვეყნის მომავალი განვითარების მოდელის მიმართვა, იმ თავისებურებების გათვალისწინების პირობით, რომელიც მას გააჩნია, მიმდინარე ეტაპზე.

ზემოთქმული, საქართველოსთან დაკავშირებით, ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ორ ძირითად საკითხზეც დაგვაფიქრებს:

1. როგორი იქნება ევროკავშირის (როგორც ერთიანი მთელის) და მისი მდგენელი ქვეყნების (როგორც მთელის ნაწილების) მომავალი და რამდენად იქნება მათ ეკონომიკურ განვითარებაში ინტეგრირებული ზნეობრივი და სამართლიანობის საკითხები?
2. რამდენად უახლოვდება/შორდება საქართველო ევროკავშირთან ინტეგრირების შესაძლებლობას მიმდინარე ეტაპზე და რა შეიძლება გამოიწვიოს ამჟამად არსებულმა ვითარებამ მოკლე თუ გრძელვადიან პერსპექტივაში?

ორივე საკითხი კომპლექსურია და გააჩნია, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, მორალური და, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ასპექტები. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე მატერიალისტი საზოგადოებისათვის ეკონომიკური კეთილდღეობა, ხშირად, იმდენად პრევალირებს, რომ სწორედ მის პრიზმაში იხილება ნებისმიერი სხვა საკითხი (სახელმწიფო უსაფრთხოებისაც კი) და არც თუ იშვიათად, ამ უკანასკნელთა საზიანოდ. აღნიშნული პარადიგმა დ რო-

გორც მაღალგანვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის და ვითარების შეცვლა, ჩვენი აზრით, მხოლოდ მორალურ-ეთიკური ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის მქონე მიზანსწრაფული საზოგადოების ფორმირებით არის შესაძლებელი.

ზემოთ დასმული პირველი შეკითხვის შემთხვევაში, წინა პლანზე გამოდის ერთიანობისა და განცალკევებულობის ოპტიმალური შეხამების ამოცანა. ასეთი მიდგომა უნდა მოიცავდეს, ერთი მხრივ, მთლიანად ევროპის მასშტაბით ეკონომიკური, პოლიტიკური, მმართველობითი სისტემების და, მეორე მხრივ, ადგილობრივი შეხედულებების, კულტურის, მოსახლეობის მისწრაფებების, ეკონომიკური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების და ა.შ., ეროვნული სპეციფიკის, თავისებურებების ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ერთიანობის მომწიფებულობის ზომა განისაზღვროს არამარტო ერთობლიობის შემადგენელი ელემენტების ინტეგრაციის ხარისხით, არამედ ერთობლიობის ელემენტების დამოუკიდებლობის ზომის დიფერენციაციითაც. სწორედ აქ აქტიურდება ცალკეულ სახელმწიფოთა კერძო ინტერესებისა და საერთო ევროპული მისწრაფებების ჰარმონიული ინტეგრაციის საკითხი. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური ხდება ახალ წევრებთან ან წევრობის მსურველ სახელმწიფოებთან მიმართებით, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ევროგაერთიანების ფუნდამენტური ღირებულებებისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივების მიმღებლობას, ამ ქვეყნების მხრიდან.

მთელი, როგორც ერთობლიობა, ზეგავლენას ახდენს მისი ნაწილების თვისობრიობაზე და პირიქით. შესაბამისად, კონკრეტულ ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ევროკავშირში მიღების წინაპირობების არსებობა, რომლებიც თავის თავში აერთიანებს საუკუნეების მანძილზე დაგროვილ იდეალებსა და სულისკვეთებას და რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ნებისმიერი წევრობის მსურველი სახელმწიფოსათვის, გლობალური მასშტაბით მორალური განვითარების წინაპირობად და გარანტად გვესახება.

დავძენთ აქვე, რომ ეს დამოკიდებულება დამახასიათებელია, ზოგადად, „ევროპისათვის", რომელიც ევროკავშირის წევრების გარდა, აერთიანებს სხვა სახელმწიფოებსაც. მართალია, ისინი მსოფლმხედველობითი თანხვედრის მიუხედავად, ვერ ხედავენ საკუთარ მომავალს ევროკავშირში, მაგრამ აღნიშნულის მიზეზი უფრო მეტად ეკონომიკური ფაქტორებია, და არა მორალურ-ეთიკური. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განვითარების „მორალური" მოდელის უპირატესობას, თანამედროვე ეტაპზე.

ზოგადად, სამყაროსა და საზოგადოების განვითარების კვალობაზე, ზნეობრივი, ეთიკური საკითხები სულ უფრო მეტად ინტეგრირდება სახელმწიფოებრივ განვითარებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მორალური" განვითარება ხშირად დგება გამოწვევების წინაშე დ ამის არაერთი მაგალითი გვქონდა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ფინანსური კრიზისის, პანდემიის და სრულმასშტაბიანი ომის სახით.

პირველ ორ შემთხვევაში, იმ ტიპის ქვეყნებმაც კი, რომელთათვისაც ძირითად ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ინტერნაციონალიზმი და სახელმწიფოთაშორისი სოლიდარობა წარმოადგენს, თითქოს „უკან" გადადგეს ნაბიჯი ნაციონალური სახელმწიფოების სასარგებლოდ, რაც იმაში გამოიხატა, რომ ევროკავშირის შიგნით, სახელმწიფოებმა ჩაკეტეს საზღვრები, მაგალითად, ეპიდემიისგან თავდაცვის მიზნით. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საშიშროების დაძლევისა

და ამ მძიმე მდგომარეობიდან შეძლებისდაგვარად ნაკლები დანაკარგით გამოსვლის პროცესში, მსოფლიომ და ევროკავშირმა აირჩია ნაციონალური სახელმწიფოების როლის გაძლიერება.

დღევანდელი გადასახედიდან, ერთი შეხედვით, თითქოს თითოეული სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებზე თუ ეკონომიკაზე იყო კონცენტრირებული და სოლიდარობის ერთაშორისი პრინციპი თუ მთლიანად არ დაიკარგა, უკანა პლანზე მაინც გადაიწია. გაჩნდა გარკვეული საფრთხე იმისა, რომ ნაციონალური სახელმწიფოების როლის წინ წამოწევას შეიძლებოდა გამოეწვია მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და აკადემიური დეინტეგრაცია. ამას, თავის მხრივ, მომავალში კიდევ უფრო მეტი და მძიმე კრიზისების გამოწვევა შეუძლია, რადგან ნაციონალური სახელმწიფოებიდან ნაციონალისტურობამდე და შოვინიზმამდე მცირე ნაბიჯიღა რჩება, თუ ეროვნულობას, ინტერნაციონალურობას და სოლიდარობას შორის ბალანსი არ იქნა დაცული.

მსგავს სულისკვეთებას იზიარებდა არაერთი საერთაშრისო ორგანიზაცია. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2020 წლის ანგარიშში გაკეთებულია ხაზგასმა, რომ „2020 წელს მსოფლიო ჯანდაცვისა და ეკონომიკური კრიზისის წინაშე დგას, პოლიტიკის პასუხი უნდა იყოს გამოწვევის შესაბამისი. ეფექტური პოლიტიკა აუცილებელია უარესი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ... საჭირო იქნება საერთაშორისო დახმარება ჯანდაცვის სისტემის შეზღუდული შესაძლებლობებისა და რესურსების მქონე ქვეყნების მხარდაჭერისთვის, რათა დაეხმარონ მათ მოემზადონ პანდემიისთვის და გაუმკლავდნენ მას." [**IMF**, 2020: 9] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი ევროპული სახელმწიფოები, დროულად შეამჩნიეს რა ზემოაღნიშნული რისკები, გლობალური ეკონომიკური კრიზისითა თუ პანდემიით გამოწვეული პირველი შოკების გადატანის შემდეგ, აქტიურად ჩაერთვნენ უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ეფექტიანი მექანიზმების (მაგალითად, დახმარება კლინიკებით, ექიმებით, სამედიცინო ეკიპირებით, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი ფინანსური რესურსებით და ა.შ.) შემუშავებასა და ამოქმედებაში.

2022 წლის 24 თებერვალს, არამხოლოდ მორალური განვითარების, არამედ, ზოგადად - სამყაროს ეგზისტენციალური პრობლემა წარმოშვა პუტინისტური რუსეთის შეჭრამ დემოკრატიულ უკრაინაში, რის შედეგად, კრიზისის ეპიცენტრი კიდევ ერთხელ გახდა ევროპა. რუსეთის აგრესიაზე რეაგირების დინამიკიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული კრიზისი ევროკავშირის კონკრეტული ერთიანი პოლიტიკების (მაგალითად, ფინანსურის, სამხედრო-პოლიტიკურის და სხვ.) კიდევ უფრო მეტად გაძლიერების კატალიზატორიც კი აღმოჩნდა, რაც ევროკავშირის და, მთლიანად მსოფლიოს ყველა დემოკრატიული ქვეყნის ინტერესებში შედის.

ისტორიულად, სწორედ მსგავსი მასშტაბის დიდი კრიზისები იძლეოდნენ, ხოლმე, დიდი ნახტომების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც ევროპა, ნავთობის ორი შოკის შემდეგ, ეკონომიკური ზრდის ტემპების მნიშვნელოვან შენელებასა და მაღალ უმუშევრობას განიცდიდა. აღნიშნულ პერიოდში, „ერთიანი ბაზრის" პრინციპის გააქტიურებამ, გატარებულმა რეფორმებმა, დადებითად იმოქმედა ევ-

როპული ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე და დასაბამი მისცა ევროკავშირის ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ პერიოდს.

კრიზისების მართვის პროცესში, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია სახელმწიფოსა და თავისუფალი ბაზრის ჰარმონიული თანაარსებობა. როგორც ცნობილია, მთავრობის ჩარევამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ბაზრის მუშაობას. გარდა აღნიშნულისა, არსებობს კიდევ ერთი ტიპის გავლენა, რომელმაც შეიძლება, ასევე, ძლიერ იმოქმედოს ეკონომიკის ეფექტიანობაზე (თუმცა, მასზე ნაკლებად საუბრობენ). ვგულისხმობთ გარკვეულ ღირებულებებს, ტრადიციებსა და მორალურ სტანდარტებს, რომელთაც საზოგადოება იცავს. საზოგადოების მორალური ჩარჩო, გარკვეულწილად, აისახება მის საკანონმდებლო სისტემაზე და, ამგვარად, გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ამასთან, უფრო ხშირად, არაფორმალური კონსენსუსი, ტრადიცია, თუ რისი გაკეთება დასაშვებია და რისი – არა, შეიძლება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ნებისმიერი ოფიციალური კანონი. აღნიშნული, აქტულურია როგორც აზიური ქვეყნებისათვის, ისე აშშ-თვის, ევროპის ქვეყნებისათვის და ა.შ. შესაბამისად, „მორალურობას" ეკონომიკურ განვითარებაში, სხვადასხვაგვარი აღქმა შეიძლება ჰქონდეს.

შესაბამისად, ქვეყანათა ფაქტობრივი უმრავლესობა სახელმწიფოებრივი განვითარების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების დროს, ითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ შესაბამის გამოცდილებას, მაგრამ, ასევე, მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა არსებულ ტრადიციებს, საზოგადოებრივ განწყობებს, უპირატესობებს და ჩამოყალიბებუულ მოსაზრებებს. იგივე ითქმის ევროპის სახელმწიფოებზეც. თუმცა, ევროკავშირის შემთხვევაში, ეს საკითხი უფრო გლობალურ ჭრილში იხილება და არ იზღუდება მხოლოდ რომელიმე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მოცემულობით.

ზემოთ აღწერილი ვითარება, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ევროკავშირის წევრობის მოსურნე ქვეყანათა შიგნით და ეს არ ხდება მხოლოდ საზოგადოების წევრების დონეზე. ცალკეულ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე აღნიშნული საკითხის მიმართ, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ნაბიჯებითაც, რომლებსაც პოლიტიკური ხელისუფლება დგამს და იმით, თუ როგორ რეაგირებს ამაზე საზოგადოება. უკანასკნელ წლებში, ევროპის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება (უფრო მეტად, ახალგაზრდა თაობა) გაცილებით მეტ სურვილს და მზადყოფნას გამოთქვამს ევროპასთან დაახლოების თვალსაზრისით, ვიდრე ქვეყანთა მთავრობები, რაც არაერთხელ გამხდარა მიზეზი აშკარა დაპირისპირებასა და რევოლუციებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების ასეთი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებასთან ერთად, სწორედ ევროპული ღირებულებები და პიროვნული პოტენციალის რეალიზების პერსპექტივებია.

მეთოდები, რომლებსაც სახელმწიფოთა მთავრობები იყენებენ ზემოთ აღწერილი პროცესების მართვისათვის, შეიძლება, პირობითად, დავყოთ აშკარა (ხილულ) და ფარულ ქმედებებად. ამ უკანასკნელში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ეკონომიკურ მეთოდებს და სწორედ ამიტომ, ქვეყნების ევროპული პერსპექტივების ანალიზის დროს, კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და საერთო-სახელმწიფო, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეებზე მიმდინარე პროცესები. საქართველოს შემთხ-

ვევაში, ასევე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების ანალიზი, რადგან:

- ერთი მხრივ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებში დავიწყეთ ყოველივე ძველის ნგრევა ისე, რომ არ ყოფილა შემუშავებული ახალი ეკონომიკური მოდელი და,
- მეორე მხრივ, დღემდე ბოლომდე გაუგებარია თუ რა თეორიულ დოქტრინებს, მოსაზრებებს, ფუნდამენტურ კვლევებსა და შეფასებებს ეყრდნობა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და რატომ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპული გამოცდილების შესწავლა, გაზიარება და დანერგვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი სამხრეთ-კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების განვითარებაში. აღნიშნულის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევა და ურთიერთობათა შემდეგი გაღრმავება.

ეკონომიკურ ურთიერთობებსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მორალური ასპექტების ინტეგრირება არ უნდა განვიხილოთ, როგორც განყენებული საკითხი, რომელსაც ხელოვნურად მივამაგრებთ არსებულ მოცემულობებს. ეს უნდა იყოს პოლიტიკის შიგთავსის ნაწილი, ძირითადი საყრდენი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური ხედვა დაეფუძნება. ეს აუცილებელია, ვინაიდან ვთვლით, რომ „მორალური ეკონომიკა" არის დინამიური კონცეფცია, რადგან ის ითვალისწინებს სოციუმის ინფორმირების ჩარჩოებს, რომლებიც მოიცავს ტრადიციებს, ღირებულებებსა და მოლოდინებს.

ეკონომიკის მორალურობის განხილვის კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ინკლუზიური ზრდის" საკითხი, როგორც თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანესი გამოწვევა. ზოგადად, როგორც ვიცით, იგი გულისხმობს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით კერძო ინვესტიციების წახალისებას, რაც შედეგად იძლევა ეკონომიკურ ზრდას და უთანასწორობის დაძლევას. აქვე დავძენთ, რომ შემოსავლების განაწილებასა და აქტივების ფლობაში არსებული უთანასწორობიდან გამომდინარე, აქტუალური ხდება საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომ ეკონომიკური ზრდა თანაბრად შეეხოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, როგორც მდიდარს, ისე ღარიბს. ეს საკმაოდ რთული საკითხია განვითარებადი ქვეყნეისათვის, რადგან როგორც წესი:

- არსებობს ძლიერი უარყოფითი კავშირი აქტივების განაწილებაში საწყის უთანასწორობასა და გრძელვადიან ზრდას შორის;
- უთანასწორობა ამცირებს შემოსავლის ზრდას ღარიბებისათვის, მაგრამ არა მდიდრებისთვის, რაც კიდევ უფრო ზრდის საზოგადოების პოლარიზაციას;

თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და, ასევე, მის ხანგრძლივობაზე. თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდას, იმთავითვე, სულაც არ მივყავართ შემოსავლების დისპროპორციის შემცირებამდე. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ინკლუზიური ზრდის პარადიგმის გააქტიურება.

ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია სწორი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაც. ინკლუზიური ზრდა მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომლიც ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას ზრდაში და მათზე ხელმისაწვ-

დომობის გაფართოებას. იგი ემიჯნება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მთავარი ეკონომიკური ზრდაა და შემდეგ ზრდის შედეგების გადანაწილება სოციალური უზრუნველყოფის სისტემით. სწორად მიგვჩნია დამოკიდებულება, როდესაც ინკლუზიური ზრდა აფართოებს პროცესში ღარიბთა ჩართულობის შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მომავალში გადანაწილების ხარჯების შემცირებას და ბიუჯეტის მდგრადობას სოციალური სახის ხარჯების გაწევასთან მიმართებით. აღნიშნული განაპირობებს საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობას ეროვნული შემოსავლის განაწილების ეტაპზე. ეს მაშინ, როდესაც სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ბიუჯეტი, სიღარიბის დაძლევის ფარდობითი მიდგომის შთაბეჭდილებას ტოვებს (ანუ უთანასწორობის შემცირება გადანაწილების გზით და არა პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობით), რაც არ არის და ვერც იქნება ინკლუზიური ზრდის პრიორიტეტი.

ხელისუფლება, თუ უთანასწორობის დაძლევას ცდილობს გადანაწილების გზით, ეს კიდევ უფრო მეტი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ზრდის მთლიან ინვესტიციებს, რეალურ შემოსავლებს და ხელს უწყობს ღარიბების მიერ აქტივების შეძენის შესაძლებლობათა განვითარებას, რაც გაცილებით უფრო შეუწყობს ხელს ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობას, დასაქმების ზრდასა და სიღარიბის დონის შემცირებას.

ინკლუზიური ზრდის მიმართულებით წარმატების მისაღწევად, მნიშვნელოვანია შეფასების ადექვატური ინდიკატორების არსებობა, რასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს პროფესიონალებს შორის. ვფიქრობთ, რომ უთანასწორობის დაძლევის მდგომარეობის შეფასებისათვის საჭიროა მაჩვენებლების კომპლექსის არსებობა, რომლებიც სხვადასხვა მხრივ შეაფასებენ მდგომარეობას, მაგალითად: განათლების (მ.შ. არაფორმალური) ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობების განვითარება, სამუშაო ძალის რეაბილიტაციის შესაძლებლობა, საჯარო სერვისების განვითარება, ეკონომიკური ზრდის ტემპი, ინვესტირების შესაძლებლობები და ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა.

მსგავსი მიდგომის პირობებში, ასევე, მნიშვნელოვანი ხდება პროცესების მართვისა და ლიდერობის საკითხიც და ვთვლით, რომ მორალურ ეკონომიკას შეუძლია გაამდიდროს „ჰეგემონიის კონცეფცია", რომელიც ყურადღებას აქცევს ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ღირებულებებს, რომლებიც მართავენ და იცავენ არსებულ პრაქტიკას. ჰეგემონიის ცნება წარმოიშვა ძველ საბერძნეთში და ევროპულმა სოციალისტურმა მოძრაობამ გააცოცხლა იგი მე-19 საუკუნის ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იტალიელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკური ლიდერის ანტონიო გრამშის შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ცნებები არსებობს, მაგალითად, ჩინურ აზროვნებაში, მისი უმეტესად დასავლური გენეალოგია არ უშლის ხელს ჰეგემონიის ცნების ფართო გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებიდან პოსტკოლონიურ თეორიამდე და გენდერულ კვლევებამდე.

„ჰეგემონია" განსაზღვრავს დომინირების ტიპს, რომელიც დაფუძნებულია, ძირითადად, დომინირებულ ადამიანთა და ჯგუფების თანხმობაზე და არა მხოლოდ ლიდერის მხრიდან იძულებასა და ძალის გამოყენებაზე. [**Thomas R. Bates**, 1975: 351] ტერმინი, ხშირად, თავისუფლად გამოიყენება სრული ბატონობის აღსანიშნავადაც, მაგრამ მის ზუსტი განმარტება გაცილებით უფრო ვრცელია და მეტი ანალიტი-

კური ძალა აქვს. ამ შემთხვევაში, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ სოციალურ ნდობას ერთმანეთის და ინსტიტუციების მიმართ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შეთანხმება ხედვის, მისიის, მიზნებისა და ამოცანების, პრიორიტეტებისა და განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ დონეზე. შედეგად, მიღწეული იქნება „საზოგადოების წევრთა გაცნობიერებული გაერთიანება, რომელიც დაეფუძნება სურვილსა და მზადყოფნას, თანასწორი ჩართულობით მართონ პროცესები და გაინაწილონ პასუხისმგებლობები, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე. [**ღავთაძე,** 2015: 226].

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი საკითხები არაერთგვაროვანია და მათი მოქმედება არ იქნება დროში შეზღუდული. სასურველი შედეგების მიღება ბევრად იქნება დამოკიდებული, როგორც საზოგადოების მსოფლმხედველობით ცვლილებებზე, ისე, სახელმწიფოთა მთავრობების კოორდინირებულ ქმედებებზე. თავის მხრივ, სამომავლო პერსპექტივების დასახვა უნდა დაეყრდნოს ისტორიული გამოცდილების და თანამედროვე ვითარების სიღრმისეულ ანალიზს.

მაღალი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იქნება კვლევებში კროს-დისციპლინური და მულტი-დისციპლინური მიდგომების გამოყენებას, რაც შექმნის მყარ საფუძველს პრობლემათა მრავალმხრივ შესწავლისა და შედეგზე ორიენტირებული სწორი დასკვნების გამოტანისათვის. აღნიშნული თვალსაზრისით, ავტორები გამოხატავენ თანამშრომლობისათვის მზაობას და მადლიერებით მიიღებენ ნებისმიერ შენიშვნასა თუ მოსაზრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ღავთაძე გ.** (2015) სახელმწიფო მმართველობის სრულყოფისა და სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი "უნივერსიტეტის მოამბე", #1(5), აწსუ, ქუთაისი, (219-232), ხელმისაწვდომია: https://moambe.atsu.edu.ge/ge/publication/156-saxelmwifo-mmartvelobis-srulyofisa-da-samoqalaqo-tanamsromlobis-garrmavebis-perspeqtivebi-saqartvelosi;
2. **ღავთაძე გ., მარჯანიძე ი.** (2021) **ეკონომიკური და პოლიტიკური რეკონსტრუქციის მნიშვნელობა საქართველოს ევროპული მომავლისათვის**, შრომების კრებული: „Covid-19: ვირუსოლოგიური იმპერატივი, ადამიანის უფლებრივი, ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები", გვ. 220-239, თბ., საქართველო;
3. **Boni Michal 2008**: How to build the strategic orientation in governance? The future of regions in perspective of global changes, regional development forum, Ministry of Regional Development, vol. 3, part 1, Warsaw, 2008;
4. **Djakons Ed. R., Lukianenko D., 2020:** Intellectual Challenges to Economic Globalism, Riga, ხელმისაწვდომია: https://www.isma.lv/images/Monographs/Intellectual_Challenges_to_Economic_Globalism_Monograph.pdf ;
5. **Jaime Palomera**, **Theodora Vetta**, Moral economy: Rethinking a radical concept, Sage Journals, Vol. 16 No. 4, ხელმისაწვდომია: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/1463499616678097

6. **Thomas R. Bates, 1975:** Gramsci and the Theory of Hegemony, Journal of the History of Ideas, Vol. 36, No. 2 (Apr. - Jun., 1975), pp. 351-366 (16 pages), Published By: University of Pennsylvania Press, ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/2708933
7. International monetary fund, World economic outlook: The great lockdown, Ch. 1, Global prospects and policies, April 2020, ხელმისაწვდომია: https://www/imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020

George Gavtadze
Doctor of Economics, ATSU Professor
Head of Interdisciplinary research cluster
of doctoral and master's students
Aza Iphshiradze
Doctor of Economics, KU Professor

SOCIAL STATE, MORAL ECONOMY AND HUMAN RIGHTS: CONTEMPORARY REALITIES AND PROSPECTS

Expanded Summary

The idea of a moral economy is a dynamic concept that has been under constant pressure due to changing environmental conditions. The same is happening at the modern stage, when the issue of "morality" has faced new challenges due to developments over the past three decades.

This issue is especially relevant for newly formed, developing countries, where the old relationship between the state, society and economy is breaking down, and new ones are still in the process of formation. The problem is further exacerbated by the fact that there are frequent cases when the existing situation in such countries changes spontaneously without any prior preparation of either theoretical or political foundations for future development prospects. In fact, this happened in Georgia, for which, in the process of searching for opportunities to integrate socio-economic, political, moral and ethical issues in the choice of a state governance model, the European preference of the actual majority of the country's population should be taken into account.

On the path to European integration, Georgia faces a number of subjective and objective problems, which was to be expected. For a country that has not yet fully emerged from the post-socialist shackles and influences, its rapprochement with European values and development principles requires systemic changes. The reforms that are being carried out in the country, more or less successfully, are precisely a reflection of the above.

Although we have achieved considerable success in a number of areas, the most problematic, almost insurmountable so far, have been the worldview and awareness issues of the population, the change of which should create a new society that will be in solidarity with global issues (despite possible differences in the detailed perception of processes) and will have the ability to make decisions taking into account medium and long-term perspectives, based on a correct analysis of current conditions and an adequate understanding of future prospects.

All of the above is a unified, but heterogeneous and multifaceted process, which has many directions. They are of different strength and importance, depending on the scale of their influence on the final result. However, the failure or incomplete implementation of any of them excludes the full achievement of the final goal and, moreover, may even lead to the collapse of the entire process. Among these "directions", one of the most prominent is:

- On the one hand, inclusive economic development as a basis for the formation of a strong, stable, socially oriented and moral "superstructure" - the state, and
- On the other hand, the formation of an appropriate state governance system.

The methods that state governments use to manage the processes described above can be conditionally divided into overt (visible) and covert actions. The latter, first of all, mean economic methods, and that is why, when analyzing the European perspectives of countries, one of the most important objects of research becomes the state's economic policy and the processes taking place at the general-state, regional or local levels.

The integration of moral aspects into economic relations and the economic policy of the state should not be considered as a derogatory issue, which we artificially attach to existing conditions. It should be part of the content of the policy, the main pillar on which the economic vision of the country will be based. This is necessary, since we believe that the "moral economy" is a dynamic concept that takes into account the information frameworks, traditions, values, and expectations of society.

The issue of the morality of the economy is closely related to the realization of human rights, the correct perception of the social situation, and so on, that is, in other words, to issues of great importance for our modernity. Therefore, in this article the complex concept of "moral economy" is discussed using the so-called "multi-" and "cross-" disciplinary approaches and taking into account contemporary problems of a global or regional scale.

Keywords: moral economy; inclusive growth; social trust

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი
გულნარა აბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველადი ჯანდაცვის ექიმებთან პაციენტის ნდობაზე მოქმედი ფაქტორები

ანოტაცია
საქართველოში პაციენტის მიმართვა ოჯახის ექიმთან დაბალია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პაციენტების ნაკლები ნდობა პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიმართ. კვლევის მიზანია ოჯახის ექიმისადმი ნდობის შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნდობის ჩამოყალიბებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტის ნდობა პირველადი ჯანდაცვის მიმართ დაბალია. ნდობაზე გავლენას ახდენს პაციენტის ასაკი, სქესი, განათლება, სერვისებით კმაყოფილება. ნდობა ეხმარება პაციენტებს მიმართონ ოჯახის ექიმს, მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია დაავადების შესახებ, მისდიონ ექიმის რჩევებს. პაციენტის ნდობას ექიმის მიმართ ხელს უწყობს მზრუნველი ოჯახის ექიმი, რომელიც გასაგებად აწვდის ინფორმაციას პაციენტს დაავადების მკურნალობის და პრევენციის შესახებ, უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობას და პაციენტის ჩართულობს მკურნალობაში.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვის სისტემა, ოჯახის ექიმი, ექიმ-პაციენტის პარტნიორული ურთიერთობა

შესავალი

ნდობა სოციალური თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და დიალოგის ინსტრუმენტია. ნდობა ადამიანებს შორის ურთიერთობაა, რომელიც ხელს უწყობს მუდმივ ინტერაქციას და მოიცავს რისკის მიღებას და გარკვეულობას სამომავლო ურთიერთქმედების შესახებ [1]. ნდობა რთული, მრავალგანზომილებიანი კონსტრუქციაა, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ნდობა ორი სახისაა: ინტერპერსონალური ნდობა და სოციალური ნდობა. ინტერპერსონალური ნდობა გულისხმობს ერთი ადამიანის ნდობას მეორე ადამიანის მიმართ, რომელიც იქმნება და მყარდება მათი შეხვედრის შედეგად და უფრო იზრდება ხანგრძლივი ურთიერთობისას [2]. ინტერპერსონალური ნდობის ჩამოყალიბებისას პაციენტები ცდილობენ ექიმს გაუზიარონ ინფორმაცია, რათა მოხდეს დაავადების დროული და სწორი დიაგნოსტიკა, და შესაბამისად ჩაიტარონ სათანადო მკურნალობა. სოციალური ნდობა განისაზღვრება, როგორც პაციენტის სამედიცინო ორგანიზაციების მიმართ. სოციალური და ინტერპერსონალური ნდობის სათანადო განვითარება ხელს უწყობს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას და მომსახურების ხარისხს [3].

ექიმებისადმი ნდობა ორი სახისაა: ნდობა ექიმის კოგნიტიურ და ტექნიკურ კომპეტენციებზე და ნდობა, რომელიც ეფუძნება ემოციებს (თანაგრძნობა, ემპათია). პაციენტებს არ აქვთ საკმარისი სამედიცინო გამოცდილება, რომ შეაფასონ ექიმების კოგნიტიური და ტექნიკური შესაძლებლობები. შესაბამისად, პაციენტებს აქვთ ექიმების კომპეტენციის მიმართ ნდობა.

პაციენტის ნდობამ მისი ექიმის მიმართ შეიძლება დაეხმაროს ექიმი-პაციენტის პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებას. პაციენტის ნდობა ექიმის მიმართ არის წინაპირობა მკურნალობის წარმატებით ჩატარებისთვის, რადგან ზრდის პაციენტის კმაყოფილებას, მკურნალობის პირობებისადმი ერთგულებას და შესაბამისად, ხელს უწყობს ჯანმრთელობის უკეთეს გამოსავლებს [4].

პაციენტის ექიმის მიმართ ნდობის შესახებ კვლევების უმეტესობა ჩატარებულ იქნა სპეციალიზებულ საავადმყოფოებში და არა პირველადი ჯანდაცვის სფეროში. ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია პირველადი ჯანდაცვის ექიმებზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის სერვისების დიდი მოცულობის, მრავალფეროვნებისა და ყოველდღიურად მიღებული სამედიცინო გადაწყვეტილებების ფართო სპექტრის გამო.

პირველადი ჯანდაცვა ჯანდაცვის სისტემის „მეკარიბჭეა", სადაც ხდება პაციენტის პირველი კონტაქტი ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებასთან და მოიცავს დაავადების პირველად შეფასებას, ხოლო საჭიროებისას პაციენტის მიმართვას ექიმ-სპეციალისტთან [5]. პირველადი ჯანდაცვა განიხილება, როგორც სამედიცინო მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, ასევე ხარჯების კონტროლის უმთავრესი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების უმრავლესობას [6]. იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის ნდობას ოჯახის ექიმის მიმართ აქვს მის ჯანმრთელობაზე დიდი ზემოქმედება, აქტუალურია განვსაზღვროთ მეთოდები, რომლითაც ექიმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ ნდობის გაზრდას.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემა სათანადოდ არ არის განვითარებული, რასაც ადასტურებს ოჯახის ექიმთან მიმართვების დაბალი მაჩვენებელი [7]. საქართველოში პირველად ჯანდაცვაში ერთ სულზე მიმართვა წელიწადში შეადგენს 3.6-ს (ევროპის ქვეყნებში საშუალოდ 7.5-ს). კვლევები აჩვენებენ, რომ რესპონდენტების 40%-მა გამოხატა უკმაყოფილება ოჯახის ექიმის მიმართ [8]. აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პაციენტების ნაკლები ნდობა ოჯახის ექიმების მიმართ. პირველადი ჯანდაცვის დაბალი განვითარება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

კვლევის მიზანია პაციენტების დამოკიდებულების შესწავლა პირველადი ჯანდაცვის ექიმის მიმართ ნდობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნდობის დონეზე ოჯახის ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობაში.

მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა როგორც რაოდენობრივ ასევე თვისებრივ მეთოდს. გამოყენებულ იქნა მიზანმიმართული შერჩევა პირველადი ჯანმრთელობის დაწესებულებების მრავალფეროვანი სპექტრის მისაღებად. სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის კონკრეტულ კრიტერიუმებს განეკუთვნება: აჭარის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, ადგილმდებარეობა (ქალაქი და სოფელი) და საკუთრება (საჯარო, კერძო). შერჩეულ იქნა მაქსიმალური ვარიაციის შერჩევის მეთოდი, რომლის მიზანია გარკვეულ რეგიონში სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები პაციენტების ჩართვა.

კვლევა ასახავს 2023-2024 წლებში გამოკითხული 772 რესპოდენტისგან რაოდენობრივი კვლევის და 54 რესპოდენტისგან (მათ შორის 43 პაციენტი, რომლებმაც მიმართეს ამბულატორიულ დაწესებულებებს და 11 ოჯახის ექიმი) თვისებრივი კვლევის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მონაწილეთა კვლევაში მოზიდვა მოხდა თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პაციენტების გამოკითხვა წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა კვლევების საფუძველზე. კვლევის შედეგების ანალიზი განხორციელდა SPSS statistics პროგრამის გამოყენებით.

კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეობდა 772 პაციენტი. მათგან ასაკობრივად ყველაზე ყველაზე მეტ პროცენტულ წილს შეადგენდნენ 45-54 ასაკის პაციენტები. მათგან ქალები შეადგენდნენ 57.5%-ს, ხოლო კაცები 42.5%-ს. კვლევაში მონაწილეთაგან ქალაქად და სოფლად მცხოვრებნი თანაბრად გადანაწილდნენ 50%. საშუალო განათლების რესპოდენტები შეადგენდა 60.9%-ს, ხოლო უმაღლესი განათლების - 39.1%. რესპოდენტთა უმრავლესობის შემოსავალი შეადგენდა 500 ლარს, შემდეგ მოდიოდა 500-999 ლარი.

კვლევაში მონაწილეთა უმეტესი ნაწილი წარმოადგენდა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს (85.4%), ნებაყოფლობითი დაზღვევით ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 14.6%-ს. კვლევაში მონაწილეთა უმეტესი ნაწილის აზრით, პირველადი ჯანდაცვის ექიმს ხვდება წელიწადში 3-5-ჯერ (51.4%), წელიწადში 1-2-ჯერ ხვდება რესპოდენტთა 40.9%.

რესპოდენდებს დაესვა 50 კითხვა. 50 კითხვიდან მხოლოდ 17-ს (34%) ჰქონდა უფრო მეტი დადებითი პასუხი, ვიდრე უარყოფითი პასუხი. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ პაციენტებს ძირითადად ნაკლები ნდობა აქვთ თავიანთი ოჯახის ექიმების მიმართ.

პუნქტები, რომელთა მიმართაც რესპონდენტები დადებითად იყვნენ განწყობილნი.

რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი ეთანხმება იმ აზრს, რომ ურჩევნია იყოს მხოლოდ ერთი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ (64.6%), ადვილია საკუთარი ოჯახის კაბინეტამდე გამგზავრება (55.6%); საკუთარი ოჯახის ექიმთან შეხვედრის დანიშვნა არც ისე რთულია (55.8%); საკუთარი ოჯახის ექიმის კაბინეტს აქვს სუფთა, კარგად მოვლილი ექსტერიერი (50%) და ინტერიერი (49.7%), გრძნობს პატივისცემას ოჯახის ექიმის კაბინეტის ადმინისტრაციული / მიმღები პერსონალის მხრიდან (50.6%); მათ არ უწევთ დიდხანს ლოდინი ოჯახის ექიმის კაბინეტში (n=439; 56.9%), თავს კომფორტულად გრძნობს, როდესაც ოჯახის ექიმს კითხვებს უსვამს (53%), თავს კომფორტულად გრძნობს კონფიდენციალური ინფორმაციის განხილვისას ოჯახის ექიმთან (52,1%), ოჯახის ექიმს კარგი იუმორის გრძნობა აქვს (62,2%); ოჯახის ექიმი თანამგრძნობი და მზრუნველია მის მიმართ, ყოველთვის თბილად მოიკითხავს (59.5%), ენდობა ოჯახის ექიმს, რომ იგი შეინახავს მისი სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობას (64.1%); ურჩევნია ოჯახის ექიმს ჰქონდეს სამედიცინო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება (63%); ურჩევნია თავისი

სქესის ოჯახის ექიმთან იმკურნალოს (49.1%); ურჩევნია მდედრობითი სქესის ოჯახის ექიმთან იმკურნალოს (72%); ზოგჯერ მის ოჯახის ექიმს შეეძლო მეტი გაეკეთებინა სამედიცინო დახმარებისთვის (64.4%); ოჯახის ექიმი ყოველთვის გამოიყურება მოწესრიგებული და სუფთა (99.4%).

პუნქტები, რომელთა მიმართაც რესპონდენტები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი.

რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი ყოველთვის არ ცდილობს მიყვეს ოჯახის ექიმის რჩევას (63.9%); ზოგჯერ არ ენდობა ოჯახის ექიმის გადაწყვეტილებას და სურს მეორე აზრის მოსმენა (92.5%); არ ურჩევნია ოჯახის ექიმმა უმკურნალოს და სურს ექიმ-სპეციალისტს მიმართოს (62.4%); ოჯახის ექიმი მთლიანად მასზე არ არის კონცენტრირებული და არ ცდილობს სრული ყურადღება დაუთმოს. (73.69%), გრძნობს ექიმისგან აჩქარებულ დამოკიდებულებას, კონსულტაციის დროს საკმარისი დროს არ უთმობს (77.3%), ოჯახის ექიმი ყურადღებას არ აქცევს ნებისმიერ ჩივილს, თუნდაც ის იყოს მცირე და უმნიშვნელო (77.3%), ოჯახის ექიმმა კარგად არ იცის მისი წარსული სამედიცინო ისტორია (n=650; 84.2%) და გასაგებად არ უხსნის დიაგნოზის, მკურნალობის შესახებ (82,5%); ოჯახის ექიმი ყოველთვის არ აძლევს დაავადების მკურნალობის შესახებ რეალისტურ იმედს (58,2%); არ ეპყრობა, როგორც პიროვნებას (52.5%) და არ ესაუბრება გამამხნევებელი და მოტივაციური ტონით (55,3%); ოჯახის ექიმი არ ცდილობს დროზე ჩაატაროს პრევენციული ღონისძიებები (81,3%), არ ცდილობს თავი შეიკავოს დადანაშაულების ტონით საუბრისგან (59.7%), არ ცდილობს თავი შეიკავოს აწეული ხმით საუბრისგან (57.3%); ოჯახის ექიმი თანამშრომლობს პაციენტთან ისეთი მკურნალობის გეგმის მისაღწევად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მის საჭიროებებს (77.2%); რესპოდენტთა უმრავლესობა არ ენდობა ოჯახის ექიმს, რომ მიაწვდის ხარისხიან მომსახურებას (79.4%); არ ენდობა ოჯახის ექიმს, რომ მიიღებს გადაწყვეტილებებს, თუ როდის არის საჭირო ტესტები ან პროცედურები (85.1%); არ ენდობა ოჯახის ექიმს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სპეციალისტთან (85.1%); არ შეუძლია მარტივად მიიღოს მიმართვა სხვა ექიმთან ოჯახის ექიმისგან (67.2%); არ ენდობა ოჯახის ექიმს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საავადმყოფოში (66.7%); ოჯახის ექიმმა კარგად არ იცის მისი სამედიცინო პრობლემები (81.3%); ოჯახის ექიმი არ აკეთებს საუკეთესო გადაწყვეტილებას მის სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით (82.5%) და პირველ რიგში არ აყენებს მის საჭიროებებს (77.8%); ოჯახის ექიმი არ მუშაობს პაციენტების ინტერესებიდან, არამედ საკუთარი ფინანსური ინტერესებიდან (75.3%); არ ურჩევნია მამრობითი სქესის ოჯახის ექიმთან იმკურნალოს (71.9%); არ ცდილობს რეგულარულად მიმართოს ოჯახის ექიმს (71.8%); არ ეთანხმება იმ აზრს, რომ მისი ოჯახის ექიმი არასოდეს მოატუებს (74.4%); არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ოჯახის ექიმი ეუბნება შეცდომების შესახებ და ბოდიშის მოხდაც შეუძლია (n=687; 89%); ის და ოჯახის ექიმი არ თანამშრომლობენ, რათა ერთობლივად ჩამოაყალიბონ მკურნალობის გეგმა (61,5%); ოჯახის ექიმი არ მოითხოვოს მის თანხმობას ნებისმიერი ქმედების წინ (88,1%); ოჯახის ექიმი არ ცდილობს იგი ინფორმირებული იყოს მისი მკურნალობის გეგმის შესახებ (62,8%); ოჯახის ექიმმა არ იცის ყველა სპეციალისტი, რომელსაც იგი ნახულობს და რა მკურნალობას იღებს (85%); არ არის კმაყოფილი ოჯახის ექიმის სამედიცინო დახმარებით (64.5%).

დისკუსია

პირველადი ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად საქართველოს მთავრობამ მრავალი რეფორმა წამოიწყო. თუმცა, ამ მხრივ, რაიმე მნიშვნელოვანი გარღვევა არ განხორციელებულა. პირველადი ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანად და მაღალი ხარისხით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს პაციენტების ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ. კვლევამ მოგვცა მტკიცებულებები იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ეხება პაციენტის ნდობას ოჯახის ექიმის მიმართ. კვლევის შედეგები ეყრდნობა პაციენტების და პროვაიდერების (ექიმები) მოსაზრებებს ნდობის მნიშვნელობის შესახებ.

ოჯახის ექიმის მიმართ ნდობა

კვლევამ აჩვენა პაციენტების დაბალი ნდობა პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიმართ. კერძოდ, გამოკითხულ პაციენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ ენდობა საკუთარი ოჯახის ექიმის გადაწყვეტილებას და სურს მეორე აზრის მოსმენა (n=714). მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებისას, საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების მიმართ ათწლეულებია ხასიათდება უნდობლობით [9].

ნდობის დონის შეფასება სირთულეს წარმოადგენს, რადგან არ არსებობს ნდობის საზომი ოქროს სტანდარტი. პაციენტების ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ ეფუძნება რწმენას, რომ ოჯახის ექიმს აქვს სათანადო კოგნიტიური და ტექნიკური კომპეტენციები და მოქმედებს მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად [10]. როდესაც პაციენტებს აქვთ მაღალი ნდობა ჯანდაცვის პროფესიონალების მიმართ, იზრდება სამედიცინო მომსახურების მიღებისადმი მზადყოფნა, პრევენციული ჯანდაცვის სერვისების უფრო ფართოდ გამოყენება, მკურნალობის რეკომენდაციების უფრო მკაცრად დაცვის სურვილი, სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება [11].

კვლევამ აჩვენა ოჯახის ექიმის მიმართ პაციენტის ნდობას და სოციოდემოგრაფიულ ფაქტორებს (ასაკი, სქესი, განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილი) შორის მნიშვნელოვანი კორელაცია. ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, რომ პაციენტების ნდობასა და ასაკს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი. ახალგაზრდები უფრო ენდობოდნენ ოჯახის ექიმს (39.8%), ვიდრე ასაკოვანი ადამიანები (24.4%). ხანდაზმულები ხშირად აგრძელებენ კონტაქტს ოჯახის ექიმებთან და ბევრად უფრო არიან დამოკიდებული ექიმებზე. შესაბამისად, ქვეყნებში, სადაც პირველადი ჯანდაცვის სისტემა კარგად არის განვითარებული, ხანდაზმულები ოჯახის ექიმების მიმართ უფრო მეტ ნდობას აღნიშნავენ. საქართველოში, სადაც პირველადი ჯანდაცვის სისტემა სუსტად არის განვითარებული და ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ დაბალია, ასაკოვანი ადამიანები, რომელთაც უფრო მეტი კონტაქტი აქვთ ოჯახის ექიმთან და შესაბამისად, შედარებით უფრო მეტად იცნობენ პირველადი ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ არასახარბიელო სიტუაციას, ნაკლებად ენდობიან მათ. ასაკოვანი ადამიანების დაბალი ნდობა ოჯახის ექიმების მიმართ ასევე შეიძლება წარმოიშვას სამედიცინო მომსახურების უფრო დიდი გამოყენების გამო. გარდა ამისა, ხანდაზმულ პაციენტებს უფრო ხშირად აქვთ ქრონიკული დაავადებები და ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, რამაც შეიძლება შეამციროს ჯანმრთელობის მოლოდინები და პაციენტის კმაყოფილება, რაც ამცირებს ნდობას ექიმების მიმართ. თუმცა, სხვა

კვლევების მიხედვით, პაციენტის ასაკსა და ოჯახის ექიმთან კმაყოფილებას შორის არ არის მნიშვნელოვანი კორელაცია [12].

ჩვენმა კვლევამ დაადასტურა გარკვეული კავშირი პაციენტის სქესსა და ოჯახის ექიმის მიმართ ნდობას შორის. ოჯახის ექიმის მიმართ ნდობა უფრო მაღალია ქალებში. აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებს სურთ დაამყარონ და შეინარჩუნონ ნდობასთან დაკავშირებული ურთიერთობები [13]. შესაბამისად, ქალები, როგორც წესი, უფრო მეტად ენდობიან თავიანთ ოჯახის ექიმებს. თუმცა, არის კვლევები, სადაც ქალი და მამაკაცი არ აჩვენებდნენ მნიშვნელოვან განსხვავებას ექიმებისადმი ნდობაში [14], ან კვლევები, სადაც მამაკაცები უფრო ენდობიან ოჯახის ექიმს, ვიდრე ქალები [15].

არსებული ჯანდაცვის სისტემის მიმართ დამოკიდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული ექიმებისადმი ნდობის ხარისხთან. იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება არსებულ ჯანდაცვის სისტემის მიმართ დაბალია ექიმებისადმი ნდობა, მათთან შედარებით, ვინც კმაყოფილია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლევის მიხედვით, ქალები უფრო ხშირად მიმართავენ ოჯახის ექიმებს, ვიდრე მამაკაცები. ჯანდაცვის სერვისებზე მიმართვის ამ მაღალი მაჩვენებლების შესაძლო მიზეზები მოიცავს ქალებში დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, სამედიცინო დახმარების ძიების უფრო მეტი ქცევა და ქალებში ავადმყოფობის მაღალი ცნობიერება.

კვლევამ აჩვენა გარკვეული კავშირი განათლების დონესა და ოჯახის ექიმის მიმართ ნდობას შორის. უმაღლესი განათლების მქონე პაციენტებს აქვთ უფრო მაღალი ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ უფრო მაღალი განათლების მქონე ადამიანებს აქვთ უკეთესი პროფესია, შესაბამისად, მათ აქვთ ადვილი ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისებზე. ასევე, მაღალი განათლების ადამიანები თავიანთ მოლოდინებს უფრო მკაფიოდ გამოხატავენ ოჯახის ექიმთან ურთიერთობაში ვიდრე დაბალი განათლების მქონე ადამიანები.

ჩვენი კვლევით არ დადასტურდა საცხოვრებელ ადგილსა და ოჯახის ექიმისადმი ნდობის დონეს შორის მნიშვნელოვანი კავშირი, ანუ ქალაქში და სოფელში მცხოვრები ადამიანების ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ თითქმის თანაბარია.

პაციენტების დაბალი ნდობა ოჯახის ექიმების მიმართ კავშირშია პაციენტისა და ექიმის ურთიერთქმედების სხვა ასპექტებთან. კერძოდ, პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ცდილობს მიყვეს თავისი ოჯახის ექიმის რჩევას (63.9%). რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, მათი ოჯახის ექიმი არ აკეთებს საუკეთესო გადაწყვეტილებას სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით (82.5%). ოჯახის ექიმმა კარგად არ იცის მათი სამედიცინო პრობლემები (81.3%) და შესაბამისად, დაბალია კმაყოფილება ოჯახის ექიმის სამედიცინო დახმარებით (64.5%). პაციენტის ასეთი კრიტიკული და სკეპტიკური დამოკიდებულება ოჯახის ექიმის მიმართ შეიძლება გამოწვეული იყოს პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიმართ გაჩენილი სოციალური უნდობლობით, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პაციენტების ინტერპერსონალურ ნდობაზე ოჯახის ექიმის მიმართ. ცხადია, ექიმების მიმართ დაბალი ნდობა დაკავშირებულია არსებული პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით.

კვლევამ დაადასტურა, რომ პაციენტის ნდობა ექიმის მიმართ არის ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილებაზე, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ექიმების მიმართ პაციენტების ნდობის გაუმჯობესება შეიძლება იყოს პაციენტის უკმაყოფილების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

ოჯახის ექიმის მიმართ ნდობა ამცირებს სამედიცინო ხარჯებს, არასაჭირო ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკურ ტესტებთან დაკავშირებული ხარჯებს. ამის საპირისპიროდ, ოჯახის ექიმისადმი დაბალმა ნდობამ შეიძლება გამოიწვიოს დაავადების მკურნალობის გეგმის ნაკლები დაცვა. ექიმისადმი ნდობამ შეიძლება შეამციროს კონფლიქტები პაციენტებსა და სამედიცინო პერსონალს შორის, ასევე, სამედიცინო შეცდომებზე ჩივილების ალბათობა და გაზარდოს მოტივაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს საკმარისი ცოდნა ექიმების ტექნიკური და კლინიკური კომპეტენციების შესახებ, მათ ნდობას ექიმის მიმართ საფუძვლად უდევს ინტერპერსონალური უნარები და სოციალური ნდობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიმართ პაციენტების მხრიდან არსებობს გარკვეული სკეპტიკური და კრიტიკული დამოკიდებულება.

კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტთა უმრავლესობის აზრით, ოჯახის ექიმს შეეძლო მეტი გაეკეთებინა. მათი უმრავლესობა არ ენდობა ოჯახის ექიმს, რომ მიაწვდის ხარისხიან მომსახურებას (79.4%). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად პაციენტების რწმენისა, რომ ოჯახის ექიმებს მეტის გაკეთება შეუძლიათ მათი ჯანმრთელობისთვის, ეს მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ხარისხიანი მომსახურებით კმაყოფილებაზე.

კვლევამ დაადასტურა, რომ პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს ნდობა საკუთარი ოჯახის ექიმის გადაწყვეტილების მიმართ და სურს მეორე აზრის მოსმენა, რაც შეიძლება ასახავდეს პაციენტების მხრიდან ჯანსაღ სკეპტიციზმს. ასევე, რესპოდენტთა უმრავლესობის აზრი, რომ ექიმს შეუძლია მეტი გააკეთოს პაციენტის სამედიცინო მომსახურებისთვის, მიუთითებს პაციენტების აქტიურ როლზე მათ ჯანმრთელობაში. ცხადია, პაციენტის ნდობა ექიმის მიმართ აუცილებელია, თუმცა, არასწორმა ნდობამ შეიძლება გამოიწვიოს არაეფექტური სამედიცინო დახმარება. როდესაც ნდობა გადაჭარბებულია, პაციენტები ნაკლებად ეძებენ მეორე აზრს ან ეჭვქვეშ ნაკლებად აყენებენ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხს, შესაბამისად, ჭარბი ნდობა ასევე შეიძლება საშიში აღმოჩნდეს.

კომუნიკაციის უნარების როლი

კომუნიკაციის ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობაში ინტერპერსონალური ნდობის განვითარებასთან. ოჯახის ექიმებს უნდა ჰქონდეთ კარგი კომუნიკაციის უნარები. მან პაციენტს უნდა მისცეს სათანადო განათლება, გასაგები ენით მიაწოდოს ინფორმაცია დაავადების მკურნალობის შესახებ. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა დაიცვას მკურნალობის გეგმა და იყოს დამყოლი მკურნალობისადმი. ოჯახის ექიმის მიერ ინფორმაციის გასაგებად და ლაკონურმა გადაცემას, მკაფიო ინსტრუქციებთან ერთად, შეუძლია გაზარდოს იმის ალბათობა, რომ პაციენტები მისდევენ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის გეგმას. თუ პაციენტს, ექიმის მხრიდან ცუდი კომუნიკაციის გამო, ბოლომდე არ ესმის მისი დაავადების დიაგნოზი ან არ ესმის

თუ რატომ დაუნიშნა ექიმმა გარკვეული მკურნალობა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პაციენტმა დაიცვას მკურნალობის გეგმა.

ჩვენ კვლევაში პაციენტთა 82.5%-მა უარყოფითად უპასუხა კითხვას, რომ ოჯახის ექიმი გასაგებად უხსნის დაავადების დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ (82,5%); ხოლო პაციენტთა უმეტესი ნაწილი ყოველთვის არ ცდილობს მიყვეს თავისი ოჯახის ექიმის რჩევას (63.9%); ამასთან, აღსანიშნავია, რომ 120 (15.5%) პაციენტიდან, რომლებმაც დადებითად უპასუხეს კითხვას „ოჯახის ექიმი გასაგებად მიხსნის ჩემი დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ“, უმრავლესობა ყოველთვის ცდილობს მიყვეს ოჯახის ექიმის რჩევას. ეს ადასტურებს კავშირს კარგად მიწოდებულ სამედიცინო ინფორმაციასა და ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობის გეგმის და რეკომენდაციების დაცვას შორის. პაციენტები, რომლებსაც ექიმი გასაგებად უხსნის დაავადების დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ და შესაბამისად, შეუძლიათ ადვილად გაიგონ თავიანთი ოჯახის ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი და მკურნალობის გეგმები, ასევე მიდრეკილნი არიან მიჰყვნენ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის გეგმას და რეკომენდაციებს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ იმისთვის, რომ პაციენტებმა დაიცვან მკურნალობის გეგმები, მათ უნდა იცოდნენ მიზეზები, რის გამოც მკურნალობენ. თუ პაციენტს არ ესმის რატომ დაუნიშნა ექიმმა მკურნალობა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიყვეს ექიმის რჩევებს და მკურნალობის გეგმას.

სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხით გაწევაზე ნეგატიურად ზემოქმედებს კონსულტაციაზე დათმობილი არასაკმარისი დრო. დადგენილია, რომ ოჯახის ექიმებს სჭირდებათ დღეში 7.4 საათი [16] ან 8,6 სთ [17], ან 10.6 სთ სჭირდება ქრონიკული დაავადების სამართავად [18]. ამგვარად, კვლევების მიხედვით, ოჯახის ექიმს მინიმუმ 18 სთ/დღეში სჭირდება პროფილაქტიკური ღონისძიებების და ქრონიკული დაავადებების მართვის უზრუნველსაყოფად, სხვა პასუხისმგებლობების გარეშე. აღნიშნული აჩვენებს, რომ პრევენციული ღონისძიებების ტვირთი აღემატება ოჯახის ექიმების რეალურ სამუშაო დროს.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის ექიმისადმი დაბალი ნდობის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია კონსულტაციის დროს დათმობილი არასაკმარისი დრო. პაციენტების უმრავლესობამ აღნიშნა ექიმისგან აჩქარებული დამოკიდებულება (77.3%). ამგვარად, კონსულტაციის დროს ექიმის მხრიდან აჩქარების გრძნობა ხელს უწყობს პაციენტებში უნდობლობას ან უკმაყოფილებას.

საექიმო კონსულტაციის დროის შეზღუდვა გავლენას ახდენს სოციალურ ნდობაზე, რადგან შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა ჯანდაცვის ლოგისტიკის მიმართ. ასევე, დროის შეზღუდვა გავლენას ახდენს ინტერპერსონალურ ნდობაზე, რადგან შეიძლება ხელი შეუწყოს გრძნობას, როდესაც პაციენტი ექიმის მიერ დაფასებულად არ გრძნობს თავს [19].

საექიმო კონსულტაციის დროს აჩქარების შეგრძნება შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ექიმთან კომუნიკაციისთვის მცირე დრო იქნა დათმობილი და ექიმთან კონსულტაციის დრო არ არის პაციენტზე ორიენტირებული. კვლევების მიხედვით, ექიმთან ვიზიტისას კონსულტაციის ხანგრძლივი დრო უკავშირდება პრევენციულ ღონისძიებებს [20]. მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ექიმსა და პაციენტს შორის გაზიარებისას, იზრდება საკონსულტაციო დრო. კონსულტაციის ხანგრძლივობა დადებითად მოქმედებს ექიმსა და პაციენტს შორის ნდობაზე. თუმცა, როდესაც კონსულტაციები

პოზიტიურია, სადაც პაციენტი და ექიმი კმაყოფილია, შედარებით მცირე დრო იხარჯება, ვიდრე ნეგატიური კონსულტაციების შემთხვევაში, სადაც ექიმი და პაციენტი უკმაყოფილონი არიან ვიზიტით ან აქვთ უარყოფითი შეხედულებები ვიზიტის შესახებ.

ექიმისგან აჩქარებული დამოკიდებულება ხელს უწყობს პაციენტზე ორიენტირებული ქცევის შემცირებას, რაც იწვევს პოზიტიური კონსულტაციების შემცირებას. კვლევამ აჩვენა გარკვეული კავშირი ექიმის მიერ პაციენტისთვის დათმობილ დროს, აჩქარებულ დამოკიდებულებას, მკურნალობის გეგმის შეთანხმებით თანამშრომლობასა და მის კმაყოფილებას შორის. პაციენტთა უმრავლესობა (77.3%) გრძნობს ექიმისგან აჩქარებულ დამოკიდებულებას და კონსულტაციის დროს საკმარის დროს არ უთმობს. ასევე პაციენტთა უმრავლესობა (63.9%) არ ცდილობს ყოველთვის მიყვეს ოჯახის ექიმის რჩევას. რესპოდენტთა 77.2%-მა აურყოფითად უპასუხა კითხვას "ჩემი ექიმი და მე ვთანამშრომლობთ მკურნალობის გეგმის მისაღწევად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება ჩემს საჭიროებებს“. პაციენტთა მეტი წილი არ არის კმაყოფილი ოჯახის ექიმის სამედიცინო დახმარებით (64.5%). პაციენტთა უმრავლესობის (73.7%) აზრით, ოჯახის ექიმი მთლიანად მასზე არ არის კონცენტრირებული და არ ცდილობს სრული ყურადღება დაუთმოს. ამგვარად, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ექიმის მიერ პაციენტისთვის არასაკმარისად დათმობილმა დრომ, აჩქარებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს პაციენტების გრძნობა თავიანთი თავი იგრძნონ უმნიშვნელოდ, რაც განაპირობებს არაეფექტიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, ჯანმრთელობის ნეგატიურ გამოსავლებს.

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ სათანადო ინფორმაციის გაცვლა დადებით გავლენას ახდენს მკურნალობის გეგმის დაცვაზე, ხოლო ექიმის მიერ პაციენტისთვის არასაკმარისად დათმობილი დრო, აჩქარებული დამოკიდებულება პაციენტებში ქმნის გრძნობას, რომ ოჯახის ექიმი მთლიანად მასზე არ არის კონცენტრირებული და არ ცდილობს სრული ყურადღება დაუთმოს. ასევე, ოჯახის ექიმის მიერ პაციენტისთვის არასაკმარისად დათმობილ დროს, აჩქარებულ დამოკიდებულებას აქვს დიდი უარყოფითი გავლენა ექიმსა და პაციენტს შორის თანამშრომლობაზე, ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის გეგმის დაცვაზე და პაციენტისა და ექიმის ურთიერთქმედების კმაყოფილებაზე.

ექიმ-პაციენტის ურთიერთობის გამჭვირვალობა

ექიმების მიერ ეფექტიანი მკურნალობის ჩასატარებლად და ზუსტი დიაგნოზის დასადგენად, საჭიროა, პაციენტები იყვნენ გულახდილნი თავიანთ ოჯახის ექიმთან და არ ჰქონდეთ საკუთარი დაავადების განხილვის შიში. თუ პაციენტები არ მიაწვდიან ინფორმაციას ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მოხმარების და არაჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ექიმებს გაუძნელდებათ დაავადების პრევენცია და მკურნალობა.

ჩვენი კვლევის მიხედვით, რესპოდენტების მხოლოდ ნახევარი (53%) გრძნობს თავს კომფორტულად, როდესაც ოჯახის ექიმს კითხვებს უსვამს. ასევე, რესპოდენტთა იგივე რაოდენობა (52%) თავს კომფორტულად გრძნობს კონფიდენციალური ინფორმაციის განხილვისას ოჯახის ექიმთან. აქვე აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა 64% ენდობა ოჯახის ექიმს, რომ იგი შეინახავს სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობას. აღნიშნული ადასტურებს, რომ რაც უფრო დაბალია ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ, მით უფრო ნაკლებად

გულახდილები არიან პაციენტები, რაც უარყოფითად მოქმედებს მკურნალობის პროცესზე.

კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მეტია ოჯახის ექიმთან ვიზიტების რაოდენობა, მით იზრდება კონფიდენციალური ინფორმაციის კომფორტულ პირობებში განხილვის შესაძლებლობა. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ექიმთან ვიზიტი, მით მაღალია ნდობა. ამასთან, სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა დადებით კორელაციაშია ნდობასა და კმაყოფილებასთან.

მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური სასწავლო პროგრამების შემუშავება ექიმებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს პაციენტსა და ექიმს შორის ნდობის გამყარებას. ჩვეულებრივ, სწავლებისას აქცენტი უფრო მეტად კეთდება კლინიკურ კომპეტენციებზე. თუმცა, თანამედროვე დროს კლინიკური გამოცდილება არ არის საკმარისი პაციენტსა და ექიმს შორის ნდობის ასამაღლებლად. ამისათვის საჭიროა ნდობაზე მოქმედი მრავალი ფაქტორის (ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური) გათვალისწინება.

დასკვნები

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემა სუსტად არის განვითარებული, რასაც ადასტურებს ოჯახის ექიმთან მიმართვების დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პაციენტების ნაკლები ნდობა პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიმართ, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. კვლევამ დაადასტურა, რომ პაციენტების ნდობაზე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ასაკი, სქესი, განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, ქალაქი). ასევე, პაციენტების ნდობა მათი ოჯახის ექიმების მიმართ დიდად არის დამოკიდებული ექიმების კომუნიკაციის უნარების ეფექტურობაზე და ზრუნვის უწყვეტობის დამყარებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ხელს უწყობს პაციენტის და ექიმის ნდობას არის პაციენტზე მზრუნველი და ერთგული ექიმი, რომელიც ნათლად აუხსნის პაციენტებს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას, რეკომენდაციას უწევს პრევენციულ ზომებს, უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას, ახდენს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობას და პაციენტს ჩართავს მკურნალობის გეგმაში.

ოჯახის ექიმებისადმი ნდობის დაბალი დონე კვლავ აქტუალური საკითხია საქართველოში, მიუხედავად ჩატარებული ჯანდაცვის რეფორმებისა. ამ გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი მექანიზმია პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიმართ პაციენტების ნდობის გაუმჯობესება. საჭიროა პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის განვითარება. სახელმწიფომ სათანადო ზომები უნდა მიიღოს პაციენტების ექიმების მიმართ ნდობის გასაუმჯობესებლად. მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის ექიმების სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გააძლიერებენ პაციენტების ნდობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Resnick DB. Scientific research and the public trust. Science and Engineering Ethics 2011;17(3): 399-409.

2. Zhang M. Assessing Two Dimensions of Interpersonal Trust: Other-Focused Trust and Propensity to Trust. Front Psychol. 2021, 27;12:654735.
3. Petrocchi, P., Iannello, P., Lecciso, F., Levante, A., Antonietti, A., Schulz, P.J. Interpersonal trust in doctor-patient relation: Evidence from dyadic analysis and association with quality of dyadic communication, Social Science & Medicine, 235, 2019, 112391.
4. Pearson SD, Raeke LH. Patients' trust in physicians: many theories, few measures, and little data. J Gen Intern Med. 2000 Jul;15(7):509-13.
5. Verulava T, Jorbenadze R, Karimi L. Patients' perceptions about access to health care and referrals to family physicians in Georgia. Archives of the Balkan Medical Union. 2020; 55(4): 642-650.
6. Platonova EA, Kennedy KN, Shewchuk RM. Understanding patient satisfaction, trust, and loyalty to primary care physicians. Med Care Res Rev. 2008 Dec;65(6):696-712.
7. Verulava, T., Barkalaia, T., & Chiladze, G. (2024). Work Motivation and Job Satisfaction among Primary Healthcare Workers in Georgia. Hospital Topics, 1–9.
8. Verulava T, Beruashvili D, Jorbenadze R, Eliava E. Evaluation of patient referrals to family physicians in Georgia. Family Medicine & Primary Care Review 2019; 21(2):180-183.
9. Verulava T. Barriers to effective communication between family physicians and patients in Georgia. Family Medicine & Primary Care Review 2023; 25(1): 80–85
10. Tegenu Lemma K, Tilahun Beyene D, Mekoya Jemaneh T, Melkamu Andualem E, Atomsa Hunde G. Patients' Trust in Health Care Providers Among Hospitalized Patients, Jimma, South West Ethiopia. SAGE Open Nurs. 2023 Apr 4;9:23779608231167810.
11. . Brennan N., Barnes R., Calnan M., Corrigan O., Dieppe P., Entwistle V. (2013). Trust in the health-care provider–patient relationship: A systematic mapping review of the evidence base. International Journal for Quality in Health Care ,25(6), 682–688.
12. Trento, M., Tomelini, M., Basile, M., et al. (2008) The Locus of Control in Patients with Type 1 and Type 2 Diabetes Managed by Individual and Group Care. Diabetes Medicine, 25, 86-90.
13. Amanatullah ET, Morris MW, Curhan JR. Negotiators who give too much: unmitigated communion, relational anxieties, and economic costs in distributive and integrative bargaining. J Pers Soc Psychol. 2008;95(3):723–38.
14. Fiscella K, Meldrum S, Franks P, Shields CG, Duberstein P, McDaniel SH, Epstein RM. Patient trust: is it related to patient-centered behavior of primary care physicians? Med Care. 2004;42(11):1049–1055.
15. Kim SS, Kaplowitz S, Johnston MV. The effects of physician empathy on patient satisfaction and compliance. *Eval Health Prof*. 2004;27 (3):237–251.
16. Yarnall KSH, Pollak KI, Østbye T, Krause KM, Michener JL. Primary care: is there enough time for prevention? Am J Public Health. 2003;93(4):635–641.

17. Privett N, Guerrier S. Estimation of the time needed to deliver the 2020 USPSTF preventive care recommendations in primary care. Am J Public Health. 2021;111(1):145-149.
18. Østbye T, Yarnall KSH, Krause KM, Pollak KI, Gradison M, Michener JL. Is there time for management of patients with chronic diseases in primary care? Ann Fam Med. 2005;3(3):209–214.
19. Kong L, Chen Y, Wang L, Wang K, Liu C, Gan Y. Effect of Perspective-Taking on Trust Between Doctors and Patients: A Randomized Controlled Trial. J Clin Psychol Med Settings. 2023 Dec;30(4):708-715.
20. Porter J, Boyd C, Skandari MR, Laiteerapong N. Revisiting the Time Needed to Provide Adult Primary Care. J Gen Intern Med. 2023 Jan;38(1):147-155.

Tengiz Verulava
Doctor of Medicine, Professor, School of Business, Caucasus University
Gulnara Abashidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Factors affecting the patient's trust in the family doctor

Expanded Summary

The Georgian government has initiated several reforms to improve the primary healthcare system. However, no significant breakthroughs have been made in this regard. For the primary healthcare system to function effectively and with high quality, it is important to increase patients' trust in their family doctor. The study provided evidence on the factors that affect patients' trust in their family doctor. The study results are based on the opinions of patients and providers (physicians) about the importance of trust.

Georgia's primary healthcare system is poorly developed, as evidenced by the low rate of referrals to family doctors. One of the main reasons for this is the low trust of patients in primary healthcare doctors, which has a significant impact on their health.

Trust is a tool for social cooperation, communication, and dialogue. Trust is a relationship between people facilitating ongoing interaction and involves risk-taking and certainty about future interactions. Trust is a complex, multidimensional construct influenced by many factors. Trust is of two types: interpersonal trust and social trust. Interpersonal trust refers to the trust one person has in another person, which is established and strengthened as a result of their meeting and grows over time. When establishing interpersonal trust, patients try to share information with the doctor to diagnose the disease in a timely and correct manner, and accordingly, to provide appropriate treatment. Social trust is defined as the patient's trust in medical organizations. Proper development of social and interpersonal trust contributes to the relationship between the patient and the doctor and the quality of service.

Trust in doctors is of two types: trust in the doctor's cognitive and technical competencies and trust based on emotions (compassion, empathy). Patients do not have sufficient medical experience to assess the cognitive and technical abilities of doctors. Consequently, patients have confidence in the competence of doctors.

A patient's trust in his or her doctor can help strengthen the doctor-patient partnership. Patient trust in a doctor is a prerequisite for successful treatment, as it increases patient satisfaction, and adherence to treatment conditions, and therefore contributes to better health outcomes.

Most studies on patient trust in a doctor have been conducted in specialized hospitals, not in primary care. Our study focuses on primary care physicians and is particularly important due to the large volume, diversity, and wide range of medical decisions made daily in primary care.

Primary care is the "gatekeeper" of the health system, where a patient first contacts organized health care services, which includes the initial assessment of the disease and, if necessary, referral to a specialist. Primary health care is considered the main mechanism for improving the financial and geographical accessibility and quality of medical services, as well as for controlling costs, which covers the majority of people's health care needs. Given that a patient's trust in a family doctor has a great impact on his health, it is relevant to identify methods by which doctors can help increase this trust.

The primary health care system in Georgia is not properly developed, as evidenced by the low rate of referrals to a family doctor. In Georgia, the number of referrals per capita to primary health care is 3.6 per year (the average in European countries is 7.5). Studies show that 40% of respondents expressed dissatisfaction with their family doctor. One of the main reasons for this is the low trust of patients in family doctors. The low development of primary health care has a negative impact on the state of human health.

The aim of the study is to study patients' attitudes towards various aspects of trust in their primary care physician and to identify factors that influence the level of trust in the relationship between a family doctor and a patient.

The study confirmed that patients' trust is significantly related to factors such as age, gender, level of education, and place of residence (rural, city). Also, patients' trust in their family doctors depends largely on the effectiveness of doctors' communication skills and the establishment of continuity of care. The most important thing that contributes to patient and doctor trust is a caring and committed doctor who clearly explains to patients their health condition, recommends preventive measures, ensures confidentiality, ensures continuity of medical care, and includes the patient in the treatment plan.

The low level of trust in family doctors is still a pressing issue in Georgia, despite the healthcare reforms that have been carried out. One of the necessary mechanisms to solve these challenges is to improve patients' trust in primary healthcare doctors. There is a need to develop a patient-centered healthcare system. The state should take appropriate measures to improve patients' trust in doctors. It is advisable to develop training programs for primary care physicians taking into account factors that will strengthen patients' trust.

Keywords: primary health care system, family doctor, doctor-patient

განათლების ეკონომიკა - EDUCATION ECONOMY

ივლია ონიანი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახე.მწიფო უნივერსიტეტი;
ნონა ახვლედიანი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახე.მწიფო უნივერსიტეტი

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) შესწავლის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) სწავლების მნიშვნელობა უმაღლეს განათლებაში. ამ სტატიის მიზანია ახსნას ეკონომიკური პროცესების შინაარსი მაკრო დონეზე, ცოდნა მათი შეფასების მეთოდების შესახებ, მათი ინტერპრეტაცია. უფრო მეტიც, მიზანია სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ეკონომიკური პროფილის სკოლების ყურადღების მიქცევა ეას-ის, როგორც ეკონომიკური აზროვნებისა და ეკონომიკის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების ინსტრუმენტის შესწავლის მნიშვნელობაზე. კვლევის მეთოდოლოგია: გამოიყენება მოვლენების შედარებისა და კორელაციის მეთოდები. სტატია ყურადღებას ამახვილებს ეროვნული ეროვნული სააგენტოს დებულებების განხილვაზე, რომლებიც ფართო ხედვას იძლევა მაკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკური პროცესების ძირითადი მონაწილეების როლზე. შედეგები და გამოყენება: ეროვნულ ანგარიშთა სისტემის თეორიის ძირითადი დებულებები, მისი ძირითადი ცნებები და განმარტებები გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკური პროფილის სტუდენტების ეკონომიკური ცოდნის გაუმჯობესებაზე, იძენს საჭირო მეთოდებს ისეთი ინდიკატორების ანალიზისთვის, როგორიცაა: მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP), მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP). ეროვნული სიმდიდრე და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. სტატიაში დეტალურად არის განმარტებული, თუ რა ცოდნას მიიღებს სუბიექტი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესწავლით, კერძოდ, ეხება ეკონომიკური პროცესების შინაარსს, ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების როლს. ეს არის ცოდნის შეძენა ეკონომიკური ოპერაციების სხვადასხვა ასპექტების შესწავლის მეთოდების, ეკონომიკური ზრდის ტემპების, შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების, ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციების შესახებ.*

საკვანძო სიტყვები: *ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ეკონომიკური ოპერაციები, ცნებები, ეკონომიკური სუბიექტები, აქტივები, შემოსავლები, ინსტიტუციური სექტორები.*

****

ეას-ი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამსახველ განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც დამუშავებულია სტატისტიკური უწყებების მიერ, მაგრამ ის მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. **იგი კონცეფციებისა და განსაზღვრებების** სისტემაა, რომელიც წარმოაჩენს ეკონომიკური პროცესების შინაარს მაკრო დონეზე, სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტების როლს და მათ მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების შემადგენლობას. აქედან გამომ-

დინარე უმაღლეს სასწავლებლებში ეას-ის შესწავლა დაეხმარება სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ **ფართო ეკონომიკური აზროვნება, რაც ეკონომიკური განათლების მთავარ მიზანს წარმოადგენს.** პირველ **რიგში ეკონომიკური აზროვნების** განვითარება გულისხმობს ეკონომიკური პროცესების ძირითად სტადიებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლას. ასევე, ურთიერთკავშირების შესწავლას ეკონომიკური პროცესების ისეთი პარამეტრებს შორის, როგორიცაა შემოსავალი, მოხმარება, დაზოგვა, ინვესტიციები, კაპიტალი. ეკონომიკური აზროვნების განვითარება რათქმაუნდა ხდება ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინების შესწავლით, მაგრამ ეას-ს ეკუთვნის განსაკუთრებული როლი, ვინაიდან ამ სისტემაში ხდება ზემოთ **ნახსენები პარამეტრების გაზომვა, უფრო მეტი, მათ შორის ურთიერთკავშირის გაზომვა,** რაც შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია ეკონომიკური პროცესების შინაარსის შესახე მაკრო დონეზე, ასევე სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტების ურთიერთზემოქმედებისა და ფუნქციების შესახებ.

მაშასადამე, ეას მაკროეკონომიკის სტატისტიკური მოდელია, რომელიც მოწოდებულია გავიგოთ და გავზომოთ სხვადასხვა ფაქტორების გავლენა მშპ-ს ფორმირებაზე და სისტემის სხვა საკვანძო მაჩვენებლებზე. ამ მოდელის პარამეტრების ახსნა და გაგებინება ეკონომიკის მიმართულების სასწავლებლების სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს მათი კომპენტენციის ამაღლებას.

ეას-ი უზრუნველყოფს მთელ მსოფლიოში **ეკონომისტთა საერთაშორისო საურთიერთო კონომიკურ ენას,** რომელითაც სტატისტიკოსები, ფინანსისტები, ხელისუფლების წარმომადგენლები, საერთაშორისო და დიპლომატიური ორგანიზაციების თანამშრომლები, მასმედიის წარმომადგენლები ურთიერთობენ.

ეას-ის განვითარების ისტორია ეს არის ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია და ეკონომიკური **პროცესების გაზომვისა და ანალიზის მეთოდების ძიება.** {2} . დღეს, ამ თემაზე მრავალწლიანი კვლევის შედეგები, რომელშიც თავის დროზე მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატებმა საიმონ კუზნეცმა, ვ. ლეონტიევმა, რიჩარდ სტოუნმა, განზოგადებულია 2008 წლის ეას-ის საერთაშორისო სტანდარტში და რომელსაც იყენებს მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ყველა ქვეყანაში ეას-ის მაჩვენებლების ძირითად **მომხმარებელს სახელმწიფო მართვის ორგანოები წარმოადგენენ,** რომელსაც ისინი იყენებეს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის. უკანასკვნელ წლებში ეას-ის მაჩვენებლებს მეტ ყურადარებას უთმობენ ბიზნესისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ასევე იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რათა მოახდინონ მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკის სწორი პროგნოზირება. უკვე 50 წელია რაც გაეროს სტატისტიკური კომიისიის გადაწყვეტილებით წარმოებს მშპ-ს საერთაშორისო შედარება ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით. ამ შედარების მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია ეას-ის დებულებასთან.

2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მასთან ჰარმონიზირებულია მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვა საერთაშორისო სტანდარტები, ისეთი, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობა სახელმწიფო ფინანსებისა და საგადასახდელო ბალანსის შედგენისას. ეს უზრუნველყოფს ფართო მაკროეკონომიკურ ანალიზს. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ამ სტანდარტის ძირითადი დებულებების გაცნობა იქნებოდა მათვის სასარგებლო.

2008 წლის ეას-ის მნიშვნელოვან განყოფილებას წარმოადგენს ეკონომიკის **ეკონომეტრიკული მოდელი,** რომელიც ცნობილია, როგორც ცხრილი „დანახარჯები - გამოშვება". ეს ცხრილი უზრუნველყოფს უფრო მეტად მნიშვნელოვან პარამეტრებსა და ეკონომიკური პროცესების სტადიებს შორის ურთიერთკავშირების მათემატიკურ აღწერას და ქმნის ეკონომიკური განვითარების უფრო ზუსტი პროგნოზების შემუშავების შესაძლებლობას.

2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შეიცავს რეკომენდაციებს კონკრეტული ორგანიზაციული ფორმის ინსტიტუციური დაწესებულებების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების ასახვის შესახებ. ე.ი. ამ რეკომენდაციებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საწარმოების , ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების, სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობა, შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტები, სამეურნეო სუბიექტების ინვესტირების დაფინანსების წყაროები. 2008 წლის ეას-ში მოცემულია აგრეთვე რეკომენდაციები ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკის ასახვის შესახებ.

გასაგებია, რომ კურსის ფარგლებში ეას-ის მიხედვით განხილულ ანგარიშებს უნდა დაეთმოს შესაბამისი ყურადღება. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეას-ში მოცემულია მთელი რიგი ეკონომიკური ოპერაციები. ეს ოპერაციებია დაკრედიტებისა და გასესხების, ფინანსური შუამავლობის, ფინანსური და ოპერაციული ლიზინგით, საკუთრებიდან შემოსავლებით ოპერაციები და სხვ. ეას-ის ანგარიშების განხილვა ითვალისწინებს ანგარიშებში რეგისტრირებული ეკონომიკური ოპერაციების შინაარსის გაგების აუცილებლობას და ხშირად განსხვავებული ეკონომიკური ოპერაციების და აქტივების ტიპების შინაარსის გაგებას. სწორედ, ეას-ის შესწავლა გვეხმარება შევიძინოთ ეს ცოდნა. ეს ოპერაციები ბევრად განსაზღვრავს ეკონომიკური პროცესის შინაარსს. ეკონომიკურ პროცესებში მათი არსისა და როლის განსაზღვრა ეკონომიკური ცოდნის არსებითად მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ ცოდნის მიღება კი შესაძლებელია ეას-ის შესწავლით.

ეას-ის სტრუქტურის ფორმირების საფუძველში დევს ქვეყნის სამეურნეო სუბიექტების, მათი ოპერაციებისა და აქტივების შესახებ მონაცემთა უზარმაზარი მასივის მოწესრიგება და სისტემატიზაცია. ეს მოწესრიგება, რომელიც დაფუძნებულია რიგი პოლიტეკონომიკური კონცეფციების და განსაზღვრებების გამოყენებაზე, მოწოდებულია, ეკონომიკის შესწავილსა და ანალიზისათვის, უზრუნველყოს მაკროეკონომიკური პროცესების აღწერა კომპაქტურ, აღქმისათვის მოსახერხებელ ფორმაში.

ეას-ის თეორიის ძირითადი დებულებები, მისი ფუძემდებლური კონცეფციები და განსაზღვრებები ზემოქმედებას ახდენენ ყველა ეკონომიკურ პროფილის სტუდენტთა ეკონომიკური ცოდნის ამაღლებაზე, იძენენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზისათვის საჭირო მეთოდებს.

მოცემული სტატიის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ავხსნათ რა ცოდნას მიიღებენ ეკონომიკური პროფილის სასწავლებლების სტუდენტები, მაგისტრები, დოქტორანტები ეას-ის შესწავლით. ამასთან ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ეას-ი წარმოადგენს ეკონომიკური აზროვნების და ეკონომიკის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. სტატიაში გამახვილებულია ყურადღება ეას-ის ისეთი დებულებების განხილვაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართო შეხედულებას მაკროეკონომიკაზე და მაკროეკონომიკური პროცესების ძირითადი მონაწილეების როლზე.

ეას-ი წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების მიერ შესრულებული ეკონომიკური ოპერაციების შესახებ მონაცემთა დიდი მასის მოწესრიგებულ სისტემას. ამ მოწესრიგების მიზანია დავაჯგუფოთ სამეურნეო სუბიექტების ერთგვაროვანი ეკონომიკური ოპერაციები, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების კომპაქტურ სურათს. მონაცემთა ასეთი მოწესრიგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ინფორმაციის უზარმაზარ მასივში გარკვევა, ძირითადი ტენდენციებისა და ეკონომიკური განვითარების შედეგების გამოვლენა.

ეას-ში ქვეყნის ეკონომიკა, როგორც ზემოთ ნახსენები მოწესრიგების შედეგი, წარმოდგენილია ხუთი ინსტიტუციური სექტორის სახით: არაფინანსური კორპორაციები; ფინანსური კორპორაციები; სახელმწიფო მართვის ორგანოები; შინამეურნეობის მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები; შინამეურნეობები, რომლთა ფორმირება ხდება ეკონომიკურ პროცესში მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების შესაბამისად. ამ ფუნქციების გარკვევა მნიშვნელოვანია ეკონომიკურ პროცესებში სხვადასხვა ინსტიტუციური სექტორების როლის განსაზღვრისათვის. ინსტიტუციური სექტორები ერთმანეთან ურთიერთმოქმედებენ ეკონომიკური ოპერაციების დახმარებით, რომლებიც ეას-ში აგრეგირებულია სამ ჯგუფად: **ოპერაციები საქონლითა და მომსახურებით; ოპერაციები შემოსავლებით და ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით.** ეას-ის ანგარიშებში ეს ოპერაციები წარმოდგენილია უფრო დაწვრილებით, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის მოწესრიგების მიზანს. დეტალიზაცია ხორციელდება ოპერაციების ზემოთ მოცემული ჯგუფების ჩარჩოებში.

ეას-ს უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა მოწესრიგებასთან, ეხება პერიოდისათვის ოპერაციის ნაკადებს და თარიღისათვის აქტივების მარაგებს შორის სისტემატიური განსხვავების გაგებას. საქონლისა და მომსახურების ნაკადები, შემოსავლების ნაკადები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოიშობა შესაბამისი ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების შედეგად. აქტივების მარაგები მოცემული თარიღისათვის წარმოადგენს დაგროვების შედეგს, ნაკადების ტრანსფორმაციის შედეგს. მაგალითად, საქონლის ნაკადი ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც წარმოიქმნება საქონლის სხვადასხვა მიზნით წარმოებისა და გამოყენების შედეგად, შეიძლება ტრანსფორმირდეს საქონლის მარაგში წლის ბოლოს, როგორც დაგროვების შედეგი. ამ შინაარსით ყველა მარაგი ეას-ის ანგარიშებში ასახავს მოცემული პერიოდისათვის ან ოპერაციების ნაკადს ან აქტივების ნაკადებს მოცემულ პერიოდში. ოპერაციების ნაკადებსა და აქტივების მარაგებს შორის განსხვავების გაგება მნიშვნელოვანია ეას-ის მაჩვენებელთა ინტერპრეტაციისა და ანალიზისათვის. ხსენებული მონაცემების მოწესრიგება ხორციელდება რიგი კონცეფციების გამოყენების საფუძველზე. მათ შორის ეს არის **წარმოების პოლიტეკონომიკური კონცეფცია, შემოსავლების კონცეფცია, რომელიც ფორმირებულია ინგლისელი ეკონომისტის ჯონ ხიკსის მიერ, რეზიდენტობის კონცეფცია და ა. შ. ჯონ ხიკსის შემოსავლების კონცეფცია გავლენას ახდენს მშპ-ს შინაარსზე და შემოსავლის ყველა მაჩვენებელზე ეას-ში.**

ყოველი ინსტიტუციური სექტორი აერთიანებს ერთგვაროვანი ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ ეკონომიკის დარგებს, რომლებიც განისაზღვრება, როგორც საწარმოო ქვედანაყოფების ერთობლიობა (დაწესებულება). მაგალითად, სამრეწველო საწარმოოს ჩარჩოებში შეიძლება არსებობდეს რამოდენიმე დაწესებულება, რომლებიც დაკავებული არიან სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო

საქმიანობით. თითოეული დაწესებულება მიეკუთნება ეკონომიკის შესაბამის დარგს.

ყოველი ინსტიტუციური სექტორისათვის და თითოეული ეკონომიკის დარგისათვის დგება ანგარიშები, რომელშიც რეგისტრირდება ზემოთ ნახსენები ეკონომიკური ოპერაციები. ანგარიშებში თანმიმდევრულად აისახება ეკონომიკური პროცესების ყველა სტადია: წარმოება, შემოსავლების განაწილება და გამოყენება, ინვესტიციები, ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით, კაპიტალის ფორმირება. ანგარიშებში გამოყენებული ორმაგი ჩაწერის პრინციპი საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ ანგარიშების დაბალანსებულობა და შეთანხმებულობა. ანგარიშები შეიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ანალიზის მთავარ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ტემპები; ეკონომიკის სტრუქტურა; ცხოვრების დონე; დანაზოგები; ინვესტიციები, აქტივების მარაგები და სხვ.

ვინაიდან მოცემული ქვეყნის სამეურნეო სუბიექტები (რეზიდენტები) ახორციელებენ ეკონომიკურ ოპეაციებს დანარჩენი მსოფლიოს სამეურნეო სუბიექტებთან, ამიტომ ეას-ში ასევე განხილულია ანგარიში, სადაც ასახულია ეს ოპერაციები, კერძოდ, ეს ოპერაციებია: საქონლითა და მომსახურებით (ექსპორტი და იმპორტი), შემოსავლებით (პირველადი შემოსავლები და ტრანსფერტები), კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებით. ამ ოპერაციების განსაზღვრება ჰარმონიზირებულია საგადასახდელო ბალანსის შესაბამის მაჩვენებლებთან.

მაშასადამე, ეას წარმოადგენს ინფორმაციის უნიკალურ ყოვლისმომცველ სისტემას. ის მოიცავს ქვეყნის ყველა სამეურნეო სუბიექტს, მათ მიერ განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ ოპერაციას და ყველა ეკონომიკურ აქტივებს. ამ სისტემის ძირითადი დებულებების განხილვა და შესწავლა ეკონომიკური განათლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ეას -ის შესწავლით შესაძლებელია მივიღოთ ცოდნა ისეთი საკვანძო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შინაარსისა და გაანგარიშების მეთოდების შესახებ, როგორიცაა მშპ, მეშ, ეროვნული სიმდიდრე და სხვა. ყველაზე მთავარი, ეას -ის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ დაწვრილებითი ცოდნა მაკროდონეზე ეკონომიკური პროცესების შინაარსის შესახებ, კერძოდ იმაზე, რაა ეკონომიკური პროცესი-ეს სამეურნეო სუბიექტებს ურთიერთზემოქმედების პროცესია ეკონომიკური ოპერაციების დახმარებით. ეას-ის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ცოდნა ეკონომიკურ პროცესში უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ოპერაციების როლისა და შინაარსის შესახებ. განსაკუთრებით კი ისეთი ეკონომიკური ოპერაციების შესახებ როგორიცაა ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციები, ოპერაციები საკუთრებიდან, შემოსავლების გამოყენებითი და განაწილებითი ოპერაციები, ოპერაციები ინვესტიციების დაფინანსებით. ამის ცოდნა მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური სტატისტიკისათვის. მაშასადამე, ეას-ის შესწავლა ზემოქმედებს სტუდენტთა ეკონომიკურ წიგნიერებაზე.

ეას უზრუნველყოფს მშპ-ს საერთაშორისო შესადარისობის მეთოდოლოგიურ საფუძველს ვალუტის მსყიდველობით უნარიანობის პერიტეტის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ. განსაზღვრებები და კლასიფიკაციები ამ შესადარისობისათვის ფორმირდება ეას-ის საფუძველზე. შედარების შედეგები უზრუნველყოფს უნიკალურ ინფორმაციას მსოფლიო ეკონომიკაზე, ინფორმაციას ყოველი ქვეყნის ადგილზე მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში, განსხვავებაზე ცხოვრების დონეში, ვალუტის მსყიდველობით უნარიანობისა

და გაცვლითი კურსის დამოკიდებულებაზე. ქვეყნის ხელისუფლება ყურადღებით იკვლევს შედეგების შესადარისობას და ითვალისწინებს მას ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამ შესადარისობის თეორიისა და მეთოდოლოგიის, და აგრეთვე მათი შედეგების განხილვა აფართოებს ეკონომიკური სასწავლებლებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა თვალსაწიერს, ეხმარება მათი მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის და მის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების გარკვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი-ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-სახელმძღვანელო, თსუ-ს გამომცემლობა. 2009წ.
2. Европейская комисия, МВФ, ОЭСР, ООН, Всемирный банк. Система националъных счетов 2008: пер на рус. яз . под . ред. Ю. Н. Иванова- Нъю-Йорк. 2012.
3. Основы националъного счетоводства (международный стандарт СНС 2008 г. 0 учеб/ под. Ред. Ю. Н. Иванова. М.: Инфра-М. 2013.
4. Экономическая статистик: учеб./ под. Ред. Ю. Н. Иванова. М.: Инфра-М. 2016.

Ivlia Oniani

Associate professor Akaki Tsereteli State University;

Nona Akhvlediani

Associate professor Akaki Tsereteli State University

THE ROLE AND IMPORTANCE OF STUDYING THE NATIONAL ACCOUNTS SYSTEM (NAS) FOR STUDENTS OF ECONOMIC PROFILE

Expanded Summary

Introduction and purpose: The article discusses the importance of NAS teaching in higher education. The purpose of this article is to explain the content of economic processes at the macro level, knowledge about their evaluation methods, their interpretation. Moreover, the aim is to draw students attention, masters, doctoral students and schools of economic profile to the importance of studying NAS as a tool for raising qualifications in the field of economic thinking and economics. Research methodology: methods of comparison and correlation between events are used. The article focuses on the discussion of provisions of NAS that provide a broad view of macroeconomics and the role of the main participants in macroeconomic processes. Results and applications: The main tenets of the NAS theory, its basic concepts and definitions affect the improvement of economic knowledge of students of all economic profiles, acquire the necessary methods for the analysis of indicators such as: gross domestic product (GDP), gross national product (GNP). National wealth and other macroeconomic indicators. Conclusion: the article explains in detail what knowledge the subject will gain by studying the National Accounts System (NAS), in particular, it refers to the content of economic processes, the role of economic operations carried out by economic entities. This is the acquisition of knowledge about methods of studying various aspects of economic operations, rates of economic growth, distribution and redistribution of income, operations with financial instruments.

Keywords: NAS, economic operations, concepts, economic entities, assets, revenues, institutional sectors

ფინანსები – FINANCE

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ქუთაისის უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინვესტიციო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები საქართველოს მუნიციპალიტეტებში

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHIKHLADZE

ანოტაცია. *ბოლო წლებში გლობალური მასშტაბით განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მდგრადი განვითარების უმსხვილესი მდგენელი რეალური სექტორის განვითარებაა, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელია საინვესტიციო პროცესების გააქტიურების გარეშე.*

ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირების უცხოური გამოცდილება და არსებული სამამულო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი მუნიციპალურ დონეზე უნდა გადაწყდეს. ადგილობრივი თვითმმართველობების ძალისხმევას პოზიტიური წვლილის შეტანა შეუძლია ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ სად მოახდინონ ინვესტიციების რეალიზაცია.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში წვლილი შეაქვს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას საინვესტიციო პროცესში. ამიტომ, აუცილებელია იმ ეფექტური ინსტრუმენტების ფორმირება და გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსახლეობის სახსრების მოზიდვის გზით მათი ჩართულობის გაზრდას მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაში.

ნაშრომში მოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული რეგრესიული ანალიზი მუნიციპალიტეტებში წარმოებული დამატებული ღირებულებისა და ფიქსირებულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით (სულ 64 მუნიციპალიტეტი). ანალიზის პირველი ეტაპი ჩატარდა სამი ვარიანტით: თბილისის გათვალისწინებით, თბილისის გარეშე და ბათუმის და თბილისის გარეშე. რეგრესიულმა ანალიზმა დაადასტურა მაღალი კორელაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებში შექმნილ დამატებულ ღირებულებასა და ინვესტიციებს შორის. მიღებული შედეგი მიუთითებს, რომ მოცემულ წელს ინვესტიციების ყოველი ერთეულით გაზრდა 4-ჯერ გაზრდის მუნიციპალიტეტში წარმოებულ დამატებულ ღირებულებას.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია; მუნიციპალიტეტი; კორელაცია; დამატებული ღირებულება.*

****

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება მუნიციპალიტეტებში წარიმართება პირდაპირი და ირიბი მეთოდებით, რომლებსაც აერთიანებს ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ინსტიტუციური და საინფორმაციო ინსტრუმენტები.

ტერიტორიული ერთეულების საინვესტიციო პოტენციალი უნდა გავიგოთ, როგორც რესურსების (სოციალური, ფინანსურ-ეკონომიკური, ინსტიტუციური, ბუნებრივი რესურსი) და შესაძლებლობების ერთობლიობა ტერიტორიული განვითარების პრობლემების გადასაჭრელად. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბიუჯეტო

შემოსავლების ფორმირებისა და საბიუჯეტო ურთიერთობის არსებული პირობების გათვალისწინებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრების საინვესტიციო მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ეს ვითარება ადგილობრივ ხელისუფლებას მართვის ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას კარნახობს. ამ მხრივ საჭირო ხდება ამ პროცესში შიდა საინვესტიციო რეზერვების ჩართვა, აგრეთვე ხელსაყრელი პირობების შექმნა გარე ინვესტიციების მოსაზიდად, თვითმმართველობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადასაჭრელად. [1]

მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, როგორც წესი, ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის საფუძველზე. იგი მოიცავს: საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას; ინვესტირებისათვის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას; ინვესტიციების წყაროების მოძიებას და შერჩევას; საინვესტიციეო შესაძლებლობების გაზრდის/გაფართოების მოძიებას.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუნიციპალურ დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ამ მხრივ აქტიურობენ როგორც თვითმმართველობები, ასევე სახელმწიფო დონეზეც იქმნება მარეგულირებელი და მასტიმულირებელი აქტები, მაგ., მუნიციპალური ინვესტიციების რეგულირება სამხრეთ აფრიკაში, ადგილობრივი თვითმმართველობების საინვესტიციო პოლიტიკის გზამკვლევი ავსტრალიაში და სხვა. მიღებულ მეთოდს წარმოადგენს ასევე რანჟირების მეთოდი (მაგ., რუსეთში), რომელიც ეფუძნება მუნიციპალური წარმონაქმნების პერიოდული რეიტინგების განსაზღვრას. [2,3,4,5]

ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესების ძირითადი ტენდენციების ერთგვაროვნების მიუხედავად, რეგიონულ/მუნიციპალურ ასპექტში ძირეული განსხვავებები შეინიშნება. ეს განპირობებულია მეურნეობრიობის პირობების ტერიტორიული სპეციფიკით და საინვესტიციო კლიმატის განმსაზღვრელ ფაქტორთა ინდივიდუალური ბუნებით, რაც შეიძლება კონკრეტული რეგიონის/მუნიციპალიტეტის ზოგიერთი მაჩვენებლის გაანალიზებამ გვიჩვენოს. [6]

საქართველოში არსებული მდგომარეობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უშუალო მონაწილეობა საინვესტიციო საქმიანობაში ხდება მათ მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავების, დამტკიცებისა და დაფინანსების გზით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სახსრების განთავსება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, თუმცა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაც მუნიციპალიტეტებში ძირითადად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსების გზით ხორციელდება, რომელიც კაპიტალური სამუშაოების დაფინანსების ძირითად და რიგ შემთხვევებში ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამ ფონდზე მოდის მსხვილი მუნიციპალიტეტების არაფინანსური აქტივების ზრდის 72-74%, რაც განაპირობებს საჯარო ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციას [7,8].

პრობლემის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვისათვის არ არსებობს ჩამოყალიბებული და ცხადი მიდგომა, არ ტარდება საფუძვლიანი ანალიზი, არ ხდება დამოუკიდებელი სტრატეგიების ან კონცეფციების ფორმირება, ინიციატივების გამოვლენა და მიზან-

მიმართული საქმიანობის წარმართვა, ან მათ აქვთ ქაოტური ხასიათი. შეიძლება აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების აქტივობა ამ კუთხით მინიმალურია.

მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების საინვესტიციო შესაძლებლობების და საინვესტიციო კლიმატის და მიმზიდველობის პერიოდული (ყოველწლიური) შეფასება განსაზღვრული მეთოდოლოგიით და ამ ინფორმაციის გამოქვეყნება. ამისათვის ყველაზე ხშირად მიღებულია რანჟირების მეთოდი, რომელიც ეფუძნება რეიტინგების განსაზღვრას. [9]

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის ზრდა ინვესტორებისთვის. მხედველობაში გვაქვს სპეციალური, ინვესტორის კონკრეტულ მიზნებთან დაკავშირებული, რამდენიმე ენაზე გამართული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის ამსახველი ინტერნეტ-პორტალის ფორმირება. საინვესტიციო საქმიანობის პროცესში პორტალი ეფექტური კომუნიკაციის საშუალებად იქცევა ინვესტორსა და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის. პორტალი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ან „ჩაშენდეს" ოფიციალურ ვებგვერდზე.

პორტალმა პოტენციურ ინვესტორებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პროექტების პორტფელის, ინფრასტრუქტურული პროექტების, სავაჭრო მოედნების, ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, ენერგორესურსების და ინვესტორთათვის სახელმწიფო მომსახურების შეთავაზების შესახებ.

ცხრილი 1

ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში თვითმმართველი ქალაქების მიხედვით (2014-2022 წლებში, მლნ ლარი)

თვითმმართველი ქალაქი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
თბილისი	2206.3	3318.5	3408.4	4171.9	3197.4	3142.5	2651.8	3815.8	3570.9
ბათუმი	252.7	240.1	184.4	484.3	326.6	469.0	415.0	272.3	526.8
ქუთაისი	16.1	20.1	27.1	29.5	81.8	48.3	32.4	46.1	124.9
ფოთი	84.9	88.4	91.1	50.2	104.8	90.3	124.5	132.5	224.0
რუსთავი	52.6	53.0	47.1	53.2	40.0	78.5	123.9	140.2	97.5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მასალების [10] მიხედვით

საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დიდწილად არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტებში შექმნილი დამატებული ღირებულების და ინვესტიციების განხორციელების მზარდ დინამიკაზე.

ცხრილი 2

საქართველოს მუნიციპალიტეტებში წარმოებული დამატებული ღირებულება და ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ კაპიტალში (2022 წელი, მლნ. ლარი)

მუნიციპალიტეტი	**დღგ**	**ინვესტიცია**	**მუნიციპალიტეტი**	**დღგ**	**ინვესტიცია**
სულ	**36154**	**5849.5**	მცხეთა	489.8	134.7
თბილისი	23993	3570.9	ყაზბეგი	142.8	66.1

ბათუმი	2794	526.8	ამბროლაური	24.6	1.9
ქედა	23.4	2.7	ლენტეხი	12.6	0
ქობულეთი	292	32.1	ონი	16.6	1.5
შუახევი	8.3	1	ცაგერი	4	0.5
ხელვაჩაური	119	11.2	ფოთი	691.5	224
ხულო	15.3	0	აბაშა	27.8	3.1
ლანჩხუთი	20.7	1.8	ზუგდიდი	206.2	10
ოზურგეთი	164.1	15.3	მარტვილი	15.2	0
ჩოხატაური	59.2	3.1	მესტია	39.8	56.6
ქუთაისი	771.1	124.9	სენაკი	49.3	4
ტყიბული	40.4	0.9	ჩხოროწყუ	17.2	64.6
წყალტუბო	103.4	15.0	წალენჯიხა	28.3	13
ჭიათურა	130	8.3	ხობი	126.8	20.6
ბაღდათი	37.6	0.1	ადიგენი	7.3	0
ვანი	9.4	1.3	ასპინძა	54.3	0.5
ზესტაფონი	792.9	42.3	ახალქალაქი	33.9	6.8
თერჯოლა	161.9	9.8	ახალციხე	87	10.7
სამტრედია	33.4	10.7	ბორჯომი	267.4	75.7
საჩხერე	49.6	16.9	ნინოწმინდა	8	0.2
ხარაგაული	112.9	14.1	რუსთავი	1305.3	97.5
ხონი	20.1	7.2	ბოლნისი	402.3	85.5
ახმეტა	60.2	2.6	გარდაბანი	520.5	76
გურჯაან	134.1	60	დმანისი	24.7	4.1
დედოფლისწყარო	29	3.8	თეთრიწყარო	31.5	1.2
თელავი	214.6	47.7	მარნეული	178	30.1
ლაგოდეხი	33.1	8.1	წალკა	36.3	10.6
საგარეჯო	93.8	22.8	გორი	303.5	28.6
სიღნაღი	31.8	4.1	კასპი	266.7	78.8
ყვარელი	87.8	84.1	ქარელი	62.3	5.2
დუშეთი	31.1	6.1	ხაშური	79.8	8.7
თიანეთი	10.1	0.1			

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მასალების მიხედვით

ამ თვალსაზრისით ჩვენი მიზანი იყო ჩაგვეტარებინა რეგრესიული ანალიზი წარმოებული დამატებული ღირებულებისა და ფიქსირებულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. ანალიზის პირველი ეტაპი ჩავატარეთ ორი ვარიანტით: პირველი - თბილისის გათვალისწინებით და მეორე - თბილისის გარეშე, რამდენადაც, მთელი დამატებული ღირებულების 66,3% და ინვესტიციების 61% მხოლოდ თბილისზე მოდის.

ღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა, რომ დამატებული ღირებულების განაწილება არ იქნებოდა ნორმალური, რაც დადასტურდა კიდეც: ორივე შემთხვევაში (თბილისით და მის გარეშე) Kolmogorov-Smirnova და Shapiro-Wilk-ის

ტესტების მნიშვნელობა იყო .000<0.05, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ გვაქვს რეგრესული მოდელი და ამ ორ ცვლადს შორის არსებობს კავშირი.

ნახაზი 1

დამატებული ღირებულების განაწილება თბილისის ჩათვლით (მარცხნივ) და თბილისის გარეშე (მარჯვნივ)



რეგრესული ანალიზისთვის დავადგინეთ სხვა საკვანძო მაჩენებლებიც (მულტიკოლენიარულობა და დარბინ-ვატსონის ტესტი), რომლებიც კვლევისათვის მისაღები აღმოჩნდა:

მაჩვენებელი	თბილისით	თბილისის გარეშე
Durbin-Watson	2.134	1.938
VIF	1.0	1.0
Kolmogorov-Smirnova	.000	.000
Shapiro-Wilk	.000	.000

რეგრესიის მოდელის ძირითადი ცხრილები მივიღეთ შემდეგი:

1. თბილისის ჩათვლით:

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.997[a]	.995	.995	215.2742

a. Predictors: (Constant), Investment

Coefficients[a]

Model	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		

1	(Constant)	-39.940	27.458		-1.455	.151
	Investment	6.681	.061	.997	110.421	.000

2. თბილისის გარეშე:

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.911[a]	.829	.826	169.4870

a. Predictors: (Constant), Investment

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	18.961	23.585		.804	.425
	Investment	4.920	.286	.911	17.201	.000

a. Dependent Variable: VA

ორივე შემთხვევაში ძლიერი დადებითი კორელაცია დაფიქსირდა დამატებულ ღირებულებასა და ინვესტიციებს შორის. ამასთან, Beta კოეფიციენტი ორივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალია, რაც ადასტურებს პრედიქტორის (ინვესტიციები) დიდ გავლენას.

ნახაზი 2

რეგრესიის გრაფიკული გამოსახვა თბილისის ჩათვლით (მარცხნივ) და თბილისის გარეშე (მარჯვნივ)





ანალიზის მეორე ეტაპზე გამოვრიცხეთ თბილისის და ბათუმის მუნიციპალიტეტები. მათი ჯამური ხვედრითი წილი შეადგენს მთელი დამატებული ღირებულების 74%-ს და ინვესტიციების 70%. ამასთან, თბილისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებზე განვითარების სხვა მექანიზმები მოქმედებს, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტები ჰომოგენურია.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც Kolmogorov-Smirnova და Shapiro-Wilk-ის ტესტების მნიშვნელობა იყო .000<0.05, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ გვაქვს რეგრესული მოდელი და ამ ორ ცვლადს შორის არსებობს კავშირი.

ნახაზი 2

დამატებული ღირებულების განაწილება თბილისის
და ბათუმის მუნიციპალიტეტების გარეშე



რეგრესული ანალიზისთვის დავადგინეთ სხვა საკვანძო მაჩენებლებიც (მულტიკოლენიარულობა და დარბინ-ვატსონის ტესტი), რომლებიც კვლევისათვის მისაღები აღმოჩნდა:

მაჩვენებლის დასახელება	მნიშვნელობა
Durbin-Watson	1.922
VIF	1.000
Kolmogorov-Smirnova	.000
Shapiro-Wilk	.000

ანალიზის მეორე ეტაპზე რეგრესიის მოდელის ძირითადი ცხრილები მივიღეთ შემდეგი:

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.717[a]	.514	.505	165.2480

a. Predictors: (Constant), Investment

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	39.543	25.107		1.575	.121
	Investment	4.050	.509	.717	7.958	.000

a. Dependent Variable: VA

ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალი დადებითი კორელაცია (R = .717) დაფიქსირდა დამატებულ ღირებულებასა და ინვესტიციებს შორის. ამასთან, Beta კოეფიციენტიც მაღალია, რაც ადასტურებს პრედიქტორის (ინვესტიციები) მნიშვნელოვან გავლენას.

ნახაზი 3

რეგრესიის გრაფიკული გამოსახვა თბილისის და ბათუმის გარეშე



ამრიგად, რეგრესიულმა ანალიზმა დაადასტურა მაღალი კორელაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებში შექმნილ დამატებულ ღირებულებასა და ინვესტიციებს შორის. მიღებული ფორმულა (Y = 39.54+4.05X) მიუთითებს, რომ მოცემულ წელს ინვესტიციების ყოველი ერთეულით გაზრდა 4-ჯერ გაზრდის მუნიციპალიტეტში წარმოებულ დამატებულ ღირებულებას.

დასკვნები

- აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის შესახებ ინვესტორებისთვის ინფორმაციის გავრცელება, რომლის საუკეთესო საშუალებაა სპეციალური პორტალის ფორმირება;
- საწყის ეტაპზე საჭიროა მუნიციპალიტეტის "საინვესტიციო სავიზიტო ბარათის" მომზადება და გამოქვეყნება, ასევე მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტის (გზამკვლევის) ფორმირება, რომელიც დეტალურად ასახავს კონკურენტულ უპირატესობებს, ეკონომიკურ მდგომარეობას, ბიზნესის თავისებურებებს, საინვესტიციო მიმზიდველი ობიექტების არსებობას, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს;
- მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნონ საინვესტიციოდ მიმზიდველი ობიექტების, საინვესტიციო და საინოვაციო პროექტების, რესურსების, უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთების, დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების ბაზების ფორმირებაზე;
- საჭიროა ამ სფეროთი დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასმედიასთან ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება;

- მიზანშეწონილია ბაზრობებში, გამოფენებში, პრეზენტაციებში მონაწილეობის გააქტიურება;
- უნდა გააქტიურდეს დამეგობრებულ ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან არსებული შესაძლებლობები;
- საჭიროა გაფართოვდეს გარე ფინანსური რესურსების სხვადასხვა ფორმით მოზიდვის შესაძლებლობები (გრანტები, ინვესტიციები ბიუჯეტიდან და კერძო სამართლის სუბიექტებიდან და ა.შ.) მუნიციპალიტეტის განვითარების დასაფინანსებლად, რაც ხელს შეუწყობს მათ მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Krainyk O., Fedorchak O. (2022) Financing the development of territorial communities in conditions of decentralization. Financial and Credit Activity Problems of Theory and Practice, 2(43). URL: https://doi.org/10.55643/fcaptp.2.43.2022.3558
2. Municipal investment regulations. South Africa. 2005. URL:https://www.saflii.org/za/legis/consol_reg/mir350/
3. Investment Policy Guidelines for Local Governments. Australia. 2023. URL:https://www.statedevelopment.qld.gov.au/__data/assets/pdf_file/0026/45197/investment-policy-guidelines-local-government.pdf
4. Council Policy. Investment Policy. City of Kwinana. Australia. URL:https://www.kwinana.wa.gov.au/council/documents,-publications-and-forms/publications-and-forms-(all)/policies/2022/policy-investment-policy
5. Панасейкина В. С. Формирование методики оценки инвестиционной привлекательности муниципальных образований // Проблемный анализ и государственно-управленческое проектирование. 2011. № 4. т. 4.
6. ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ., საბიუჯეტო ინვესტიციების როლი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციის IEC 2015 ,,ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“ შრომების კრებული. ჟურნ. „ბიზნეს ინჟინერინგი“. URL:https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SWUtLSUszbkh6VFE/view?pref=2&pli=1 გვ. 152-156
7. ჩიხლაძე ნ., ხიდაშელი მ., უგულავა გ., (2021) საქართველოს ეკონომიკური განვითარება COVID-19-ის პირობებში (მაკროეკონომიკური და რეგიონული ასპექტები). ქუთაისი, „მბმ პოლიგრაფი“ URL:https://www.researchgate.net/publication/356717633_sakartvelos_ekonomikuri_ganvitareba_COVID-19-is_pirobebshi_makroekonomikuri_da_regionuli_aspektebi
8. საქართველოს მთავრობის 07/02/2013 წლის N23 დადგენილება “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ”. URL:https://matsne.gov.ge/ka/document/download/1842752/0/ge/pdf
9. ჩიხლაძე ნ., (2015) საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რანჟირება. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ.XII. თბ., "უნივერსალი". გვ. 266-281.
10. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური. URL: www.geostat.ge

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Science, Professor.
Akaki Tsereteli State University; Kutaisi University

CONTEMPORARY CHALLENGES OF INVESTMENT POLICY IN GEORGIAN MUNICIPALITIES

DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.CHIKHLADZE

Expanded Summary

Global developments in recent years have shown us that the biggest determinant of sustainable development is the development of the real sector. This is impossible without activation of investment processes.

Foreign experience and domestic practice of creating a favorable investment climate show that a significant part of the issues should be resolved at the municipal level. The efforts of local governments can make a positive contribution to investors' decisions about where to invest.

International experience shows that the active participation of the population in the investment process contributes to the development of the city's economy. Therefore, it is necessary to form and use those effective tools. They will contribute to increasing their involvement in the development of the economy of the municipality by attracting the savings of the population.

The paper presents a regression analysis conducted by us according to the added value produced in the municipalities and investments in fixed capital (64 municipalities in total). The first stage of the analysis was conducted with three options: taking Tbilisi into account, without Tbilisi, and without Batumi and Tbilisi. The regression analysis confirmed a high correlation between the added value and investments created in the municipalities of Georgia.

The conducted analysis showed us the following: increasing the investments by each unit in a given year will increase the added value produced in the municipality by 4 times. This once again indicates the importance of investments for municipalities.

Keywords: Investment; Municipality; Correlation; Added Value.

დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

მერაბ ხოხობაია
ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

მდგრადი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ორგანიზაციული და კონცეპტუალური ასპექტები

ანოტაცია. *სამეცნიერო ლიტერატურაში ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრადი განვითარების სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომებია განხილული. ტურისტული დანიშნულების ადგილი კოპლექსური და რთული სისტემაა, შესაბამისად, დაგეგმვის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ტურისტული დანიშნულების ადგილის სპეციფიკური მახასიათებლები, ასევე, წინააღმდეგობები რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აკისრია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს. მათი ჩართულობა დაგეგმვის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტიანი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანამშრომლობის პლატფორმის მომზადება არის საკმაოდ რთული და პრობლემატური. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, რომლებსაც ნაკლები გამოცდილება გააჩნიათ ამ თვალსაზრისით. სტატიაში განხილულია ტურისტული დანიშნულების ადგილის დაგეგმვის კონცეპტუალური ასპექტები. გაანალიზებულია ინტეგრირებული მიდგომები, რომელიც ხელს უწყობს ტურისტული დანიშნულების ადგილების ეფექტიან განვითარებას.*

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, ინტეგრირებული დაგეგმვა, თანამშრომლობის პლატფორმა*

შესავალი

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მისი სისტემური შეფასება და სტრატეგიული განვითარების მიმართულებების იდენტიფიკაცია. აღნიშნული პროცესი საკმაოდ მრავალმხრივია და იგი მოითხოვს პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას, როგორიცაა: ადგილობრივი რეზიდენტები, კერძო და საჯარო სექტორის ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ. (Dwyer Larry, Kim Chalwon, 2010). უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმვის და განვითარების პროცესი განგრძობადია და იგი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსთან დაკავშირებულ მისწრაფებებს და ხედვებს. ტურისტული დანიშნულების ადგილის კატეგორიებში მოიაზრება უნიკალური სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადგილები: ეროვნული პარკი, დაცული ტერიტორია, სპეციალური ტურისტული დანიშნულების ადგილები და ა.შ. ტურისტულ დანიშნულების ადგილებს (ქვეყანა, მაკრო რეგიონი, ადმინისტრაციული ერთეული, მუნიციპალიტეტი, ქალაქი და ა.შ) მისი შინაარსის და მასშტაბის გათვალისწინებით შესაძლებელია ქონდეს განსხვავებული ფიზიკური და შინაარსობრივი რელიეფი (Charles R. Goeldner, J. R. Brent Ritchie, 2012).

მნიშვნელოვანია, რომ ტურისტულ დანიშნულების ადგილებზე მოქმედება განხორციელდეს მკაფიოდ ფორმულირებული პოლიტიკის პირობებში. ამ მიმარ-

თულებით აუცილებელია პოლიტიკის ფორმულირების ფუნდამენტური სტრატეგიული ასპექტების დაზუსტება. პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს გარკვეულ ფაზობრივ პრინციპებს, როგორიცაა, დეფინიციის, ანალიტიკური, საოპერაციო და დანერგვის ეტაპი. დეფინიციის ფაზა მოიცავს იმ ფილოსოფიური ფუნდამენტური ასპექტების შეფასებას თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ტურისტული დანიშნულების ადგილი. იგი წარმოადგენს ერთგვარ ვექტორს შემდგომი მოქმედებების განხორციელების მიზნით. ანალიტიკურ ფაზაში ფაქტობრივი გარემოებების და ფუნდამენტური მიგნებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს პოტენციური სტრატეგიების იდენტიფიკაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ტურისტული დანიშნულების ადგილის ტრანსფორმაციას. საოპერაციო ნაწილი მოიცავს სისტემის მომზადებას ცვლილებისკენ რომელიც ერთგვარი წინაპირობაა იმპლემენტაციის ფაზის (Ritchie and Crouch, 2012). აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით პროცესი არის საკმაოდ რთული და მრავალმხრივი რასაც განაპირობებს ტურისტული დანიშნულების ადგილის კომპლექსურობა.



წყარო: Edgell David, Swanson Jason R, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013

ზემოთ აღნიშნული საკითხების ეფექტიანად მიღწევისათვის აუცილებელია გარკვეულ ფაქტორთა ანალიზი და შეფასება. ამ მიმართულებით ედგელი და სვანსონი (Edgell David, Swanson, 2013) მიიჩნევენ რომ პროცესების წარმატებულად ადმინისტრირებისათვის საჭიროა კვლევების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით. სწორედ მეცნიერული ანალიზის, კვლევის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკის ძირითადი დეტერმინანტების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითარებას. კვლევის პროცესში უნდა მოხდეს ეკონომიკური, გარემოს დაცვის, სოციალური, ადამიანური, ფინანსური რესურსების და სხვა ფაქტორების გაანალიზება. მსგავსი მიდგომა საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ არსებული მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის პოლიტიკის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრავს ტურიზმის პოლიტიკის არსს, ხოლო თავად პოლიტიკის ფორმულირების პროცესი მოიცავს ეტაპებს, როდესაც ხდება პოლიტიკის სტრუქტურის ფორმირება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ფორმულირების პროცესი დინამიკურია, ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მიდგომების, მეთოდების გამოყენება. ასევე, ტურიზმის პოლიტიკა უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი. ტურიზმის პოლიტიკის ფარგლებში უნდა მოხდეს ფილოსოფიის, ტურიზმის განვითარების ხედვების ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ფუნდამენტური ბაზისი როგორც მაკრო, ასევე, მიკრო დონეზე. მთლიანობაში მეთოდოლოგიური ასპექტები საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად შევხედოთ მიმდინარე პროცესებს რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული განვითარების ხედვების ჩამოყალიბება (Khokhobaia Merab, 2015).

მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური ასპექტები

მდგრადი ტურიზმის განვითარების საკითხი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კონტექსტში ფრაგმენტული და კომპლექსურია. ვინაიდან, იგი მოიცავს სამ საკვანძო მიმართულებას: ეკონომიკური მდგრადობა, ეკოლოგიური მდგრადობა და კულტურული მდგრადობა. მდგრადი ტურიზმის განვითარების გამოწვევების შესწავლა მოითხოვს კომბინირებული მიდგომების გამოყენებას, რადგან ტურისტული დანიშნულების ადგილი სწრაფად ცვალებადი დინამიკური სისტემაა.

მეთოდოლოგიური პერსპექტივით ინსტრუმენტად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტრანსდისციპლინური კვლევის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს სოციალურად რელევანტური და კომპლექსური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. ტურისტული დანიშნულების ადგილი წარმოადგენს თავის მხრივ კომპლექსურ სისტემას. შესაბამისად, ტრანსდისციპლინური კვლევა ეფუძნება კონცეფციას - ,,მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად", რომელიც გულისხმობს სამეცნიერო და პრაქტიკული (experiential) ცოდნის ინტეგრირებას. ტრანსდისციპლინური მიდგომა კონცეპტუალური ბაზისიდან გამომდინარე საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ აქტორები სხვადასხვა პერსპექტივით. შესაბამისად აღნიშნული პარადიგმა და აქტორების მაღალი ჩართულობა განაპირობებს არსებულ პრობლემებზე და გამოწვევებზე ეფექტიან კონცენტრაციას. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში მიღებულ შედეგებს და გენერირებულ ცოდნას ფუნქციური თვალსაზრისით აქვს შემდეგი პრაქტიკული ღირებულება: **1. კონცენტრირებულია არსებული მდგომარეობის ანალიტიკაზე 2. სისტემური მიდგომების გამოყენებით ფოკუსირებულია ტურისტულ დანიშნულების ადგილებზე არსებულ გამოწვევებზე; 3. ორიენტირებულია განვითრების სცენარების შემუშავებაზე და არსებული რეალობის შეცვლაზე** (Christian Pohl, 2010).

ტრანსდისციპლინური მიდგომის ფარგლებში ტურისტულ დანიშნულების ადგილებზე არსებული პრობლემების გადაჭრისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ცოდნის სხვადასხვა ტიპები. მაგალითად, როგორიცაა: სისტემური ცოდნა - რომლის მიზანია თუ როგორ გავუმკლავდეთ გაურკვევლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გაურკვევლობა შესაძლოა გამოწვეული იყოს პრობლემის სირთულით. მიზნობრივი ცოდნა - რომელიც ეხება და დაკავშირებულია ცვლილებების განხორციელებასთან. მის საფუძველზე ხდება ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა. ტრანსფორმაციული ცოდნა - აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავითვალისწი-

ნოთ არსებული პრაქტიკა, ტექნოლოგიები, რეგულაციები. იგი მოიცავს საკითხების საკმაოდ ვრცელ სპექტრს რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს არსებული პრაქტიკის შეცვლა და განვითარების ახალი ხედვების ჩამოყალიბება (Khokhobaia, 2018).

საკითხის სირთულიდან გამომდინარე, თეორიულ კონტექსტში ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების შესწავლის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზოგადი სისტემის თეორია (General System Theory). როგორც, ლუდვიგ ფონ ბერტალანფი (Ludwig von Bertalanffy, 1968) აღნიშნავს, სისტემა არის ურთიერთდაკავშირებული ელემენტების კომპლექსი, რომლებიც ურთიერთქმედებენ გარემოსთან. ტურისტული დანიშნულების ადგილი როგორც სისტემა შედგება სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან. შესაბამისად, სისტემური ანალიზი აუცილებელია სისტემის ელემენტების იდენტიფიკაციის და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის მიზნით. აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ სისტემის ჰიპოთეტური მახასიათებლები, ხოლო მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას პოლიტიკის დაგეგმვის და სისტემის გრძელვადიან დინამიკაში სრულყოფის თვალსაზრისით. სისტემის არსებობისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ელემენტების სიმრავლე, ასევე აუცილებელია, რომ ელემენტებს შორის არსებობდეს გარკვეული დამოკიდებულებები და კავშირები. ცხადია, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის რელიეფი არაერთგვაროვანია და ამ სისტემაში არსებულ ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირები. ვინაიდან მთლიან სისტემაში შესაძლოა არსებობდეს სუბ სისტემებიც, მნიშვნელოვანია მოხდეს სისტემის ელემენტების დეკომპოზიცია. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არსებული სისტუაციის სწორი დიაგნოსტიკა და დავგეგმოთ გარემოსთან მიმართებით კონკრეტული ცვლილებები, რომელიც პოზიტიურად აისახება როგორც ცალკეულ სისტემაზე, ასევე, მთლიანობაში ტურისტულ დანიშნულების ადგილზე (Parsons, 1991).

ასევე, თეორიული პერსპექტივით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა ე.წ ,,სტეიკჰოლდერის თეორიაა". ტურიზმის ინდუსტრია და ტურისტული დანიშნულების ადგილი გამოირჩევა დაინტერესებული მხარეების სიმრავლით. შესაბამისად მათ სინქრონიზებულ მოქმედებაზეა დამოკიდებული პოზიტიური ეკონომიკური შედეგების დაგენერირება. სტეიქჰოლდერების კავშირებში დინამიკურობის შენარჩუნება შესაძლოა გახდეს კონკურენტული უპირატესობის მიღწევის წყარო (Jones, Harrison and Jones 2018). ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრია აქვს ფრაგმენტული ხასიათი ცალკეული ტურისტული პროდუქტების შექმნა და მიწოდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის მეტწილად დამოკიდებულია დაინტერესებული ჯგუფების კოოპერაციაზე. შესაბამისად, ,,სტეიკჰოლდერის თეორიის" პრიზმაში შესაძლებელია მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიკაცია რომელიც მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში.

ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაგეგმვის და განვითარების პროცესში გავითვალისწინოთ სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები, რომელსაც მოაქვს კონკრეტული შედეგები: 1. უფრო მეტი შესაძლებლობები ჩნდება რომ ფოკუსი გაკეთდეს სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიკაციაზე. აღნიშნულის მიღწევაში თითოეული ჩართული სუბიექტის კონტრიბუცია არის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტურისტული დანიშნულების ადგილი არის კომპლექსური და ხშირ შემთხვევაში მრავალმხრივი

მიმართულების მქონე სისტემა. 2. აქტიური კოლაბორაცია საშუალებას იძლევა მოხდეს ტურისტული დანიშნულების ადგილის ხედვის იდენტიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს მომავალთან დაკავშირებულ საკითხებს. 3. შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული როლები და პასუხისმგებლობები პარტნიორული თვალსაზრისით, რასაც მოყვება ორმხრივი პოზიტიური შედეგები. 4. კოორდინაცია მნიშვნელოვანია რესურსების სწორად განაწილების თვალსაზრისითაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს რესურსების პერსპექტივით შევაფასოთ თუ სად ვიმყოფებიდ დროის კონრეტულ ეტაპზე და რა მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ ეფექტიანი შედეგების მისაღწევად. 5. სტრუქტურული თვალსაზრისით ჩნდება ახალი ორგანიზაციული სისტემის ფორმირების შესაძლებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სხვადასხვა პროდუქტების და სერვისების შექმნას, ასევე, მარკეტინგს და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან პროდუქტების ეფექტიან მიწოდებას (PATA, 2024).

მთლიანობაში აღნიშნული პროცესების წარმართვა შეუძლებელია კვლევების გარეშე. რომელმაც უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები პირები რელევანტური მონაცემებით. შესაბამისად, ამ პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას კომბინირებული მიდგომები და მეთოდები. რაც მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში დაგვეხმარება ტურისტული დანიშნულების ადგილის როგორც სისტემის დეტალურ ანალიზში და შეფასებაში.

დასკვნა

ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარება აქტუალური საკითხია როგორც განვითარებული, ასევე, განვითარებად ქვეყნებისათვის. შესაბამისად, ამ მიმართულებით ცალკეული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მიდგომების გამოყენება საშუალებას გვაძლევს ეფექტიანად განვახორციელოთ პოლიტიკა რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული. აღნიშნულ პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად ჩართულობის უზრუნველყოფა. შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის მნიშვნელოვანია კონცეპტუალური ჩარჩოების გამოყენება რომელიც უნდა ადაპტირდეს კონკრეტულ ტურისტულ დანიშნულების ადგილთან. ვინაიდან სისტემური მსგავსება არ მოიცავს კონტექსტუალურ ნაწილს, რადგან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები იმპერატივია ამ პროცესში. აღნიშნული კი განსხვავებულია ცალკეული ქვეყნების და ტურისტული დანიშნულების ადგილების პრიზმაში.

ტრანსფორმაციის მიზნით აუცილებელია მოვახდინოთ არსებული სიტუაციის სწორი დიაგნოსტიკა, რომელიც მიღწევადია კომბინირებული მიდგომების და ინსტრუმენტების გამოყენებით. რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კომპონენტებს. მთლიანობაში პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შედეგიანია, იგი უზრუნველყობს პროცესის გამჭვირვალობას და ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში თანამონაწილეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bertalanffy L., (1968), General System Theory, Foundations, Development, Applications, George Braziller, lnc. pp.31-40
2. Christian Pohl, Gertrude Hirsch Hadorn Translated by Anne B. Zimmermann, Principles for Designing Transdisciplinary Research, Proposed by the Swiss Academies of Arts and Sciences.

3. Dwyer Larry, Kim Chalwon, Destination Competitiveness: Determinants and Indicators, University of Western Sydney Australia 2010, pp.369-408
4. Edgell David, Swanson Jason R, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013
5. Freeman, R.D., Harrison, J.S. & Zyglidopoulos, S. (2018). Stakeholder Theory: Concepts and Strategies. Cambridge University Press
6. Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent, Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley Inc, 2012
7. Jones, T.M. & Harrison, J.S. (2019). "Sustainable wealth creation: applying instrumental stakeholder theory to the improvement of social welfare,"
8. Khokhobaia Merab, Tourism Policy Challenges in Post-Soviet Georgia, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:9, No. 3, 2015, pp.986-989.
9. Khokhobaia Merab, Transdisciplinary Research for Sustainable Tourism Development, Journal of International Management Studies, JIMS, Volume 18, Number 2, 2018, pp.21-26.
10. Merab Khokhobaia, Transdisciplinary Research Methodology for the Tourist Destination Development, International Scientific Conference, Globalization Challenges in Economics and Business, 2018
11. Parsons T., (1991), The Social Systems, by Routledge & Kegan Paul Ltd, pp.1-15
12. Ritchie Brent J.R, Crouch Geoffrey I, The Competitive Destination, A Sustainable Tourism Perspective
13. https://www.pata.org/blog/destinations-communities-destination-planning

Merab Khokhobaia
Doctor of Economics, TSU Associate Professor

ORGANIZATIONAL AND CONCEPTUAL ASPECTS OF SUSTAINABLE TOURISM DESTINATION DEVELOPMENT

Expanded Summary

The scientific literature presents a range of conceptual approaches to the sustainable development of tourist destinations. Recognizing that a tourist destination operates as a multidimensional and complex system, it is essential to consider its particular characteristics during the planning process. Additionally, one must account for the contradictions arising from various influencing factors. Various stakeholders play a crucial role in the development of a tourist destination. Their participation in the planning process is essential for achieving effective outcomes. Existing practices indicate that the establishment of a cooperative platform presents significant challenges. This issue is particularly pertinent in the context of developing countries, which often possess limited experience in this area. The article examines the conceptual aspects of tourism destination planning, providing a thorough analysis of integrated approaches that facilitate the effective development of tourist destinations. The article discusses the conceptual aspects of tourism destination planning and analyzes integrated approaches that facilitate the effective development of tourist destinations.

The systematic assessment and identification of strategic development directions are essential for the growth of a tourist destination. This process is inherently multifaceted and necessitates the active engagement of various stakeholders, including local residents, private and

public sector organizations, and non-governmental organizations, among others. It is important to recognize that the planning and development process is a continuous endeavor that must incorporate the social, economic, and environmental aspirations and visions of the community. Tourist destinations can be categorized based on specific characteristics, including national parks, protected areas, and specialized tourist attractions. These destinations ranging from countries and macro-regions to administrative units, municipalities, and cities exhibit considerable variability in their physical attributes and content, which must be considered in terms of their unique features and scale.

The issue of sustainable tourism development within the framework of tourism destination advancement is multifaceted and intricate. It encompasses three primary dimensions: economic sustainability, ecological sustainability, and cultural sustainability. Analyzing the challenges associated with sustainable tourism development necessitates the application of integrated approaches, as a tourist destination functions as a rapidly evolving dynamic system.

From a methodological perspective, transdisciplinary research serves as an effective tool for exploring complex and socially relevant issues. A tourist destination is an intricate system, and transdisciplinary research operates on the principle of "science with society." This principle emphasizes the integration of scientific knowledge with practical, experiential insights. By adopting a transdisciplinary approach anchored in a conceptual framework, we can evaluate the roles of various stakeholders from multiple perspectives. Consequently, this paradigm, along with the active involvement of different actors, enables a focused examination of existing problems and challenges. The transdisciplinary approach facilitates the integration of various knowledge types to effectively address challenges in tourist destinations. Specifically, system knowledge pertains to managing uncertainties that may arise from the complexities of these issues. Targeted knowledge is directly related to the implementation of change, providing a framework for identifying necessary transformations. Transformative knowledge considers existing practices, technologies, and regulations, encompassing a wide array of topics. Its primary objective is to modify current practices and establish innovative developmental visions.

Due to the complexity of the issue, General System Theory serves as a valuable framework for examining the development of a tourist destination within a theoretical context. As noted by Ludwig von Bertalanffy (1968), a system consists of a complex arrangement of interconnected elements that engage with their environment. A tourist destination can be understood as a system comprising various interconnected components. Consequently, a systematic analysis is imperative for identifying these elements and exploring their interrelationships. This methodological approach not only facilitates the identification of the system's hypothetical characteristics but also constitutes a critical prerequisite for informed policy planning and the enhancement of the system's long-term dynamics.

One of the distinguished theoretical framework applicable to the tourism industry is stakeholder theory. This sector is defined by a diverse array of stakeholders, and the achievement of favorable economic outcomes is contingent upon their coordinated actions. Cultivating dynamic relationships among stakeholders can provide a competitive advantage (Jones, Harrison, and Jones, 2018). Due to the inherently fragmented nature of tourism, the development and delivery of tailored tourism products to target audiences are heavily reliant on the collaboration of various interested parties. Consequently, stakeholder theory facilitates the identification of all entities involved in this process.

The development of tourist destinations represents a critical concern for both developed and developing nations. Employing distinct theoretical and practical approaches in this domain enables the implementation of effective, results-driven policies. It is essential to ensure the comprehensive engagement of various stakeholders in this process. To attain optimal results, it is imperative to utilize conceptual frameworks that are specifically adapted to the unique attributes of each tourist destination.

ლევან ხვედელიძე
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები საქართველოში

ანოტაცია. *საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს, რომლის მიზანს წარმოადგენს სტაბილური ეკონომიკური სისტემის უზრუნველყოფა. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო პოლიტკის სრულყოფას. მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთერთი უმთავრესი წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე ძალზედ აქტუალურია სწორი ფისკალური პოლიტიკის შემუშავების და გატარების საკითხი. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეთმობა წინამდებარე სტატია.*

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, მიმართულებები, ტენდენციები, პრობლემებს და მათი დაძლევის გზებს.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადები, საგადასახაო შემოსავლები, ხარჯები, გადასახადის სახეები.*

შესავალი

დღესდღეობით საგადასახადო პოლიტიკის მიმართ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს განსხვავაბული შეხედულებები აქვთ. განსხვავებული შეხედულებებია დარგის სპეციალისტებს შორისაც. მიუხედავად ეკონომისტების მცდელობებისა დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული სრულყოფილი, იდიალური საგადასახადო სისტემა, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის გარეშე თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო პოლიტკის სრულყოფას. მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთერთი უმთავრესი წინაპირობაა.

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ტენდენციები, მდგომარეობა, არსებული პრობლემები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სტაბილური ეკონომიკური განვითარების ასპექტები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მნიშვნელობა.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისიტემა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელობა.

ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები საქართველოში

საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგია, გამართული საგადასახადო სისიტემა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

გადასახადი არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადია საგადასახადო კოდექსით დაწესებული და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

საშემოსავლო გადასახადი;

გადასახადის განაკვეთი - 20 პროცენტი, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მსოფლიოს ქვეყნების აბსოლიტურ უმრავლესობაში გვხდება დიფერენცირებული (პროგრესულსაც უწოდებენ) საშემოსავლო გადასახადი, ანუ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია შემოსავლის ოდენობაზე, შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი და პირიქით. როგორც კვლევის ანალიზი გვიჩვენებს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე მიზანშწონილია საქართველოში განხორციელდეს დიფერენცირებული საშემოსავლო გადასახადის სისტემის შემოღება. ამისათვის კი საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და პოლიტიკური ნება.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გვხვდება შვედეთსა (56,4%) და ბელგიაში (53,7%), ხოლო ყველაზე დაბალი ყირგიზეთში (10%), ყაზახეთსა (10 %) და ბულგარეთში (10%).

ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში დაბალშემოსავლიანი პირები განთავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასხადისაგან. მაგალითად: ავსტრალიაში თუ პირის შემოსავალი წელიწადში 18200 ავსტრალიურ დოლარზე (33500 ლარი) ნაკლებია, ავსტრიაში თუ პირის შემოსავალი 11000 ევროზე ნაკლებია წელიწადში, იტალიაში თუ პირის შემოსავალი 8000 ევროზე ნაკლებია წელიწადში, ესტონეთში თუ პირის შემოსავალი თვეში 500 ევროზე ნაკლებია და ა.შ..

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ არ გვხდება საშემოსავლო გადასახადი. მაგ. ქუვეითი, ყატარი და ა.შ..

ბ) მოგების გადასახადი;

გადასახადის განაკვეთი - 15 პროცენტი, გარდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მოგების გადასახადის ნაწილში საქართველოს საგადასახადო სისტემა 2017 წლიდან გადასაულია ე.წ. ,,ესტონურ მოდელზე”. აღნიშნულ მოდელს განსაკუთრებული გავლენა უნადა მოეხდინა ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რაიმე განსაკუთრებული შედეგი (მათ შორის ეკონომიკური ზრდის კუთხით) ამ მოდელს ჯერ-ჯერობით არ მოუტანია. მაგალითად: 2016 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 13.22 %-ს (გადასახადები სულ 7,986,750.3 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 1,055,936.5 ათასი ლარი), 2017 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 8.41 %-ს (გადასახადები სულ 8,991,307.5 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 756,555.5 ათასი ლარი), 2018 მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 7.59 %-ს (გადასახადები სულ 9,695,962.2 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 736,624.4 ათასი ლარი), 2019 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 8.96 %-ს (გადასახადები სულ 9,665,567.6 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 866,288.9 ათასი ლარი). 2020 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 9.92 %-ს (გადასახადები სულ 9,364,779.4 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 919,440.6 ათასი ლარი), 2021 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 9.82 %-ს (გადასახადები სულ 11,439,488.6 ათასი ლარი, მათ შორის მოგების გადასახადი 1,015,296.1 ათასი ლარი), 2022 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 12,89%-ს, ხოლო 2023 წელს მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში შეადგენდა 11,97 %-ს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოგების გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში ,,ესტონური მოდელის“ მიღებამდე და მიმდინარე ეტაპზეე თითქმის თანაბარია.

მოგების გადასახადთან მიმართბაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2024 წლამდე საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირებ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი სუბიექტები იხდიდნენ მოგების გადასახადს 15%-ის ოდენობით, ხოლო 2024 წლიდან ეს განაკვეთი შეადგენს 20%-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ითქვას, რომ არის დაგვიანებული, რადგან ზემოაღნიშნული დაწესებულებების საქმიანობა თითქმის გამორიცხავს რაიმე სახის რისკს (მათ საქმიანობაში დაზღვეულია ყოველგვარი რისკი), მაშინ როდესაც სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია უზარმაზარ რისკებთან (მაგ: სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება), ხოლო გადასახადს ბანკები და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები 2024 წლამდე თანაბრად იხდიდნენ. ყოველმხრივ გაუმართლებელია მაღალი და დაბალი რისკფაქტორების მქონე საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების თანაბარი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა.

გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთია 18 პროცენტი.

თანამედროვე საგადასახადო სისტემაში დღგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. მისი აკრეფის სქემა პირველად ფრანგმა ეკონომისტმა მორის ლორემ შეიმუშავა 1954 წელს, ხოლო საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში 1958 წლიდან შემოიღეს. ამჟამად დღგ შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღგ-ის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3%-დან 15%-მდე). საგულისხმოა, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღგ-ს არსებობა ევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობაა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დიფერენციაციის მსგავსად, ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში (დანიის გარდა) გვხდება დიფერენცირებული (შემცირებული, შეღავათიანი განაკვეთები) დამატებული ღირებულების გადასახადი.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყანა ეკონომიკურად გაცილებით განვითარებულია ვიდრე საქართველო, ამაში მათ სწორი საგადასახადო პოლიტიკა დაეხმარათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ევროკავშირის ქვეყნების მაგალითის საფუძველზე მიზანშეწონილია ანალოგიის პრინციპით შემოღებულ იქნას საქართველოში დიფერენცირებული დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი (კანონმდებლობის ცვლილებით). დიფერენცირებული დღგ-ს მაგალითისთვის ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნა, როგორიცაა ჩინეთი, სადაც დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთია 2,3,4,6 და13 %-ი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთით გამოირჩევიან უნგრეთი (27 %), დანია (25 %), ხორვატია (25 %) და შვედეთი (25 %), ხოლო ყველაზე დაბალი განაკვეთი გვხვდება ლუქსემბურგსა (17%) და მალტაში (18%).

ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდიოდა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 40 პროცენტზე მეტი 2022-2023 წლებში (2022 წ. - 40,31%; 2023 წ. - 40,72%), ხოლო 2024 წლის გეგმის მიხედვით დღგ-ს ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში შეადგენს 38,65 %-ს (იხ. ცხრილი N1).

გადასახადების ხვედრითი წილი ბიუჯეტში 2022-2024 წწ.						ცხრილი N1	
	გადასახადის დასახელება	2022		2023		2024(გეგმა)	
1	საშემოსავლო გადასახადი	4644377.30	31.01	5486350.00	32.83	6345066.00	33.19
2	მოგების გადასახადი	1930151.40	12.89	2000000.00	11.97	2690000.00	14.07
3	დამატებულიღირებულების გადასახადი (დღგ)	6036823.50	40.31	6804000.00	40.72	7388334.00	38.65
4	აქციზი	2010227.80	13.42	2220000.00	13.29	2375000.00	12.42
5	იმპორტის გადასახადი	125992.00	0.84	150000.00	0.90	150000.00	0.78
6	სხვა გადასახადები	229114.10	1.53	50000.00	0.30	166600.00	0.87
	ჯამი	14976686.10	100%	16710350.00	100%	19115000.00	100%

კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმათ დღგ-ისგან გათავისუფლებულია გარკვეული საქონელი და მომსახურება (მაგ: სამედიცინო მომსახურების გაწევა, განათლების მომსახურების გაწევა, დიაბეტური

პურის ინპორტი და ა.შ.), მაგრამ ეს არ არის საკმარისი. განვითარებული ქვეყნების მსგავსად მიზანშეწონილია განისაზღვროს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი (მაგ: საგანმანათლებლო, სპორტული, ინვენტარი, აღჭურვილობა, წარმოების სშუალებების წარმოება და ა.შ.), რომლებიც წარმოადგენენ პრიორიტეტს და რომელთა დაბეგვრა განხორციელდება შემცირებული, საშეღავათო განაკვეთით, როგორც ეს ხორციელდება განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში. ყოველივე ეს სტიმულს მისცემს მეწარმეებს, ბიზნესს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

დ) აქციზი;

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია აქციზის გადასახადის განაკვეთები ამა თუ იმ საქონელზე.

აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან 1 წლის განმავლობაში.

აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე მაგალითისთვის შემდეგნაირად გამოიყურება: 1. თამბაქოს ნედლეული , თამბაქოს ნარჩენები - 1 კგ.- 60 ლარი; 2. ლუდი 1 ლიტრი (1%Vol) – 0,12 და ა. შ..

ე) იმპორტის გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის 5 და 12 პროცენტიან განაკვეთს.

ალქოჰოლური საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით (ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე). გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე).

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

ქონება – დასაბეგრი ქონება და მიწა.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით).

მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ერთერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ გვევლინება, როგორც მიზანმიმართული მოქმედებათა სისტემა საგადასახადო სფეროში, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ-საკონტროლო საფუძვლებს.

საგადასახადო პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოებრივი რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებს (არაპირდაპირი მეთოდები: ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა და სხვა). მისი მომცველობა და მიზნები დამოკიდებულია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, პოლიტიკურ წყობაზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე. გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი მდგომარეობს საკუთრების ფორმების ცვლილებაში, გადასახადების გადამხდელებიდან

ფინანსურ რესურსებზე საკუთრების უფლების სახელმწიფო საბიუჯეტო სფეროსთვის გადაცემაში.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო ურთიერთობები აისახება საგადასახადო პოლიტიკაზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს თვით სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს გადასახადების როლს საზოგადოებაში, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური სამეურნეო სუბიექტებთან მიმართებაში. პრობლემა საგადასახადო შემოსავლების ამოღების, ოპტიმალური საგადასახადო ფუნქციის შერჩევასა და საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე მათი გავლენის ოპტიმალური საზღვრების განსაზღვრაში მდგომარეობს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და მის რეალიზაციაზე. სულყოფილმა საგადასახადო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებას, რომლებიც განაპირობებენ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, შემოსავლების ზრდას ერთ სულ მოსახლეზე და საბოლოოდ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, დღესდღეობით საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსისთვის დამახასიათებელია ხშირი ცვლილებები. 2010-2024 წლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილია 219 სახის (ორასცხრამეტი) ცვლილება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ პროცესებზე, ინვესტორებსა და მეწარმეებზე, აქედან გამომდინარე არამდგრადი საგადასახადო ფონი ხელის შემშლელია ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის.

კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარება. ხელისუფლებამ უნდა გააანალიზოს გასულ წლების უარყოფითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზები და ამასთან ერთად გაითვალისწინოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება, პრაქტიკა, სიახლეები, რჩევები და მიუსადაგოს ის სახელმწიფო ინტერესებს.

მსოფლიოში არაერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა არსებობს, რომელთა წარმატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორისაა სწორი საგადასახადო პოლიტიკა. საქართველომ განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მაგალითზე უნდა დახვეწოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

საჭიროა, რომ საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა მორგებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის თავისებურებებზე, რესურსებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და ა. შ..

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას ისეთი ქმედითი ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ჯანსაღი, მაქსიმალურად სრულყოფილი ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ სუბიექტივიზმს. მაქსიმალურად სრულყოფილი ფისკალური პოლიტიკის შემუშავებისა და

მისი განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

დასკვნა და რეკომენდაციები

ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს, სწორი გამართული საგადასახადო სისტემა.

სახელმწიფოს მიერ სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის, საჭიროა მაქსიმალურად სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკის ოპერატიული შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს ხელისუფლებამ: დროულად უნდა გაატაროს ოპერატიული ღონისძიებები სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის, აუცილებელი წინაპირობის-სტაბილური ეკონუმიკური პოლიტიკის სრულყოფისათვის.

უნდა იქნეს შემუშავებული ისეთი საგადასახაადო პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს მეწარმეებს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სწრაფი ეკონომიკური ზრდისთის.

შემოღებულ უნდა იქნე შეღავათიანი, შემცირებული საგადასახადო განაკვეთები პრიორიტეტული მიმართულებების, დარგების განვითარების ხელშესაწყობად.

მიზანშეწონილია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იყოს დიფერენცირებული (პროგრესული) შემოსავლების ოდენობის მიხედვით.

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის თავისებურებებს, არსებულ რისკებს, მეწარმე სუბიექტების შესაძლებლობებს და ინტერესებს, საგადასახადო გადასახდელების შესრულებას და კანონდარღვევაზე ოპერატიულ რეაგირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სვანიშვილი ა. ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“ გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, მეორე გამოცემა, 2021 წ.;
2. საკითხავი მასალა ,, შესავალი ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში”, 2020 წ. დაკვეთა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (ADC).;
3. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2016 წელი;
4. საქართველოს კანონი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბ. 18 დეკემბერი 2009 წელი, №2440-IIს;
5. საქართველოს კანონი საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
6. საქართველოს კანონი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ
7. საქართველოს კანონი საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
8. საქართველოს კანონი საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
9. საქართველოს კანონი საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
10. საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 17.09.2010 №3591-II;
11. https://ka.wikipedia.org/wiki/ადგილობრივი_თვითმმართველობა;
12. https://forbes.ge/ra-aris-phiskaluri-politika/
13. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10365

14. https://ru.wikipedia.org/wiki/Фискальная_политика
15. http://www.mof.ge;
16. http://www.geostat.ge;
17. https://www.matsne.gov.ge;
18. https://www.nbg.gov.ge;
19. https://sao.ge/ka/;
20. https://ka.wikipedia.org/wiki/დამატებული_ღირებულების_გადასახადი;
21. https://ru.wikipedia.org/wiki/Подоходный_налог;
22. https://ru.wikipedia.org/wiki/Налог_на_добавленную_стоимость
23. rs.ge

Levan Khvedelidze
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
PhD student, Faculty of Economics and Business

MODERN ASPECTS OF TAX POLICY IN GEORGIA

Expanded Summary

Today, the governments of different countries have different views on tax policy. There are different opinions among the specialists in the field. Despite the efforts of economists, there is no universally recognized perfect, ideal tax system in the world today, but everyone agrees that economic development of this or that country is impossible at the modern stage without the most perfect tax policy.

In the conditions of the transition economy, the greatest importance is attached to the perfection of the tax policy. The implementation of the most comprehensive tax policy is one of the main prerequisites for sustainable economic development of the country.

The paper analyzes the main directions, trends, situation, existing problems of modern Georgian tax policy, aspects of improving the country's economic situation and stable economic development, the importance of developing and implementing the most complete tax policy in accordance with national-state interests.

The paper also analyzes the tax policy and tax system of Georgia, the importance of developing and implementing the most complete tax policy in accordance with national-state interests.

Tax policy is one of the tools of the state to regulate the economy, which in turn appears as a system of purposeful actions in the tax field, based on economic, legal and organizational-control foundations.

Tax policy includes indirect methods of state regulation (indirect methods: fiscal policy, monetary policy and others). Its scope and goals depend on objective and subjective factors, the political system and the tasks facing the country.

Tax policy determines the role of taxes in society, which can be positive or negative in relation to economic entities. The problem lies in the collection of tax revenues, the selection of the optimal tax function and the determination of the optimal limits of their influence on the economic, social and political life of society.

Due to the importance of tax policy, it is necessary to have a state finance management strategy in the country, a proper tax system, which is regulated by the legislation of Georgia.

The economic development of the country depends a lot on the development of the optimal tax policy and its implementation.

A sensible tax policy should promote the development of the most important sectors of the economy, which lead to the growth of the gross domestic product, the reduction of unemployment, the growth of income per capita and ultimately the development of the country's economy as a whole.

The data of the research show that stable economic development of the country is impossible without the development and implementation of the tax policy corresponding to the state interests. The government should analyze the causes of the negative macroeconomic indicators of the past years and take into account the experience, practice, news, advice of countries with developed economies and apply it to the state interests.

There are a number of economically developed countries in the world whose success factors include the right tax policy.

In forming the tax policy of Georgia in a perfect form, special attention should be paid to the peculiarities of the country, existing risks, opportunities and interests of business entities, fulfillment of tax payments and prompt response to violations of the law.

მედეა შაფათავა
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეტროეკონომიკის ფენომენის სოციალური ასპექტები.
სიღარიბის ეკონომიკა, გამომწვევი მიზეზები და თანამედროვე პრობლემები

ანოტაცია. *გამომდინარე მოცემულობიდან, რომ რეტროეკონომიკის ფენომენი პოსტ-საბჭოთა სივრცის უმეტეს ქვეყნებში დეკადების მანძილზე დაძლეულ ვერ იქნა, მისი წარმოქმნის ფაქტორების და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზ-შედეგობრიობის შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. ამას ერთვის ის ფაქტი, რომ რეტროეკონომიკა დამახასიათებელია არა მარტო განვითარებადი, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც. ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად, მნიშვნელოვანია რეტროეკონომიკის იმ ზემოქმედების და ეფექტების შესწავლა, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ახდენენ ზეგავლენას. სიღარიბის ეკონომიკა წარმოადგენს იმ ერთ-ერთ ხილულ „თეთრ ლაქას", რომლის პრობლემატიკის განხილვას ეძღვნება მოცემული ნაშრომი.*

საკვანძო სიტყვები: *რეტროეკონომიკა, სიღარიბის პრობლემა, განათლება, ცოდნაზე დაფუძნებული განვითარება.*

შესავალი

რეტროეკონომიკის თეორიის შემქმნელის, ვლადიმერ პაპავას მიერ ამ ფენომენის წარმოქმნის 5 ძირითადი ფაქტორი სახელდება (Papava, 2017; Папава, 2017):

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. როდესაც ახალი ტექნოლოგიური ცოდნის მიღება-გავრცელების შეზღუდვა ზრდის მის არასანქციონირებულ გამოყენებას. სანქციონირებული ტექნოლოგიების გამოყენება ძვირია ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში და ამ მიზეზით კომპანიები იყენებენ მოძველებული ტექნოლოგიებს;
2. ეკონომიკის მონოპოლიზაცია, როდესაც მონოპოლიების მიერ ახალი ტექნოლოგიების შესყიდვა ხდება არა გამოყენებისათვის, არამედ სხვა კომპანიების მიერ მისი გამოყენებისგან დაცვის მიზნით. ამ ტექნოლოგიების გამოყენება მოგვიანებით შესაძლებელი ხდება, მაგრამ ისინი ხშირად მოძველებულია;
3. საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა - კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით, ლიდერები ხშირად ყიდიან არა უახლეს, არამედ მეორად და გამოყენებულ ტექნოლოგიებს. ამ მიზეზით განვითარებად ქვეყნებში გროვდება მოძველებული პროდუქცია და ინოვაციური საწარმოების სიმწირეა;
4. განათლების დაბალი დონე - როდესაც გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის ქვეყანაში არ არის შესაბამისი პროფესიული დონის კადრები, რომლებსაც გააჩნიათ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა. საუბარია არა მარტო უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ადამიანურ რესურსზე, არამედ საშუალო განათლების არადამაკმაყოფილებელ დონეზეც;
5. ზომბიეკონომიკა. როდესაც ფინანსური კრიზისის შედეგად დაზარალებული ფირმები და მათთან დაკავშირებული ბანკები ფუნქციონირებას აგრძე-

ლებენ სახელმწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტებით.

თუ პირველი 4 ფაქტორი რეტროეკონომიკის წარმოქმნას ხელს უწყობს შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, მეხუთე ფაქტორი არსებობს განვითარების ნებისმიერი დონის ქვეყნებში.

რატომ გვაინტერესებს რეტროეკონომიკის დახასიათება?

საბჭოთა კავშირის რღვევის პირობებში უმთვრესი გამოწვევა, რაც მოსახლეობის წინაშე დადგა, არა მხოლოდ სახელმწიფოს რღვევით გამოწვეული პროცესები იყო, რომლებმაც სრულიად გააშიშვლეს საბჭოთა სისტემის მანკიერებები, არამედ Homo Sovieticus-ის ეკონომიკურ ადამიანად - Homo Economicus-ად გარდაქმნა. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები სახელმწიფოს მიერ იმართებოდა, ადამიანის, მისი სოციალური ყოფის და თვითგარდაქმნის შესაძლებლობები თავად მისი ადაპტაციის უნარზე იყო დამოკიდებული ცვლილებების პერიოდში (Бузгалин, 1994, сс. 250-253). საბჭოთა რეალობის ნგრევისას, ეკონომიკურ, და არა მარტო, პროცესებში, უპირატესი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, წამყვანი პოზიციები დაიკავეს ჩრდილოვანი სექტორიდან გადმობარგებულმა საქმოსნებმა (Papava, Khaduri, 1997). რა თქმა უნდა, ტრანსფორმაციის ბუნებრივი პროცესების ალგორითმი დაირღვა და მუტაციის რეჟიმში გადაიზარდა. ამ პერიოდში სუსტი და ხშირად კი, შესაბამისი და აუცილებელი ინსტიტუციების არ-არსებობის ანდა გაუქმების პირობებში შენარჩუნდა ხელსაყრელი გარემო კორუფციის, პროტექციონიზმისა და მექრთამეობისათვის (მაგალითად, Papava, 2000, p. 57-62; Shevardnadze et al., 2000; Tanzi, 1999; Грей и др., 2004 сс. 11-37). დაშლილი სსრკ-ს ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციების რთულ პროცესებს ძველი და ახალი ბარიერები და ე.წ. ხაფანგები შეექმნათ, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა მანკიერი პრაქტიკები (მაგალითისათვის, ისეთი არაფორმალურ „ინსტიტუციები", როგორებიცაა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კრიმინალური ავტორიტეტები, მაფია, რეკეტი და ა.შ.). რა თქმა უნდა, ცალკე არ დარჩა შემოსავლების მკვეთრად მზარდი უთანაბრობის პრობლემა, რომლის მართვის და ან რეგულირების არც თეორიული, არც პრაქტიკული ცოდნა არ არსებობდა, ზუსტად ისევე, როგორც არ არსებობდა მბრძანებლური ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლის თეორია (პაპავა, 2002, გვ. 32-36, Papava, 2021, pp. 222-227).

<u>განხილვა:</u> გასული საუკუნის მიწურულს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მცდარი განვითარების მთავარი მიზეზი არა მხოლოდ მოძველებული ეკონომიკურ-მატერიალური ბაზა, შესაბამისი რუტინა და ეკონომიკური თეორიის არ-არსებობა იყო. მიზეზი თავად საბჭოთა ადამიანი იყო, ვინაიდან Homo Sovieticus-ის, და მის შემდგომ კი Homo Transformaticus-ის აზროვნების გარდაქმნა ყველაზე რთული ამოცანა აღმოჩნდა (Papava, 2005 p. 51-57). ამ ფაქტმა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელ პროცესებს გადაულახავი, ხელოვნური ბარიერები შეუქმნა და მცდარად განვითარებული პროცესების <u>უკან სწორედ არშემდგარი კრებსითი Homo Economicus და მისი კერძო ინტერესები იდგა. განსხვავებული, თუმცა კი მსგავსი</u> გზებით, მათი გავლენა პროცესებზე სულ უფრო ზრდადი ხდებოდა (Hax et al., 1996, pp. 66-67). ტრანსფორმაციების დეკადების მანძილზე სხვადასხვა გზებით გამდიდრებული პირები მოგვევლინნენ ასევე კრებით ფენომენად, რომელსაც განვითარებული ქვეყნების საზოგადოებამ „ოლიგარქები" უწოდა. ეს ტერმინი ნახსენებია ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებში, თუმცა პოსტ-საბჭოთა

სივრცისათვის ოლიგარქია ახალ საზოგადოებრივ ფენად ჩამოყალიბდა (Guriev, Rachinsky, 2005). ოლიგარქების სიმდიდრის წარმომავლობა, მათ მიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენისა და კონტროლის მასშტაბები განსხვავებულია. მათი მსგავსება სიმდიდრის დაგროვების სქემაშია: ისინი უშუალოდ სახელმწიფოების მმართველი პირების წრეში ტრიალებდნენ და მათი მხარდაჭერით სარგებლობდნენ, რაც ხელს უწყობდა ლობიზმს, პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის შესაძლებლობას და შემდგომ კი - პროცესებზე ნაწილობრივ ან არცთუ ისე იშვიათად- სრულ კონტროლს. უამრავი ოლიგარქი თავად ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში (Kuper, 2023). რეტროეკონომიკის არსებობას ხელს უწყობდა ყველა ის ფაქტორი, რომელიც ჩამოვთვალეთ ზევით და ეკონომიკური განვითარების პროცესის შემაფერხებელი ე.წ. ინსტიტუციური ხაფანგები, რომლებიც არსებობდა სსრკ-ს პერიოდში და ტრანსფორმაციების პროცესში, რა თქმა უნდა, არსად გაქრა. ინსტიტუციურ ხაფანგში იგულისხმება არაეფექტიანი, მაგრამ მდგრადი ინსტიტუცია, მიღებული ნორმად. არაეფექტიან მდგრად ნორმას (არაეფექტიან ინსტიტუციას) პირობითად დაარქვეს ინსტიტუციური ხაფანგი (Полтерович, 1999). ქვეყნების გარდამავალ პერიოდში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის და ინსტიტუციონალური ხაფანგების გარდა, ჩამოყალიბდა ე.წ. პიროვნების მოწყვლადობას (პირობითად დავარქვათ) ხაფანგი. ინდივიდუალურ დონეზე ეს ხაფანგი გარდაუვლად „ბლოკავს" პიროვნებას განვითარებისგან, გამომდინარე ადამიანის დაბალი შემოსავლიდან და შესაბამისად, არ-არსებული დანაზოგიდან. პიროვნებას არ გააჩნია სახსრები თვითგანვითარებაში ინვესტირების მოსახდენად ან რაიმე საქმიანობის წამოსაწყებად. ამიტომ ის ე.წ. დახურულ წრეშია ჩაკეტილი ("locked-in"). ამგვარად, წარმოიქმნება მოწყვლადი საზოგადოებრივი ფენა. რომელსაც ამ ეტაპზე დავარქმევ ღარიბ ფენას. ღარიბი ფენის ე.წ. ხაფანგი შემდეგი სქემით მუშაობს: დაბალი შემოსავლები/დაბალი დანაზოგები → დაბალი ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში → შრომის დაბალი მწარმოებლურობა → მაღალი მოწყვლადობა, დაკავშირებული არაფორმალურ სამსახურებთან და არასტაბილურ სამუშაო ტრაექტორიასთან. არაფორმალურ სამსახურში შეგვიძლია გავაერთიანოთ ის კომპანიები, რომლებიც შემოსავლების დაფარვის მიზნით არ აფორმებენ ინდივიდებთან კონტრაქტებს და ადამიანი გარდა დაბალი შემოსავლისა, მოკლებულია სოციალური უზრუნველყოფის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა, მაგალითად, საპენსიო დანაზოგი და/ან ჯანმრთელობის დაზღვევა. შინაარსობრივად მოცემული ხაფანგის საკითხი ახლოსაა ე.წ. „სიღარიბის მანკიერ წრეებთან" (vicious circle of poverty), რომლებიც დახასიათებულია განვითარების კეინსიანურ მოდელებში, მაგალითისათვის, ლეიბენსტაინის კვაზისტაბილური წონასწორობის თეორიაში, „კაპიტალის უკმარისობის მანკიერი წრე" ნურქსეს მიხედვით, „ჩამორჩენილობის წრე" კნალის მიხედვით და ა.შ. (Нуреев, 2001). ხოლო ჩვენს რეტროეკონომიკურ პოსტ-საბჭოთა სინამდვილეში მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ხილული თეთრი ლაქა და გავაერთიანოთ „ღარიბების ეკონომიკის" სათაურის ქვეშ. რეტროკონომიკაში მოძველებული ტექნოლოგიების გამო ინოვაციის და კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების წარმოება/მიწოდება შეზღუდულია ან ძალიან მცირე მასშტაბებშია წარმოდგენილი. ამ მიზეზით, რეტროეკონომიკის არსებობა ხანგრძლივდება დროში, ვინაიდან ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და შესაძლებლობა, დანერგონ სიახლეები და ამ გზით თავი დააღწიონ ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და ე.წ. პიროვნების მოწყვლადობის ხაფანგებს (Melguizo et al, 2017).

ამგვარად, რეტროეკონომიკასთან ერთად ადგილი აქვს *სიღარიბის, ან ღარიბების ეკონომიკის* ფუნქციონირებას. არის გარემოებები და მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ „ღარიბების ეკონომიკა" მხოლოდ პოსტ-საბჭოთა მანკიერებას არ წარმოადგენს და მხოლოდ რეტროეკონომიკის მიერ გამოწვეული პირდაპირი და ირიბი „დეფექტი" არაა. ეს მარტივია, თუ გადავხედავთ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიხედვით სიღარიბის მანკიერებასთან და სოციალურ უთანაბრობასთან ბრძოლის მასშტაბებს. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში სიღარიბის ხილულმა პრობლემამ მბრძანებლური ეკონომიკის რღვევისას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას იჩინა თავი, ხოლო შემდგომ მისი საბოლოოს დაძლევა ვერ მოხერხდა, ვვარაუდობ, რომ სიღარიბის ფენომენი თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთი მახასიათებელიცაა. თავისუფალი ბაზარი, მართალია, პარეტო-ოპტიმალურია, მაგრამ მის პირობებში საზოგადოებაში შემოსავლების და კეთილდღეობის გადანაწილების უთანაბრობა დიდი ხანია, მსჯელობის საგანია. განვიხილოთ განვითარებული ქვეყნების მიერ სიღარიბის დაძლევის მიზნით მოქმედი რამდენიმე ორგანიზაცია (გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მსგავს პრობლემატიკაზე მომუშავე უამრავი ორგანიზაცია არსებობს და მათი სრული სიის წარმოჩენა ძალიან მოცულობითია): გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP), ეკონომიკური განვითარებისა და კოოპერაციის ორგანიზაცია (OECD), ევროსაბჭო (და მისი მდგრადი განვითარების სტრატეგია), მსოფლიო ბანკის სიღარიბისა და უთანაბრობის პლატფორმა (Worldbank.org) და უამრავი სხვა. ნიშანდობლივია, რომ ევროპის მდგრადი განვითარების ინდიკატორების სიაში ერთ-ერთი მთავარი თემაა გლობალური პარტნიორობა და განვითარების ოფიციალური დახმარების სიაში საქართველო ჯერ ისევ დახმარების მიმღები ქვეყნების სიაშია - ზედა შუა შემოსავლის ქვეყნებს შორის, რომლებიც არ არიან ყველაზე დაბალგანვითარებულები (OECD.org).

ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით ნათლად ჩანს განვითარებული ქვეყნების კოეფიციენტის თანაფარდობა დაბალგანვითარებულ ქვეყნებთან, რაც პირდაპირ ბმაშია ტექნოლოგიურ პროგრესთან. ტოპ-სამეულს შვეიცარია, ისლანდია და დანია წარმოადგენენ, ხოლო ბოლო სამ ადგილს მალი, ნიგერია და სუდანი (UNDP.org). შესაბამისად,

რა არის უთანაბრობისა და სიღარიბის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მთავარი მიზანი: ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პირველ რიგში მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მდგრადი განვითარება გულისხმობს ღირსეული საარსებო პირობების შექმნას მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ეს საკითხი გაეროს განვითარების პროგრამის პრიორიტეტების ათეულშია. მათ შორისაა შემცირებული უთანაბრობა როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის (SDGS.UN.org). სიღარიბის გლობალურ პლატფორმაზე (PIP) უთანაბრობის და სიღარიბის მონაცემები ძირითადად გამოითვლება მსყიდველობითი პარიტეტის ინდექსის მიხედვით (PPP). ეს ინდექსი უამრავი ეკონომისტის (და აგრეთვე ჩემი მოკრძალებული აზრითაც), არასრული და არა ყოვლისმომცველია. სიღარიბის გლობალური პლატფორმის პროგრამების და დღის წესრიგის ფარგლებში, მინიმალური შემოსავლების გადახედვა და სიღარიბის საზღვრების პერიოდული კორექტირება ხდება (Castaneda et al, 2022). მთავარი შეკითხვა, რომლის დასმაც პრინციპულია: არის თუ არა ყველა ამ ორგანიზაციის მიერ შექმნილი დღის წესრიგი და გეგმები საკმარისი აბსოლუტური სიღარიბის და თავად სიღარიბის ეკონომიკის, ანუ დახურულ წრეზე მოძრავი ალ-

გორითმის აღმოსფხვრელად? ვფიქრობ, რომ არა. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა - სიღარიბე - დღის წესრიგის უცვლელი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის აღმოფხვრის ასეუ;ობით პროგრამები და გზები არსებობს, მისი საბოლოო დამარცხება მსოფლიოს ერთ-ერთ დაუძლეველ გამოწვევადაა ქვეული. ჩვენს მიერ ზემოთაღწერილი ურთიერთდამოკიდებულება რეტროეკონომიკასა და ღარიბების ეკონომიკის პარალელურ სიბრტყეში თანარსებობაზე კიდევ ერთ ილუსტრაციას იძენს.

განვითარებული ქვეყნების სიღარიბის ილუსტრაციისათვის მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი ამერიკული კვლევა, რომლის მიხედვით, ბავშვის ეკონომიკური მდგომარეობა ხშირადაა დამოკიდებული მშობლების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თაობებით გადასული სიღარიბე პირდაპირი შედეგია სისტემის იმ „რასიზმის" (სწორედ ამ სიტყვას იყენებენ მკვლევარები) და იმ საზოგადოებრივი მარგინალიზაციის (ტერმინი დაცულია), რომელიც ღარიბ ფენაში უქმნის დაბრკოლებებს კერძო პირებს, ოჯახებს და საზოგადოებას, რათა ისინი ეკონომიკურ მეინსტრიმს ჩამორჩნენ. თუ ამაზე ღიად საუბრობს ამერიკული მეცნიერული საზოგადოება, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ბარიერები და დაბრკოლებები, ის სიღარიბის მანკიერი წრეები და ცალკე აღებული „ღარიბთა ეკონომიკა" - რომელსაც ამ თემის დასაწყისში რეტროეკონომიკის და განვითარებადი, ტრანსფორმაციებში მყოფი ქვეყნების მანკიერებად ავსახავთ, არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების სენია. განვითარებული ქვეყნის დაბალშემოსავლიანი საზოგადოებრივი ფენის შემლებულთა ფენისგან ზემოთაღნიშნული მარგინალიზაცია და ამ განსხვავებული ცხოვრების წესის მიხედვით საზოგადოებების ერთმანეთისგან დაშორება, ნამდვილად ხილული პრობლემაა. თუ თაობებზე გარდამავალი სიღარიბე აღიარებულია და მაღალგანვითარებული ქვეყნისათვის დადასტურებული და მიღებული ფაქტია, ბუნებრივია, რომ ამ დახურული წრედის გარღვევა განვითარებადი და ღარიბი ქვეყნებისათვის მოცემულ ეტაპზე დაუძლეველ საკითხად დარჩება (Pathak, 2021). თავად სიღარიბის დახურული წრე რეტროეკონომიკაში შეგვიძლია გარკვეული ხარისხის ე.წ. ხაფანგს მივაკუთვნოთ, ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინით Path dependence (Liebowitz, Margolis, 1995).

რა კავშირშია ადამიანის კეთილდღეობა მისი განვითარების ინდექსთან? თუ ჩვენ გავყვებით თვალსაჩინო კვლევას ადამიანის განვითარების გაზრდილ ინდექსსა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ურთიერთდამოკიდებულების კავშირზე ხანგრძლივ ისტორიულ ჭრილში, ((1870–2020 წლები), სადაც ავტორები ადამიანის განვითარებას საზღვრავენ ოთხი მონაცემის მიხედვით: ჯანსაღი ცხოვრება, ცოდნა, ცხოვრების ღირსეული დონე და სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება (იხ. სქემა #1 დანართში)) (Prados de la Escosura, 2021, Bolt, van Zanden, 2023), ამ კვლევით ნათლად დავინახავთ, რომ ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდა არ არის აუცილებელი, აისახოს ადამიანური განვითარების ინდექსზე. მაგალითისათვის, არაბეთის ქვეყნები: გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი და კატარი, მოსახლეობის ერთ სულზე მნიშვნელოვანი შემოსავლის ზრდის მიუხედავად, ადამიანური განვითარების ინდექსით ჩამორჩებიან ისეთ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლები უფრო დაბალია: მაგალითად, ნორვეგია, შვეიცარია, აშშ, სინგაპური და ა.შ. რაც დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დათვლის მეთოდოლოგიაც არ არის სრულყოფილი.

დანართი #1.



საზოგადოების ფენებს შორის უთანაბრობის გაზომვის შედარებით ახალი ინდექსებია: მსოფლიოს უთანაბრობის ინდექსი (WID), რომელიც 2015 წლიდან იზომება და იგი მოჰყვა 2011 წელს შექმნილ მსოფლიოს ტოპ-შემოსავლების მონაცემთა ბაზის შექმნას (WTID). ამ ინდექსის წარმოშობა უკავშირდება საიმონ კუზნეცის (Kuznets, 1953), ენტონი ატკინსონისა და ალან ჰარისონის ნაშრომებს (Atkinson, Harrison, 1978), რასაც ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილება მოჰყვა. უთანაბრობის გამზომი ინდექსების დახასიათებისას, არ შეიძლება არ ვახსენოთ სიღარიბის ინდექსის შემქმნელი არტურ ოკუნი, რომლის კანონი (Okun's Law) საყურადღებო და სამომავლო კვლევებისათვის საინტერესოა: მისი თეორიით, უმუშევრობის მაჩვენებლის ყოველი 1%-ით მატებისას, ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი დაახლოებით დამატებით 2%-ით დაბალი იქნება, ვიდრე პოტენციური მთლიანი სამამულო პროდუქტი (Okun, 1962).

თუ ჩვენ პოსტ-საბჭოთა რეტროეკონომიკის ახალ მანკიერებად ოლიგარქოკრატიის ფენომენის ნეგატიურ გავლენას ვახასიათებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებია სრულიად თავისუფალი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი მანკიერი მოვლენა, როგორიცაა, ე.წ. *თეთრი საყელოების* ეკონომიკური დანაშაულების კრიმინალური ფენომენი ("White Collar Crime"), (Sutherland, 1983, pp. 199-258), სადაც ნათლად იკვეთება უმაღლესი რანგის პირების გავლენა მთლიანად ეკონომიკაზე გარკვეული ინსტიტუციიდან. მსგავსი მოვლენები სხვა დასახელებებითაც გვხვდება: მაგალითად, იაპონური *დანგოია* და ბიუროკრატიული ტიპის ხაფანგები სამთავრობო იერარქიის სხვადასხვა დონეებზე (Hax et al., 1996, pp. 66-69), აგრეთვე იტალიური *მაფიის* მაგალითი (Klein, 2021, Vallone, 2021) და უამრავი სხვა.

დასკვნა

უდავოა, რომ განვითარებადი და დაბალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად, მაღალგანვითარებული ქვეყნების შესაძლებლობების გათვალისწინებით, სიღარიბის და საზოგადოებაში უთანაბრობის პრობლემის საბოლოო დაძლევა ვერ მოხერხდა. იგივე სახის იდენტურობა იკვეთება რეტროეკონომიკასა და სიღარიბის ეკონომიკას შორის. ორივე არსებობს როგორც ღარიბ, ასევე მდიდარ ქვეყნებშიც. გამოსავალი რეტროეკონომიკიდან და მისი სატელიტი სიღარიბიდან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაშია. არის თუ არა ამ საკითხში სახელმწიფოს როლი გადამწყვეტი? უდაოდ: ცოდნის კერების შექმნა, ცოდნის მიღების და მისი გამოყენების მოტივაცია სახელმწიფოდან უნდა გამომდინარეობდეს, მთლიანად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფუნქციობირებაც. განათლების დონის გაუმჯობესება პირდაპირ ბმაშია საზოგადოებრივი უთანაბრობის გაუმჯობესებასთან (Walker et al. 2019). განათლება და მეცნიერება ისეთივე აქტივია, როგორც სხვა მატერიალური აქტივები და ქვეყნის წინსვლა, დოვლათის შექმნა შეუძლებელია განათლების მყარი საძირკველის გარეშე. (Sulpasso, 2024).

სინამდვილეში სიღარიბის ეკონომიკა არავისთვისაა სასურველი განხილვის თემა, ვინაიდან ის აფერმკრთალებს ეკონომისტების მიღწევებს (Deaton, 2016). მასში მოქმედი სუბიექტები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენას არ და ვერ ახდენენ და ამგვაარად, უხილავები რჩებიან, მდიდარი ფენის გავლენიანი წარმომადგენლებისგან განსხვავებით. ამიტომაც დავარქვი მათ „თეთრი ლაქა".

ვფიქრობ, რომ ღარიბების ეკონომიკის უფრო დაკვირვებით დანახვა აუცილებელია. უპირველესად, უთანაბრობის შემცირების მიზეზით, რაც სიღარიბის ზღვრულ მაჩვენებლებს შეარბილებს. ჩვენ ვისაუბრეთ, რომ რეტროეკონომიკის პირობებში არსებულ კრებით Homo Transformaticus-ს გარდაქმნისთვის პირველ რიგში ესაჭიროება ინტელექტუალური ტრანფორმაცია, რისთვისაც მას ესაჭიროება შესაბამისი განათლება და ცოდნაზე დაფუძნებული განვითარება. საზოგადოების და ცოდნის ეკონომიკა აერთიანებს 5 მთავარ განზომილებას: გარემო, სამოქალაქო საზოგადოება, მთავრობა, უნივერსიტეტები და ინდუსტრია. კარაიანისისა და კემპბელის მიერ მოხდა ერთიანი, ცოდნაზე დაფუძნებული 5-სფეროიანი ინტეგრალური მოდელის შეთავაზება თეორიაში, რომლის სახელია EUTOHA (Emerging Unified Theory of Helix Architectures) (Carayannis, Campbell, 2022). ეს მოდელი თანამედროვე რეალობაში წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ ჩარჩოს, რომელიც ყველაზე სრულყოფილად წარმოაჩენს მთლიანი საზოგადოების ურთიერთქმედების ალგორითმების ერთიანობას. თუმცა უკანასკნელ პერიოდში გაგვაჩნია უძლიერესი შესაძლებლობა ხელოვნური ინტეელექტის უსაზღვრო შესაძლებლობების სახით (Miao et al, 2021).

გამოყენებული ლიტერატურა

1.პაპავა ვ., 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა,* თბილისი, „პდპ", 526 გვ.

2. Atkinson A., Harrison A., 1978. *Distribution of Personal Wealth in Britain*. Cambridge University Press. 330 p.

3. Bolt, J., J. L. van Zanden, 2023. Maddison Project Database. Economics, Econometrics and Finance, Dataset. <https://research.rug.nl/nl/datasets/maddison-project-database-2023>.

4. Carayannis E., Campbell D., 2022. Towards an Emerging Unified Theory of Helix Architectures (EUTOHA): Focus on the Quintuple Innovation Helix Framework as the Integrative Device, Triple Helix, Brill.com/thj, Vol. 9, pp. 65-75, <https://www.semanticscholar.org/reader/fe8734158e214350dbe9c1e4ce42ec654371f3b4>.
5. Castaneda A., Diaz-Bonilla C., Fujs T., Jany H., Jolliffe, D., Lakner, Ch., Mahler,D., Minh Cong N., Schoch, M., Kofi T., Mendoza V., Celmira M., 2022. Update to the Poverty and Inequality Platform (PIP): What's New (English). *Global Poverty Monitoring Technical Note*; no. 24 Washington, D.C. : World Bank Group.
6. Deaton A., 2016. Measuring and Understanding Behavior, Welfare, and Poverty. *American Economic Review, Vol.* 106, No. 6. Pp. 1221–1243.
7. Guriev S., Rachinsky A., 2005. The Role of Oligarchs in Russian Capitalism. *Journal of Economic Perspectives,* Vol. 19, No. 1, pp. 131–150.
8. Hax H., Klenner W., Kraus W., Matsuda T., Nakamura T., 1996. *Economic Transformation in Eastern Europe and East Asia. A Challenge for Japan and Germany*. Springer-Verlag. Berlin-Heidelberg, Springer, 142 p.
9. Klein D., 2021. Expert: Italian Mafia Has Mastered Complex Economic Schemes. *Organized Crime and Corruption Reporting Project,* April, <https://www.occrp.org/en/daily/14254-expert-italian-mafia-has-mastered-complex-economic-schemes>.
10. Kuper S., 2023. From Putin to Musk: The Making of a Modern-Day Oligarch. *Financial Times,* October 27, <https://www.ft.com/content/1da1da6b-9410-4ab5-a295-f3a9e48f9977>.
11. Kuznets S., 1953. *Shares of Upper Income Groups in Income and Savings*. National Bureau of Economic Research. N
12. Liebowitz S.,Margolis S., 1995. Path Dependence, Lock-In, and History. *Journal of Law Economics and Organization*, Vol. 11, No. 1, pp. 205-226.
13. Melguizo A., Nieto-Parra S., Perea J., 2017. *No Sympathy for the Devil! Policy, Priorities to Overcome the Middle-Income Trap in Latin America*. Working Paper, No. 340. Paris, OECD Development Centre, <https://www.oecd-ilibrary.org/development/no-sympathy-for-the-devil_26b78724-en>.
15. Miao F., Holmes W., Huang R., Zhang H., 2021. *AI and Education*. Guidance for Policy-Makers. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, <unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000376709/PDF/376709eng.pdf.multi>.
16. OECD, 2022. DAC List of ODA Recipients, <https://www.oecd.org/en/topics/sub-issues/oda-eligibility-and-conditions/dac-list-of-oda-recipients.html#list-updates>.
17. Okun, Arthur M. ''Potential GNP: Its Measurement and Significance." In: *Proceedings of the Business and Economic Statistics Section of the American Statistical Association.* Alexandria, VA: American Statistical Association, 1962, pp. 89-104.
18. Papava V., 2000. Economic Approach to the Restriction of Corruption in Georgia. *Georgian Economic Trends,* No. 3-4, pp. 51-55.
19. Papava V., 2005. *Necroeconomics. The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New-York-Lincoln-Shanghai. iUniverse, 201 p.
20. Papava V., 2017. Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, No. 6, pp. 455-462.
21. Papava V., 2021. *Becoming European. Challenges for Georgia in the Twenty-First Century*. Bloomington, Universe, 285 p.
22. Papava V., Khaduri N., 1997. On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. *Problems of Economic Transition*, Vol. 40, No. 6, pp. 15-34.
23. Pathak A., 2021. Using Holistic, Multigenerational Strategies to Alleviate Poverty. *The Center of American Progress.* Report. Part of a series Holistic, Multigenerational Approaches to Poverty Alleviation. <https://www.americanprogress.org/article/using-holistic-multigenerational-strategies-alleviate-poverty/>.

24. Prados de la Escosura, L., 2021. Augmented Human Development in the Age of Globalization, *Economic History Review.*
25. PIP, the World Bank, 2024. Poverty and Inequality Platform, <https://pip.worldbank.org/home>.
26. Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N., 2000. *Papava Indexes of Tax Corruption*. Tbilisi, Imperial, 16 p.
27. SDGS.UNDP. Department of Economic and Social Affairs. *Sustainable Development* <https://sdgs.un.org/goals#implementation>.
28. Sulpasso U., 2024. Criticisms Point out of Diversity, which is the Strength, and Forget Culture, Which is the Real Growth Engine. *Eurasia Review. News and Analysis.* <https://www.eurasiareview.com/09062024-the-europe-that-exists-oped/>.
29. Sutherland E.H., 1983. *White Collar Crime: The Uncut Version*. New Haven and London. Yale University Press. 290 p.
30. Tanzi V., 1999. Uses and Abuses of Estimates of the Underground Economy. *The Economy Journal*, Vol. 109, No. 456, pp. 338-347.
31. UNDP. Country Insight. *Human Development Insights*, <https://hdr.undp.org/data-center/country-insights#/ranks>.
32. Vallone M., 2021. Insight: Mafias and the Pandemic; the Changing Face of the Fight Against Organised Crime in Italy. *AML Intelligence, Anti-Financial Crime & Financial Crime Compliance*, August, <https://www.amlintelligence.com/2021/08/insight-mafias-and-the-pandemic-the-changing-face-of-the-fight-against-organised-crime-in-italy/>.
33. Walker J., Pearce C., Boe K., Lawson M., 2019. The Power of Education to Fight Inequality. How Increasing Educational Equality and Quality is Crucial to Fighting Economic and Gender Inequality. *Oxfam Briefing paper*. Oxfam GB, Oxford, UK.
34. Бузгалин А. В., 1994. *Переходная экономика: курс лекций по политической экономии.* Москва, Таурус, 471 с.
35. Грей Ш., Хеллман Д., Райтерман Р., 2004. *Коррупция в отношениях между предприятиями и государством в странах Европы и Центральной Азии в 1999–2002 годах*. Москва, Издательство «Весь Мир», 2004, 116 с.
36. Нуреев Р. М., 2001. *Экономика Развития. Модели становления рыночной экономики.* Москва, Инфра – М, 192 с., <http://library.asue.am/open/3013.pdf>.
37. Папава В. Г., 2017. О ретроэкономике. *Вопросы экономики*, № 10, сс. 148-159.
38. Полтерович В. М., 1999. Институциональные ловушки и экономические реформы. *Экономика и математические методы*, Т. 35, № 2, сс. 3-20, <http://mathecon.cemi.rssi.ru/vm_polterovich/files/ep99001.pdf>.

Medea Shapatava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SOCIAL ASPECTS OF THE PHENOMENON OF RETROECONOMICS. CAUSES AND CONTEMPORARY PROBLEMS OF THE ECONOMICS OF POVERTY

Expanded Summary

The phenomenon of Retroeconomics has not been overcome in most post-Soviet countries for decades. The study of the factors of its emergence and socio-economic cause-and-effect is still ongoing. It is important to admit that Retroeconomics is a characteristic not only of developing, but also of highly developed countries. Along with economic aspects, it is im-

portant to study the impact and effects of Retroeconomics that affect the social conditions of the population.

The present paper itself is a part of an integral research for the dissertation, which discusses main directions of overcoming Retroeconomics in the conditions of globalization using the example of Georgia.

Transformation process of post-Soviet countries covers many topics, though problematic of overcoming Retroeconomics for further economic development offers wide array of unsolved social-economic tasks for research and analyses. Transformation period for post-Soviet countries has been prolonged due to non-existence of economic theory covering this subject and consequently, non-existence of prior practical examples. That is why many reforms and solutions have been going via trial and error.

The most complicated subject in this direction for years remained the transformation of Homo Sovieticus to Homo Economicus. Many problems in Retroeconomics of developing countries are linked to the existence of various so-called traps of different kinds: technological and institutional traps which create serious obstacles and hindrances to the way to development. We will refer to and discuss such well-known traps mentioned in economic literature, as Path Dependence, "locked-in" conditions, 'vicious circle of poverty' and so on.

Our particular attention will be drawn to the problem of inequality as a cause of the transformation processes and not only. We will trace the difficulties created for vulnerable, financially poor economic actors and representatives of the society as they can never affect any ongoing processes of the development, though the throughout research of this problem may contribute to its solution. The discussion will cover the problems, caused by the above-mentioned traps in post-Soviet countries and also in developed ones. In the economics we can call it a visible "white spot" and unite it under the heading of Economics of poverty or the Economics of the poor. During the transformations Retroeconomics and the economics of the poor are subsequent, parallel realities. In this paper it is underlined that the developed economies also face and fight the same problem of the poverty. The main finding for me as for an author is that the similarity between the Retroeconomics in the post-Soviet countries (during their transformations to the market economies) and the developed world with already existing, long-established market economies is the economics of poverty; in technologically and institutionally developed countries the poverty is an unchanging issue on the agenda. Despite the fact that there are hundreds of theories, programs and ways to eradicate it, this problem remains one of the primary challenges of contemporary world.

In the conclusion, as a solution of the given problem will be offered a brief overview of the knowledge-based development as a basis for intellectual transformation of economic actors (Homo Transformaticus), whose education and knowledge should be regarded as an asset. As the best framework for improvements in this dimension will be introducing the latest quintuple helix version of EUTOHA (Emerging Unified Theory of Helix Architectures) system which is constantly improving.

Assuming that it is impossible to discuss all problems of social aspects of Retroeconomics and the ways of their solution in this brief paper, it offers a glimpse to the huge topic, which is still a pressing problem for the entire world economists.

Keywords: Retroeconomics, the problem of poverty, education, knowledge-based development.

ლიანა შაყულაშვილის ხსოვნას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ინსტიტუტის გამოცემათა ინგლისურენოვანი რედაქტორი ლიანა შაყულაშვილი.

ქალბატონმა ლიანამ 1960 წელს დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. 1962 წლდან მუშაობდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ინგლისურენოვან რედაქტორად. 1998-2000 წლებში კი ეკონომიკის სამინისტროში საინფორმაციო განყოფილებაში მთარგმნელად. იგი თავისუფლად ფლობდა არა მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებს, არამედ ფრანგულ და გერმანულ ენებსაც.

ქალბატონი ლიანა თანამშრომლებს შორის გამოირჩეოდა არისტოკრატიზმით და ინტელიგენტურობით. ულამაზესმა ქალბატონმა, თავისი თბილი დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმითა და ენციკლოპედიური ცოდნით, დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა იმ ადამიანებში, ვისაც ერთხელაც კი ჰქონია მასთან შეხება.

ქალბატონმა ლიანამ უდიდესი ტკივილი დატოვა ჩვენს გულებში. ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ჟურნალი **“ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal **“Ekonomisti”**

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze